

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4.1978

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონჯი
Ответственный секретарь Г. А. ЛЛОНჯИ

რ ე დ ა ქ ც ი ა ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.XII.78; შეკვ. 2667, ანაწყოების ზომა 7×1½;
ქალაქის ზომა 7×1081/16; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საარტიცხო-საგამომცემლო
თაბახი 16,22; უე 12831; ტირაჟი 2000.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ შეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ნ ი ნ ა ა რ ს ი

„ამერიკა“	5
ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების 150 წლისთავი	
ისააკაძე, ნ. გ. ჩერნიშევსკი და ქართული მოღვაწეები	7
ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავი	
აღორთქიფანიძე, ლევ ტოლსტოი და საქართველო	19
პაპასკირი, კ. გამსახურდიას ნოველების მხატვრული სპეციფიკის საკითხები	30
ნაქაძე, იუსტინე აბულაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ	36
ციციანელიანი, ახალი მასალები გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ	47
აკაღაძე, ონორის ეპიკური შემეყიდრება და ძველი ქართული მწერლობის ერთი საკითხი	64
გახელაძე, შელოცები ძველ ქართულ ხელნაწერ ანთოლოგიებში	86
აშქიანიშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მებრუნებულთაში	100
ბისიელი, ნათესაობის ტერმინთა სისტემა ქართულში	111
განჯიძე, ქართული ლექსთა აზერბაიჯანული ენის ჩრდილო-დასავლურ კლასიკებში	124
ქუშმალიშვილი, ზოგიერთი ქართული ნასესხობანი აზერბაიჯანული ენის დიალექტებში	141
გომთაძე, ო. ო. სმოვანთა შესატყვისობა ბუეიტურ-პუნზიბური ენის დიალექტებს შორის	145
ბაქლოვა, ჩინური აფრიკატების ოსცილოგრაფიული შესწავლა	155
ცნობები და შენიშვნები	
ბარაშიძე, ანტონ ცაგერელ-კუიონდიელის პომილუტურა შემეყიდრება	172
მეცნიერთა იუბილე	
ქუთურაძე, ნ. ჭანაშია, სერგი სიმონის ძე ჩიქია	175
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ბასკაკოვი, „ახალი“ სიტყვების მოკლე თურქულ-რუსული ლექსიკონი	177
ქრონიკა და ინფორმაცია	
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	179
სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცების ახალი წესის შესახებ	189
ახალი წიგნები	190

აქ ა მ ი რ ი ა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალი წიგნი „უამირი“, რომელშიც ამაღლებულად და მღალმნატურულადაა ასახული პარტიისა და ხალხის თავდადებული ბრძოლა უაზანთის ერცელ უამირისა და ნახევი მიწების ასათვისებლად, „მცარე მიწისა“ და „აღორძინების“ ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

უამირის ეპოპეას ანათებს ყოვლისშემკველი სხელმწიფოებრივი თაღსაზრისი. იგი იმავე რიგის მოვლენებს მიეკუთვნება, როგორცაა: საბჭოთა ხალხის თავანწირული ბრძოლა და გამარჯვება დიდ საწაშულო ომში. ომის მიერ მიუენებელი პრილობების მოშუშება და საბჭოთა ქვეყნის აღორძინება. იგი რევოლუციის დიადი საქმის განგრძობა იყო. ნხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. სოციალისტური წუობილების პირობებში გაბლა შესაძლებელი ასეთი გრანდიოზული ამოცანის განსრცილება.

ყოველი დიდი მიზანი უპირველეს ყოვლისა აღმინების ბედნიერების მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართული და ამავე აღმინების მიერ უნდა განხორციელდეს. საბჭოთა აღმინები „უნდა იყვნენ კიდევ ბედნიერები. რაღვან უანიხოდ შეუძლებელია ქვეყნის კეთილდებობა“.

ეს თვალსაზრისი შესანიშნავად ევხებაჯეს პარტიული მოღვაწის ხატეს, რომლისთვისაც სახელმწიფოებრივი ამოცანები და საბჭოთა აღმინებზე ზრუნვა ერთი და იმავე საქმის ორი სხვადასხვა მხარეა ერთი მიზნისკენ მიმართული. ეს აზრი ლ. ბრეჟნევის წიგნში თანმიმდევრულად, დამაქრებლად და შთამბეჭდავდაა გაცარებული. იგი უმთავრესი და უპირველეს ღირსებათაგანაა „უამირისა“, ისევე როგორც „მცარე მიწისა“ და „აღორძინებისა“.

ესოდენი კეთილგანწყობილება საბჭოთა აღმინების მიმართ წიკნში შეთანხმებულია ფხოზელ რეალისტურ ბედვასთან, რომელმაც უნდა ასახოს ცხოვრება მთელი სისხავსით, თავისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით.

გულახდლად და დიდი მხატვრული ძალითაა ნაჩვენები წიგნში ის სინქლეები, რომელთა დამღევა მოუხდათ საბჭოთა აღმინებს. ურცელი მიწების ათვისება, რომელთა ფართობი ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას უდრდა ერთად აღებულს, ქმნიდა დიდ ორგანოზაციულ სინქლეებს, რასაც განსაკუთრებულად ძალით გრძობდნენ პირობულამორილები. სწორედ ამ სინქლეების დამღევა გამოავლენა აღმინათა შინაგანი ბუნება და ცხადი გა-

ხადა, ვინ რას წარმოადგენს, „ვინ რად ღირს“. ეს საზომი აქვს მიუენებელი წიგნში ცოცხლად და რელიეფურად გამოხატულ მრავალგვარ და მრავალწახანგავან აღმინურ ხახიათებს. სწორედ მათი ცხოვრებისა და ბრძოლის სურათები ანათებენ წიგნის მრავალმხრივ თემატიკას: პური და სახელმწიფო, პური და ხალხი, პური და გამირობა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ტრილოგიის სამივე წიგნა განსმკვალულია აზრებით და იდეებით, რომლებიც მკითხველს აძლევს ფიქრისა და განსჯის მდიდარ შესაძლებლობას. ეს წიგნები საბჭოთა აღმინებს ასწავლიან ცხოვრებას. შრომას, უღვთებენ მათ ვუკაცობის, პარტიული პრინციპულობისა და ინტერნაციონალიზმის ამაღლებულ გრძობებს. ამ წიგნებში მონაყოება სულიერი საზრდო ყოველი საბჭოთა აღმინისათვის. ავტორს არ რჩება მხედველობიდან ჩვენი მდიდარი ცხოვრების. ეკონომიკისა და კულტურის არც ერთი მხარე. აქ მხვენლმთხვეულთა, მექანიზატორთა, აგრონომთა, პარტიულ მუშაკთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად ვხედვით მეცნიერებს. ლიტერატორებს, მსახიობებს, მფრინავებს...

უამირის ათვისება არა ერთდროული, სეზონური კამპანია იყო, არამედ უკაცრიელი ტრახალების დასახლება, ქალაქებისა და სოფლების, საბჭოთა მურნეობებისა და კომუნების, კოლმურნეობების, დაბებისა და გამწვანებული ზოხების წარმოქმნა.

და ეს ყოველივე ხორციელდებოდა მართლაც რომ რევოლუციური მასშტაბებით. ასეთი დიდი სახელმწიფოებრივი საქმის წამოწყება და განხორციელება წარმოადგენელი იყო სათანადო დავებების. დიდი მეცნიერული შრომის გარეშე. მთელი ეს გამირული ეპოპეა „ვოლუნტარისტულს კი არა, მეცნიერულ მიდგომას მოითხოვდა“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი წერს. რომ მას წინათაც შეუღარება უამირის ეპოპეა ფრონტისათვის, გრანდიოზული ბრძოლისათვის, რომელიც მოიგეს პარტიამ და ხალხმა. „და თუ საჭიროა ღამრაკი იმაზე, უპირველესმა ვინ მიაშურა უკილეგანო სტეპებს, ეხენი იყვნენ მეცნიერები. პიდროტექნიკოსები, ბოტანიკოსები, მიწათმომწყოობები, აგრონომები. უწინარეს ყოვლისა იხიინა მინდო მოიხსენიო კეთილი სიტყვით“.

წიგნში დავწრილობით და საფუძელიანდაა ნაჩვენები მეცნიერთა თავდადებული შრომა,

რაზედაც იყო დამოკიდებული ბოელი :მ დიდი საქმის გაშარჩებება.

„ყამირში“ ნათლადა ნაჩვენები, რომ ყოველი სამეურნეო ამოცანა, რაგინდ დიდი არ უნდა იყოს ის, უნდა წუდებოდეს ეროვნული კულტურის განვითარებასთან ბუნებრივ კავშირში. ამიტომაც წიგნში დიდი აღვილი ეთმობა ენისა და ლიტერატურის ხაყითებეს.

განუწოშელია მწერალთა მოვალეობა მშობლიური ქვეყნის წინაშე. მისაწვდომი რომ გახდეს საბჭოთა ხალხის გმირული საქმეები თანამედროვეობისა და ზომავლისათვის, საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებებში მართალი ახახუა უნდა პოვოს თანამედროვეთა თავდადებულთა შრომამ და ბრძოლამ. ამისათვის კი საქიროა ცხოვრების ღრმა ცოდნა, ცოცხალი კავშირი აღამიანებთან, რასაც ვერაფერი ვერ შეცვლის.

მოვლენების ღრმა რეალისტური ხედვა, ცხოვრების შუაგულში ყოფნა — ეს მარტო ლიტერატორის, მწერლის პროფესიული მოვალეობა არ არის; იგი გამომდინარეობს საბჭოთა აღამიანის ზოგადი ხასიათიდან, მისი ცხოვრების აქტიური ხაწყისიდან. იგივე ზოგადი ხასიათი განსაზღვრავს პარტიული მოღვაწის ბუნებას. „ვერავითარი ქალღღები, ვერავითარი ტელეფონის ზარი ვერ შეცვლის აღამიანებთან შეხვედრას და ცხოვრების ცოდნას“. აღამიანებთან ცოცხალი კონტაქტის სანამუშო მავალითია „ყამირი“, სადაც მაღალმხატვრულ დონეზეა ნაჩვენები პარტიული მუშაკის ხახე, პარტიის დიდი იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა როგორც სამეურნეო პრობლემების გადაწყვიტის, ასევე

საბჭოთა აღამიანების ინტერნაციონალური ხელისკვეთებით აღზრდის საქმეში. ყაზახეთის მიწა, სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენელთა ერთიანი ძალა, ერთიანი შრომა და ბრძოლა წარმართა ერთი მიზნისაკენ, გახდა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ქეშმარტი სკოლა. „აღამიანი მიწაზე პურს ზრდიდა, — მიწაკი აღამიანებს ზრდიდა“. ყამირმა მშრომელების, პატრიოტებისა და თავისი საქმის ოსტატების „უხვი მოსავალი მოგვცა“. მაგრამ ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული აღამიანები, რომლებსაც თავიანთი თვისებები, ხასიათები, განოცდილება ჰქონდათ, თავისთავად როდი უაღიბდებოდნენ კოლექტივებად. ეს იყო პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგი. „ყამირზე პარტიის მთელი საქმიანობა უზარმაზარი ნოვატორული და თავისი შედეგებით დიდმნიშვნელოვანი ებოპეის მავალითა იყო“.

ლეონიდ ილიას ძე ბრენენვის წიგნებს „მციარი მიწას“, „ალორძინებასა“ და „ყამირს“ მოგონებებს უწოდებენ. მაგრამ ძნელია ეს წიგნება გადაჭრით მემუარულ ლიტერატურას მივაკუთვნოთ, რადგან ისინი არა მხოლოდ წარსულს ახახუენ, არამედ ითვლისწინებენ აწმყოს და მონავალსაც. საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება, მისი განვითარება ასახულია ეპოქალური მოვლენების შუაგულში მღვრიანი აქტიური მონაწილის, პარტიის მიერ აღზრდილი ხელმძღვანელის და ორგანიზატორის თვალთ. ამიტომაც დამახახურებს ამ წიგნებმა მკითხველთა ფაროო მასების დიდი პატივისცემა და სიყვარული.

ნ. ბ. ჩერნიშევსკის დაბადების 150 წლისთავი

შალვა სააკაძე

ნ. ბ. ჩერნიშევსკი და ქართველი მოღვაწეები

მე-19 საუკუნის 60-იანი წლები რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა. ამ მოძრაობის ცენტრი იყო პეტერბურგი. ნ. ბ. ჩერნიშევსკისავე იყო მიპყრობილი მთელი მოწინავე რუსეთის ყურადღება. რევოლუციური იდეები რუსეთის განაპირა მხარეებამდეც აღწევდა. ამ პერიოდის საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად. ბატონყმური წყობილება სულ უფრო აშკარა პროტესტს იწვევდა გლეხთა მასებში, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის მოღვაწეობაში. იგი თავის განწყობილებათა გამოძახილს ხედავდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებში, საზოგადოებრივი აზრის იმ მოძრაობაში, რომელიც პეტერბურგში ჩაისახა. ამ იდეების მიმზიდველმა ძალამ სხვებთან ერთად ქართველი ახალგაზრდობაც მიიზიდა.

1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა ქართველ სამოციანელთა მომავალი მედროშე ი. ჭავჭავაძე. მალე მის გზას გაჰყვნენ ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვები. ქართველი სტუდენტები თუმცა დიდი ყურადღებით ისმენდნენ ცნობილი პროფესორების ლექციებს, მაგრამ მათ განსაკუთრებით იზიდავდა ის მოწინავე აზრი, რომელიც ჩერნიშევსკის სახელთან და აურნალ „სოვრემენიკთან“ იყო დაკავშირებული. „ქართველ სტუდენტთა წრეს, სადაც გაერთიანებული იყვნენ ის პირები, რომლებმაც ცოტა მოგვიანებით ძალზე დიდი როლი შეასრულეს კავკასიაში პერიოდული პრესის შექმნის საქმეში და საერთოდ დიდი გამოცოცხლება შემოიტანეს კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძლიერი მისწრაფება ჰქონდა „სოვრემენიკის“ რედაქციისადმი. ზოგ ჩვენგანს გულლიაობა და გულთბილობა, ჩერნიშევსკის ოჯახში რომ იგრძნობოდა, ერთობ გვიზიდავდა ამ სახლში სახელდახელოდ მოწყობილ საღამოებზე... იქ ხშირად ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს ნ. ა. დობროლუბოვს, პიოტროვსკის, პანტელევს“¹. ჩერნიშევსკის ბინის ხშირი სტუმრები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, დ. ლოლობერიძე.

ნ. ბ. ჩერნიშევსკის ბინა ამ დროს რევოლუციური მოძრაობის კონსპირაციულ ცენტრს წარმოადგენდა. ამ ცენტრთან ქართველ სტუდენტთაგან ყველაზე უფრო ახლოს ბ. ლოლობერიძე იყო. „სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებულ საქმეებზე კავკასიელთაგან ბ. ლ. ლოლობერიძე... ხშირად თათბირობდა ჩერნიშევსკისთან“², — ვაღმოგვეცემს გ. თუმანიშვილი ისარლიშვილის მოგონებას³. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბ. ლოლობერიძე 1852 წ. მესამე განყოფილების სიაში ირიცხებოდა, როგორც სტუდენტთა უწესრიგობაში შემჩნეული და ჩერნიშევსკის ნაცნობი⁴.

იცნობდა თუ არა ნ. ბ. ჩერნიშევსკის პირადად ქართველი სამოციანელების მედროშე ი. ჭავჭავაძე? მოგონებები, რომელიც ქართველ სტუდენტთა ჩერნიშევსკისთან ურთიერთობას ეხება 1861—1862 წლებს მოიცავს. ამ დროს

ი. ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში უკვე აღარ სწავლობდა და, ბუნებრივია, აქ იგი მოხსენიებული არაა. ი. ჭავჭავაძის ჩერნიშევსკისთან ურთიერთობის საკითხზე სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩინა მკვლევარ პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული მასალები⁶, რომელთაც ერთგვარად აესებს ი. ჭავჭავაძის ურთიერთობა ნ. გ. ჩერნიშევსკის თანამებრძოლთან ნ. ე. შჩელგუნოვთან⁷. ვფიქრობთ. სწორედ ი. ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, როცა საუფუძელი ჩაეყარა ქართველთა სათვისტომოს საქმიანობას, უნდა დაწყებულიყო ქართველ სტუდენტთა ნაცნობობა ნ. გ. ჩერნიშევსკისთან. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ, როცა ნ. ნიკოლაძე, რომელიც სხვებთან შედარებით, ცოტა მოგვიანებით ჩაეიდა პეტერბურგს, პირველად მოხვდა ჩერნიშევსკის ბინაში. მას იქ დახვდა ქართველი სტუდენტობა, რომელიც საკმაოდ „შინაურულად“ გრძნობდა თავს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვამ, რაც სტუდენტთა არეულობის საპასუხო რეპრესიულ ზომას წარმოადგენდა მთავრობის მხრივ, ვერ აიძულა ქართველი სტუდენტები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. სტუდენტობა იმდენად იყო გატაცებული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ურთიერთობით, რომ იგი ნ. ა. სერნო-სოლოვიევიჩის წიგნის მალაზიასა და ბიბლიოთეკაში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებსა და საჯარო ლექციათა კურსებზე ახერხებდა შეხვედროდა ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებს.

ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ქართველი სტუდენტების დაახლოების ახალი ეტაპი 1862 წლის ზაფხული ჰავლოვსკის აგარაკზე. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა, რომლებიც მოკლებული იყვნენ არდადეგების დროს სამშობლოში წამოსვლის საშუალებას, გადაწყვიტეს ზაფხული იქ გაეტარებინათ, სადაც ჩერნიშევსკის ოჯახი იმყოფებოდა და თვით ნიკოლოზ გაბრიელის თე ხშირად ჩავიდოდა ხოლმე. ჩვენი სტუდენტები ხშირად ნახულობდნენ ჩერნიშევსკის ოჯახს. მეტადრე როცა თვითონ ჩერნიშევსკი ჩამოვიდოდა ხოლმე პეტერბურგიდან გაიმართებოდა მაშინვე საუბარი და გამოკითხვა უკანასკნელი ამბების, რეფორმებისა და პოლიტიკის შესახებ, — იგონებს ნ. ნიკოლაძე⁸. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჩერნიშევსკის წინადადებით ნ. ნიკოლაძე მალე გადასახლდა მის აგარაკზე და ცხოვრობდა მეზონინში ოლღა სოკრატის ასულ ჩერნიშევსკიას ძმასთან ერთად. იგი ყოველთვის ხედებოდა ნიკოლოზ გაბრიელის ძეს აგარაკზე ყოფნის დროს, ხოლო დანარჩენ დღეებში უზიარებდა ოლღა სოკრატის ასულს „ნაფიქრს ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირობოროტო საკითხების შესახებ“ და მისგან გებულობდა „მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზე“⁹.

ჩერნიშევსკის დაპატიმრების შემდეგ რუსეთში სასტიკი რეაქცია დაიწყო. იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოცვაში ქართველი ახალგაზრდობა გონებრივი განვითარებისათვის სასარგებლოს აღარაფერს მოელოდა. ამიტომ ბევრმა დატოვა პეტერბურგი. „პეტერბურგი შემჯავრდა. არავითარ რევოლუციას მასში მე აღარ ველოდი... ჩერნიშევსკი და მისი ოჯახი აღარ იყო. დრო იყო სახლში წასვლისა. მოთხოვნების წერა და კითხვა სახლშიაც შეიძლებოდა“, — ასე ამთავრებს ნ. ნიკოლაძე თავის „მოგონებებს სამოციან წლებზე“¹⁰.

საქართველოში გაცხარდა ბრძოლა იმ მოწინავე იდეებისათვის, რომელთა სათავეები რუს რევოლუციონერ დემოკრატთა, კერძოდ ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნააზრევში უნდა ვეძიოთ. ამ ბრძოლას ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. ქარ-

თველმა სამოციანელებმა მოღვაწეობის მთელ მანძილზე შეინარჩუნეს იდეურ-ერთგულება ნ. გ. ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური და ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებებისადმი, ხოლო ნ. ნიკოლაძემ ამასთან ერთად არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სახით ნ. გ. ჩერნიშევსკის ერთგული და გულშემატკივარი მეგობარი ჰყავდა.

ნ. გ. ჩერნიშევსკის გადასახლებების შემდეგ, როდესაც ფიქრიც კი არ შეიძლებოდა რუსეთში მის თხზულებათა კრებულის გამოცემამდე, ნიკოლაძემ, ელპიდინთან ერთად, საზღვარგარეთ, ენევენაში, დაიწყო ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამოცემა. ამ გამოცემის მიზანი ჩერნიშევსკის შეხედულებათა პროპაგანდა იყო. პირველი ტომის წინასიტყვაობაში, რომლის ავტორი ნ. ნიკოლაძეა, პირდაპირაა ნათქვამი, რომ ცხოვრების ის ზნაობები, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა ჩერნიშევსკი, განაგრძობენ არსებობას და ამიტომ ამ კრებულის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების პირობების შეცვლისთვის⁹. ამ გამოცემის მიზანი იმაშიც მდკომარეობდა, რომ მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ ჩერნიშევსკის ოჯახისათვის, რომელიც უკიდურეს ხელშოკლებას განიცდიდა.

ამ გამოცემასთან დაკავშირებით 1866 წლის მარტში ნ. ნიკოლაძემ იხიკონით მიმართა სტუდენტობისდროინდელ მეგობარს კირილე ლორთქიფანიძეს: „როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ვქნათ“-ის ავტორის თხზულებების, ამ სიის გარდა მიშოვნე გამოშვებული ალაგები — ეს ძალიან, ძალიან საშინლად საჭიროა და სასარგებლო. მე ვიცი, რომ ადვილია გოხრა „მიშოვნე“ და შოვნა კი ძნელია. მაგრამ... თუ ნაცნობი ვერ გაიცნო, აიღე თავი და წადი პირდაპირ. — უთხარი ასე და ასე, ერთი ჩ-კის თავყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებებით¹⁰ და იმედი მაქვს, რომ არ დამიკავენ თქვენი სიის და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გარდაწერას¹¹. ღმერთმანი, ამნაირი პირდაპირი თხოვნა ნიშნის მიახწევს. შინავე მაინც... უბრალო საქმე რომ იყოს, არ გთხოვდი, და რადგანაც გთხოვ — ძალიან საჭიროა. ამის გარდა არ დაგაინიწყდეს, რომ ეს საქმე მოუთმენელია, ესე იგი საჩქაროთ უნდა აასრულო. თუ მაინც და მაინც არ გინდა ამ თხოვნის ასრულება, ხამაშურიძეს მაინც გადაეცემა და თხოვე, რომ მალე გამოგზავნოს, რაც კი იშოვოს“¹⁰.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძემ, იცისრა რა ელპიდინთან ერთად ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის გამოცემა, ძალზე ფრთხილად მოქმედებდა. მან კ. ლორთქიფანიძესაც კი არ შეატყობინა, თუ რა მიზნით აგროვებდა ჩერნიშევსკის თხზულებებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ნიკოლაძეს არ უნდოდა ნაადრევად გაეხმაურებინა თავისი განზრახვა (წერილი შეიძლებოდა წაეკითხა მესამე განყოფილებას, რომელიც იცნობდა ნიკოლაძეს, როგორც ავტორის მთავრობის საწინააღმდეგო ბროშურისას. ის გამოიცა ენევენაში სათაურით „მთავრობა და ახალი თაობა“). გარდა ამისა, ნიკოლაძეს რატომღაც კ. ლორთქიფანიძის დიდი იმედი არ ჰქონდა.

კ. ლორთქიფანიძის არქივში ინახება საპასუხო წერილის პირველი პირი, საიდანაც ჩანს კ. ლორთქიფანიძის უარყოფითი დამოკიდებულება ჩერნიშევსკის თხზულებათა საზღვარგარეთული გამოცემისადმი: „ის კაცი, ვისთანაც უნდა მივსულიყავი, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — აქ არ არის. იმ კაცის მოხუცებულმა ამხანაგმა გადმომაცა ერთი კაცის შუამდგომლობით, რომ ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მაქაურები, იმის მაგიერ, რომ იშრომონ სწავლის შექ-

ნისათვის, რომ შემდეგ შეეძლოთ რამე საქმის გაკეთება, ეკიდებიან ეხლა იმისთანა საქმეებს, რომელიც იმათ არაფერს შესძენს და სხვასაც სარგებლობის მაგიერ ვნებას აძლევსო. იმათის მოქმედებიდან მე ვხედავო, რომ სრულად ვერ იცნობენო რუსეთს და არც ის იციანო, თუ რა არის საჭიროო. ყოველივე მათი მოქმედება უტაქტობას და შორს უჭერტელობას ამტკიცებსო¹¹. გადმოგვცემს რა ამ სიტყვებს, რომლებიც ეკუთვნოდა პიპინის რომელიღაც მეგობარს, კ. ლორთქიფანიძე თავის მხრივ უმატებს, რომ, როგორც მისთვის ნათელი შეიქნა, ვიღაც ელპიდინი აპირებს ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას და უკვე გამოსცა „რა ვაკეთოთ?“ ის ამას უჭკუობად თელის ორი მიწეუხის გამო: 1. რატომ უნდა წაართვას ჩერნიშევსკის ოჯახს ვიღაცამ ცხოვრების სახსარი; 2. ჩერნიშევსკის თხზულების საზღვარგარეთ გამოცემის შედეგად რუსეთში აკრძალვენ გამოცემას და ეჭვის ქვეშ დააყენებენ ჩერნიშევსკის თხზულებებს¹². ამ საბუთიდან შეიძლება შევძვევი დასკვნის გამოტანა: ჯერ ერთი, კ. ლორთქიფანიძეს ეგონა, რომ ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის გამოცემას მხოლოდ ელპიდინი აწარმოებდა: ნიკოლაძის მონაწილეობის შესახებ ამ საქმეში, მან არაფერი იცოდა. მეორეც, მან გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ვერ მოახერხა პიპინის პოვნა და მასალების მიღება გამოცემისათვის და, შესამეც (რაც განსაკუთრებით საწყენია), იგი პიპინისა და მისი თანამოაზრეების გველენის ქვეშ მოექცა ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის საზღვარგარეთული გამოცემის საკითხში.

ცნობილია, რომ იმდროინდელი რეაქციული ლიტერატორი სუვორინი უსევდონიძით „უცნობი“ „სანკტ-პეტერბურგსკი ვედომოსტიში“ 1867 წლის ივლისში წერდა: „უპირველეს ყოვლისა ისმება საკითხი: ვინ მისცა ბ. მიხეილ ელპიდინს ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემის უფლება. არც ავტორს, არც ხალხს, რომლებიც მისი შვილების ბედ-იღბალში მონაწილეობდნენ, რასაკვირველია, არ შეეძლო და არც მიუტიათ ამის უფლება მიხეილ ელპიდინისათვის. ჩერნიშევსკის შვილები პეტერბურგში იმყოფებიან და მამის თხზულებები შემოსავლის ერთადერთი წყაროა, რომელსაც შეეძლო მათთვის მიეცა განათლების საშუალება... საზღვარგარეთ ჩერნიშევსკის თხზულებათა ბეჭდვით მან, ჯერ ერთი, ჩაიდინა ლიტერატურული ქურდობა ანდა კონტრაფაქცია, მეორეც, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს აღნიშნული მწერლის თხზულებათა გამოცემას რუსეთში...“¹³. ამ საკითხში სრულიად ემთხვეოდა ერთმანეთს რეაქციონერი ლიტერატორის სუვორინისა და ლიბერალი პროფესორის პიპინის, ა. ნ. ჩერნიშევსკის ბიძაშვილის, აზრი. უფრო მეტიც, სუვორინის ფელეტონი დაწერილი იყო პიპინის თხოვნითა და თანხმობით, რაზედაც იგი პირდაპირ მიუთითებს ჩანაწერებში ნ. გ. ჩერნიშევსკის საქმეზე¹⁴. მოწინააღმდეგეთა პროტესტმა ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის საზღვარგარეთული გამოცემის გამო ვერ განაიარაღა ელპიდინი და ნიკოლაძე. სახელდობრ, ამაზე ლაპარაკობს 1867 წლის დეკემბერში ნ. ნიკოლაძის მიერ კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილი: „...რაც კი შეეხება შენს რჩევას ე-ზე, რომელზედაც მაქაურ უწყებებში ებეჭდა, ამ საქმეზე ლაპარაკი სრულიად უსარგებლო არის. მე ვიცი, რა ნაირათ ფიქრობენ მანდ ამ საქმეზე. ან რა ნაირათ ფიქრობენ იმავე საქმეზე აქ და ევროპაში. მაგრამ არათუ სუვორინის პროტესტი, თვითონ ჩ-ის... თხოვნა ვერ დააკავებს ე-ს, როგორც მე მგონია, და როგორც მე ვიცი. მანდაურების შიში, აქაურების უხეირობა და სხვ. და სხვ. სრულიად დაუფუძნებელი არიანო (როგორც

ენი ფიქრობს, ესე იგი, როგორც აქ ამბობენ, რომ ე-ნი ფიქრობს). ჩ-ს შეი-
ლება კი უსარგებლოთ არ დარჩებიან, — ამაზე რა ლაპარაკი უნდათ?«¹⁵.

თუ გამოცემა გაკიანურდა და არ იქნა დამთავრებული, ეს უმთავრესად
მონღა გამომცემლებს ფინანსური უსახსრობის გამო. ნიკოლაძე არა მარტივ
ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისა,
არამედ მისი აქტიური მონაწილეც. მან შეიტანა საქველმოქმედო ფონდში საკ-
მაოდ დიდი თანხა¹⁶. ამას გარდა, დაწერა პირველი ტომისათვის წინასიტყვაობა,
რამაც ხელი შეუწყო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ბელადის — ჩერნი-
შევსკის იდეების პროპაგანდასა და გავრცელებას. წინასიტყვაობის ავტორი რომ
ნიკოლაძეა, ამასი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ეს მტკიცდება ავტორიტეტულა
საბუთით — გერცენის წერილით¹⁷ ოგარიოვისადმი (1868 წლის 15 მაისს). იმის
შესახებ, რომ ნიკოლაძე ხელს უწყობდა ჩერნიშევსკის იდეებს გავრცელებას,
იცოდა მესამე განყოფილებამაც, რომელმაც ნიკოლაძეზე შემდეგი ცნობა მი-
იღო: «იგი ჩერნიშევსკის ყველაზე მაღლა აყენებს და ამბობს, რომ ჩერნიშევს-
კის იდეებით ვარ გამსჭვალული, რომ არასოდეს, არც ერთ ქვეყანას არ წარ-
მოუშვია ისეთი აღამიანი, ისეთი ტალანტი, როგორც არის ჩერნიშევსკიო»¹⁸.
ნიკოლაძე არც მალაგდა თავის შეხედულებებს. იგი თავისუფლად გამოთქვამ-
და თავის მოსაზრებებს საზღვარგარეთულ გამოცემებში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნ. ნიკოლაძე «დროებაში», «კრებულ-
ში», «უიფლისკი ვესტნიკში», «ობზორსა» და სხვა გამოცემებში მონაწილეო-
ბის პროცესში არაერთხელ მიმართავდა ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებათა
პროპაგანდას, თუმცა ოფიციალურად ჩერნიშევსკის სახელის ხსენება აკრძა-
ლული იყო. ნ. ნიკოლაძის ნეკვეადრებობაში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქარ-
თველ მოღვაწეთა ნაზრევში, შესამჩნევია ნ. გ. ჩერნიშევსკის კეთილმოფე-
ლი გავლენა. მას ხან ეპიგრაფის სახით მოჰქონდა ჩერნიშევსკის სიტყვები (რა
თქმა უნდა ავტორის დაუსახელებლად), ხან ქართული ლიტერატურის კონ-
კრეტული ანალიზის დროს იყენებდა ჩერნიშევსკის დებულებებსა და თეო-
რიულ პრინციპებს (მოვიგონოთ ი. ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობის» ანალიზი
«შეუფერავი რეალიზმის» შუქზე). საერთოდ კი ჩერნიშევსკის შემკვიდრების
გათვალისწინების გარეშე ნ. ნიკოლაძეს ვერ წარმოედგინა საკუთარი მოღვა-
წეობა. ეშხადებოდა რა «ობზორის» გამოსაცემად, 1877 წლის დეკემბერში,
იგი კ. ლორთქიფანიძეს სთხოვდა: «... ჩერნიშევსკის კოლექცია მათხოვე —
გეფიცები ყველაფერს, რაც კი მწამს, რომ არც დაგიკარგავ, არც წაგიხდენ.
რამდენადაც მე მჭირია „Журнальное обозрение-ს“ შედგენა, ხშირად დამ-
პირდება მისი სიტყვების ხსენება და გახსენება და უწიგნოთ არ შემოძლია»¹⁹.

80-იან წლებში ნ. ნიკოლაძეს ხანგრძლივად მოუხდა პეტერბურგში ცხოვ-
რება. ამ პერიოდს განეკუთვნება ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა ნ. გ. ჩერნიშევს-
კის გადასახლებიდან დაბრუნების საქმეში. ამავე დროს იგი ცნობილ ქართველ
მეცნიერთან ივანე თარხნიშვილთან ერთად დიდ ყურადღებას იჩენს ჩერნი-
შევსკის უფროსი ვაჟის ალექსანდრეს ჯანმრთელობისადმი.

ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეში
უშუალოდ დაკავშირებულია «ნაროდნაია ვოლის» და «სვიაშჩენაია დრუჟი-
ნას»²⁰ მოლაპარაკებასთან 1882 წელს.

მთავრობამ, რომელიც შეშინებული იყო ნაროდოვოლცების მიერ ჩადენი-
ლი სულ უფრო და უფრო მზარდი ტერორისტული აქტებით, დასაზმარებლად
მოიწვია «სვიაშჩენაია დრუჟინა». მთავრობა ისახავდა ორ მიზანს: შეეწყვიტა

ნაროდოვოლებს ტერორი და მოლაპარაკების პროცესში გაეგო მათი ადგილსამყოფელი და დაეპატიმრებინა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებას სრული შედეგი არ მოჰყვებოდა, მთავრობა ფიქრობდა მინიმუმისათვის მაინც მიეღწია — შეწყვეტილიყო ტერორი მეფის მამაული კურთხევის დროს.

„სვიაშჩენაია დრუჟინამ“ მრავალმხრივ მოსინჯა ნიადაგი და დარწმუნდა, რომ ის პირები, რომელთაც ნაროდოვოლები არ ენდობოდნენ, ვერაფერს გააკეთებდნენ. ამიტომ მათ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ თავისი მიზნებისათვის ნაროდოვოლების ახლოს მყოფი პირი და შეჩერდნენ ნ. ნიკოლაძის კანდიდატურაზე. უფრო ზუსტად, ეს წინადადება გამომდინარეობდა „სვიაშჩენაია დრუჟინას“ აგენტის კ. ა. ბოროზდინისაგან, რომელიც ადრე საქართველოში იყო ნამყოფი, იცნობდა ნ. ნიკოლაძეს და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მამამისთან.

მთავრობას იმედი ჰქონდა ბოროზდინისა და სხვა აგენტების საშუალებათ გაეგო, ვის შეხედებოდა მოლაპარაკების პროცესში ნ. ნიკოლაძე, დაეპატიმრებინა ისინი და ამის შემდეგ შეეწყვიტა მოლაპარაკება, მაგრამ ამ განზრახვის შესრულებას მთავრობამ ვერ შიდალწია. ბოროზდინი რამდენჯერმე შეხვდა ნ. ნიკოლაძეს და მიიღო თანხმობა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე. აძლედა რა თანხმობას, ნ. ნიკოლაძე სულ სხვა მიზნებს ისახავდა — მოეხერხებინა ჩერნიშევსკის განთავისუფლება გადასახლებიდან. ბოროზდინთან შეხვედრების დროს მან სწორედ ეს მოთხოვნილება წამოაყენა: მიუხედავად მოლაპარაკების შედეგებისა, ჩერნიშევსკი განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო. ეს წინადადება მთავრობამ მიიღო, როგორც ერთადერთი ჯილდო ნიკოლაძის შრომისათვის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით²¹. მიუხედავად ამისა, ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ისეთ პირობას, რომელიც წამოყენებულა კერძო პირის მიერ, და მთავრობის დაპირებას კერძო პირისადმი შეიძლებოდა არავითარი ფასი არ ჰქონოდა. ამიტომ ნ. კ. მიხაილოვსკისთან და სხვა ნაროდნიელებთან შეხვედრების დროს იგი ცდილობდა მთავრობისადმი „ნაროდნაია ვოლის“ მოთხოვნილებებში შეეტანათ პუნქტი ჩერნიშევსკის განთავისუფლების შესახებ. „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავრობის მიერ უფრო ზუსტად იქნებოდა შესრულებული პარტიისადმი მიცემული დაპირება, ვიდრე ჩემ მიერ გამოთხოვილი ჯილდო“. — წერს ნ. ნიკოლაძე²².

ცნობილია, რომ მოლაპარაკებას მთავრობასა და ნაროდოვოლებს შორის სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ ნ. ნიკოლაძე მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს დაყინებით მოითხოვდა იმ პირობის შესრულებას, რომელიც მან მიიღო მოლაპარაკების დასაწყისში და რომელიც შემდგომ ნაროდოვოლების მოთხოვნილებათა შორის იყო. ამას მოწმობს არა მარტო ნიკოლაძის მოგონება, რომლის სიმართლესაც არ შეიძლება დაეკვივება, არამედ ა. ნ. პიპინისა და ნ. ნიკოლაძის მიმოწერაც, რომელიც 1883 წელს განეკუთვნება²³. ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ ნიკოლაძე გულმოდგინედ ავრთვებდა ჩერნიშევსკის დაპატიმრებისა და გადასახლების საქმესთან დაკავშირებულ მასალებს... „მე მას (შუვალოვს. — შ. ს.) მიუვტანე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ამ მწერლის პიროვნებისა და პროცესის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც მომაწოდა ა. ნ. პიპინმა, და მოხსენებითი ბარათის პროექტი. ეს უკანასკნელი დაწერილი იყო ა. ნ. პიპინის მიერ ძლიერად და მოკლედ, მაგრამ პოლემიკური კილოთი სენატის განაჩენის წინააღმდეგ. მასში მოცემული იყო

მტკიცება, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ ჩერნიშევსკი უდანაშაულოდ დაი-საჯა. შუელოვმა რამდენიმე დღის შემდეგ იგი უკანვე მომიტანა და განმიცხა-და, მისი წარდგენა უთუოდ დალუპავს საქმესო. მან ამის ნაცვლად შემომთავაზა უძვირფასეს ქალაქში კალიგრაფიულად გადაწერილი თხოვნა ნ. გ. ჩერნი-შევსკის ვაჟის სახელით²⁴.

ცნობილია, რომ 1883 წელს ჩერნიშევსკი ციმბირიდან ასტრახანში გადა-მოიყვანეს. ძნელია იმის თქმა, ჰქონდა თუ არა ამ საქმეში გადაწყვეტი მნი-შვნელობა ნ. ნიკოლაძის ღვაწლს, ნაროდოვოლცების პირობებში ჩართულ მოთხოვნას, თუ სხვა პირთა დაუინებოთ ცდებს. ერთი კი ცხადია: ამ დროისა-თვის მთავრობა აღარ თვლიდა საშიშრად ჩერნიშევსკის გამოყვანას ციმბირი-დან ცენტრალურ რუსეთში, რადგან იცოდა, რომ იგი ოცი წლის გადასახლე-ბის შემდეგ მოტეხილი იყო. ასე იყო თუ ისე, ჩერნიშევსკის განთავისუფლე-ბის საქმეში საკმარისი წვლილი შეიტანა მისმა ქართველმა მეგობარმა ნ. ნიკო-ლაძემ.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობამ და „სვიაშჩენაია დრუ-ჟინამ“ ვერ შესძლეს გამოეყენებინათ ნიკოლაძე საკუთარი მიზნებისათვის. ქართველმა პუბლიცისტმა დროზე გამოიყენა მთავრობის, „სვიაშჩენაია დრუ-ჟინისა“ და მისი აგენტის ბოროზდინის ზრახვები. ამის გამო მათ ვერ აღმოაჩი-ნეს ნაროდოვოლცების იმ ხელმძღვანელთა ადგილსამყოფელი, რომლებიც არა-ლეგალურად ცხოვრობდნენ რუსეთში. მოლაპარაკების დროს ნიკოლაძე უპირ-ველეს ყოვლისა შეჩვედა ნ. კ. მიხაილოვსკის, რომელიც ლეგალურად ცხოვრობ-და და მასთან შეჩვედრა არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა. მით უმეტეს, რომ ისინი ერთად მუშაობდნენ „ოტჩეტსტვენიე ზაპისკის“ რედაქციაში და ამის გა-რეშეც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საკითხების მიხაილოვსკისთან განხილვის შემდეგ ნ. ნიკოლაძემ მას მიანდო ნაროდოვოლცების იმ ხელმძღვანელებთან შეხვედრა, რომლებიც არალეგა-ლურად ცხოვრობდნენ რუსეთში. ასე, მაგალითად, მიხაილოვსკი მარტო გა-ემგზავრა ვერა ფიგნერთან და შეათანხმა მოლაპარაკების პირობები. მართა-ლია, სულ მალე ამ შეხვედრის შემდეგ დააპატიმრეს ვერა ფიგნერი და ერთხანს ფიქრობდნენ, რომ ეს მოლაპარაკებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ აღნიშნული ეჭვი უსაფუძვლო იყო²⁵.

შემდეგი მოლაპარაკებისათვის ნ. ნიკოლაძე გაემგზავრა საზღვარგარეთ. აქ იგი ხვდებოდა ემიგრაციაში მყოფ ნაროდოვოლცების ხელმძღვანელებს. ამ გამგზავრების დროს მას სპეციალურად ჰყავდა მიჩენილი ბოროზდინი, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ აქაც შესძლო აგენტისათვის კვალი აებნია. ამრიგად, ხელისუფ-ლების ძირითადი მიზანი — ნაროდოვოლცების ხელმძღვანელთა დაპატიმრე-ბა — შეუსრულებელი დარჩა.

გარდა ამისა, ნ. ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა, რომ თუ იგი საკუთარ თავს ხელისუფლებისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა, შესა-ძლებელი იყო, ჯერ ერთი, არ ჰქონოდა მოქმედების თავისუფლება და, მეორეც, სახელი ვაუტყდებოდა რევოლუციონერებისა და პროგრესულ მოღვაწეთა თვალში, ამიტომ მან თავიდანვე უარი თქვა რაიმე მატერიალურ ჯილდოზე და მის ნაცვლად წამოაყენა მხოლოდ ერთი პირობა — ჩერნიშევსკის განთავი-სუფლება. დამანასიათებელია ისიც, რომ ნ. ნიკოლაძემ უარი თქვა აგრეთვე იმაზე, რომ მთავრობას აენაზღაურებინა საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯები. უფრო მეტიც, როდესაც მთავრობამ იძულებული გახდა იგი, რომ თან წაეყვა-

ნა ბოროზდინი, აქაც სათანადო სიფრთხილე გამოიჩინა და თვითონ იკისრა აგენტის წაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები.

აი, კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ადასტურებს ნ. ნიკოლაძის უანგარობას. როცა ბოროზდინმა, „სვიაშჩენაია დრუჟინას“ გაკორტრებულმა აგენტმა, ხმების გავრცელება დაიწყო, რომ თითქოს ნ. ნიკოლაძე მთავრობის მიერ მოსყიდული იყო და იატაკქვეშა საქმიანობის განხილვისათვის დიდი ღირებულება უნდა მიეღო, და ამ ხმებმა ნ. ნიკოლაძემდე მიიღწია. ის ჩვეული პირდაპირობით თავს დაესხა ბოროზდინს. „სვიაშჩენაია დრუჟინისადმი“ წარდგენილ მოხსენებებში ბართში ბოროზდინი იტყობინებოდა ნ. ნიკოლაძისაგან მიღებული წერილის შესახებ და ჩიოდა: „... ნ. ნიკოლაძე საშინლად მლანძღავს წერილში და მავალებს — ვუთხრა ვისაც ჯერ არს, რომ მთავრობის ძირგავარდნილ სკივრებში არ მოიძებნება ის მილიონები, რითაც შეიძლებოდა მისი მოსყიდვა“²⁶.

ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობის დროს ნ. ნიკოლაძე ანგარებით არ მოქმედებდა და არც რაიმე სარგებლობას ეძებდა. ნათელია ისიც, რომ მას არ შეეძლო მოეწონებინა მთავრობის განზრახვა რევოლუციური იატაკქვეშეთის მოსაპობის შესახებ. მაშინ რატომ დაეთანხმა იგი ამოსულყო უშამავლის როლში? მთავარი რაც მას ასულდგმულენდა — ჩერნიშევსკის განთავისუფლების პერსპექტივა იყო. „არ მჯეროდა მოლაპარაკების სერიოზული წარმატებისა. მე ვიკისრე ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მიმეღწია ჩერნიშევსკის განთავისუფლებისათვის“, — წერს ნ. ნიკოლაძე²⁷.

ნ. ნიკოლაძე ყოველთვის წინააღმდეგი იყო ინდივიდუალური ტერორის გზით ბრძოლისა და ფიქრობდა, რომ მას კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა. ჯერ კიდევ 1866 წელს ენევაში გამოცემულ ბროშურაში „მთავრობა და ახალგაზრდა თაობა“ იგი ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც თვლიდა, რომ ტერორის გზით შეიძლებოდა რუსეთში არსებული წყობილების შეცვლა. ამავე აზრებს ავითარებდა ურნალ „სოვრემენოსტის“ ფურცლებზე 1868 წელს.

1875 წელს ო. გურამიშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი კვლავ გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ ერთეულების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ, რისკენაც მოგვიწოდებდნენ ლაეროვი და სხვა ნაროდნიკები, განწირულია დასამარცხებლად. ნ. ნიკოლაძეს საჭიროდ მიაჩნდა ძალების მოკრება გადამწყვეტი მოქმედებისათვის შესაფერის დროს. „ჩემი აზრით, — ამბობდა იგი, — ქვეყნის განთავისუფლების ამოცანა მდგომარეობს ინტელიგენციის მიერ საკმაოდ ძალ-ღონის მოკრებაში იმ აუცილებელი დროისათვის, როდესაც მთავრობა ევროპის დარტყმების შედეგად კვლავ აღმოჩნდება ისეთივე უმწურო მდგომარეობაში, როგორშიაც ჩავარდა სევასტოპოლის შემდეგ“²⁸.

ამრიგად, ლებულობდა რა მონაწილეობას მოლაპარაკებაში, ნ. ნიკოლაძე თვლიდა, რომ ტერორის შეწყვეტა არათუ შეასუსტებდა რუსეთის პროგრესულ ძალებს, არამედ გაამაგრებდა მათ. ამ თვალსაზრისით მონაწილეობა მოლაპარაკების პროცესში არ შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს. მეორე მხრივ, მოლაპარაკების მომენტში ნაროდნიკების ძალები უკვე იმდენად იყვნენ დასუსტებული და დაქუცმაცებული, რომ თვითონ ნაროდნიკები სიხარულით მოექცინდნენ მოლაპარაკების იდეას, დაინახეს რა მასში ხსნის ოდნავი საშუალება, და ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ახლოს იცნობდა მიხაილოვსკის ჯერ კიდევ მოლაპარაკებამდე, ადვილად შეეძლო სცოდნოდა მათი მდგომარეობა და ევა-

რადღა მოლაპარაკებიდან გამომდინარე მათთვის სასურველი შედეგები²⁸. ასე რომ, ნ. ნიკოლაძის მონაწილეობამ ნაროდოვოლცებთან „სვიაშჩენაია დრუჟინას“ მოლაპარაკებაში ობიექტურად ბევრად შეუწყო ხელი ჩერნიშევსკის განთავისუფლებას. მოლაპარაკების წარმატების შემთხვევაში იგი დაეხმარებოდა რევოლუციურ ძალებს, ძალ-ღონე შემოეკრიბათ გადამწყვეტი შეტაკებისათვის. ამ მოლაპარაკებას მთავრობისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია — ნ. ნიკოლაძის სიფრთხილისა და სიფხინლის წყალობით მჯავრობამ ვერ შეძლო არალეგალური ძალების ადგილსამყოფელი გაეგო და, მაშასადამე, ვერც მიიღო რაიმე ზომები მათ წინააღმდეგ.

გაიგო თუ არა ჩერნიშევსკიმ ასტრახანში: გადმოყვანის შემდეგ, როდესაც ნება დართეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ყოფნისა, თავისი ქართველი მეგობრის კეთილშობილური საქციელის შესახებ? ჩვენამდე მოღწეულ მასალებში პირდაპირ ცნობებს ამის შესახებ ვერ ვხვდებით, მაგრამ ჩერნიშევსკისა და ნ. ნიკოლაძის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულება საკმარის საფუძველს გვაძლევს, რომ ამ კთხვანზე დადებითი პასუხი ვაეცეთ. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ასეთი ფაქტი: ჩერნიშევსკი ნ. ნიკოლაძეს იცნობდა დაპატიმრებამდე, ე. ი. 1862 წლამდე, როდესაც ქართველი ჰაბუკი 18—19 წლისა იყო. 1884 წელს, ე. ი. მას შემდეგ, რაც 22 წელი გავიდა, ჩერნიშევსკიმ გადაწყვიტა თხოვნით მიემართა ნ. ნიკოლაძისათვის. ძნელია ვივარაუდოთ, რომ ამ დროის განმავლობაში ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ დამატებითი ცნობების გარეშე, სარწმუნო საბუთების გარეშე, რომ წარსულში ჰაბუკი, ახლა ცნობილი პუბლიცისტი კვლავ ინარჩუნებდა თავისი მასწავლებლისადმი სიმპათიას, ჩერნიშევსკიმ მოიგონა ნ. ნიკოლაძე და ამასთან ერთად გადაწყვიტა კიდევ მიემართა მისთვის თხოვნით. ასე იყო თუ ისე, 1884 წელს ჩერნიშევსკიმ გაიხსენა თავისი ქართველი მოწაფე და მეგობარი. 27 აგვისტოს ჩერნიშევსკი სწერდა ნ. ნიკოლაძეს: „ვიმედოვნებ, რომ ჭერ მთლად არ დამივიწყებდით, და ალბათ შენარჩუნებული გექნებათ კეთილი განწყობილება ჩემდამი. მე მოგმართავეთ თქვენ თხოვნით, დამეხმაროთ ერთ საქმეში, რომელიც იმდენადვე უდანაშაულოა გარეშე ხალხის თვალსაზრისით, რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის. სახელდობრ: გთხოვთ, თუ შესაძლებელია, მოაწყუთო ჩემი ვაჟი მიხეილი ბ. პალაშკოვსკისთან ანდა სხვა პირებთან, რომლებიც თქვენს რეკომენდაციას პატივს სცემენ... ეს იქნება დიდი დავალება ჩემთვის თქვენგან. გულწრფელი პატივისცემით... ნ. ჩერნიშევსკი“²⁹.

ნ. ნიკოლაძემ სიხარულით მიიღო თავისი მასწავლებლის ეს თხოვნა და გამოიჩინა მზრუნველობა ჩერნიშევსკის ვაჟის მოსაწყობად. ნ. ნიკოლაძე წერდა ჩერნიშევსკის: „შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მე უსაზღვრო ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ რამეთი მაინც ვიქნები თქვენთვის სასიამოვნო ან სასარგებლო, იმის სანაცვლოდ, რითაც მე ვარ დავალებული თქვენგან, ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარებით. ყოველგვარ თქვენს დავალებას და მომართვას ჩემ მიმართ მე ვთვლი და ყოველთვის ჩავთვლი ბედნიერ შემთხვევად თუნდაც ნაწილობრივ, იოტის ოდენად მაინც, შევიმსუბუქო ჩემი თქვენდამი მოვალეობის სიმძიმე... თქვენდამი უღრმესი პატივისცემით და ყველა მიწიერი სიკეთას სურვილებით, — სხვა თქვენ არაფერი გპირდებით, — დავშთები სულითა და გულით თქვენდამი ერთგული. ნ. ნიკოლაძე“³⁰. შეუძლებელია, აუღელვებლად წავიკითხოთ აღნიშნული სიტყვები, რომლებიც გულწრფელ აღიარებას წარ-

მოადგენს იმ უდიდესი როლისას, რომელიც ჩერნიშევსკიმ შეასრულა ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა აღზრდის საქმეში.

ჩერნიშევსკის თავის მხრივ გულწრფელად უყვარდა თავისი ქართველი მეგობარი და ნიჭიერი მოწაფე. სახელდობრ, ამით აიხსნება, რომ 1885 წლის 28 ოქტომბერს თავისი ვაჟისადმი მიწერილ წერილში ნიკოლოზ გაბრიელის ძე გამოთქვანდა მტკიცე რწმენას, რომ ნ. ნიკოლაძე ყოველთვის შეეცდებოდა, დახმარებოდა მას და ამიტომ ურჩევდა: „მივინდე იმ ხალხს, ვინც მოგიხერხა სამუშაო ამიერკავკასიის რკინიგზაზე. გადაეცი ჩემი სალამი მათ, ვინც მე მიყვარს და ვისი მადლიერიც ვარ“³².

ნ. ნიკოლაძის არქივში დაცულია მიხეილ ჩერნიშევსკის წერილი 1885 წლის 29 მაისის თარიღით. წერილი შეიცავს თხოვნას ნ. ნიკოლაძისადმი, დახმარებოდა ისეთ სამსახურში გადასვლაზე, სადაც უფრო დიდი ხელფასი ექნებოდა. ამ წერილზე ნ. ნიკოლაძის ხელით მიწერილია: „მე მას ვუშოვნე მაშინ ადგილი კომერციული (ტარიფული) საქმეთა მმართველისა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, რის შედეგადაც იგი მერე მექანიკურად გადავიდა ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტში (როცა რკინიგზა სახაზინო გახდა)“³³. ნ. ნიკოლაძის ასეთი მზრუნველობა მიხეილისადმი, რასაკვირველია, კარგად უნდა სცოდნოდა ნ. გ. ჩერნიშევსკის. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში ნიკოლოზ გაბრიელის ძეს, როდესაც წერდა ნ. ნიკოლაძის შესახებ — მისი მადლიერი ვარო.

ჩერნიშევსკის ხსოვნისადმი ერთგულება და პატივისცემა ნ. ნიკოლაძემ შეინარჩუნა მაშინაც, როდესაც ჩერნიშევსკი გარდაცვლილი იყო. 1906—1907 წლებში მიხეილმა განიზრახა გამოეცა ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, გამოეცემის ტირაჟი გათვალისწინებული იყო რუსეთში შექმნილი რევოლუციური სიტუაციის პირობებისათვის, მაგრამ დაიწყო რეაქცია და გამომცემელი სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებში ჩავარდა. აქ მიხეილმა კვლავ გაიხსენა ნ. ნიკოლაძე და მიმართა სპეციალურა წერილით, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: „მეტად მადლიერი ვიქნებოდი თქვენი კეთილი მითითებების გამო, რაც დამეხმარებოდა, რათა საჯარო ვაჭრობით გაყიდვას გადაემჩინა გამოცემა. საერთოდ გაფიქრებაც კი საშინელია არა მარტო მატერიალური, არამედ ზნეობრივი, პრინციპული, იდეური მხრივაც. წარმოიდგინეთ ჩერნიშევსკი და უეტყვად იყიდება რალაც გროშებად, თითქოს რაიმე ნაგავი იყოს“³⁴.

როგორც ჩანს, მიხეილი არ შემცდარა. ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც ჯერ კიდევ სამოციან წლებში ასეთი აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემაში, ამჭერადაც გამოიჩინა მზრუნველობა, დაეხმარა მიხეილს გამოეყვანა გამოცემა.

მოსკოვში, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის ფონდებში დაცულია მ. ჩერნიშევსკის მოგონება — „როგორ ვცემდი ჩერნიშევსკის“ და გამოცემასთან დაკავშირებული მიმოწერა, საიდანაც ირკვევა, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში ნ. ნიკოლაძის გეგმით შეიქმნა მოწინავე მოღვაწეთა ჯგუფი, შეკრებილი იქნა საპაიო თანხა, რომელმაც გადაარჩინა გამოცემა და ხელი შეუწყო ჩერნიშევსკის იდეების გავრცელებას იმ წლებში, როდესაც რეაქციამ ლაშქრობა მოაწყო ჩერნიშევსკის წინააღმდეგ.

იდეური და პირადი ურთიერთობა რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ისეთ გენიასთან, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო, კეთილმყოფელ

გაეღწას ახდენდა ქართველ მოღვაწეებზე, ეხმარებოდა მასებს, რომანოვების რუსეთის გვერდით ჩერნიშვესკის რუსეთი დაენახათ, ხელს უწყობდა ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღმავლობას.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

- ¹ Г. М. Тумапов, Характеристики и воспоминания, кн. I, изд. второе, Тифлис, 1913, გვ. 231—232.
- ² იქვე, გვ. 232.
- ³ А. И. Герцен. Полное собр. соч. и писем, под ред. М. К. Лемке, т. XV, 1920, გვ. 393.
- ⁴ პ. ინგოროცეა, ილია ჭავჭავაძე, ჟურნ. „მნათობი“, 1951, № 6.
- ⁵ „ლიტერატურული გაზეთი“, 13. VII. 1956, № 28.
- ⁶ ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ. ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 140.
- ⁷ იქვე, გვ. 137.
- ⁸ იქვე, გვ. 144.
- ⁹ Сочинения Н. Чернышевского, Первое полное издание, т. I, научная и литературная критика 1853—1855, изд. М. Эллидина и компания, типография М. Эллидина в Жегеве, 1868.
- ¹⁰ კ. ლორთქიფანიძის არქივი, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი 756.
- ¹¹ იქვე, ფონდი 607.
- ¹² იქვე.
- ¹³ «Санкт-Петербургские ведомости», 1867, № 208.
- ¹⁴ «Красный архив», № 22, 1927, გვ. 230.
- ¹⁵ კ. ლორთქიფანიძის არქივი, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი 755.
- ¹⁶ Сочинения Чернышевского... სიაში ნიკოლაძე მოიხსენიება ასობით რ. ნ., რაც ნიშნავს რიონელს. ცნობილია, რომ რიონელის ფსევდონიმით ნიკოლაძე „კოლოკოლში“ ბეჭდავდა წერილებს.
- ¹⁷ А. И. Герцен, Полное собрание сочинений и писем, под ред. М. К. Лемке, т. 20, 1923, გვ. 275.
- ¹⁸ Б. П. Козьмин, Революционное подполье в эпоху «белого террора», М., 1929, გვ. 74.
- ¹⁹ კ. ლორთქიფანიძის არქივი, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 765.
- ²⁰ საიდუმლო ორგანიზაცია, შექმნილია 1881 წელს რევოლუციური მოძრაობასთან საბრძოლველად.
- ²¹ Н. Николадзе, Переговоры «Священной дружины» с партией «Народной воли» в 1882 году, Петроград, 1917, გვ. 16.
- ²² იქვე.
- ²³ Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, Тбилиси, 1949.
- ²⁴ Н. Николадзе, Переговоры «Священной дружины» с партией «Народной воли» в 1882 г., Петроград, 1917, გვ. 37.
- ²⁵ Из воспоминаний Н. К. Михайловского, «Революционная Россия», 1904, № 54, გვ. 11.
- ²⁶ В. Я. Богучарский Из истории полигической борьбы в 70-х и 80-х годах XIX века, М., 1912, გვ. 365.
- ²⁷ Н. Николадзе, Переговоры «Священной дружины» с партией «Народной воли» в 1882 г., Петербург, 1917, გვ. 38.
- ²⁸ იქვე, გვ. 5.
- ²⁹ Из воспоминаний Н. К. Михайловского, «Революционная Россия», 1904, № 54, გვ. 11.
- ³⁰ Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, Тбилиси, 1949, გვ. 45.

³¹ «Заря Востока», 27-го июля 1940 года.

³² Н. Г. Чернышевский, Полн. собр. соч. в 15 т-х, т. 15, М., 1950, гз. 554.

³³ ბ. ნიკოლაძის არქივი, კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, ფონდი 40—1507.

³⁴ Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, Тбилиси, 1949, гз. 42.

შ. ა. სააკაძე

Н. Г. ЧЕРНЫШЕВСКИЙ И ГРУЗИНСКИЕ ДЕЯТЕЛИ

Резюме

Шестидесятые годы XIX века в России были отмечены подъемом революционного движения. Идейным и организационным центром этого движения был Петербург во главе с Н. Г. Чернышевским. Передовые идеи доходили и до Грузии, притягивая внимание молодежи.

В начале 60-х годов в Петербургском университете училась большая группа грузин-студентов, которая тяготела к «Современнику». Они были частыми гостями в доме Чернышевского, встречались с ним на даче в Павловске.

После ареста и ссылки Чернышевского, когда в России нельзя было думать об издании сочинений великого революционера-демократа, Н. Николадзе вместе с Эллидиным организовал за границей, в Женеве, издание первого полного собрания сочинений Чернышевского и снабдил первый том своим предисловием.

Несмотря на то, что властями Чернышевский официально был объявлен государственным преступником, в грузинской печати неоднократно пропагандировались взгляды Чернышевского (без ссылки на автора), особенно по вопросам эстетики.

В статье подробно рассказывается об участии Н. Николадзе в борьбе за возвращение Чернышевского из ссылки, о заботах Н. Николадзе и И. Тархнишвили о состоянии здоровья старшего сына Чернышевского — Александра.

После возвращения из ссылки связь между Чернышевским и Николадзе восстановилась. По просьбе Николая Гавриловича Н. Николадзе устраивает на работу в Управлении строительства Закавказской железной дороги младшего сына Чернышевского — Михаила и в дальнейшем способствует продвижению его по службе. Между ними установились дружеские отношения, которые продолжались и после смерти Н. Г. Чернышевского.

После поражения революции 1905 года, когда реакция выступила против наследия Н. Г. Чернышевского, Н. Николадзе активно помогал Михаилу Чернышевскому в издании и распространении собрания сочинений отца, объективно способствуя борьбе передовых сил России против реакции.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ურნალისტიკის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავი

ოთარ ლორთქიფანიძე

ლევ ტოლსტოი და საქართველო

ლევ ტოლსტოის, როგორც მწერლის, ჩამოყალიბება კავკასიასთან არის დაკავშირებული. ეს შემთხვევითი არ ყოფილა და გარკვეულ ტრადიციას შეესაბამებოდა.

„რუსებისათვის, — წერდა ბელინსკი, — კავკასია იქცა ალექსანდრე პოეზიის, მშფოთვარე ცხოვრებისა და თამამ ოცნებათა ქვეყნად! პუშკინის მუხამ თითქოს აკურთხა დიდი ხნიდან არსებული ნათესაობა რუსეთსა და ამ მხარეს შორის... და კავკასია — ეს პუშკინის პოეზიის აკვანი — შეიქმნა შემდეგ ლერმონტოვის პოეზიის აკვანიც“.

კავკასიაში ყოფნის დროს შექმნა ლევ ტოლსტოიმ თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოებები. ესენია: „ბავშვობა“, „ყვრობა“ (თითქმის მთლიანად დაამთავრა), მოთხრობები: „თავდასხმა“ და „მარკერის ჩანაწერები“; კავკასიური შთაბეჭდილებები დაედვა საფუძვლად ისეთ ცნობილ მოთხრობებს, როგორცაა „ტყის ჩეხვა“ და „კახაკები“. კავკასიაშივე დაიწყო მწერალმა მუშაობა „რუსი მემამულის რომანზე“, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო მის ისეთ საინტერესო და პრობლემატურ ნაწარმოებს, როგორცაა „მემამულის დილა“.

ლიტერატურული მიდრეკილება, ნახულისა და გაგონილის გადმოცემის სურვილი მომავალ მწერალს საქართველოში ჩამოსვლამდე გამოაჩნდა. თვითდაკვირვებამ, მოკლენათა ანალიზმა, შინაგანი ფსიქოლოგიური პროცესების ფიქსაციის. გარშემო მყოფთა მოკლე, მაგრამ საკმაოდ ზუსტი დახასიათების უნარმა განაპირობა ლევ ტოლსტოის ლტოლვა მწერლობისაკენ.

ჯერ კიდევ კავკასიაში ჩამოსვლამდე წერდა ტოლსტოი ქადაგებებს, ფიქრობდა ბოშათა ცხოვრების ასახვას, სიზმრის აღწერას, ერთი დღის ნადირობის შთაბეჭდილებათა გადმოცემას, ტატიანა ალექსანდრეს ასულ ერგოლსკაიას ცხოვრების მხატვრულ გადმოცემას, „ჩემი ცხოვრების ერთი დღის“ დაწერას და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ჩანაფიქრთან დაკავშირებით ტოლსტოიმ 1851 წლის 24 მარტს დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „დავწერო“ განვლილი „დღე ყველა იმ შთაბეჭდილებებითა და აზრებით, რომლებსაც ის გამოიწვევს“. აქ საყურადღებოა, რომ მომავალი მწერალი ხმარობს სიტყვას „დავწერო“ და არა „აღწერო“. ეს უკვე შემოქმედებითი, მხატვრული ლიტერატურული სპეციფიკაა და არა დღიურში ჩვეულებრივი ჩანაწერი.

მაგრამ რამეს „დაწერა“ მაშინ ტოლსტოის არ დასცალდა: იმავე წლის მაისში ძმასთან ერთად ის კავკასიაში გამოემშურა. კავკასიაში, საქართველოში ნანახმა და განცდილმა ცხოვრებამ, აქაურმა განსხვავებულმა რიტმმა და შეგრძნებათა სიმძაფრემ, ბუნებამ და ხალხმა, საომარმა შეტაკებებმა არაჩვეულებრივად გაუმახვილა ლევ ტოლსტოის დაკვირვების, სინამდვილის აღქმის უნარი და გაუმძაფრა მისთვის ადრევე ჩვეული ინტერესი ადამიანის სულიერი ცხოვრებისადმი. ყოველივე ეს დაემთხვა ერთმანეთს და მწერალიც კავკასიაში იშვა.

კავკასიის მოქმედ არმიამი ლევ ტოლსტოი ორნახევარ წელიწადს მსახურობდა, აქედან კი მხოლოდ 70 დღე ცხოვრობდა თბილისში, სადაც ის სამხედრო სამსახურში შესვლის ვასაფორმებლად იყო ჩამოსული.

ლევ ტოლსტოი და მისი ძმა — ოფიცერი ნიკოლოზი მაშინდელ ვლადიკავკასზე გავლით, საქართველოს სამხედრო გზით წამოვიდნენ თბილისს. გზად ლევ ტოლსტოიმ, რომელსაც ძლიერ მოეწონა საქართველოს მშვენიერი ბუნება, მოინახულა ძველი ქართული არქიტექტურის საინტერესო ძეგლი წმინდა სამება.

ძმები ტოლსტოები თბილისში 1851 წლის პირველ ნოემბერს ჩამოვიდნენ. (ლევ ტოლსტოი თბილისიდან გაემგზავრა 1852 წლის რვა თუ ცხრა იანვარს). ქალაქმა მომავალ მწერალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. 12 ნოემბერს იგი თავის მამიდას — ტატიანა ერგოლსკაიას წერდა: „ტფილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ჰმაძავეს პეტერბურგს და კიდევაც აღწევს მიზანს. მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემი მცირე სახსრები მაძლევს“.

იმ დროისათვის თბილისი წარმოადგენდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ცენტრს; იგი მთელი ამიერკავკასიის გაცხოველებული საეკონომიური თუ კულტურული ცხოვრების ცენტრი იყო.

თბილისში ლევ ტოლსტოი ცხოვრობდა ახლანდელი პლენანოვის გამზირის მახლობლად ე. წ. „გერმანელთა კოლონიაში“. ტ. ერგოლსკაიას ტოლსტოი წერდა თავის საცხოვრებელ ადგილის შესახებ, რომ „ეს მშვენიერი ადგილია, ბაღებითა და ვენახებით გარშემორტყმული... მაქვს წიგნები, სამეცადინო საქმეც და მოცლაც, რადგან არაფერ არ მოდის ჩემთან შესაწუხებლად...“.

მომავალი მწერალი დროს არ კარგავდა და ბევრსა და ნაყოფიერად მუშაობდა. ამის შესახებ ის წერდა: „გახსოვთ, კეთილი მამიდა, ოდესღაც თქვენ მიჩივთ მეწერა რომანები. მეც მივიღე თქვენი რჩევა და ჩემი მუშაობაც ლიტერატურულია. არ ვიცი გამოქვეყნდება თუ არა ოდესმე ის, რასაც ვწერ, მაგრამ ეს სამუშაო მე მართობს და ისე ვარ იმით გატაცებული, რომ თავს ვერ ვანებებ“.

რა თქმა უნდა, ლევ ტოლსტოი არ ყოფილა იზოლირებული საზოგადოებისაგან: ის დადიოდა თეატრში, ესწრებოდა მთავარმართებლის მიერ გამართულ საღამოებს, ეცნობოდა ცალკეულ პირებს. უფრო მეტიც, როგორც ბევრად მოგვიანებით დაწერილმა ცნობილმა ნაწარმოებმა „ჰაჭი-მურატმა“ დაგვანახა, ლევ ტოლსტოი იმ ცოტა ხნის განმავლობაშიც შესანიშნავად გარკვეულა ზოგიერთ საკითხში. სახელდობრ, მას კარგად აუღია ალღო მთავარმართებლის წრის საზოგადოებისათვის, საკმაოდ ზუსტად გაუგია ბევრი მაშინდელი „მოღვაწისა“ თუ მოხელის ქუშმარტი ბუნება, მიდრეკილებანი და ინტერესები. ვასათელისწინებელია ისიც, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იგი შეუძლებელია პირადად არ გაცნობოდა რიგ ქართველ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეს, მაგალითად გრიგოლ ორბელიანს, რომელიც მაშინ ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი იყო კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ნაწილში (მე-20 ბრიგადაში), სადაც ტოლსტოი მსახურობდა, იყვნენ ქართველი ოფიცრებიც: რევაზ ერისთავი, კონსტანტინე დადიანი, ალექსანდრე დადიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ.

როგორც რევან ერისთავის „დღიურებიდან“ ჩანს, ის მონაწილე იყო ბაკლანოვის რაზმის იმ ოპერაციისა, რომელიც შემდეგში ასე ზუსტად აღწერა ლევ ტოლსტოიმ⁵.

მომავალი მწერლისა და რევან ერისთავის ჩანაწერებში მათ შეხვედრებზე არაფერია ნათქვამი, თუმცა მოგვიანებით, როგორც ნინო ნაკაშიძის მოგონებებიდან ჩანს, ლევ ტოლსტოის აღუნიშნავს, რომ კავკასიაში ბევრი ქართველი მსახურობდა ჯარში და ზოგიერთ მათგანს ვიცნობდიო.

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტოლსტოი მაშინ არტილერიის უბრალო ფეიერვერკერი იყო და ამისთვის არ აღნიშნა რევან ერისთავმა თუ სხვამ მასთან შეხვედრები. ასეთივე იყვნენ ამ ლ. ტოლსტოისათვის ქართველი ოფიცრებიცო.

ჩემი აზრით, მთლად ასე არ უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ქართველი თავდაზნაურობის. ამ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა მიზნები, რაც კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა განსაზღვრეს. ნაშინდელ ომში სრულიად გაჩვეული იყო. ისინი დაქტიურად თავიანთი მისწრაფებებით არ განსხვავდებოდნენ რუს თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული ოფიცრებისაგან. მომავალი მწერალი, რომელმაც ღრმა დაკვირვების შედეგად წარმოაჩინა ამ ომის მსგეველობა და მის მონაწილეთა ხასიათები, ეძებდა სულ სხვა მიზნების, სხვა ფსიქოლოგიის ადამიანებს. ამით უნდა აიხსნას ის დაქტი, რომ ტოლსტოი კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, შემდგომში არტილერიის გენერალს კონსტანტინე მამაცაშვილს. ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი უგზავნიდა კონსტანტინე მამაცაშვილს წერილებსა და წიგნებს⁶. კ. მამაცაშვილი კი თავისი მრწამსით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებით საკმაოდ განსხვავდებოდა იმ ოფიცრებისაგან, რომელნიც ძირითადად ჩინებსა და ჯვარ-მედლების საშოვნელად მიდიოდნენ სამხედრო სამსახურში.

მომავალი მწერლისათვის უცხო იყო კავკასიის, საქართველოს ეგზოტიკური აღქმა, როგორც მხოლოდ „ბუმბერაზი მთების“, „მშვენიერი ჩანიჭერების“ ქვეყნისა, სადაც რომანტიკული თავისუფლებისმოყვარე ხალხი ცხოვრობდა. წინამორბედი მწერლებისაგან განსხვავებით ლევ ტოლსტოიმ კავკასია, კერძოდ საქართველო, უფრო რეალისტურად დაინახა. იგი ყურადღებით სწავლობდა ქვეყნის ისტორიას, ყოფას, ზნე-ჩვეულებებს. მომავალმა მწერალმა შეამჩნია, რომ ქართველი თავდაზნაურობა მოწყვეტილი იყო ხალხს, რომ მასში უკვე სხვა ინტერესები ქარბობდა — პირადი უზრუნველყოფა. კარიერისა და თავის გამოჩენის სურვილი და სხვა.

მაშინდელი კავკასიის სინამდვილის ცოდნა მწერალმა შემდგომში შესანიშნავად გამოავლინა „ჰაჯი-მურატიში“ (1896—1904 წწ.).

შამილის ცნობილი ნაიბი ჰაჯი-მურატი განუღდა იმამს, გადაეცა რუსებსა მხარეზე და 1851 წელს დეკემბერში ჩამოვიდა თბილისში. ცბიერმა და გაქნილმა მთავარმართებელმა ვორონცოვმა კარგად მიიღო ჰაჯი-მურატი. ან ამბავს ლევ ტოლსტოიც შეესწო, რის შესახებ მისწერა კიდევ თავის ემა სერგეის.

„ჰაჯი-მურატი“ დაწერილია ლევ ტოლსტოის კავკასიური შთაბეჭდილებებისა და შესაბამისი ისტორიული წყაროების საფუძველზე. მაგრამ მკვლევრები, როგორც წესი, უგულვებელყოფენ ბიოგრაფიულ მომენტს და ნაწარმოების შექმნის წყაროებს საარქივო მასალებში, სამხედრო-ისტორიულ დოკუმენტებში ეძიებენ.

რა თქმა უნდა, ხსენებული მასალა დიდ როლს თამაშობდა ნაწარმოების შექმნაში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ლევ ტოლსტოიმ შეისწავლა საკმაოდ ვრცელი სამხედრო-ისტორიული, ეთნოგრაფიული და მემუარული ლიტერატურა, საარქივო მასალა. მწერალი ხშირად მიმართავდა ი. ნაკაშიძეს, ს. ესაქეს და ს. შულცინს, რომ მისთვის მიეწოდებინათ კავკასიის სამხედრო-ისტორიული არქივის მასალები კავკასიის ომის შესახებ, ვორონოვისა და ჰაჯი-მურატის შესახებ. და ისინიც უხვად უგზავნიდნენ მწერალს მოთხოვნილ მასალებს, რომელსაც იგი ყურადღებით ეცნობოდა.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს კავკასიური, კერძოდ თბილისური, შთაბეჭდილებების უგულვებელყოფას. როგორც წესი, მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ ლევ ტოლსტოი თბილისში სულ ორთვენახევარი იმყოფებოდა, ავადმყოფობდა და რაიმე მნიშვნელოვან შთაბეჭდილებებს ვერ გამოიტანდა.

სრულიად საწინააღმდეგო და უკვე აღიარებული მოსაზრება წამოაყენა პროფესორმა გ. ტალიაშვილმა. ლევ ტოლსტოის დღიურების, მიმოწერის, ცალკეული ჩანაწერების ანალიზით მკვლევარმა დაამტკიცა, რომ ნაწარმოების იდეა უპირველესად მწერლის დაკვირვებებისა და უშუალო შთაბეჭდილებების შედეგია და არა მხოლოდ ლიტერატურული მასალებისა. თვით ნაწარმოების ტექსტისა და მაშინდელი ლიტერატურული თუ საარქივო მასალების შეპირისპირებითა და ანალიზით მკვლევარმა ისიც დაამტკიცა, რომ ლევ ტოლსტოი პირადად კარგად ერკვეოდა მაშინდელ სიტუაციაში, შესანიშნავად იცნობდა მთავარპარტებლისა და მისი ახლო წრის ცხოვრებას. მაშინდელი „მაღალი“ საზოგადოების წესებს, ჰაჯი-მურატის წრეს და ამიტომაც მოგვცა ყველასაგან განსხვავებული, დიდი მხატვრული სიმართლით გადმოცემული ტიპაჟი, ეპოქის ცოცხალი და ზუსტი სურათი. ზუსტი იმდენად, რომ დოკუმენტურ ხასიათსაც კი ინარჩუნებს?

ლევ ტოლსტოის კავშირი საქართველოსთან მწერლის მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაწყვეტილა, რაც განპირობებული იყო თვით მისი მრავალმხრივი ინტერესებით საქართველოს სინამდვილის მიმართ და ქართველი საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით ტოლსტოისადმი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ლევ ტოლსტოი საყოველთაოდ აღიარებული მწერალი გახდა რუსულსა და მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო 80-იან წლებში მწერლის შემოქმედება, მისი აზრები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საკითხებზე უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მაშინდელ ეპოქაში.

ტოლსტოის მილიონობით მკითხველთა ნაწილი გატაცებული იყო მწერლის მხატვრული შემოქმედებით, ნაწილი თვითმპყრობელური რეჟიმისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას აქცევდა უპირატეს ყურადღებას, ნაწილიც მის ზნეობრივ სიწმინდეს და ზოგნი — მისი მოძღვრების იმ მხარეს, რაც მალე „ტოლსტოევლობად“ მოინათლა. მრავალმილიონიანი მკითხველის თვალში ლ. ტოლსტოი უდიდესი მხატვრისა და დიდაქტიკოსის, ბრძენი მოძღვარის შარავანდელით შეიმოსა.

ბუნებრივია, რომ მწერალს უამრავი წერილები მოსდიოდა საკუთრივ რუსეთიდან, იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან.

ერთ-ერთი წერილი თბილისელ ქალიშვილებსაც გაუგზავნიათ 1886 წელს. წერილში თბილისელი ქალიშვილები სთხოვდნენ მწერალს რჩევა-დარიგებას, კერძოდ, მიეთითებინა საქმიანობის ის დარგი, სადაც მათი ცოდნის გამოყენება

შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლოდ. პასუხად ლევ ტოლსტოი სწერდა: „თქვენ თხოულობთ საქმეს. გარდა საერთო ჩვენი საქმისა ვიზრუნოთ იმ წრამის შესამცირებლად, რომელიც ისარგება სხვების მიერ ჩვენ საცხოვრებლად, შეგვეცოთ ჩვენი მოთხოვნილებანი და გავაკეთოთ ჩვენი ხელებით ის, რის გაკეთებაც შეიძლება ჩვენთვის და სხვისთვის — მცოდნე ხალხს აქვს კიდევ სხვა საქმე. გაუზიაროთ ეს ცოდნა სხვებს, დაუბრუნოთ ის უკანვე იმ ხალხს, რომელმაც ჩვენ აღგვზარდა“³. მწერალი მიუთითებდა კონკრეტულ საქმეზეც. კერძოდ, ლ. ტოლსტოი წერდა, რომ მოსკოვში არის სახალხო წიგნების განომცემლობა, რომლის პროდუქციას სჭირდება გადაკითხვა და შესწორება და, თუ „ეს მუშაობა თქვენ მოგწონთ, არჩიეთ ის დარგი, რომელშიც თქვენი ფიჭირი უკეთ შეგიძლიათ იმუშაოთ, და მომწერეთ მე. მე გამოგიგზავნით რამდენიმე წიგნს. ძალიან მინდოდა, რომ თქვენ დათანხმებულიყავით ჩემ წინადადებაზე. სამუშაო უთუოდ სასარგებლოა“. ლევ ტოლსტოის აღნიშნული წერილი მალე, 1887 წლის მარტში მთლიანად გამოქვეყნდა თბილისის გაზეთებში და ჟურნალებში („ნოვოე ობოზრენიე“, „თეატრი“, „მწყემსი“) სათაურიით „წერილი თბილისელ ქალიშვილებს“.

წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიც. ლევ ტოლსტოის მიერ წერილში დასახულმა ამოცანამ — ხელი შეეწყობოთ ხალხის განათლებისათვის — ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ცნობილია, ნ. კრუჰსკაიამ წერილი მიმართა ლევ ტოლსტოის, გაეგზავნა მისთვის რამე წიგნი სათანადო დამუშავებისათვის, რომ ამით თავისი წვლილი შეეტანა ხალხის განათლების საქმეში. ლევ ტოლსტომ გაუგზავნა კიდევ წიგნი, რომელიც მას სათანადო რედაქტირების შემდეგ დაუბრუნა ნ. კრუჰსკაიამ.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ლევ ტოლსტოის კავშირი, პირადი კონტაქტები უფრო განმტკიცდა მომდევნო პერიოდში, კერძოდ 90-იან წლების დასასრულიდან, როდესაც საქართველოში მცხოვრები დუხობორების სკიპონი გამწვავდა.

ცნობილია, რომ დუხობორები იყვნენ რუსი გლეხები, რომლებიც უარყოფდნენ ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიას და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რის გამოც ისინი შერისხა ეკლესიამ და მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მასობრივად გადმოსახლა ამიერკავკასიაში, ძირითადად საქართველოში, ახალქალაქის მაზრაში. დუხობორები ცულ მიწებზე დაასახლეს და მათ მეფის მთავრობა ყოველნაირად ავიწროებდა. 1895 წელს დუხობორებმა უარი განაცხადეს სახელმწიფო სამხედრო სამსახურზე, მოაგროვეს თუ რაიმე იარაღი ქონდათ და დემონსტრაციულად დაწვეს.

ნეფის მოხელეთა მიერ ეს აქტი შეფასებული იქნა, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკური გამოსვლა. დუხობორთა სოფლები დაარბიეს და გუბერნატორთან მიმავალი მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთ უმოწყალოდ სცემეს. დუხობორები დაქსაქსეს: ისინი ნაწილ-ნაწილ ჩაასახლეს გორის, დუშეთის, თიანეთისა და სიღნაღის მახლობლად. ახალ ადგილებში მათ ძლიერ გაუჭირდათ ცხოვრება. მეფის მოხელეები — ადგილობრივი ადმინისტრაციაც ყოველმხრივ სდევნიდა მათ, უმიზეზოდ აწიოკებდა, უქმნიდა დაბრკოლებებსა და სხვ.

მეფის ჩინოვნიკთა საპირისპიროდ ქართველმა გლეხობამ შეიკოდა და მიიღო რუსი დუხობორები. როგორც მკვლევარი პ. ბირიუკოვი წერდა, ქარ-

თველები აღშფოთებული იყვნენ აღმინისტრაციის მიერ ღუხობორებისადმი ცუდი მოპყრობის გამო და ცდილობდნენ ღუხობორთა მდგომარეობის შესწავლას, არ აძლევდნენ მათი დაჩაგვრის უფლებას⁹.

საქართველოში ღუხობორებს იცავდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ არა მარტო ქართველი გლეხები, არამედ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. მათ შორის უპირველესად — და-ძმა ელენე (1868—1943) და ილია (1866—1923) ნაკაშიძეები.

ელენე ნაკაშიძე ქართველი „ტოლსტოველი“ იყო. აღიარებდა რა ტოლსტოის მცდარ რელიგიურ-მორალურ პრინციპს ბოროტებისადმი წინაღუდლობის შესახებ, ე. ნაკაშიძე აქტიურად ცდილობდა ამ მოძღვრების გავრცელებას. იგი უკავშირდებოდა საქართველოში ჩამოსახლებულ ღუხობორებს. საკმაოდ დიდი თანხა შეაგროვა და გადასცა მათ. ე. ნაკაშიძე სისტემატურად აწვდიდა ლევ ტოლსტოის ინფორმაციას ღუხობორთა მოძრაობას, რომლითაც მწერალი 1895 წლიდან დაინტერესდა. ამ საქმიანობის გამო პოლიციის მიერ დევნილი ე. ნაკაშიძე იძულებული იყო ჯერ მოსკოვს წასულიყო, სადაც ის დიდი პატივით მიიღო თვით ტოლსტოიმ და სხვა „ტოლსტოველებმა“, შემდეგ კი გამგზავრებულყო ინგლისში, სადაც იქაურ „ტოლსტოველთა“ კოლონიებში ცხოვრობდა. 1905 წელს იგი დაბრუნდა რუსეთში და შემდეგ იმყოფებოდა თბილისში. სამშობლოში დაბრუნებისას ე. ნაკაშიძემ უარყო „ტოლსტოველობა“, მაგრამ ტოლსტოისადმი როგორც დიდი მწერლისადმი პატივისცემა და სიყვარული სიკვდილამდე შეინარჩუნა.

ლევ ტოლსტოისთან უფრო დაახლოებული იყო ელენეს ძმა — ილია ნაკაშიძე, ცნობილი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწე. თავისი დისა და სხვა „ტოლსტოველთაგან“ განსხვავებით, ილია ნაკაშიძე ღუხობორთა მოძრაობას უყურებდა როგორც მეფის მთავრობის მიერ შევიწროებული და ესამართლოდ დევნილი მშრომელი გლეხობის მოძრაობას და ამიტომაც ყოველნაირი უჭერდა მას მხარს. ილია ნაკაშიძე მრავალჯერ შეხვდა ლიდ რუს მწერალს, ჰქონდა მასთან მიმოწერა. ლევ ტოლსტოიმ ილია ნაკაშიძეს გამოატანა ცნობილი წერილი „კავკასიელ ღუხობორებს“.

ილია ნაკაშიძემ დაგვიტოვა საინტერესო მოგონებანი, რომელშიც წერს: „ყოველთვის გულწრფელი, ცხოველი სიყვარულით მოიგონებდა ხოლმე ლევ ნიკოლოზის მე კავკასიას და თავის საკუთარ ცხოვრებას მთებში... იგი გამოუტყდა მეგობრებს, რომ ზოგჯერ მას ძალიან იტაცებს იქით წასვლის სურვილი“¹⁰.

მიმოწერა ლევ ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძეს შორის გაცხდევლდა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, როდესაც დიდმა მწერალმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა გურული გლეხობის რევოლუციური გამოსვლების მიმართ.

როგორც ცნობილია, გურულმა გლეხებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მემამულეთა მიწის იჯარით აღებაზე, მეფის მოხელეთა მიმართა ნორჩაღებაზე და სხვ. გლეხობამ ბოიკოტი გამოუცხადა მეფის მთავრობას, ეკლესიას, თავისი ძალებით დაამყარა წესრიგი, აღკვეთა ქურდობა, ავაზაკობა და სხვ. ეტყობა ილია ნაკაშიძემ ამაში ტოლსტოის იდეალების განხორციელება დაინახა და ასევე აცნობა კიდევ მწერალს და თან ნ. მარის ცნობილი სტატიაც გადააღწაუნა, რომელშიც გურიის ამბები ცალმხრივად იყო ნაჩვენები. ინფორმაცია აგრეთვე პირადად მიაწოდა მწერალს ცნობილმა ხალხოსანმა მიხეილ ჯაბაღარმა. ამ უკა-

ნასკნელის ინფორმაციაც, როგორც მისი და ლევ ტოლსტოის საუბრის დ. მაკო-ვეციის მიერ გაკეთებული დეტალური ჩანაწერი მოწმობს, მეტრსმეტად არასრული და ცალმხრივი იყო. მასში მიჩქმალული იყო გლეხთა მოძრაობის რევოლუციური მხარე და ძირითადად წარმოდგენილი იყო ამ მოძრაობის ისეთი შედეგობრივი მოვლენები, რაც „ტოლსტოველობას“ ერთგვარად მიესადაგებოდა. ლევ ტოლსტოიმ გურულ გლეხთა მოძრაობაში თავისი იდეალების განხორციელება დაინახა. იგი განხარებული და აღელვებული წერდა ილია ნაკაშიძეს: „ის ცნობები, რომელიც ყოველანაშად გადმოგვცა, ჩემის ფიქრით, ძალიან დიდმნიშვნელოვანია. უეჭველად უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიდი ამბავი, რაც გურიაში ხდება... აი, არის ერთი ისეთი მოხუცებული კაცი, რომელიც ოცე წელიწადი სულ იმაზე ფიქრობს და წერს, — ხალხის ყველა უბედურება იმისგანაა, რომ ადამიანები თავის საკუთარ ცხოვრების მოწყობას და დახმარებას ელიან სხვისგან, მთავრობისაგან და, როცა ხედავენ, რომ მთავრობისაგან არაა არც დახმარება, არც წესიერება, მაშინ იწყებენ მთავრობის კიცხვას და ებრძვიან მას. მაგრამ არ არის საჭირო არც ერთი, არც მეორე — არც უნდა ელოდე მთავრობისაგან დახმარებას და წესიერებას და არც უნდა ებრძოდე მას. მხოლოდ საჭიროა ერთი რამ: სწორედ ის, რაც სურთ იმათ, გურულებს. სახელდობრ: თავისი ცხოვრების ისე მოწყობა, რომ მთავრობა საჭირო არ იყოს, უნდა ისე მოიქცეთ, როგორც ისინი იქცევიან: იცხოვროთ სინდისის თანხმად ქრისტიანულად, მოკლედ ღვთისნიერად.

თუ შესაძლებელია გადაეცით იმათ, რომ დიდი სიხარული განიცადა ამ მოხუცებულმა, როცა გაიგო, რომ ის, რაზედაც ფიქრობდა და წერდა იგი იმდენი წლების განმავლობაში და, რაც სწავლულთ და მათაც, ვინც თავისთავს ბრძენად სთვლიდა, არ ესმით, არ ესმოდათ, — სწორედ ეს თავისთვის, საკუთარი ჰკუთნა და სინდისით ათასმა კაცმა გადაწყვიტა, საქმედაც აქცია...

გადაეცით იმათ: ეს მოხუცებული ადამიანი ფიქრობს, რომ მთავარია იმათი ძალღონე მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ, როგორც თვითონვე ამბობენ. იცხოვრონ ქრისტიანულად, სინდისის თანხმად, და აასრულონ ერთი და იგივე კანონი როგორც ქრისტიანებისათვის, ისე მამაჰადიანებისათვისაც და მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის. ეს კანონი ისაა, რომ შეიყვარო ყოველი ადამიანი და სხვებს ისე მოექცე, როგორც გინდა, რომ სხვები მოგექცენენ“¹¹.

ამრიგად, ლევ ტოლსტოიმ ცალმხრივი, არასრული ინფორმაციის საფუძველზე გურიის გლეხობის გამოსვლაში მხოლოდ ბოროტებისადმი ძალით წინააღმდეგობის იდეალის განხორციელება, ზნეობრივი სიწმინდისა და სიფაქიზის ქრისტიანულ-საღვთისმშობლის მორალის გამოვლინება დაინახა, რაც სწორედ მის მრწამსს შეეფერებოდა. ამ მცდარი დებულების უნიადაგობა ცხოვრებაში, 1905 წლის რევოლუციის დროს თვით გურიის გლეხობის აქტიურმა შეიარაღებულმა ბრძოლამ გამოავლინა. საინტერესოა, რომ გურულმა გლეხობამ, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ლევ ტოლსტოის წერილს, იგი აღიქვა. როგორც ბრძოლაში დიდი რუსი მწერლის თანდაგობა და მხარდაჭერა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ლევ ტოლსტოი არა მარტო გურიის მეტროლოებს თანაუგრძობდა. იგი პატივს სცემდა ყველა ერს და ეროვნული თანასწორობის მტკიცე მხარდამჭერი იყო.

ლევ ტოლსტოის პიროვნებისადმი, მისი შემოქმედებისადმი ინტერესი საქართველოში თანდათან ძლიერდებოდა. ლევ ტოლსტოის ხვდებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები და მოსკოვში, პეტერბურგსა და რუსე-

თის სხვა ქალაქებში მყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა. საქართველოს პრესაში იბეჭდებოდა ლევ ტოლსტოის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები და წერილები მის შემოქმედებაზე, პიროვნებაზე.

საყურადღებოა, რომ ისევე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ლევ ტოლსტოის პიროვნების, მისი შემოქმედების ირგვლივ ურთიერისაწინააღმდეგო აზრები არსებობდა.

ერთი მხრივ, არსებობდა ლიტერატორთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც არ იდგა გამოკვეთილ კლასობრივ პოზიციებზე, მერყეობდა ეროვნულ და ლიბერალურ მოსაზრებებს შორის და ხშირად ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის არასწორ შეფასებას იძლეოდა. მაგალითად, ლევ ტოლსტოის შემოქმედებას არასწორ, უარყოფით შეფასებას აძლევდა „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი ლამბაშიძე. იგი 1897 წელს წერილში „სამწუხარო მოვლენა“ პირდაპირ წერდა, რომ ლევ ტოლსტოის ნაწარმოებების წაკითხვა მხოლოდ არაკეთილსაიმედო ხალხს შეუძლია, ისეთ ხალხს, რომელიც მარქსს, დარვინსა და ბოკლს კითხულობს. რა თქმა უნდა, შეცდომაა კ. მარქსისა და ლ. ტოლსტოის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობაში რაიმე საერთოს დანახვა, მაგრამ თვით ფაქტი — რეაქციულად განწყობილი ლიტერატორის მიერ რუსი მწერლის მარქსიზმის შემმულშეგებელთან დაკავშირებისა საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

სულ სხვანაირად, დიდი პატივისცემითა და მწერლის შემოქმედების ცოდნით მიმოიხილავდნენ ლევ ტოლსტოის შემკვიდრებას ქართული ლიტერატურის ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ძირითადად სწორი, საქმიანი და გააზრებული განხილვა ლ. ტოლსტოის მთელი რიგი ნაწარმოებებისა მოცემულია ქართველი მარქსისტის კრიტიკოსების წერილებში.

როდესაც საუბარია ლევ ტოლსტოისადმი ქართველი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეების დამოკიდებულებაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცნობილი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის მოსაზრებებს დიდი რუსი მწერლის შემოქმედების შესახებ.

როგორც ცნობილია, კიტა აბაშიძე, ეყრდნობოდა რა ფრანგი კრიტიკოსის ბრუნეტეირის დებულებებს, მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში გადამწყვეტ და განმსაზღვრელ როლს „ევროპულ“. უფრო ზუსტად ფრანგულ. ლიტერატურას ანიჭებდა. დანარჩენი, „სხვა“ მწერლობის განვითარების პროცესებთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები კი მას ფრანგული ლიტერატურის — „ძირითადი“ ლიტერატურის — კერძო და თავისებურ გამოვლინებად მიაჩნდა. ასეთი პოზიციებიდან აფასებდა ის ქართულ და რუსულ ლიტერატურასაც. უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ეს, და არა სხვა რაიმე, განაპირობებდა კიტა აბაშიძის რიგ მკვლარ გამოთქმებს როგორც მშობლიური ქართული, ისევე რუსული ლიტერატურის შეფასებისას.

აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებულა, როდესაც ვეხებით კიტა აბაშიძის მიდგომას ლევ ტოლსტოის შემოქმედების მიმართ. სხვანაირად შეიძლება კიტა აბაშიძე ამ საკითხში კონსერვატორ, რეაქციონერ კრიტიკოსად მოვნათლოთ, ან უბრალოდ უგულვებლევყოთ მისი გამოთქმები გენიალური რუსი მწერლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში დღემდე ასეა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

როგორც კიტა აბაშიძის გამოქვეყნებულმა წერილებმა („აზრი რუსულის

ლიტერატურის შესახებ ფრანგი კრიტიკოსისა“, „ივერია“, 1895, № 2, 3; „ცხოვრება და ხელოვნება“ (წერილი მეთერთმეტე); „ლევ ტოლსტოის „ადღომის“ შესახებ“, „მოამბე“, 1900, №№ 1, 2; „ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი“), ასევე ნინო აბაშიძის „მოგონებებმა“ დაგვარწმუნა, რომ კიტა აბაშიძე ძირითადად ილაშქრებდა ლევ ტოლსტოის ცნობილი მოძღვრების — ბოროტებისადმი ძალით წინააღმდეგობის მოსაზრების წინააღმდეგ და იწონებდა დიდი რუსი მწერლის შემოქმედებას, უპირველეს ყოვლისა როგორც მაშინდელი სინამდვილის უკომპრომისო კრიტიკასა და უარყოფას. ასეთი მოსაზრება ჩვენ უფრო გაგვიმტკიცდა, როდესაც გავეცანით კიტა აბაშიძის გამოუქვეყნებელ დაუმთავრებელ წერილს „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელიც დაწერილია 1908 წელს ლევ ტოლსტოის იუბილესთან დაკავშირებით. ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა კიტა აბაშიძის ლექციის ტექსტმა, რომელიც მას დიდი რუსი მწერლის გარდაცვალების მესამე დღეს დაუწერია. ჩვენ ვერ დავადგინეთ, წაკითხა თუ არა ქართველმა კრიტიკოსმა ლექცია ლევ ტოლსტოის შესახებ, მაგრამ თვით ლექციისა თუ მოხსენების ტექსტი, რომლის სათაურია „ზეკაცი“, ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის დაიწყება, რომ კიტა აბაშიძე გარკვეულად ვერ აფასებს რუსული ლიტერატურის, მისი ბრწყინვალე წარმომადგენლის ლევ ტოლსტოის მსოფლიო მნიშვნელობას, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლება უფიქროსო. თუ იგი გულწრფელად აღიარებდა ლიტერატურის განვითარების ბრუნეტიერისეულ ევოლუციურ თეორიას.

ჩვენს შეხედულებას კიტა აბაშიძის მიერ ლევ ტოლსტოის შემოქმედების შეფასების შესახებ გამოთქვამთ საკითხის დასმის წესით. აღნიშნული საკითხი საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს და აუცილებელიცაა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის სწორი და სრული სურათის წარმოსადგენად.

დიდი რუსი მწერლის პოპულარობის ზრდას ყველგან, მათ შორის საქართველოშიც, გაშმაგებით ებრძოდა მეფის მთავრობა. საგანგებო ციკლურებით იზღუდებოდა ლ. ტოლსტოის ნაწარმოებთა თარგმნა, გამოცემა ან გავრცელება რუსულ ენაზეც კი. მაგალითად, კავკასიის საცენზურო კომიტეტი კრძალავდა ტოლსტოის ნაწარმოების -- „მეუფეა წყვილიადისა“ გავრცელებას. უფრო მეტიც, როგორც საარქივო მასალები მოწმობენ, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ნომრიდან ცენზურამ ამოიღო გამზადებული წერილი ამ პიესის შესახებ. ასევე იქნა ცენზურის მიერ ამოღებული „ტიფლისკი ლისტოკის“ წერილი, რომელშიც გაზეთი გულსწყრომით აღნიშნავდა, რომ ლევ ტოლსტოის შემოქმედება მიეკრძაბული და უსამართლო თავდასხმის ობიექტიაო: „Вместо хладнокровия и серьезности, — наотчету и огулом образом, — потоки самых тяжких обвинений в ужасающих преступлениях. Перед судом этой критики любимейший и глубочайший сердцевед — писатель Л. Н. Толстой обращается в изувера, безумца, преступника... Этого ли заслуживает тот, кто составляет украшение и гордость нашей литературы?“¹².

1901 წლის დასასრულს დაჯარიმებულ იქნენ „ივერიის“, „კავკაზისა“ და „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციები, რომლებიც შეეცადნენ საქართველოს მოსახლეობისათვის გაერკვიათ იმ პოლემიკის არსი, რომელიც გაჩაღდა დიდი

რუსი მწერლის ე. წ. „ეკლესიიდან განკვეთასთან“ დაკავშირებით. კიდევ ერთი მაგალითი: როდესაც ლევ ტოლსტოი 1901 წელს გამოგზობინდა შიშვე ავადმყოფობისაგან. მის წინააღმდეგ რეაქციონერთა წრეებმა ალვირახსნილი კამპანია წამოიწყეს. გამოხატავდა რა ქართველი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის განწყობას, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გადაწვივითა გამოქვეყნებინა შემდეგი განცხადება: «Графу Л. Н. Толстому на днях послана из Тифлиса телеграмма: «Беспридельной радостью переполнились наши сердца, дорогой Лев Николаевич, услышав весть о вашем выздоровлении. Живите долгие годы на пользу человечества, неутомимо борясь за идеал высокой добродетели. С далекого Кавказа приветствуем вас обитатели Тифлиса и числом тысяча человек выражают вам чувство глубокой признательности за ваше стойкое, искреннее служение истине и справедливости. Подписи письмом»¹³.

ამრიგად, მიუხედავად მეფის მთავრობის და სხვადასხვა რეაქციული, ოფიციალური საზოგადოებრივ-ლიტერატურული წრის მცდელობისა, ლევ ტოლსტოისა და ქართველ მკითხველს შორის მაინც დამყარდა მტკიცე კავშირი. საქართველოს მიმართ დიდი რუსი მწერლის კეთილშოუსტრნე, სიმპათიითა და სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულებას მოწინავე ქართველი საზოგადოების სიყვარულითა და სიმპათიით განმსჭვალული გრძნობა ხედებოდა საპასუხოდ. ასე ვლინდებოდა ორი ხალხის, ორი კულტურის ურღვევი მეგობრობა.

ლევ ტოლსტოის შემოქმედებს ცილნითა და სიყვარულით იყო ნაყარნახები მისი მრავალი ნაწარმოების თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე, დადებითი კრიტიკული წერილების გამოქვეყნება მწერლის შესახებ, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხურვალე და კვალიფიცილური დაცვა, რაშიც ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და რუსული ლიტერატურის პროგრესული ნაწილის ერთსულოვნება, შემოქმედებითი მეგობრობა გამოვლინდა.

ლევ ტოლსტოის უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის ფართო და ღრმა შესწავლა, რასაც ოქტომბრის რევოლუციამ მისცა მტკიცე საფუძველი, განუხრელად ვითარდებოდა საქართველოშიც.

საბჭოთა საქართველოში გამოქვეყნდა მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა და წიგნი ლევ ტოლსტოის შემოქმედების საკითხებზე, მისი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების გზის შესახებ. ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ დიდი რუსი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის პრობლემატიკის გაშუქებაში. ზედინედ ითარგმნება და დიდი ტირაჟით გამოდის ქართულ ენაზე ლევ ტოლსტოის ცალკეული მოთხრობები, კრებულები, წერილები, რომანები.

ქართველი ხალხის ინტერესი რუსი მწერლისადმი გამოიხატა იმ ფაქტშიც, რომ 1962-66 წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა ლევ ტოლსტოის ნაწარმოებთა ათტომეული, რომელშიც მწერლის ძირითადი, დამახასიათებელი ნაწარმოებებია შეტანილი.

ლევ ტოლსტოისადმი ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებასა და დიდი რუსი მწერლის საქართველოსადმი მიმართებაში გამოვლინდა ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიული ტრადიციები, ორი კულტურის, ორი ერის მეგობრობა, რაც თვისებრივად ახალ, შესანიშნავ ეტაპზე ავიდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

1. В. Г. Белинский, Собр. соч. писем в 3-х томах, т. III, 1948, гв. 438—439.
2. Л. Н. Толстой, ПСС, 59, გვ. 119.
3. იქვე.
4. იქვე.
5. იხ. ვლ. ასათიანის ლევ ტოლსტოი და საქართველო. თბილისი. 1936. გვ. 27—28.
6. Г. Галнашвили, Лева Толстой и Грузия, თბილისი. 1951, გვ. 11.
7. იქვე, გვ. 12—25.
8. Л. Н. Толстой, ПСС, т. 46, გვ. 428—429.
9. П. Бирюков, Духоборцы, Сборник статей, воспоминаний и др. документов, М., 1908, გვ. 58.
10. ილია ნაკაშიძე, მოგონებანი, თბილისი, 1946, გვ. 23.
11. თარგმანი ვლ. ასათიანისა.
12. ციტირებულია კრებულიდან „ლიტერატურული ურთიერთობანი“, VI, ტ. 1775, გვ. 31.
13. იქვე, გვ. 55.

О. А. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ЛЕВ ТОЛСТОЙ И ГРУЗИЯ

Начало творческой деятельности Л. Н. Толстого тесно связано с Кавказом, Грузией. Новизна впечатлений, природа и люди, своеобразный ритм жизни, личное участие в боях необычайно обостряли восприимчивость молодого Толстого к окружающему и повысили его интерес к духовной жизни людей. Все это послужило причиной необходимости изложить пережитое, давно созревшую потребность «написать» об увиденном и понятом. Так появились кавказские повести, так родился писатель.

Л. Н. Толстой хорошо разобрался в грузинской действительности, что нашло свое отражение в документально точных по своей правдивости фактах и событиях, описанных в «Хаджи-Мурате».

Установив тесные связи с представителями передовой части грузинской интеллигенции, писатель проявил серьезный интерес к общественно-политическим событиям в Грузии, в частности, к жизни духоборов и к восстанию гурийских крестьян.

Со своей стороны грузинская общественность проявила большое внимание к жизни и творчеству Л. Н. Толстого. На грузинском языке публиковались переводы его произведений, печатались критические статьи, посвященные его творчеству. Особенно высоко ценили великого русского писателя такие корифеи грузинской литературы, как И. Чавчавадзе, А. Церетели, Важа-Пшавела, Я. Гогебашвили и др.

История творческих взаимосвязей между Л. Толстым и передовой грузинской литературной общественностью — еще одно яркое выражение издавна существующих традиций двух братских народов, братских культур.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სსრკ ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის განყოფილება
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ვაჟა კახასანი

კ. გამსახურდიას ნოველების მხატვრული
სპეციფიკის საკითხები

საბჭოთა ლიტერატურა მასების იდეურ-ესთეტიკურ აღზრდასა და სულიერ შეიარაღებას ემსახურება. მისი მნიშვნელობა აქტუალური მოვლენების ობიექტური ასახვით განისაზღვრება. თავისი ნოვატორულობითა და პროგრესულობით იგი მსოფლიო ლიტერატურული კულტურის განვითარებაში, ხალხთა სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში წამყვან ადგილს იკავებს.

სოციალისტური ეპოქა საშუალებას აძლევს ლიტერატურას, შექმნას ახალი მხატვრული სამყარო, რომლის შინაარსს ამ სამყაროს შემოქმედი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი შეადგენს. საბჭოთა ლიტერატურის გვირის — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის სახის გამოძერწვას წარმატებით უზრუნველყოფს სოციალისტური რეალიზმი.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ინდივიდუალიზმი, პესიმიზმი, მისტიციზმი აწუბუნებს კვშიარტ ხელოვნებას. 1905—1907 წლების რევოლუციის მარცხმა ქართულ ლიტერატურაში გზა გაუხსნა უიმედობას და გულგატეხილობას, მწერლების ერთი ნაწილი ჩამოაშორა რეალიზმს და სათავე მისცა დეკადენტურ მიმართულებებს. მწერლობა მოსწყდა ხალხურ წყაროს, რომანი დეკადენტურმა მინიატურამ და ნოველამ შეცვალა.

ნოველის წარმოშობა XIII—XIV საუკუნის იტალიურ რენესანსთანაა დაკავშირებული. მან, როგორც ჟანრმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო კანონისტიკაობის სავანძურში. სხვადასხვა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ გარკვეული როლი ითამაშა მის ჩამოყალიბებაში. ლიტერატურის ისტორიისათვის ცნობილია დიდი ნოველისტები: ბოკაჩო, მოპასანი, მერიმე, ჩეხოვი და სხვ. ამ ჟანრისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს იმპრესიონისტმა მწერლებმა, ნოველა საუკეთესო ფორმად იქნა აღიარებული იმპრესიონისტული მსოფლგანცდის გადმოსაცემად.

ქართული ნოველის განვითარების ისტორია დაკავშირებულია შ. არაგვის-ზირელის, კ. ლომთათიძის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჭავჭავიძის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას და სხვათა სახელებთან.

კ. გამსახურდიამ ნოველა უწყვეტი ჭაჭვით დააკავშირა მითოსთან: „... ნოველაში უთუოდ უნდა იყოს ერთი უეცარი, შესაძლებელი, პოზიციურად დაუჭრებელი ეპიზოდი. აი, სწორედ ეს გახლავთ ნოველის ჭიპი. სწორედ ეს მომენტი გულისხმობს ნოველის კავშირს მითოსთან“. კ. გამსახურდია ნოველას მიიჩნევს საშუალო ფორმად რომანსა და იგავს შორის. მისი აზრით, „ნოველა პროზაში იგივეა, რაც ლექსში სონეტი“...

მანვე აღიარა ის ფაქტი, რომ: „დეკადენტებმა პროზა ვერ შექმნეს, თვით საუკეთესო ოსტატები ნოველას ვერ გასცდნენ...“

მთავარი მიზანი ჩემი შემოქმედებისა, ეს იყო ნოველისა და რომანის კლასიკურ ფორმების დადგენა“.

პროფ. ს. ქილაია კ. გამსახურდიას ნოველებში ერთგვარ შეთანხმებას ხედავს კლასიკურ და იმპრესიონისტულ ფორმას შორის: „კ. გამსახურდიამ თავისებურად „მოარიგა“ კლასიკური და მოდერნისტული ნოველის სტილი“¹. კ. გამსახურდიას შემოქმედების წინარე პერიოდის ზოგიერთი იმპრესიონისტული ნოველა უფრო მეტად ესკიზის ხასიათს ინარჩუნებს („საათები“, „შენვედრა მკვდართან“ და სხვ.).

დეკადენტური მსოფლმხედველობის უცილობელ დაღს ატარებს ნოველა „ზარები გრიგალში“.

კ. გამსახურდია თავისი რეაქტორული მეორე ტომის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, ნოველათაგან ზოგზოგი ჩემი სიკაბუეის დეკადენტურ ცოდვათა ანარეკლიაო.

„დეკადენტურმა სენმა“ გაპოზიერებული ნიადაგი პოვა იმ შემოქმედთა გონებრივ-ფსიქიკურ კომპლექსში, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე.

კ. გამსახურდიას ნოველები, მიუხედავად „დეკადენტური დაღისა“, აღსაყენი არიან ბობოქარი სულის დაუდგრომლობით, ნოვატორულობით, მათში უდავოდ შეიგრძნობა შაბლონებისადმი ანტიპათია, შემოქმედებითი წვა, რეალობით დაუკმაყოფილებლობა, შემოქმედის „იაკობისებური ბრძოლა“ საკუთარი გზისათვის მწერლობაში.

ნოველა „ზარები გრიგალში“ მკვეთრი ანარეკლია იმ დიდი ცვლილებებისა, რომლებიც შეიტანა ახალმა სოციალისტურმა ეპოქამ ქართული სოფლის ცხოვრებაში. ნაჩვენებია „ახალი დროების“ მიერ გარიყული, აწ უკვე „ხედნეტი ადამიანის“, მნათე ოქროპირის განცდები. კ. გამსახურდიამ წარმოგვისანა დასრულებული ხასიათი, რომლის ინდივიდუალურ თავისებურებათა გადმოსაცემად საჭიროდ არ მიიჩნევს სხვადასხვაგვარ რთულ სიტუაციაში პერსონაჟის „პოზირებას“.

მნათე ოქროპირის მხატვრული პორტრეტის შექმნით მწერალმა გვიჩვენა იმ პოტოტიპის ლიტერატურული სახე, რომლისთვისაც ახალ ეპოქას ჯერ კიდევ ვერ მიუცია თავისი სინამდვილისა თუ აუცილებლობის ისტორიულად გამართლებული დასაბუთება. ოქროპირისათვის აზრი დაუქარგავს ამქვეყნიურ ცხოვრებას. მისი სიმშვიდე არასდროს დარღვეულა და არც ბედის მიმართ ჩივილი წამოსდგენია ოდესმე. იგი განსახიერებაა ნებაყოფილებით მგლოვარე ადამიანისა, რომელიც არ გრძნობს არც ძრწოლას, არც მოწყენას. მისთვის უცნობია სიხარულის განცდა.

კ. გამსახურდია ერთგვარ ნიღაბს არგებს მნათე ოქროპირის მხატვრულ სახეს. იგი სწერს: „ჭადრის ძირში პაწია ყლორტი ამოსულა, გაუხარებელი, ნაციები, მზეს დახარბებული. იგი ფერმკრთალია და ბნელიანი (რადგან მზე არ მოჰხვედრია). იგი სწორია და მართალი (მის თავზე გრიგალებს არ გადაუქროლიათ), ჩრდილშია აღზრდილი (არ კი ამხელს, რომ მზე ენატრება). ფესვები ჭადრისა, ფოთლები ქლექიანის ტუჩები. ლომის ლეკვია, — კლანჭები არ ასხია. მიმინოს თვალები ექნებოდა, სიბნელეში დგომას რომ არ დაებრმავებინა“.

ბუნება ყოველ ადამიანს თავის „სტილს“ უძებნის. პიროვნებასა და მის პროფესიას შორის არსებობს იდუმალი კავშირი. რომელსაც შეიძლება არც გრძნობდეს, იმდენად შესისხლბორცებული და ქვეშეუცნობლად შეთვისებული

იყოს. მნათე ოქროპირის ეკლესიის სამსახური ერგო. ღვთისა და სინდისის წინაშე მართლმა ადამიანმა სიციოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგულად ზიდა იგი. მის თავზე გრიგალებს არ გადაუქროლიათ. თვითონ განუდგა ამქვეყნიური ცხოვრების ორომტრიალს: ერთხელ დაბეჩავებულმა და სიცრუის ბურუსში გახვეულმა ვერ შეძლო ხელშეორედ წამოდგომა, „მეორედ დაბადება“. ოქროპირმა ვერ ისუნთქა თავისუფლებისა და ბედნიერების სუფთა ჰაერი. მის შეძრწუნებულ და დაღვრემილ გულს ვერაერთარი სიბრძნე ვერ გაახალისებს.

კ. გამსახურდიამ ამ პერსონაჟით თვალი გაუსწორა უსაზღვრო არარაობას, როგორც ზოგიერთი ადამიანის მიმე ხვედრს. შიშმა და მარტოობამ ოქროპირში უსუსურობა ჩასახა. გარდასული ცხოვრებისადმი ერთგულება შენიღბული მხატვრული პორტრეტია მისი სისუსტისა.

მნათე ოქროპირის ობოლი სულის შავ ჭურღმულებს სახარების ფურცლებს ვერ დაეფარებთ. ასეთი ჭურღმულის უკუნეთი ადამიანის სულსა და ეკლესიის სანთლებს აქრობს. მის მსუსხავ სიცივეს ნელთბილი სიო ვერ გაათბობს.

ცხოვრებამ ჩრდილში მოაქცია მნათე ოქროპირი. შუის სხივებქვეშ რომ გაზრდილიყო, ბრძოლის უნარი ექნებოდა. ძლიერი ერის ნაშიერს ფესვებუკადრისა აქვს, მაგრამ მუდამეამ სიბნელეში დგომისაგან დასნეულებულია და დაბრმავებულია.

კ. გამსახურდია „გარს უვლის“ თავის ლიტერატურულ გმირს, ხატავს მის პორტრეტს როგორც პირდაპირ, ისე მინიშნებით. საბოლოო დასკვნა ერთია — მისი გაქრობა, გაუჩინარება. მაგრამ როგორ? ისე რომ, ერთხელ მაინც არ შეიბრხეს მისი ვულის ფიცარი, ერთხელ მაინც არ შეტოვდეს, არ შეთრთოლდეს, ვნების ყიჟინამ არ აიტაცოს ადამიანი? არა, ამას ვერ დაუშვებს შემოქმედი: მისი გმირი ვერ წავა ისე, რომ იქ, სადაც უსასრულობაში ერთხელ მაინც არ პქონდეს მოსაგონებლად მიწერილი გრძნობანი.

ექსტაზში შესული ოქროპირი არისხებს ზარებს. რა ბედენაა ზარების რეკევა?! თუ შენთვის მომავდინებელ გარემოს გასარღვევად მხოლოდ იქდაგებ და ზარების გუგუნით გაბრუებული თვითონეე შეეწირები მას.

ამ მომენტიდან კ. გამსახურდიას ლიტერატურული გმირი ემსგავსება დოსტოვესკისას. ისინი თავიანთ პერსონაჟებს გამეტებით უტყულაშუნებენ შოლტს. რათა ამ ადამიანებმა ყვირილით იბორგონ ვნებათა სარბიელზე. ეს მომენტუყველაზე მალალი მწვეერვალია ნოველაში. სწორედ ამ დროს წაართმევს კ. გამსახურდია თავის გმირს იმ ერთადერთ გრძნობას — პატივისცემას ღვთისადმი. რომლის სამსახურსაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია ოქროპირმა. მორჩალი კრავი „ღმერთთან მებრძოლ იაკობად“ იქცევა უცებ.

მწეოალი ერთგვარ ღობასაც კი ასხაშს მნათე ოქროპირს, მის მბეჭტავ ცხოვრებას. საერთოდ, როდესაც კი კ. გამსახურდია გვიხატავს ამდაგვარ პერსონაჟებს, თითქმის ყველგან გამოსქვივის ის „უხილავი კავშირი“, რომლიდაც იგი თავის ლიტერატურულ გმირს ენათესავება.

ქარაშხლის ამოვარდნის სცენა ერთგვარი მინიშნებაა, სიმბოლური ნიშანსვეტია რვეოლუციის სიდიადისა, რომლის მძლავრი ტალღის შეკავება არ ძალეუმს ძირმომპალ სამრეკლოს. ძველის ნგრევისა და ახლის ენერგიული შემოქრის უტყუარი სურათია მათი შერკინება.

„მე დაწვერე პატარა ნოველა „ზარები გრიგალში“, — წერს კ. გამსახურდია. — გამოყრუებული მნათე აღის სამრეკლოზე და იწყებს ზარების რეკვას და

ისეთ ექსტაზში შევა, რომ ქარიშხალი ანგრევს სამრეკლოს — ის კი მაინც ვერაფერს გრწნობს და სამრეკლოსთან ერთად იღუპება.

ამით მე ვთქვი, რომ რევოლუცია ანგრევს რელიგიას, მაგრამ პარალელურად აღვიძებს რელიგიურ ექსტაზს“.

კ. გამსახურდია აღნიშნული ნოველის შექმნის პერიოდში ჯერ კიდევ დაკავშირებულია გარდასულ ეპოქასთან, თუმცა უკვე შეიგრძნობა ის დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხები, რომლებმაც ექსპრესიონისტული გავლენის კედომა გამოიწვია.

მიუხედავად იმპრესიონიზმის უცილობელი ზეგავლენისა, ნოველაში თავის კუთვნილ ადგილს იკავებს რეალისტური პასაჟები.

„ოთახში გაიხმო სტუმარი. მხარზე ხელი დაჰკრა. გამურული ჯამი გაუქსო. ცალი ფეხი სუფრის კუთხეზე გადმოაგდო. ვეებერთელა ფაშვით სუფრას დაეურდნო. სუფრა ჭრიაღებდა. ნახუცარი ხითხითებდა. ტოკავდა უშველებელი, ზარმაცი ტანი. ოქროპირმა დალია, ნაოქიან, ფერმკრთალ სახეზე სიწითლემ იელვა, ღვინო ემკვანა, ღრმად ჩამჭდარი თვალები დაუპატარადა. სახე დაემანჯა. ნახუცარმა ისევ გაავსო. ბანჯგვლიანი ხელი დააღო გაქონილ ჭიქას“.

ან კიდევ: „პაერში ქარბობდალა დატრიალდა. წვიმამ მოუხშირა. ოქროპირს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ სოფელში გზად გამოვლილი სტუმარი ყოფილიყო. მიუსაფრობა იგრძნო. ფეხს აუჩქარა, სად წასულაყო ამ შუალავს?“

„ქოსა გახუში“ კ. გამსახურდია ყოველგვარი ირონიული ტონის გარეშე დამწუხრებული ხატავს ძველის უცილობელი გაქრობისა და ახლის დამკვიდრების სურათებს. გადაგვარების კრიტიკული მომენტის ჩვენება მწერლისთვის არაა იოლი: მაგრამ სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით აუცილებელია. შემოქმედს უნდა შეეძლოს როგორც გამარჯვების ზეიმი, ისე იმ სინამდვილის აღიარებაც, რომელიც მის თვალწინ იბადება და თვითონ მიგვანიშნებს თავის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

მწერალი, როგორც ერის მემკვიდრე, ვალდებულია ასახოს თავისი ეპოქის ობიექტური სინამდვილე, რომლის ცოდნა აუცილებელიცაა მომავალ თაობათათვის. მხატვარმა შესაძლებელია რამდენადმე კიდევაც შეაფერადოს იგი, მაგრამ მამოძრავებელი არის ეპოქისა და ის, რამაც მწერალს ხელში აალებინა მემკვიდრის კალამი, სიმართლით უნდა გადმოსცეს.

„ქოსა გახუში“ შემოქმედი გვიჩვენებს რევოლუციის მიერ ძალაუფლება აყრილ ადამიანთა ცხოვრებას, მათ განსხვავებულ ბრძოლას არსებული წყობილების წინააღმდეგ და ასევე განსხვავებულ იმედებს.

ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი — იონა მღვდელი, თავის პროტესტს იძით გამოხატავდა, რომ „ეფუთში ეძებდა „ბოლშევიკების წასკლის“ თარაღებს. სასთუმალიდან არ იშორებდა ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს: დიდის პათოსით კითხულობდა იობის წიგნს“. მოხუცი ლეთისმსახური უცილობლად გრწნობდა იღუმალ ანალოგიას თავის თავსა და ბიბლიურ პერსონაჟს შორის.

ნოველის მთავარი პერსონაჟი ქოსა გახუ — თავდაზნაურული კასტის უკანასკნელი წარმომადგენელი — არავითარ პროტესტს არ გამოხატავს არსებული წესწყობილების მიმართ. პირიქით, ცდილობს, რაც შეიძლება უკეთ შეინიღბოს და სწორედ ამ მიზნით მოიგიჟიანებს თავს.

ქოსა გახუს შვილის — თემრას სიკვდილში უთუოდ იგულისხმება სოციალური მოტივი. კ. გამსახურდიას ნოველაში მიზნობრივად შემოჰყავს ფეოდა-

ლური სამყაროს უკანასკნელი მცირეწლოვანი ნაშეიერი, იმ საეარაულო დღისათვის, როდესაც, შესაძლებელია, მისი არსებობის აუცილებლობა ისევე წამოიჭრას, როგორც ამჟამად გაჭრობა გახდა გარდაუვალი.

მწერალი ვერ ხედავს წარსულისაკენ შემობრუნების ვერც ერთ რეალურ გზას, ამიტომაც იმეტებს პატარა თემრას სასიკვდილოდ, რომელიც დაბადებიდანვე იყო დამძიმებული წინაპრების ცოდვებით.

ტაგუ სამუგია იმ ადამიანთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც არასდროს შეურიგდებიან ახალ ეპოქას, მთელი თავიანთი არსებით წარსულთან არიან დაკავშირებულნი და მისი დრომოქმული ტრადიციების ერთგულა დამცველნი დაჩინენ. მისი არისტოკრატიულა ბუნება ვერ შერიგებია, რომ მამამისის „სასახლის პარკეტის იატაკი ალანიების, სამოგვიების ქალამებმა წაბილწეს“. ზაფრისა და ზიზლისაგან თვალი უჭრელდება, როცა რინელიმე გლეხის ქალს კენინის სავარძელზე გამოქიმულს დაინახავს.

ქ. გამსახურდიას პერსონაჟის სახის დაწვრილმანება იმისთვის სჭირდება, რათა თვალნათლივ წარმოსახოს პიროვნების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ბუნება, ზუსტად განსაზღვროს მისი ხასიათი.

„რომანტიკული დროების ავანტურისტმა“ ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და ეს აშკარა ჭიდილი მისივე განადგურებით დამთავრდა. პირველად მარცხდება ტაგუ სამუგია, კაცი, რომლისთვისაც ბარიერი საერთოდ არ არსებობდა.

მწერალმა მასში გააერთიანა ტიპური ნიშნები ამ წრისა — „... ოდნავ მოიკოკლებს სიარულში. მესტებიან ფეხებს ისე ადგამს, თითქოს მუდამ ეპარებაო რამეს, ცალი მხარი ოდნავ მოქცეული აქვს, მაგრამ არ იმჩნევს. შემოგზნდავთ და მის მეჩხერ თვალებს ვერასოდეს ვერ შეისწრებთ რაიმე განზრახვაზე ან ფიქრზე“.

წინაპართა ტრადიციების „ლირსეული“ გამგრძელებელია ტაგუ სამუგია. მისი სახით შემოქმედმა შექმნა მხატვრული პორტრეტი ახალი ეპოქის, სოციალისტური საზოგადოების დაუძინებელი მტრისა, რომლის ბუნებაშიც გაერთიანებულია იმ ადამიანთა საერთო მისწრაფებებ, რომლებიც მთელი არსებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების, მისი განვითარებისა და განმტკიცების წინააღმდეგ.

„ტაბუში“ ქ. გამსახურდიამ გაორებული „ვეროპელი ქართველის“ შინაგანი ბუნება ასახა, გვიჩვენა მისი სულიერი სამყარო და დამოკიდებულება არსებული სინამდვილის მიმართ.

ხედავს „აგურისფერ ჩოხიანი აზნაური“, რომ ძველი დრო გადავარდა, რომ არაეის სცალია ავადმყოფი მიმინოსათვის, ამიტომაც იძულებულია დახმარებისათვის ცხოვრებისაგან განდგომილ ნატიე ლიაკონს მიაკითხოს.

თალებჩამოცენილი ეკლესიის მკვიდრს კარგად ახსოვს ძველი დრო, ახალ ეპოქაშიც იმ ძველის ჰალუცინაციით ეოცხლობს. ნატიე შენატრის იმ დროს, როცა „... სამ კვირას საპნით რომ იცვამდნენ უძიროებს, ლოგინში საცვეთების გაუხდელად წვებოდნენ და მიმინოს ისეთის გულმოდგინებით მართავდნენ, როგორითაც შეილს ზრდიან ჩვენს დროში“.

ნატიე ლიაკონი ინდიფერენტულია ახალი ცხოვრების მიმართ. იგი განსახიერებაა წარმავალისა და განდევილობისა. მისთვის აზრი დაუეარგავს გარემომცველ სამყაროს, ადამიანებს, აწმყოსა და მომავალს.

„ლიდი იოსების“ სიუჟეტური ხაზი დასაბამს 25 თებერვლის ღამეს თავი-

სუფლების მოედანზე იღებს. მოქმედების ადგილი და დრო სიმბოლურია, გასაგებს ხდის მწერლის მიზანდასახულობას, თუმცა შემოქმედის მიერ ასახული ატმოსფერო ნაკლებად მიგვანიშნებს ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, მის რეალობაზე. ირგვლივ მუქი ფერი ძალობს.

ძველი ცხოვრება მიიპარება. ისმის გასაქცევად გამზადებული მენშევიკური მთავრობის „ნადავლით“ დატვირთული ავტოების ხმაური. უწესრიგოდ იხევენ დამარცხებული ჯარის ნაწილები. ძველი ცხოვრების უკანასკნელი ლანდები ქრებიან ახალი დროების ნათელი სხივის მოასლოებასთან ერთად.

„დიდი იოსების“ მთავარი პერსონაჟის სახე ნოველაში გაორებულადაა წარმოდგენილი. 25 თებერვლის ღამის გარკვეულ მომენტამდე იგი უბრალო მეთვალყურის როლშია.

უეცარი, შემთხვევითი გამდიდრება დიდი იოსების გულში ახალ, მისთვის უჩვეულო გრძნობას ბადებს. რევოლუციის იდეების არასწორი გაგება, ბუნდოვანი წარმოდგენა ახალი ეპოქის მიზნებსა და მისწრაფებაზე, არასწორი მოქმედებისაკენ უბიძგებს მას და უკარგავს სიმშვილესა და პატიოსნებას.

25 თებერვლის ღამემ აფორიაქა დიდი იოსები. სიმდიდრემ წამიერად გარდაქმნა იგი. საგნები გაბატონდნენ მასზე. ამ მხრივ კ. გამსახურდიასა და ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში („გვადი ბიგვა“) ერთი და იგივე კონცეფციის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე.

მწერალს დიდი იოსები აგონებს ამწვანებულ ბებერ მუხას, რომელსაც მოჩვენებითი გაზაფხული დადგომია. სიმდიდრემ უკანასკნელად ააყვავა მისი დამპყნარი ცხოვრება.

„მე მუშა აღარა ვარ“, — ფიქრობს დიდი იოსები, მისთვის, „მუშა“ დამამიკრებელ ეპითეტად ქცეულა. ნასუფრალით გადიდკაცებული იოსები მთელი ძალით მიექანება უფსკრულისაკენ.

და ბოლოს, დადვა მომენტი, როცა დიდ იოსებს ჩამოერთმევა უეცარი ნადავლი, მის ტუბილ სიზმარს დაარღვევს რეალობა, თუმცა საბოლოო გამოღვიძება მაინც ვერ შეძლო. გადის დრო, დიდი იოსები უფრო ღრმად შეტოპავს წუმბეში, საიდანაც მისი გამოყვანა მწერალს უკვე აღარ უცდია.

კ. გამსახურდიას ნოველები საიმედო გასაღებს გვაძლევენ მწერლის მდიდარი და რთული შემოქმედების სისტემაში გასარკვევად.

В. М. ПАПАСКИРИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ХУДОЖЕСТВЕННОЙ СПЕЦИФИКИ НОВЕЛЛ К. ГАМСАХУРДИИ

Резюме

История развития грузинской новеллы связана с именами Ш. Арагвиспирели, Ч. Ломтатидзе, Н. Лордкипанидзе, М. Джавахишвили, Л. Киачели, К. Гамсахурдиа и др.

В наследии К. Гамсахурдиа повелла занимает особое место. По признанию самого писателя, в начале творческой деятельности его новеллы носили «декадентское клеймо». Невзирая на это, они всегда отличались свежестью содержания, остротой проблематики и новаторством.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ენო მამაჰო

იუსტინე აბულაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო
მოღვაწეობის შესახებ

(საარქივო მასალების მიხედვით)

ჩვენი წერილის მიზანია, საარქივო მასალების მიხედვით წარმოვადგინოთ ცნობილი ქართველი ირანისტის, რუსთველოლოგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი.

აქვე უნდა ითქვას, რომ პიროვნების უკეთ შესამეცნებლად, გარდა მისი მეცნიერული თუ საზოგადოებრივი ნამოღვაწარის ღრმად შესწავლისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლური ნემკვიდრეობის გათვალისწინება. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ თითქოსდა უმნიშვნელო, პატარა პირადი ბარათის წყალობით შუქი მოჰყენია ბევრი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს.

იუსტ. აბულაძის პირად არქივზე მუშაობის პროცესში ბევრ საინტერესო მასალას და პირად წერილს მივაკვლიეთ. სამწუხაროდ, მეცნიერის პირადი არქივი არ არის სისტემაში მოყვანილი და სრულად დაცული. მისი გარკვეული ნაწილი ინახებოდა თურმე მეცნიერის მშობლიურ სოფელ როკითში (ყოფილი ბაღდადის, ამჟამად მაიაკოვსკის რაიონი), მის მამაპაპისეულ სახლში, რომელიც განადგურებულა სახლის დაწვის ღრს. მაგრამ ის, რაც მოვიძიეთ, ვფიქრობთ, ძალზედ საინტერესო და საგულისხმოა¹.

იუსტ. აბულაძე პირადი წერილების მიხედვით წარმოგვიდგება ადამიანად, რომლისთვისაც ბუნებრივი იყო შემოქმედებითი სიხარულისა და რაიმე უმსგავსოებით გამოწვეული ტკივილისა და მწუხარების მწვავე განცდა. ის პასუხს ეძიებდა მრავალ საკითხზე, რომელთაც მოულოდნელად აყენებდა ცხოვრება მის წინაშე. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ბევრი რამ იცვლებოდა, ბევრი რამ მისაღები და უარსაყოფი ხდებოდა. გარე სამყაროს განუწყვეტელი ცვლებადობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ კვალს ტოვებდა მის ცხოვრებაში. მაგრამ მრავალი სულიერი ტკივილისა და სიძნელეების მიუხედავად, მეცნიერი ყოველთვის ერთგული რჩებოდა თავისი ადამიანური ბუნებისა და მეცნიერული მოწოდებისა. აკი წერდა კიდევ იგი უნივერსიტეტის რექტორს დავით ყიფშიძეს თავის ერთ-ერთ წერილში: „ქალამს მე ხელიდან არ გავაგდებ, სანამ პირში სული მიდგას, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიქნე“.

ამიტომ, როდესაც ვეხებით იუსტ. აბულაძის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას, სიტყვა „ცხოვრებაში“ ჩვენ გგულისხმობთ არა მარტო მის გარეგნულ დინებას, მისი ცხოვრების, მისი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მშრალი ბიოგრაფიული და გეოგრაფიული საზღვრების ქრონოლოგიას, არამედ მის შინაგან სულას, იმ იდეურ ამოცანებს, რომელსაც მეცნიერი თავის წინაშე სვამდა, მოვლენათა იმ ურთიერთკავშირსა და განვითარე-

ბას, რასაც ხშირად „სულს ზიოგრაფიას“, ან „სულიერ ბიოგრაფიას“ უწოდებენ.

საარქივო მასალებზე მუშაობის პროცესში ჩვენ ძირითადად ყურადღებას ვამახვილებდით იუსტ. აბულაძის ბიოგრაფიის იმ ასპექტებზე, რომლებმაც ძირეული გარდატეხა მოახდინეს მის შემდგომ ცხოვრებაზე, იმთავითვე განსაზღვრეს მისი მეცნიერული ინტერესების სფერო, ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა მეცნიერის თვალსაწიერის გაფართოებას, და იმ მასალაზე, რომლის საშუალებითაც ნათლად იკვეთება მეცნიერის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, სულიერი სახე. მეცნიერის პირადი წერილები კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ უწყვედა ანგარიშს მის ავტორიტეტს მრავალი ცნობილი მკვლევარი ამა თუ იმ საკითხის კვლევა-ძიებისას.

... ჭერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-მ კლასში მყოფი იუსტინე აბულაძე მიზნად ისახავს ცნობილი აღმოსავლური ძეგლის „ეისრაშიანის“ გვერდით შეისწავლოს მისთვის უსაყვარლესი ეროვნული ძეგლი — „ეფუხისტყაოსანი“.

ამავე გიმნაზიაში თავის დროზე სწავლობდა აკად. ნიკო მარი, რომლის შესახებაც ჰაბუკ გიმნაზიელს ბევრი კარგი ჰქონდა გაგონილი. ეს გარემოება, თავის მხრივ, აბედინებს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას მოკრძალებული წერილი მისწეროს იქამად უკვე სახელმოხვეჭილ მეცნიერს, სადაც სთხოვს, გააცნოს მას პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განყოფილების პროფესორს შინაარსი და უზიარებს თავის მიზნებს.

ათი დღის შემდეგ გიმნაზიელი ჰაბუკი ნ. მარისაგან იღებს მეტად საინტერესო და ამომწურავი პასუხის შემცველ წერილს:

„...შემომსვლელმა უნდა იცოდეს, როგორც დამხმარე საშუალება ზედმიწევნით, როგორც რუსული, ისე ყველა მთავარი ევროპული ენები, რასაც ქუთაისის გიმნაზია, რამდენადაც შე მას ვცნობ, არ იძლევა.

საერთოდ ვერ ვბედავ გაგაიდილოთ საქმე და დაგაიძღვოთ, პირიქით, ვგონებ, უფრო სიკეთეს მოგტანი, თუ გულახდით გეტყვით, რომ თქვენთვის დიდი შრომაა საქირო, რომ საცემბით დასძლიოთ პროფესორის მინიმუმაც კი ხსენებულ დარგში. თუმცა ყველაზე მეტად საქიროა თქვენთვის ამგვარი მიზნის მისაღწევად, საგნის განსაკუთრებული სიყვარული და შრომის სათანადო უნარიც.

აქ, უკვე არის ჩემთან ხსენებულ დარგში ერთი მსმენელი, რომელიც თამამად აკმაყოფილებს ყველა დასახელებულ მოთხოვნებს, მაგრამ ასეთი მსმენელი არა მგონია გამოიღვს ქუთაისის გიმნაზიიდან.

რაც შეეხება თქვენს მისწრაფებას შეისწავლოთ „ეფუხისტყაოსანი“ და „ეისრაშიანი“, ამაზე უნდა ვიპასუხოთ, რომ „ეფუხისტყაოსანი“ და „ეისრაშიანი“, თუ თქვენ ამას ეცდებით, ისინი მეც თქვენთან უნდა შევისწავლო, რადგან ამ მხრით ჭერ არაფერი გაკეთებულა, გარდა იმისა, რაც თქვენც, ალბათ, იცით. მაგრამ ერთი დამაიწყებელია, რაც, მე მგონია, არა ნაკლებ უმნიშვნელო იქნება თქვენთვის, რომ იცოდეთ.

თუ თქვენ ვსურთ ხსენებულ დარგში ცოდნის მოხვეჭა ცხოვრების სახსრის მოპოების მიზნით, მაშინ, ჩემი მხრით, დანაშაულობა იქნება გირჩიოთ ასეთი გზა, რადგან კარიერისათვის იგი არ გამოადგებათ, პირიქით, ვიშობ, რომ ასეთი ცოდნა რა სამახაურშიაც არ უნდა იქნეთ, ძნელ-გამოსაცნობად და ბუნდოვანად იქნება მიჩნეული, მაგრამ თუ თქვენ გინდათ, ემსახუროთ მეცნიერების უმაღლეს მიზანს, ვსურთ იდგეთ თვითგამორკვეულობის გზაზე და ამისათვის კი ზნეობრივი და გონებრივი ძალა შეგწევთ, მაშინ ვბედავ მოგიწოდოთ თქვენი განზრახვა.

თქვენი პატაიისმცემელი პრივატ-დოცენტი ნ. მარია

აქედან გაიბა ის უჩინარი ძაფი ამ ორ პიროვნებას შორის, რომელიც მოგვიანებით ერთმანეთის ღრმა პატივისცემაში, საქმიან დამოკიდებულებაში და თბილ ადამიანურ ურთიერთობაში გადაიზარდა... ამ მიმოწერის შემდეგ გადის

ორი თვე. იუსტ. აბულაძე ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას. სამი თვის შემდეგ მიემგზავრება პეტერბურგს და ეწერება უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსულ განყოფილებაზე.

ნ. მართან შეხვედრის პირველ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს იუსტ. აბულაძე თავის მოგონებებში ნ. მარზე:

„...სწავლის დაწყების დრო თუმცა იყო, მაგრამ ნ. მარტი ჯერ არ ჩამოსულიყო პეტერბურგში, რადგან სამარაში იყო წასული კურორტზე დალილობის და დაავადების წინააღმდეგ სამკურნალოდ. მეორე დღეს უნივერსიტეტში რომ მიველი 11-2, ვნახე, რომ უკვე დანიშნული იყო მისი ლექციები სომხურ ენაში, და მცდეულობა აღდებოდა. მალე დავინახე კიბიდან მძიმედ ამოდიოდა შავ-შავი გრუზა თბით შრომით დამაშვრალი და სიცოცხლით საეცე გულახდილობის და სიმართლის გამოძეგველი სახის პიროვნება. ეს იყო პირველი ჩემი ნახვა ადამიანის, რომელიც ყველა მის მოწოდებში იწვევდა უღრმეს პატივისცემას და მოკრძალებას მისადმი. ჩემთან ერთად აღდებოდა იუსტ. აბულაძე ერთი სტამბოლელი სომეხი, რომელმაც ქართული არ იცოდა, გვარი მისი აღარ მახსოვს.

ნ. მარს აღდებოდა უმოსვლისთანავე დაავადებული სახე ერთბაშად გამოეცვალა, და მოგვიხსოვდა რა, მხიარულად ჩამოგვართვა ხელი ისეთი მოღიზიანი სახით, თითქო დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო ჩვენი.

გამოგვიტოვა ამბავი ჩვენი დასახული მიზნის შესახებ, გვარები კი არ უკითხავს, თუმცა, ეტყობოდა, მიხვდა, ვინ რომელი ეროვნების ეიყავით და დაუწყო სომეხს თითქო ჩემ გასაგონადაც ლაპარაკი: „ოქვენ შემოდით ჩვენ ფაკულტეტზე, ეს კარგია, მაგრამ, იცით, თუ რა ძნელია, საქირია განსაკუთრებულ მოთმინება და შრომის უნარი, უამისოდ არ ღირს აქ შემოსევა, მართალია, ფაკულტეტი კია, მაგრამ ფაკულტატური აქ თითქმის არაფერია. ცხოვრების სახსარი კი აუცილებლად საქირია...“

როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, გიმნაზიელისადმი მიწერილ წერილში ნ. მარი უწონებდა ჰაბტუ იუსტ. აბულაძეს თავის მიზანდასახულობას და სათანადოდ დახმარებასაც აუთუქვამდა ორი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის „ვისრამიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში. ნ. მარს არც შემდეგ გადაუხვევია დანაპირებისათვის და თავის მზრუნველობა არ მოუკლია მომავალი მკვლევრისათვის, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ისე შემდეგაც. მისი ნამოწაყარის მეცნიერული მიღწევები ყოველთვის პეშმარტივად ახარებდა დიდ მეცნიერს, რასაც, თავის მხრივ, სათანადოდ ეხმარებოდა კიდევ.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ნ. მარს მზრუნველობაზე იუსტ. აბულაძისადმი მეტყველებს კიდევ ერთი ნაწყვეტი მოგონებიდან:

...ახალგაზრდა სტუდენტის გაოცებას საზღვარი არ ჰქონია. როდესაც უამრავი საქმით დაკავებული მეცნიერი ერთხელ, გვიან ღამით, ბინაზედ სწევია იუსტ. აბულაძეს. საუბრის დროს ნ. მარს აღუნიშნავს, რომ თავისი ცოლისძმის პროფ. ვალენტინ ეუკოვსკისაგან შეიტყო იუსტ. აბულაძის წარმატებების შესახებ სპარსულ ენაში და ამდენად უკვე შეიძლებოდა სპარსული „ვისრამიანის“ ტექსტზე მუშაობის დაწყება. აქვე ნ. მარს კმაყოფილება გამოუთქვამს იუსტ. აბულაძის მიერ კლასიკური სომხური ენის სათანადოდ დაუფლების გამო⁴. იუსტ. აბულაძეს ამაზე ასე უპასუხნია: „ვეცდები, რაც ძალი და ღონე შემწევს, გაეპართლო თქვენი ასეთი იშვიათი ყურადღება თქვენი მოწაფისადმი“⁵.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თბილი ადამიანური დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა და საქმიანი ურთიერთობა ამ ორ პიროვნებას შორის არ შეწყვეტილა იუსტ. აბულაძის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც. იუსტ. აბულაძის და ნ. მარს შემდგომ ურთიერთობაზე მეტყველებს არქივში მიკვლეული ორი საქმიანი წერილი:

„მაო იუსტინე“

თქვენმა წერილმა სულზე მიმიწრო, გარნის მივეშურები, და რომ ცოტა დაგვიანებულიყო, ერთ თვემდე პასუხს ვერ მოვასწრებდი.

წიგნი ახლა ჩამოსრული უნდა იყოს, დავეკითხე ტელეგრაფით და მიპასუხეს, იენისის დამლევს ვავჯავნეთო.

სვანეთში ავგ. ოც რიცხვებში ვაპირებ. ხანა სიცივის იქნება, მაგრამ ამდენ წყის შემდეგ რამოდენიმე ყინვაც საჭიროა, თოვლი ვერ შემაწუხებს, რადგან იქ სიძველეთ აღარ ვეძებ, მარტო ენაზე ვიქნები მიჩენილი.

ქუთაისში დაახლოებით 22 ან 23 აგვისტოს ვიქნები, იქითობას არც თბილისში, არც ქუთაისში არ შეეჩერდები ერთ წუთსაც თუ ცხენები ვიშოვე ქუთაისში, რადგან დრო ცოტა მაქვს, სულ ერთი თვე სვანეთისთვის, ხოლო საქმე ბევრი.

თქვენთან ერთი თხოვნა. გელათის მხატვრობათაგან (ძველი ქართული მხატვრობა) დაგვიკრიდა ერთი სურათი ტიგრან პონენის ქართულ (ქალკედ.) ეკლესიის მხატვრობასთან შესადარებლად. თუ ახლავ იშოვება ვინმე ფოტოგრაფთაგანი, გელათს გავმგზავროს და ქვემოთ ჩვენებულ გვერდს სურათით გადმოგვიღოს ფოტოგრაფი. დიდ თაბახზე (18 x 24), ხარკს ვკისრულობ და ერთი სურათის ღირებულება გადამხდევინოს. საჩქარო მაინც და მაინც არ არის, მაგრამ იქნებ თქვენ უფრო ადვილად მოაწყობთ ეს საქმე და მითომ მოგმართავ. ქუთაისში ბევრი ნაცნობები გვეყოლებათ. ძნელი ის არის, რომ გვერდი არ ვიცით აქ ხელნაწერის. ცნობილია, თვით ვანთქმული გელათის სახარებაშია ჟოჯოხეთის სურათი, მისი გადმოღება საჭირო, ფოტოგრაფმა უნდა გადაათვალიეროს ეს ჩინებული ხელნაწერი და მიავნოს. შესძლებს განა რომელმე ქუთაისელი ფოტოგრაფი? თუ ახლავ მოეწყო, დაბეჭდილი ორი პირი ან თვით ნეგატივი გამოგზავნიეთ შემდეგი ადრესით დაზღვეულ: г. Александрополь (Губ. უბ.) Никите Егоричу Халатову для передачи проф. Н. Я. Марру. თუ არა, იქნებ შემდეგში მოეწყოს. მე აქ დაებრუნდები არა უადრეს ხუთ მარაზობისთვისა.

თქვენი პატივისმეფელი ნ. მარია.“

წერილი არ არის დათარიღებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის უნდა განეკუთვნებოდეს 1910--11 წლებს. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში მიმდინარეობდა სწორედ გარნისის გათხრები. გათხრები გარნისის მიდამოებში დაწყებულა 1910 წლის ზაფხულში, ანისის გათხრების შემდეგ. სვანეთში ნ. მარია პირველად გამგზავრებულა 1911 წლის ზაფხულში, იმ მიზნით, რომ შეეცნაველა და განემტკიცებინა თავისი მოსაზრებები სვანური ენის სემიტიკურ ენებთან ნათესაური კავშირის შესახებ.

ნ. მარის მეორე წერილი ძირითადად ეხება სომხურ-ქართული ფილოლოგიის აკვლევართა ყრილობის მასალებს. ეს ყრილობა ნ. მარის ინიციატივით უნდა შემდგარიყო 1910 წელს თბილისში. ყრილობის მომწყობი კომიტეტის ერთ-ერთი წევრთაგანი იყო იუსტინე აბულაძე. ყრილობა თავის მხრივ ითვალისწინებდა კავკასიის შესწავლას ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული თვალსაზრისით, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გათვალისწინებით, რის განსაზოციებლადაც საჭირო იყო საქართველოსა და სომხეთის მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის დამყარება, რათა მათი მუშაობის ნაყოფი უფრო პროდუქტიული ყოფილიყო აზრთა ურთიერთგაცვლის შედეგად.

შემდგარა მხოლოდ სამი მოსამზადებელი სხდომა, ხოლო ყრილობის საბოლოო მოწყობაზე თავად ნ. მარს უთქვამს უარი, რამეთუ ის დებულებები, რომელიც იმჟამინდელი კავკასიის ხელისუფლების წარმომადგენლებს წაუყენებიათ ყრილობისათვის, არ აკმაყოფილებდა ნ. მარს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებულ პირველ შთაბეჭდალებებზე მოგვითხრობს ახალგაზრდა იუსტ. აბულაძის ორი საინტერესო წერილი, მიწერილი ერთი თავისი გიმნაზიელი მეგობრის გიორგი ალექსის ძე ახვლედიანისადმი და მეორე — თავისი უმცროსი ძმის გიორგისათვის. ორივე წერილი დაახლოებით მსგავსი შინაარსის შემცველია. ამიტომ აქ მხოლოდ ერთ მათგანს მოვი-

ტანთ სრულად, ხოლო მეორედან, რომელიც სამწუხაროდ ნაკლებია. ცალკეული ადგილებით შემოვიფარავლებით.

„ძვირფასო მშო გიორგი!

მოგიერთხაე ძმური სიყვარულით და ესთხოვე ყოველ შემძლებელ ღმერთს შენს ბედნიერ სიცოცხლეს და კეთილ წარმატებას. შენი წერილი მზელ 13 ოქტომბერს, და უნდა ვიფიქრო, რომ ჩემს სიამოვნებას საზღვარი არა ქონდა. მე თუ მოკითხე, მშო, კარგათა ვარ, არც არავითარი გვირგვინები მომდგომია ჭერ-ჭერობით. ჩემი ფაქულტეტი მაინც და მაინც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მხოლოდ (ვითამე ქვია), ვითამე ქვია კი არა გვარია იმდენი არაბული ენა, მაგრამ ისეც მარტო შობამი უნდა ვისწავლო, ლრამბატკას რომ დავასრულებ (არაბულ გრამ.), მერე პირდაპირ სპარსულზე გადავალ; თუ არაბული გრამატიკა არ იცი, ისე შეუძლებელია სპარსულის შესწავლა. მარტი მირჩევს მერეც განვაგრძო არაბულის სწავლა. მერე გავაგრძელებ თუ არა ჩემ სურვილზე კიდია. ახლა ქართულსა და სომხურს ვსწავლობ. ორივე გრამატიკიდან დამაწყებინეს. ქართულზე ჯერ ბრუნვებს ვადივარ, მხოლოდ უკანასკნელ ლექსაზე ქონდა ლაპარაკი მშობრახე ცავარელს, დღეს, ესე იგი 13 ოქტომბერს. ცავარელი კარგი პროფესორია, მაგრამ ცოტა ზარმაცობს და მშირად არ დადის უნივერსიტეტში, რადაც გულაგორებულებით არი. მე იმის ამგვარ საქციელს იმით ვხსნი, რომ ჩემს მეტი ყურის მგდებელი არაინა აყეს მხოლოდ მეორე ყურსზე არის ერთი ჭავხიშვილი, ძალიან მუყაითი ამაწვილი, რომლის ძალიან მაღლივრია ცავარელი და ნამეტრე მარტი, რომელიც მეტის მეტად აქვებს. პირველ გაყენობისთანავე მარამ მითხრა, ექვეყნულად გავცანი ჭავხიშვილს თუ არ იცნობო, ჩემ ხელში ის ჩინებულად სწავლობს და ის გიხელმძღვანელებს, თუ რამ გავძნელდეს ჩემს საგანშიო. რამდენადაც ცავარელი ზარმაცია და გულაგორებულებით ირჩება, იმდენად მარტი ბეჭითად და მომეტებული გულმოდგინებით ასრულებს თავის საქმეს. მაგრამ რაც შეეხება გავითარებულობას, ჩემი აზრით, უფრო მაღლა დგას ცავარელი, თუმცა ენების ცოდნაში მარტო ტოლი არა აქვს, იცის სუყველა ევროპიული ენები და, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ენებაც მშვენივრად აქვს წესწავლილი. მე ახალ ენებში ფრანგული ენა ავიარჩიე. ის შედის ჩემ პროგრამაში და ვგზამენსაჲს მომთხოვენ თავის დროს. მე გულმოდგინეთ შევეუძეპენემეტურის სწავლასაც, ნემეტური ენის ლექციებზე ყოველთვის დავდივარ. ფრანგული ენის ლექციებს წრეულს არ კითხულობენ, ჩემით ვმაცადინობ. ჩემთვის აუცილებელი საჭიროებაა, მარამც პირველად ის მითხრა, ევროპული ენების ცოდნა, ნამეტრე ნემეტურის და ფრანგულის. გარდა სომხურ-ქართულ-სპარსულ-ფრანგულისა ჩემ პროგრამაში შედის აგრეთვე რუსული ლიტერატურა და აღმოსავლეთის ისტორია. ახლა რომ გავაცნო ჩემი შეცადინობის ხასიათი, საჭიროა ამისათვის იმის ახსნა, თუ რას წარმოადგენს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ მეცნიერების ტაძარი, ბევრად განირჩევა სკოლებისაგან და სამინისტრო სასწავლებლებისაგან. აქ მმრტანებული არაინა გვაყეს, ძალის არაინა ვატანს, გინდა ისწავლე, გინდა არა, შენი მმრტანებული და გზის მაჩვენებელი თითონ შენა ხარ. ის ფორმანული მოთხოვნილება, რომელიც სასწავლებლებშია, აქ არ არსებობს. შენ შენთვის, პროფესორი მისთვის. პროფესორი შენზე არავითარი უფლება არა აქვს, მხოლოდ შემოდის აუდიტორიაში, სრდაც შეკრებილია სტუდენტობა და კითხულობს ლექციებს. იმან არც კი იცის შენ ვინა ხარ. ლექციებზე იწყება 9, თავდება 3 ან 4 საათზე — ეს საზოგადოთ, კერძოთ კი — მე რომ იუსტინე აბულაძე ვარ, ვზივარ ჩემთვის ოთახში და ველო იმ დროს და საათს, როდის მოაწევს უნივერსიტეტში წასვლის დრო, ვთქვით მარტი დღეს 10 ან 11 ან 3 ან 2-ზე კითხულობს ლექციას, დაეხედავ საათს, მოაწევს დრო, დაიხურავ ქუდს, მოისხამს პალტოს და წაბრძანდება უნივერსიტეტში. შესავალ „კარადლორში“ დავინახავს შევიცარი, მფარგლება, ჩამოვხდის პალტოს, და ჩამოვიდებს — ასევე — წასვლაზე, დაეხედავ ყოველდღიურ განწყებას, წაიკითხავ, ვაკივებ, რომელ აუდიტორიაში კითხულობს ეს და ეს პროფესორი ლექციას და შეხვალ, მშვენიერ დიდებულად მოწყობილ ოთახებში, საზოგადოთ მოწყობილობით პეტერბურლის უნივერსიტეტი ყველა უნივერსიტეტებზე უკეთესია, თუმცა ყველგან ამგვარივე წესწყობილება. თითო ლექცია თითო საათს გრძელდება. შეგიძლია ყველა ლექციებზე იარო, სრული ნება გაქვს, ოღონდ კი რამე გამოიტანე და. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ თუ სტუდენტი თითონ თავად არ მოუშობს, ნერაფერს შეიძენს, ნამეტრე მე რა უნდა შევიძინო, თუ მარტო აღმოსავლეთის ენების გრამატიკული ლიტერატურის შესწავლით დაბოლოვდა ჩემი განათლება. უსაჭიროესი ყველაზე წიგნების კითხვაა, რომ საფუძვლიანი ცოდნა გექნეს. გარდა ამისა შავი (ფიქრი) ნაღველი მაწევაა გულზე, მზრუნის, რომ დავფიქრებდი ჩემ მომავალზე, მარამც ისე მითხრა, კარგათ დავფიქრდი, მომავალზედაც იფიქრეო, თუ არ შეგიძლია უზრუნველად ცხოვრება, თუ არ იმსახურე ისე ადგილთ არსად ექნება შენი განყოფილებადამათერებულებს. ახლა შენგან ველო

მსჯავრს. ეს ფიქრი მე და შენ შუა დარჩეს, არავის გაუზიარო. პეტერბურღს შემდეგ წერილში ავიწერ, თუ ამის პასუხს მალე მომწერ. იცოდე ხშირად მომწერე წერილი.

იუსტიციე“

ამ წერილის ადრესატი — გიორგი ალექსის ძე ახვლედიანი იყო შემდგომში საზოგადო მოღვაწე, მთავრობის რაიონის პირველი აღმასკომის თავმჯდომარე. ეს წერილი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. წერილი, მართალია, დათარიღებული არ არის, მაგრამ ეკვს გარეშეა, რომ ის იუსტ. აბულაძეს უნდა დაეწერა 1897 წლის შემოდგომაზე, პირველი კურსის პირველ სემესტრში, ვინაიდან აქ იგი პეტერბურღის უნივერსიტეტში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე საუბრობს. დასაძანია, რომ მათ შემდგომ მიმოწერაზე არაფერი ვიცით. ისე კი ამჟამად, მიმოწერა გაგრძელდებოდა.

„ძმო გიორგი!“

1897 წელს შენდა საბედნიეროთ მოგლოცავ ტანის სიძრტელეს, დღევრძელ სიცოცხლეს შენი ოჯახში მყოფელებით და ყოველი შენი კეთილით გისურვებ. შენი წერილი ბევრი ლოდინს შემდეგ მივიღე და, რა თქმა უნდა, გიორგი, რომ დიდათ ვამახარა როგორც თითო წერილის მიღების გარემოებამ, ისე შიგ დაღვრებით მოთავსებულმა სასიამოვნო ანებებამ. ამ წერილის მიღებასთან, რა თქმა უნდა, მეც მიკითხავ, და, ამიტომ, უნდა პირველად მოგიხატო ჩემი ანბავი, მე, როგორც ჩვენებისაგანაც შეიტყობდი, არ ვაღმისხვევია ჩემგან არჩეულ გზიდან. კარგი ვქენი, თუ ცუდი — ამის განსჯა, აწონ-დაწონა ამ წერილის პასუხისთვის მიმიძღვია. (ახლა) მე მხოლოდ ჩემი საქმეების ავ-კარგისთვის შესახებ მოგწერ...

...ამ განყოფილების პირველ-მთავრე სემესტრზე ესე იგი I-ლ კურსზე 1897 წ. არავინ არი ჩემს გარდა, მეორე კურსზე III-მე სემესტრზე კი არის ერთი ქართველი აღმოსავლეთის საქართველოდან ივანე ჯავახიშვილი, რომელიც კარგად შეუდინებობს და ქართულ სტუდენტობაში კარგი ქართულის მცოდნის სახელი აქვს დაერძინილი, თუმცა ჩემის აზრით, ქართულში ვერ არის, როგორც უნდა ისე მაგარი, საზოგადოდ კი კარგათ მაცოდინობს და, მეონა, მომავალ პროფესორობაზედაც ოცენობობს. ღმერთმა კეთილი ქნას! რამდენად მეტი იქნება ჩემში კარგი კაცი, იმდენათ ჩემთვის უკეთესია, რადგანაც კრუხების შიშით ქორი წიწილს ვეღარ წავგარძრევის. ათ ეს ჯავახიშვილი 2-რე კურსზეა, მე ერთადერთი კი I-ლ კურსზე ვარ. ახლა, რადგანაც ამდენი ხანი ვარ ამ ფაკულტეტზე, იმედი მაქვს შემძლია ვაღმოცეე მისი ხასიათი და ვიპასუხო ამ კითხვანზე: „მისცემს თუ არა იგი კაცის მკუთარონებას რაიმე ნაყოფს?“ რასაკვირველია, ყოველი კაცისთვის სასიამოვნოა ესმოდეს კარგი მდგომარეობა თავის ქვეყნის, ესმოდეს, რომ ის შვილია დიდებული წარსულის, ესმოდეს, რომ ის არის წყალწალბებული, რომ იმას აქვს თავის სამშობლო, ჰყავს თავის თან-მოძმეები, რომლებიც სიამაყით წარბოხთქვამენ დიდებული სამშობლოს შარაქანდელით მოსილ სახელებს და სასოებით იხსენიებენ წმიდა მამებს, რომლებმაც შექმნეს ეკლესია, დავეტოვეს სამშობლო ენაზე საეკლესიო ლიტერატურა, და რომლებსაც, ეს კი ყველაზე უფრო სასურველია, საქმიანად სურთ წარსულის შესწავლა და დაფანება. მე, არ მეონა, მოიპოებოდეს დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელსაც ეს ბუნებასა, თუ რომ ეცდები და სიურჟეის ფარდას ახლი მის ცნობიერებას, არ გამოაჩრდეს. ეს რომ ასეა, ამაზე შენც დამომოწმები და იმასაც დამოწმებ, რომ სატყობა-ლურათ მეცნიერული გზით შესწავლას შეუძლია მხოლოდ სრულიად დააკმაყოფილოს ეს გრძნობა, რომელიც გამჭდარი აქვს გულში ან უნდა ქონდეს ყოველ“...

დასაძანია, რომ ამ საინტერესო წერილის დასასრულს ვერ მივაკვლიეთ არქივში.

ეს წერილი, თავის მხრივ, ყურადსაღებია იმით, რომ მასში ნათლად შეიგრძნობა მომავალი მეცნიერის მოქალაქეობრივი მრწამსი, მისი სერიოზული დამოკიდებულება არჩეული საქმისადმი და ღრმა პატივისცემა თავისი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული წარსულისადმი.

1900 წელს იუსტ. აბულაძე პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს პეტერბურღის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტს ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განხრით. აქ მან გაიარა დიდი ორიენტალისტური სკოლა. როგორც კარგი მომავლის მქონე სტუდენტს, თავისი პედაგოგების, ცნობილი მეცნიერების ალ. ცაგარლის, ნ. მარისა და ვალენტინ ქუკოვსკის

რეკომენდაციის თანახმად, მას შეეძლო პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენა და იქ მომავალში სამეცნიერო მოღვაწეობის გაშლა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იუსტ. აბულაძე ბრუნდება საქართველოში, სახლდება თბილისში და სათანადო კოდნით აღჭურვილი იწყებს თავის ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ძალზედ საგულსხმოა, რომ მეცნიერს ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში დასახული მიზნისათვის (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ღრმად შეესწავლა მსოფლიო მწერლობის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი „ვისრაიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“) არ უღალატია თავისი სიკოცხლის უქანასკნელ წუთებამდე. ამ ორი ძეგლის შესწავლას მან არაერთი მნიშვნელოვანი და მეტად ყურადსაღები გამოკვლევა უძღვნა. მაგრამ მარტო ამ ძეგლთა შესწავლით არ ამოიწურებოდა მისი ინტერესების სფერო. ასევე დიდია მისი დამსახურება აღმოსავლური ლიტერატურის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლის „შამაქ-ნამეს“ ქართული ვერსიებისა და მისი ლექსაკის შესწავლის საქმეში.

1916 წელს, ხანჯრძლივი მუშაობის შემდეგ, იუსტ. აბულაძე აქვეყნებს „შამაქ-ნამეს“ ანუ მეღეთა წიგნის ქართული ვერსიების I ტომს, წინასიტყვაობით, ტექსტის ვარიანტული წაკითხვებით და ვრცელი ლექსიკონით.

ამ გამოცემას თავის ღრობზე მხურვალედ გამოეხმაურა აკად. ნ. მარი, რომელმაც 1918 წელს თავის მოხსენებაში „Из грузинско-персидских литературных связей“, მიძღწილს მისი მასწავლებლების ე. რ. როზენის, კ. გ. ზალემანისა და ვ. ა. ჟუკოვსკის ხსოვნისადმი, ვრცელი რეცენზია უძღვნა ამ ნაშრომს და აღნიშნა:

«Издание Ю. И. Абуладзе, бесспорно, ценный вклад в историю изучения грузинской литературы; в отношении памятников ее Возрождения это первый опыт такого задуманного в широком масштабе и исполненного с большой преданностью делу, с необычайно любовным вниманием к персидско-грузинским литературным связям и исключительной ориентированностью в мало привлекательных по художественному значению литературных произведениях Возрождения, что и дает Ю. И. Абуладзе силу, делая свое скромное, нужное дело мастерски, попутно делиться ценными наблюдениями и бросать меткие замечания. При этом, на всем лежит печать близкого духовного общения с нами, с петроградской востоковедной средой: Ю. И. Абуладзе не только питомец факультета восточных языков, но и упорный проводник в грузинovedной литературе, независимо от грузинско-персидских литературных связей, того общего интереса к персидским творениям, в частности, к персидским эпическим рассказам и особенно к «Книге царей», который так сильно занимал наши круги иранистов именно в части об ее генезисе, о генезисе «Книги царей»¹⁰.

დასაინანია, რომ ნ. მარი ვერ მოესწრო „შამაქ-ნამეს“ ქართული ვერსიების II ტომს, რომლის გამოცემაშიც ალ. ბარამიძეს, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძესა და აკ. შანიძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღოდა იუსტინე აბულაძესაც. ეს გამოცემა გამოვიდა სწორედ ნ. მარის გარდაცვალების წელს — 1934 წ.

ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე (1918 წ.) იუსტ. აბულაძე მიწვეულ იქნა სპარსული ენის ლექტორად. ამ დროისათვის იგი როგორც თბილისის, ასევე პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში

ში სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდა, ჰქონდა პედაგოგიური მოღვაწეობის საკმაო სტაჟი (20 წელი). როგორც თვითონაც აღნიშნავს თავის ერთ-ერთ წერილში, უმსახურია ქართული, რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად: თბილისის სახელოსნო და პირველ კომერციულ სასწავლებლებში რუსულ-ქართული ენის მასწავლებლად, მანთაშვილის საავაქრო სკოლაში და მე-5 გიმნაზიაში — ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად. აგრეთვე ასწავლიდა სპარსულ გრამატიკას და გერმანულ ენას თათრული ენის საშუალებით ტფილისის ირანული ენაგუშენის მედრესეში (იოთხთაქში) 1909—1914 წლებში¹¹. ამ დროისათვის იგი იყო უკვე „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების I ტომის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი (1914 წლის) მეცნიერული გამოცემისა და სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი და მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, მისივე მუზეუმის დირექტორი. ამავე დროს ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ირანულ-ქართულ ფილოლოგიაში. საეციალურად იკვლევდა ქართულ საერო ლიტერატურას, განსაკუთრებით კი ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს.

მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ერთი საყურადღებო დოკუმენტის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ იუსტიცე აბულაძე ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ოფიციალურ გახსნამდე (1918 წლის 26 იანვარი), კერძოდ 1917 წლის 26 ნოემბერს, უკვე მიწვეული იყო უნივერსიტეტის მეცნიერ ხელმძღვანელად (ლექტორად) სპარსულ ენაში¹².

ამასვე ადასტურებს მოგვიანებით თავად იუსტიცე აბულაძეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დ. ყოფშიძისადმი მიწერილ წერილში, სადაც ვკითხულობთ: „თბილსახუნტის დაარსებიდან, სადაც მე გაყვანილი ვიყავი 5 პირის შემადგენლობაში (ჯავახიშვილი, თაყაიშვილი, მელიქიშვილი, კეკელიძე და მე), ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში დავინიშნე მეცნიერ ხელმძღვანელად და პირველ ლექტორად ჩემ მიერ წაკითხული იქნა ახალ დაარსებულ სახუნტში 1918 წლის თებერვალში“.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ სწორედ 1917 წლის 26 ნოემბერს ექვთ. თაყაიშვილის ბინაზე შემდგარა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, ავ. შანიძე. სხდომას თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი. მდივანი ყოფილა ავ. შანიძე. სხდომაზე მიღებული დადგენილების მიხედვით უნდა დაარსებულიყო ერთი სიბერძნის მეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, 2. სამათემატიკო, 3. საბუნებისმეტყველო. პირველ რიგში უნდა გახსნილიყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება. აქვე უნდა გადაწყვეტილიყო უნივერსიტეტის მომავალ პროფესორთა, მეცნიერ, ხელმძღვანელთა და ლექტორთა შემადგენლობაც.

არსებობს აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილი დოკუმენტი, რომლის პირველ ნაწილში მოცემულია თბილისის უნივერსიტეტის პირველი გამგეობის მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის მომავალ პროფესორ-მასწავლებელთა სია 7 პროფესორის, 2 მეცნიერ ხელმძღვანელისა და 4 ლექტორის შემადგენლობით. ამ მეცნიერ ხელმძღვანელთაგან ერთი იყო ექვთ. თაყაიშვილი (ქართული სიძველეთა მეცნიერება ანუ არქეოლოგია), ხოლო მეორე — იუსტიცე აბულაძე (სპარსული ენა)¹³.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 7 წლის შემდეგ, კერძოდ 1924 წლის აგვისტოში, იუსტ. აბულაძე უკვე მიემგზავრება ლენინგრადს სადოქტორო გამოცდების ჩასაბარებლად სპარსულ ენასა და სპარსული ლიტერატურის ისტორიაში.

არქივში დაცული ორი წერილიდან (დათარიღებულია ერთი — 1926 წლის 24 აპრილით, მეორე — ამავე წლის 17 დეკემბრით), რომლებიც მსგავსი შინაარსისანი არიან, ირკვევა, რომ იუსტ. აბულაძეს ეს გამოცდები ლენინგრადში წარმატებით ჩაუბარებია.

ამასვე აღსატურებს ნ. მარის „Отзыв от Ю. И. Абуладзе“¹⁴ და ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებული აღმოსავლურ და დასავლურ ენათა კვლევა-ძიების ინსტიტუტის უმაღლესი სამეცნიერო საბჭოს ოქმები, რომლებსაც ხელს აწერს ინსტიტუტის ნამდვილი წევრი, პროფ. ა. რომასკევიჩი¹⁵.

არქივში აღმოჩნდა აგრეთვე ა. რომასკევიჩის სამი წერილი იუსტ. აბულაძისადმი, რომლებიც განეკუთვნებიან 1925 წელს. ეს წერილები უმეტესად პირადი ხასიათისაა, ამიტომ მათზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რომასკევიჩი შემდეგშიც დაინტერესებული ყოფილა იუსტ. აბულაძის საქმიანობით.

არქივში მივაკვლიეთ ამ პერიოდთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საინტერესო წერილს, რომელსაც აკად. ა. კრიმსკის დავალებით წერდა იუსტ. აბულაძეს ჩვენთვის უცნობი პირი (სამწუხაროდ, გვარი ვერ ამოვიკითხეთ). წერილი დათარიღებულია 1925 წლის 21 აპრილით. წერილის P. S.-ში აღნიშნულია, რომ „Акад. Крымский просит сообщить, что наиболее ему дать отзыв о Вашей работе, грузинской версии Шах-наме“. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, გამოეხმაურა თუ არა მართლაც აკად. ა. კრიმსკი იუსტ. აბულაძის ამ ნაშრომს, მაგრამ თვით ფაქტი ყურადსაღებია. ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმ დიდი რეზონანსისა, რაც იუსტ. აბულაძის ამ შრომას გამოუწვევია მეცნიერთა ფართო წრეში.

ეს წერილი ყურადსაღებია იმიტაც, რომ აქედან ირკვევა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დაინტერესებულობა არა მარტო იუსტ. აბულაძის პირადი შრომებით, არამედ საერთოდ ქართველი მეცნიერების სამეცნიერო შრომებითაც, რომლებიც სამწუხაროდ ვერ აღწევდნენ კიევის სამეცნიერო წრეებამდე. ამიტომ წერილის ავტორი უმორჩილესად თხოვს იუსტ. აბულაძეს შეძლებისდაგვარად ამ ხარვეზის შევსებას.

ვინაიდან წერილი საინტერესოა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მის აქ მთლიანად მოყვანას:

Глубокоуважаемый Коллега!

По просьбе акад. Крымского высылаю Вам те из его трудов, которые изданы Украинской Академией Наук за время ее существования. Денег мы с Вас не возьмем, но покорнейше просим, по мере возможности, высылать нам как Ваши личные так и вообще Тифлиссские научные труды, которые выходят там.

До нас почти ничего не доходит, а нужны они нам безусловно.

Труды акад. Крымского, изданные до революции, достать довольно трудно. Некоторые из них сохранились у него по I экз., а большинства даже и у него нет совсем. Если мой сотрудник, которому я поручил поискать их у книжников Киева — достанет что-нибудь, я охотно вышлю их Вам наложным платежом. Конечно легче всего было-бы достать их в Москве в бывш. Лазаревском институте, но обратиться туда лучше уж Вам лично.

С искр. уваж. (?)

¹⁴ «Отзыв об Ю. И. Абуладзе», А-1273, 1924 г., Ленинград. აქ მოვიყენებთ მხოლოდ რამდენიმე ადგილს, რომელნიც მოწმობენ, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. მარი იუსტ. აბულაძის მიერ გამოცემულ «შპ-ნამეს» ანუ შეფეთა წიგნის ქართული ვერსიების 1 ტომს და მის რუსთველოლოგიურ მოღვაწეობას: «...Достаточно знать, что Ю. И. Абуладзе мы обязаны первым изданием грузинской версии персидской эпоса Шахнамэ с критическим аппаратом и с глоссариями, чтобы признать в нем вполне квалифицированного научного работника по средневековой грузинской литературе. Грузиноязычная область ему обязана другим основным текстом важнейшего памятника грузинской светской литературы — «Витязя в барсовой шкуре», первым опытом воспроизведения рукописного подлинника, как он предлагал в слывущей за лучший список рукописи... Издание Ю. И. Абуладзе оказалось снабженным опять-таки филологическим аппаратом, толкованиями трудных и редких слов, свидетельствующими о прекрасном знании грузинского языка, умении выявлять вклады различных языков мусульманской культуры, равно армянского языка в грузинские литературные памятники по его специальности. Он один из немногих руставелистов, единственный по полноте знакомства с литературой. Творению Шоты из Рустаза им посвящена не одна работа... При учете факта, что Иуст. Ир. Абуладзе уже известный исследователь с независимыми взглядами по основным вопросам средневековой грузинской литературы, я не нуждался собственно в коллоквиуме, чтобы признать его вполне квалифицированным научным работником по грузинской филологии. Ряд вопросов по занимающим его темам, в частности Руставели, Висрамиани и Житию Григория Хандзтийского мог только лишний раз подтвердить то, что и без того известно...»

¹⁵ ამ ოქმების ასლი დაცულია იუსტ. აბულაძის პირად არქივში.

Н. Г. МАКАДЗЕ

О ЖИЗНИ И НАУЧНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ Ю. И. АБУЛАДЗЕ

(По архивным материалам)

Резюме

В статье рассматриваются некоторые вопросы жизни и научно-общественной деятельности известного ираниста, руствелолога, заслуженного деятеля науки, доктора филологических наук проф. Юстина Ираклиевича Абуладзе по неопубликованным архивным материалам ученого.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში

უჩა ცინფელიანი

ახალი მასალები გიორგი მთაწმიდელის
მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ(საწინასწარმეტყველოს გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის
მიმართებისათვის შეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებთან)

ცნობილ მთარგმნელსა და მოღვაწეს გიორგი მთაწმიდელს სხვა მრავალ თარგმანებთან ერთად ლექციონარის ანუ, როგორც მას ქართულად უწოდებენ, „საწელიწდო საწინასწარმეტყველოს“¹ თარგმანიც მოუცია. ხელნაწერი², რომელიც საწინასწარმეტყველოს გ. მთაწმიდლისეულ თარგმანს შეიცავს, გადაწერილია 1085 წელს. გადამწერის ანდერძი ამ ხელნაწერის შესახებ შემდეგს ევამცნობს: „დიდებამ ღმერთსა სამებით დიდებულსა! დაეარულა საწელიწდომ საწინასწარმეტყველომ წესსა ზედა ბერძულსა ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გი მთაწმიდელისა ამ სრული ყოვლითურთ და უნაკლულოა. მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი, დაეწერე წმიდამ ესე წიგნი საწინასწარმეტყველომ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის სალოცველად ღთივ გვრგვნოსანთა მეფეთა ჩნთა გი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა ღთ მეფისა და სევასტოსისა. საუკუნომცა არს კეთილი საქსენებელი მეფობისა მათისა და კლდ სალოცველად ძმათა ჩემთა იწე კყონდიდელმთავარებისკობოსისა და სენგელოზისა პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა და ჩემ ცოდვილისა ცა ეგნატისათვის ლოცვა ყაუთ. ოწ დაგაჭეროს. ქრონიკონი იყო ტ და ე. დაიწერა მოსე ხუცისა ხანტელისა კელითა“ (II 1350, 93r).

თავი რომ დავანებოთ ანდერძის ღირებულებას ისტორიკოსის თვალსაზრისით, ფილოლოგიისათვის აქ მოცემულია სამი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: 1. „საწელიწდო საწინასწარმეტყველო“ შედგენილი ყოფილა „წესსა ზედა ბერძულსა“, 2. ეს „წესსა ზედა ბერძულსა“ გამართული ტექსტი კვალიფიცირებულია როგორც „ახალ თარგმნილი“ და 3. ცნობილია მთარგმნელის ვინაობა. ერთი სიტყვით, დასახელებულია სათარგმნი წყარო, მოცემულია თარგმანის კვალიფიკაცია და მთარგმნელის ვინაობა. ამას უნდა დავმატოვო ანდერძში შატბერდის ლავრისა და ხანძთის (ხანტელის) ხსენება.

ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ეს საწინასწარმეტყველო დღემდე სრულიად შეუსწავლელია, თუმცა ამგვარი დახასიათების მქონე ტექსტის ურთიერთმიმართების გარკვევა უკვე მანამდე არსებულ ქართულ თარგმანებთან საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით. დასადგენია: 1. რა მიმართებაშია საწინასწარმეტყველოს ტექსტი ბერძნულ წყაროებთან 2. რას წარმოადგენს ეს „ახალ თარგმნილი“ ტექსტი; არის ის მართლაც ახალი თარგმანი დღევანდელი გაგებით, თუ მას მზამზარეული თარგმანი უდევს საფუძვლად;

3. თუ წამოზარეული თარგმანი უდევს საფუძვლად, მაშინ რომელ ვერსიას ანიჭებს მთარგმნელი უპირატესობას, და რატომ რა პრინციპით მუშაობს მთარგმნელი მზამზარეულ ტექსტზე. აი რიგი საკითხებისა, რომლებიც ბუნებრივად წამოიჭრება ამ პრობლემასთან დაკავშირებით³.

ყველა ამ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება საწინასწარმეტყველოს მთლიანი ტექსტის შესწავლის შემდეგ. ჩვენ ამჟერად ვიფარგლებით იმ საკითხების განხილვით, რომლებიც თანხედება მეფეთა III—IV წიგნების ტექსტს⁴. საწინასწარმეტყველოს ტექსტი დამოწმებულია A 192 ზელნაწერის მიხედვით = (A 192 + H 1350). დროდარო მოგვყავს A 672 ნუსხის ჩვენებაც, რომელიც ამავე რედაქციის საწინასწარმეტყველოს წარმოადგენს.

1. საწინასწარმეტყველოს ტექსტის მიმართებისათვის ბერძნულთან. რაკი ანდრეში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „დაესრულა საწელიწო საწინამსწარმეტყველო წესსა ზედა ბერძულსა“, საეკვო აღარაა, რომ საწინასწარმეტყველოს ტექსტი ბერძნულიდანაა თარგმნილი. ამავე დროს ეს უნდა ნიშნავდეს: არა მარტო ბერძნულ წყაროზე მითითებას, არამედ მისი ტრადიციისა და შედგენილობის დაცვასაც მთარგმნელის მიერ. სწორედ ამით უნდა ავსნათ ის თავისებურებანი, რომლებსაც საწინასწარმეტყველოს ტექსტი ავლენს ბიბლიურ ტექსტებთან მიმართებით შედგენილობის თვალსაზრისით. რა წყაროებით სარგებლობდა გ. მთაწმიდელი საწინასწარმეტყველოს შედგენის დროს?

ირკვევა, რომ გ. მთაწმიდელი მეფეთა წიგნების საკითხებისათვის სარგებლობს სხვა ტიპის ლექციონარით, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი PKS₁L ლექციონარებია. საკითხების ერთი ნაწილი (ყ 17₈₋₂₁, 18₃₀₋₃₃, 19₇₋₁₈, ბ 4₈₋₃₇, 5₉₋₁₃), დადასტურებული გ. მთაწმიდლის თარგმანში, სრულიად უცნობია PKS₁L ლექციონარებისათვის⁵.

ა. რალფსი III—IV მეფეთა წიგნებისათვის ასახელებს ლექციონარების სამ ზელნაწერს⁶, რომელთაგანაც ყველაზე სრულში, ე. წ. Codex Simenonis-ში, შვიდი საკითხავია: 1) ყ 8₂₂₋₃₀, 2) 17₈₋₂₁, 3) 18₃₀₋₁₉, 4) 19₇₋₁₈, 5) ბ 2₈₋₂₂, 6) 8₈₋₂₇, 7) 5₉₋₁₃. ოქსფორდის ლექციონარს (XI ს.) ამათგან აკლია № 1 და 4 საკითხავები, ხოლო ლექციონარის ფრაგმენტში 59 მოცემულია ერთადერთი № 4 საკითხავი. ტექსტუალური სხვაობა ამ სამ ზელნაწერს შორის, რალფსის სიტყვით, თითქმის არაა; ამასთანავე აღნიშნულია, რომ № 1, 3, 5, 7 თითქმის წმინდა ლუკიანურ ტექსტს იძლევა, მაშინ როდესაც № 2, 4, 6-ში ისეთი ტექსტი გვაქვს, სადაც ჰეგზაბლური იკითხვისები ლუკიანურთანაა აღრეული⁷.

ბერძნული ლექციონარების სხვა ტექსტები დღესდღეობით არ მოგვეპოვება.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საწინასწარმეტყველოს გ. მთაწმიდლისეულ თარგმანში არის ბერძნულში დადასტურებული ყველა საკითხავი, ამათგან № 2 საკითხავი ორჯერაა წარმოდგენილი, ხოლო № 5 გაყოფილია ორად და აკლია ოთხი მუხლი: ბ 2₁₅₋₁₈. ბერძნულთან შედარებით ქართულში მეტია სამი საკითხავი: ყ 7₃₁₋₈₁₁, 18₁₇₋₂₇, 19₁₄₋₂₇.

იმის გამო, რომ ჩვენთვის უშუალოდ ხელმისაწვდომი აღმოჩნდა მხოლოდ ლექციონარის ფრაგმენტის 59-ის ტექსტი (ყ 19₃₋₁₈), რომლის ვარიანტებიც ვერ პოლმზ-პარსონის, შემდეგ კი ბიბლიის კემბრიჯულ გამოცემაში გამო-

ქვეყნდა, ქართული ტექსტის მიმართებას ბერძნულთან დეტალურად მხოლოდ ამ საკითხავის მიხედვით განვიხილავთ.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ის გადახრა, რომელსაც ამ საკითხავის ბერძნული ტექსტი იძლევა LXX მიმართ, თითქმის უგამონაკლისოდ ფიქსირებულია ქართულში⁹. ამ საკითხავის ქართული თარგმანის რაოდენობრივი ასპექტით შესწავლამ შემდეგი სურათი გამოავლინა: სიტყვა-ერთეულების დანომვრის შემდეგ სულ ბერძნულ-ქართულისათვის მივიღეთ 221 ერთეული. ამათგან ბერძნულის 19 ერთეულს ქართულში არ აღმოაჩნდა შესატყვისი, ხოლო ქართულის 17 ერთეულს, პირიქით, ბერძნულში არ დაეძებნა ფარდი. ნაწილი ამ სხვაობისა იოლად იხსნება ტექსტოლოგიურ საფუძველზე, ხოლო ნაწილი მთარგმნელობითი ხერხების ნიადაგზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალში საცემია მაშინ, როცა ამა თუ იმ ბერძნული კონსტრუქციისა და სპეციფიკური გამოთქმის ზუსტი ქართული შესატყვისით გადმოცემა არ ხერხდება. მაგალითად, ბერძნულის $\alpha\iota\omicron\kappa\iota\ \eta\ \iota\delta\acute{\omicron}\nu\varsigma$ -ის ზუსტი გადმოცემა ქართულში აზრს გააბუნდოვანებდა: ფ რ ი ა დ გ ზ ა ე. ამის გამო ქართველი მთარგმნელი მას უმატებს: ფ რ ი ა დ ა რ ს ს ი გ რ ძ მ (სიშორე A₂) გზისაჲ A₂HO, შდრ. გრძელ არს გზაჲ FS (უფრო ვრცლად ამ საკითხზე ქვემოთ). საბოლოოდ ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის რაოდენობრივად ასეთი თანაფარდობა დადასტურდა: ბერძნულ ფრაგმენტში 202 სიტყვა-ერთეული აღმოგვაჩნდა (110 სიტყვით ნაკლები LXX შედარებით), ხოლო მის ქართულ თარგმანში 204 სიტყვა-ერთეული (108 სიტყვით ნაკლები LXX შედარებით და 98 სიტყვით ნაკლები ამავე ნაწყვეტის ოშკის ბიბლიისეულ ქართულ თარგმანთან შედარებით).

ცხადია, რაოდენობრივად ბერძნულ-ქართულ ტექსტებს შორის ზუსტი თანაფარდობაა. თუ კიდევ უფრო შორს წაველთ და ერთმანეთს შევადარებთ ბერძნულ-ქართული ფრაზების სტრუქტურას, აღმოჩნდება, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში აქაც ზუსტ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი სქემა:

$\alpha\lambda\iota-\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha\kappa\iota\varsigma$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha\kappa\iota\varsigma$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha$ — $\acute{\alpha}\lambda\iota$

და დაუტყვა—ყრმა იჯი—მისი—მენ

საგულისხმოა, რომ ამნაირად თანხედება არა მარტო მარტივი ფრაზები, არამედ რთულიც:

$\epsilon\rho\gamma\epsilon\alpha\iota$ — $\gamma\iota\lambda\iota\epsilon\omicron\upsilon$ — $\epsilon\iota\zeta$ $\kappa\epsilon\phi\alpha\chi\epsilon$ — η — $\acute{\alpha}\nu\alpha$ — $\nu\epsilon\iota$ $\iota\sigma\theta\alpha$.

წარევა—ელია—ბერსაბელ—რომელ—არს—იღდასი.

$\alpha\lambda\iota$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha\kappa\iota\varsigma$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha$ — $\acute{\alpha}\lambda\iota$ — $\nu\epsilon\iota$ — $\gamma\iota\lambda\iota\epsilon\omicron\upsilon$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha\kappa\iota\varsigma$ — $\acute{\alpha}\lambda\iota$

და—იყო—ვითარცა—ესმა—ელიას—დაიფარა

$\nu\epsilon\iota$ $\alpha\rho\tau\omega\sigma\iota\varsigma$ — $\acute{\alpha}\nu\theta\rho\alpha$ — $\acute{\alpha}\lambda\iota$ $\mu\epsilon\tau\epsilon\omicron\upsilon$

პირი—თქსი—ხალენითა.

ამრიგად, ბერძნული ლექციონარის χ_2 ფრაგმენტთან ქართული საწინასწარმეტყველო უალრესად მჭიდრო კონტაქტშია. რაოდენობრივი¹⁰ თვალსაზრისით ქართული თარგმანი შეიძლება დაეხასიათოთ როგორც სიტყვობრივი (ΠΟСЛОВНИЦ) თარგმანი. რაც შეეხება დანარჩენი საკითხავების ბერძნულ ტექსტებს, ისინი, სამწუხაროდ, ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა ჩვენთვის. ამიტომ ანალოგიური ანალიზის ჩატარება ამ მონაკვეთების მიმართ არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ საკითხავების ქარ-

თული თარგმანი ტექსტოლოგიურად ისეთსავე თვისებებს ამჟღავნებს, როგორსაც სათანადო ბერძნული ტექსტი: ნაწილი საკითხავებისა ქართულშიც წმინდა ლუკიანურია, ნაწილი კი ლუკიანეს რეცენზიის ნარევი ჰეგზაპლურთან. ეს კი საშუალებას გვაძლევს ქართული საკითხავების საკონტროლოდ, მეტ-ნაკლები სიზუსტით, გამოვიყენოთ ბიბლიის ბერძნული ტექსტი.

შეიძლება დავასკვნათ: ჯერჯერობით ქართული თარგმანის მიმართება, ერთი მხრივ, და, საწინასწარმეტყველოს დანარჩენი საკითხავების არაერთგვაროვანი შედგენილობა, მეორე მხრივ, საფუძველს გვაძლევს ქართული თარგმანის წყაროდ ვივარაუდოთ იმ ტიპის ლექციონარები, რომლებიც ა. რაღფსს დახასიათებული აქვს როგორც ვულგარული (ლუკიანეს რეცენზიისა და ჰეგზაპლური ტრადიციების შერევით მიღებული) ტექსტი.

II. გ. მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ. თავის ცნობილ ანდერძებში, რომლებიც სახარებისა და ფსალმუნის ტექსტებს დაუბრუნო, გ. მთაწმიდელმა გარკვევით აღნიშნა, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანები ბერძნულ წყაროებს ემყარება და წარმოადგენს ახალ თარგმანებს: „ესე ოთხთავი ახლად გვეთარგმნია... და ბერძულთა სახარებათა და შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა“¹¹. „მთარგმნენ ესე დავითნი ახლად ბერძულთაგან ქართულად მე, გლახკმან გიორგი... მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა“¹².

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, გაირკვა, რომ გიორგის თარგმანები ახალ თარგმანად, მისი დღევანდელი გაგებით, ვერ ჩაითვლება. ჭერ კიდევ ეფრემ მცირემ შენიშნა, რომ გიორგი მთაწმიდელმა ვერ გაწყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთან და ვერ გადმოსცა ქართულად ბერძნული დედანი საჭირო სიზუსტით¹³. ეფრემ მცირის ეს შენიშვნა გიორგისეული თარგმანების მეცნიერულმა შესწავლამაც დაადასტურა¹⁴. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს შესწავლა საწინასწარმეტყველოს გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანისა, რომელსაც იგივე ეფრემ მცირე ასეთ შეფასებას აძლევს: „ვაქებ წესსა საწინამსწარმეტყველოთა წიგნთა მთარგმნელისასა, რომელთაგანი მცირედი რამ გაეგონების უსწავლელთა გინათუ ზოგსრე სწავლულთა მიერ, გარნა სიტყუამ სიტყუსა ნაცვალი შედარებულია ბერძულითა“¹⁵. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ეფრემ მცირე ქებით იხსენიებს საწინასწარმეტყველოს მთარგმნელის მეთოდს („წესს“), რომლის მიხედვითაც ყოველი სიტყვა („სიტყუამ სიტყუსა ნაცვალი“) შედარებულია ბერძნულთან და არ ჩანს ის საყვედურები გიორგის მიმართ, რომელთაც სამოციქულოს გიორგისეულ თარგმანს, კერძოდ მის უზუსტობებს, უყენებდა ეფრემი: „ბუღლისავე თარგმნილისადა მიუყვანებია“, „ძუელისავე ჰავლისა წაყოლისაგან დაუტოვებია“¹⁶.

ამ სტატიის მიზანს წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რამდენად შეიძლება ეწოდოს საწინასწარმეტყველოს გიორგისეულ თარგმანს „ახალ თარგმანილი“ მისი დღევანდელი გაგებით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყენებს თუ არა გიორგი მთაწმიდელი მზამზარეულ თარგმანებს საწინასწარმეტყველოს შედგენის დროს. როგორც დავინახეთ, ანდერძი ამ ძეგლსაც ახალ თარგმანად მიიჩნევს: „დაესრულა საწელიწდომ საწინამსწარმეტყველომ წეს-

სა ზედა ბერძულსა ახალთარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდლისაჲ“.

გაირკვა, რომ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც საწინასწარმეტყველოს მთარგმნელს აქვს სრულიად გარკვეული მთარგმნელობითი პრინციპი; თუკი მას მოეპოვება ამა თუ იმ ბერძნული წყაროს ძველი ქართული თარგმანი, მაშინ ის კმაყოფილდება ამ ძველი თარგმანის ბერძნული წყაროების მიხედვით საგულდაგულო სწორებით და სათარგმნი წყაროს მთლიანად ხელახალ თარგმანზე ზღვს იღებს. ცხადი ხდება აგრეთვე, რომ, თუკი გიორგის არჩევანის საშუალება აქვს, მაშინ იგი არსებული ქართული თარგმანებიდან საყრდენად იღებს ისეთ თარგმანს, რომელიც მისთვის, როგორც მთარგმნელისათვის, მისაღებია, მის მთარგმნელობით პრინციპებს უკეთ შეესაბამება¹⁷. ამის გამოა, რომ საწინასწარმეტყველოს ჩვენ მიერ გაანალიზებული ტექსტი მთარგმნელობითი თვალსაზრისით ძველი ქართული თარგმანისაგან სხვაობს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც ტექსტის შედგენილობის მიხედვით ძველი ქართული თარგმანი და საწინასწარმეტყველოს წყარო ერთმანეთს სცილდება. ეს კი გვახსენებს, პირველ რიგში ტექსტობრივ საკითხებს შეეეხობთ.

III. საწინასწარმეტყველოს ქართული თარგმანის ტექსტობრივი მიმართებისათვის ზიბლიის ძველ ქართულ თარგმანებთან. ისმის კითხვა: რომელი რედაქციის ძველ ქართულ თარგმანზე აკეთებს გ. მთაწმიდელი არჩევანს?

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ გ. მთაწმიდელი იღებს ოშკის ტექსტს და ასწორებს მას ბერძნული ლექციონარის თარგმზე. მთარგმნელს, რომელიც საჭიროდ მიუჩნევია, ჩაუტრთავს, რომელიც არა — დაუკლია; ანდა, თუ ერთი ნაწილი უცვლელად გაუზიარებია, მეორე არ მოსწონებია და სრულიად ხელახლა უთარგმნია. ერთი სიტყვით, მოქმედებს იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც თავის ცნობილ ანდერძში სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბა: „ჩუენ რომელი ჭერ-იყო, ჩავტრთავს და რომელი ჭერ-იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოჰვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა“¹⁸.

III. 1. საწინასწარმეტყველოს O-ს ტექსტზე დამოკიდებულება განსაკუთრებით ნათლად ჩანს იმ მაგალითების შუქზე, რომლებიც გ. მთაწმიდლის მიერ რედაქტირებულია მხოლოდ და მხოლოდ O-ს ტექსტის ბაზაზე:

ა) ყ19₇ მუხლში O-ს გააჩნია სპეციფიკური იკითხვისი კ ე ლ ი შ ე ა ხ ო მ ა ს. საწინასწარმეტყველოს მთარგმნელი, ისევე როგორც FIJS ნუსხები, უარყოფს ამ იკითხვისს, თუმცა ტექსტობრივ საწინასწარმეტყველო სწორედ O-ს ტექსტზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს: $\alpha\lambda\iota \ \dot{\epsilon}\acute{\alpha}\nu\alpha\rho\epsilon\phi\acute{\epsilon}\varsigma \ \theta \ \acute{\alpha}\rho\chi\epsilon\iota\varsigma \ \chi\rho\iota\sigma\tau\iota \ \dot{\epsilon}\chi \ \delta\eta\alpha\rho\epsilon\theta\iota\alpha \ \chi\alpha\iota \ \eta\phi\alpha\tau\iota \ \alpha\upsilon\tau\iota\varsigma$: და მოიქცა მეორედ ანგელოზი იგი და კ ე ლ ი შ ე ა ხ ო მ ა ს O. ლექციონარში ეს ფრაზა ასე გასწორდა: მოაქცია ანგელოზმან უფლისამან მეორედ და შ ე ა ხ ო მ ა ს H, შდრ.: მიეახლა (+ მეორედ I, კულად S) ანგელოზი უფლისაჲ FIJS.

ბ) ყ18₁₇ მუხლში O-ს ტექსტი აშკარად მრჩობლ იკითხვისს წარმოგვიდგენს, რომლის პირველი ნაწილი =FIJS-ს, მეორე კი საკუთრივ O-ს ეკუთვნის: შენ ხარა მარღვ ისრაჴლისაჲ + რომელი გარდააქცევ ისრაჴლსა O. გ. მთაწმიდელი ამ მრჩობლი იკითხვისიდან იღებს მხოლოდ O-თვის სპეციფიკურს მცირეოდენი შესწორებით, ფრაზის დასაწყისში უმატებს „უკუეთუს“ = ei:

უკუეთუ შენ იგი ხარა, რომელი გარდააქცევ ისრაელსა H, შდრ.: შენ ხარა მარლუ ისრაჴლისა FIJS.

გ) განსაკუთრებით საინტერესოა $\psi 17_{15}$ მუხლის ერთი ადგილი, სადაც ბერძნ. $\chi\alpha\iota \ \psi\alpha\mu\iota\epsilon\nu \ \alpha\sigma\tau\eta \ \chi\alpha\iota \ \alpha\sigma\tau\epsilon\varsigma$, სომხ. **և կկրաւ սս և ხս** ქართულში სამი რედაქციითაა წარმოდგენილი. ამთგან J-ს იკითხვისი „და ჰამა მან და ამან“ ზუსტად შეესატყვისება აღნიშნულ წყაროებს. რაც შეეხება FIO-ს, აქ ამჟამად ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული შესწორება უნდა გვეკონდეს ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ საქმე ის განლაგვთ, რომ FI სხვაგვარ შესწორებას იძლევა, O სხვაგვარს: და ჰამა ელია და დედაკაცმან მან FI] და ჰამდა იგი და დედაკაცი იგი O. საწინასწარმეტყველო ზუსტად იმეორებს O-ს იკითხვისს. ცხადია, გიორგიმ ამ შემთხვევაში აზრის სიცხადე ამჯობინა წყაროსადმი მონურ მიყოლას, მაგრამ გაიზიარა მაინცდამაინც ის შესწორება, რომელიც O-შია წარმოდგენილი. ამ იკითხვისის შეუსაბამობა წყაროსთან საბასაც უგრძენია და თავისი რედაქცია J-ს კვალობაზე გაუსწორებია: და ჰამა მან S, თუმცა ბუნდოვანება მაინც დარჩა: არ ჩანს ვინ ჰამა, ელიამ თუ დედაკაცმა.

დ) $\delta 4_{28}$ მუხლში FIJS ნუსხებში არის იკითხვისი „ნუ მიტყუვი“, რაც = პარალელური ბერძნ. $\sigma\varsigma \ \pi\lambda\alpha\sigma\tau\epsilon\iota\varsigma \ \mu\epsilon\tau' \ \xi\alpha\mu\iota\sigma$; სომხ. **მქ სასსქ ყխ**, მაგრამ ოშქისა და საწინასწარმეტყველოს ტექსტში აქ ამოკითხვის ნიადაგზე გაჩენილი ერთნაირი მტდარი იკითხვისი დასტურდება: ნუ მეტყუ მე A₁O] ნუ მიტყუვი მე FIS.

III. 2. საწინასწარმეტყველოს O-ს ტექსტზე დამოკიდებულების მაჩვენებელი ფაქტები სხვაც მრავალია. ზოგ მათგანზე შევჩერდებით ქვემოთ, როცა მსჯელობა გვექნება მთარგმნელობითი ხერხების დამთხვევაზე ოშქისა და საწინასწარმეტყველოს ტექსტებში, ახლა კი მოვიყვანთ ტიპობრივ ნიმუშებს იმ ტექსტოლოგიური პროცედურების საილუსტრაციოდ, რომლებსაც გ. მთაწმიდელი აწარმოებს ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანზე, კერძოდ ოშქის ტექსტზე, რათა იგი მაქსიმალურად დაუახლოვოს ლექციონარის ბერძნულ წყაროს:

ა) ტექსტობრივი დაზუსტება (კლება, მატება): კმა უყო ელია უკუანა მისისა +H ($\psi 17_{10}$), რამეთუ დაუტევთ თქუენ +H ($\psi 18_{17}$), ხალენითა თვისითა +H ($\psi 19_{13}$), არა მოხუცებულ არს +H ($\delta 4_{11}$), აღდგა ელია -H ($\psi 17_{10}$), წარვიდა სარეფთად სიღონიაჲსა -H (აქვე), სული ცხორებისაჲ -H ($\psi 17_{17}$), კართაა თანა მის სახლისათა -H ($\psi 4_{15}$), ქელი შეახო მას -H ($\psi 19_{17}$) და სხვა. სულ $\psi 17-18$ თავების საკითხავების მიხედვით საწინასწარმეტყველოს ტექსტში დადასტურდა კლების 45 და მატების 19 შემთხვევა.

ბ) ლექსიკური ცვლილებანი: გარნა] არამედ ვითარ H ($\psi 17_{12}$), მიერ ჟამითგან] მიერ დღითგან H ($\psi 17_{15}$), ჟურჴელსა] სარჴუნსა H (17_{18}), მაგრამ $\psi 17_{14}$ -ში O-შიც „სარჴუნსა“ იკითხვისია. გიორგი მას უცვლელად ტოვებს, შდრ. ლავგნსა I, საფქვილესა FJS. ცოდვათა] სიცრუეთა H ($\psi 17_{18}$), შდრ. უწესოებათა FIJS, სიცრუვისათა] სირცხვისათა H (JS) ($\psi 18_{25}$), სამხრადმდე] ვიდრე შუა დღემდე H ($\delta 4_{28}$) და სხვა.

გ) გრამატიკულ-სტილისტური ცვლილებანი: დაემაღლე H (ყ17ა), მიბრძანებვის უბრძანო H (ყ17ბ), შდრ. მიმცნის FIJS, მიოვლინებიე მიავლინებივარ Ii (მ2ა), შვილთ მომსრველ ე.შვილო H(მ2ა), კმა ნიავისა წუღილი-საჲ კმა ნიავეწლილისაჲ Ii (ყ19ა), ვერლარა ჰხედვიდა მას არლარა იხილა იგი მერმე H (მ2ა), მოიქცა მეორედ ანგელოზი იგი მოაქცია მეორედ ანგელოზმან მან უფლისამან I: (ყ19) და სხვა.

დ) სინტაქსური ცვლა (სიტყვათა გადაადგილება): შენ ხარ მხოლოდ უფალი შენ მხოლოდ ხარ უფალი H (ყ18ა), დასდგე წინაშე უფლისა მთასა მაგას დასდგე მთასა ზედა წინაშე უფლისა H (ყ19ი), იყო მისა მიმართ კმაჲ იყო კმაჲ მისა მიმართ II (ყ19ი), შდრ. იყო კმა მისა FIS, მოვიდა მისსა კმაჲ J და სხვა¹⁹.

III. 3. საწინასწარმეტყველოს ტექსტობრივი მიმართება ოშკის ტექსტთან საბოლოოდ შეიძლება შემდეგ ძირითად პუნქტებად დავყოთ: ა) საწინასწარმეტყველო უცვლელად იზიარებს O-ს ტექსტს; ბ) საწინასწარმეტყველო ნაწილობრივ ცვლის O-ს ტექსტს; გ) საწინასწარმეტყველო მთლიანად ცვლის O-ს ტექსტს. რაოდენობრივად ამ პუნქტებს შორის არაა ერთნაირი თანაფარდობა. ა და გ პუნქტი მოცულობით დიდად ჩამოუყარდება ბ პუნქტს. მაგრამ ეს გასაგებიცაა: ბ პუნქტში იყრის თავს ის ტექსტუალური პროცესები, რომლებიც ტექსტის რედაქტირებასთანაა დაკავშირებული და რომელთა ტიპობრივი ნიმუშებიც ზემოთ დავიმოწმეთ. აქედან გამომდინარე O-ს ტექსტის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 80% მანაც სწორედ ამ პრინციპითაა შესული ლექციონარში. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტექსტის რედაქტირებისას გ. მთაწმიდელი უმთავრესად ცალკეული იკითხვისების სწორება-დაზუსტებას სჯერდება, ცხადი გახდება, რომ ბ პუნქტში შემავალი მასალის უდიდესი ნაწილიც გიორგის მიერ უცვლელადაა გაზიარებული. მოგვეყვს თითო-თითო მაგალითი ა, ბ, გ პუნქტების დასახასიათებლად:

ა) O-ს ტექსტი საწინასწარმეტყველოში უცვლელადაა შეტანილი

HO

FIYS

ყ18ა: და შენ მოაქცე გულო ამის ერისაჲ შედგომად (შემდგომად H) შენდა.

ისმინე, უფალო, ისმინე ცეცხლითა, და ცნას ერმან ამან, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი და შენ გარე-მოაქცეე გულო ერისაჲ ამის (+ უკუ-მართ FI, მიმართუქუნ S).

ბ) O-ს ტექსტი საწინასწარმეტყველოში შეცვლილია ნაწილობრივ

O

H

FIYS

ყ18ა: და დაასხა შეშა იგი საკურთხეველსა მას რომელ ქმნა. და დაჰზვიცა მას ზედა და განყო ასოველად მსხვერპლი იგი და დაყო საკურთხეველსა მას ზედა.

და დაასხა შეშა იგი საკურთხეველსა მას, რომელ ქმნა. და განყო ასოველად მსხვერპლი იგი და დაყო შეშას მას ზედა და შეჰმზადა საკურთხეველსა ზედა.

და დაუნა შეშა იგი (+ ზედა IJS) საკურთხეველსა მას, რომელ ქმნა, და განყო ასოველად ზუარაჲი (ზოხაჲ I) იგი და დადგა ზედა შეშას მას და აღზუნა ზედა საკურთხეველსა მას.

გ) O-ს ტექსტი საწინასწარმეტყველოში შეცვლილია მთლიანად. ასეთი მასალა შედარებით ცოტაა, მაგრამ ძალზე საინტერესოა მთარგმნელის მიღშობის პრინციპებისა და მთარგმნელობითი ხერხების გასათვალისწინებლად. მეორე მხრივ, სიმცირე ამგვარი მასალისა იმაზე მეტყველებს, რომ გ. მთაწმი-

დელი მზამზარეულ თარგმანს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში უარყოფს მთლიანად, როდესაც ამ უკანასკნელის მისადაგება (სათანადოდ დაახლოება) სათარგმნ წყაროსთან შეუძლებელია. რომ გ. მთაწმიდელი ბიბლიის მზამზარეულ თარგმანებს უკონტროლოდ არ იზიარებდა, ამას $\psi 17_{22}$ მუხლის ანალიზიც გვიჩვენებს. ეს მუხლი ბერძნულშივე, სულ ცოტა, სამი განსხვავებული ტრადიციით არის გადმოცემული, რასაც მის ქართულ თარგმანებშიც უპოვია გამოძახილი: FIJ ლუკიანეს რეცენზიასთან დგას უფრო ახლოს, S ჰეგზაპლურ A Aru Sy წყაროებთან მიდის, ხოლო O-ში მუხლი იმდენადაა შეცვლილი, რომ გარკვევით მისი რომელიმე ტრადიციისადმი მიკუთვნება შეუძლებელია. საწინასწარმეტყველო ამ მუხლის სრულიად ახლებურ თარგმანს იძლევა:

O	A ₁ H ²⁰	FIJS ²¹
$\psi 17_{22}$ და ავსტუღად გან- ცობილდა და ლაღად- ყრამან მან.	და იყო ვერუთ. და ისინა უფალ- მან ჳმაა ელიასი და მოიქცა სუ- ლი ურმისა მის ნაწლეთთვე მისთა და განცოცლდა. და მოიქცანა ელია ყრმა იცი.	და ყო ვერე და მოიქცა სამშვევლი ყრმისა მის და განცოცლდა.

ამ მუხლის გიორგისეული თარგმანის ბერძნულ წყაროებთან შედარება არკვევს მის ჰეგზაპლურ ტრადიციასთან სიახლოვეს: $\alpha\lambda\iota \beta\epsilon\upsilon\alpha\tau\alpha \sigma\epsilon\tau\omega\varsigma \alpha\lambda\iota \alpha\nu\beta\epsilon\theta\alpha\upsilon\sigma\epsilon\upsilon \alpha\lambda\iota \eta\kappa\alpha\sigma\alpha\upsilon \alpha\zeta \epsilon\upsilon \varphi\omega\sigma\eta \rho\iota\lambda\lambda\alpha \alpha\lambda\iota \beta\alpha\pi\alpha\rho\alpha\varphi\eta \eta \beta\alpha\chi\eta \tau\omicron\varsigma \pi\alpha\tau\epsilon\rho\iota\sigma \pi\alpha\rho\beta \epsilon\chi\alpha\tau\omicron\upsilon \alpha\iota\tau\alpha\theta, \alpha\lambda\iota \beta\epsilon\gamma\alpha\upsilon\sigma \alpha\lambda\iota \beta\iota\alpha\theta\epsilon\upsilon \Pi\lambda\epsilon\iota\sigma \tau\omicron\varsigma \pi\alpha\tau\epsilon\rho\iota\sigma A Aru Sy (xy)$. შღრ. LXX უძველესი ნუსხის ჩვენება: $\alpha\lambda\iota \beta\epsilon\upsilon\alpha\tau\alpha \sigma\epsilon\tau\omega\varsigma \alpha\lambda\iota \alpha\nu\beta\epsilon\theta\alpha\upsilon\sigma\epsilon\upsilon \tau\omicron\varsigma \pi\alpha\tau\epsilon\rho\iota\sigma B$. ასეთია ძირითადში ოშკისა და საწინასწარმეტყველოს ტექსტობრივი დამოკიდებულება. მაგრამ სურათი რომ სრული იყოს, საჭიროა შევეხოთ ვ. მთაწმიდლისეული თარგმანის მიმართებას სხვა ვერსიებთანაც.

III. 4. მიუხედავად საწინასწარმეტყველოს ტექსტის უაღრესად მკვიდრო კონტაქტისა ოშკურ ტექსტთან, არის ნაწილი იკითხვისებისა, რომლებიც O-საგან სხვაობს და სხვა ვერსიებთან პოულობს საერთოს. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, უნდა შევეხოთ საწინასწარმეტყველოს ტექსტში დადასტურებულ რამდენიმე მრჩობლ იკითხვისს, რომელთა ერთი ნაწილიც O-ს ტექსტს ემთხვევა, მეორე კი FIJS ნუსხებთან ავლენს საერთოს: ა) $\psi 17_3$ $\alpha\lambda\iota \beta\alpha\sigma\iota\theta\alpha\upsilon\sigma \rho\iota\lambda\lambda\alpha\sigma\iota\varsigma$: და ყო ელია JI $\alpha\lambda\iota \beta\alpha\sigma\iota\theta\alpha\upsilon\sigma \Pi\lambda\epsilon\iota\sigma \kappa\alpha\iota$: და წარვიდა ელია FICS, შღრ.: და წარვიდა ელია + და ყო H. ბ) $\psi 17_{14}$ $\beta\omega\zeta \eta\mu\alpha\rho\alpha\zeta \tau\omicron\varsigma \mu\epsilon\upsilon\alpha\iota \chi\alpha\iota\sigma\tau\omicron\upsilon \tau\omicron\upsilon \beta\alpha\tau\omega\upsilon \beta\alpha\iota$ (+ $\pi\alpha\tau\epsilon\rho\iota\sigma A\epsilon_2 Aru Sy$) $\tau\eta\zeta \gamma\eta$: ვიდრე ყოფავ (+ მღე FI) წვნისა უფლისა მიერ პირსა ზედა ქლეყანისასა FIJS| ვიდრე დღედმღე მოცემისა უფლისა მიერ წვნისა O, შღრ.: ვიდრე დღედმღე მოცემისა უფლისა მიერ წვნისა + პირსა ზედა ყოვლისა ქლეყანისასა H.

ლექციონარის FIJS ნუსხების ტექსტზე დამოკიდებულება ჩანს სხვა ხასიათის მასალაშიც: ა) ტექსტობრივი დაზუსტება (მატება, კლება). $\delta 2_{13-14}$ მუხლებში O-ს მსგავსი კიდურწერილობის ნიადაგზე აკლია. ოშკის ამ ლაქუნას PKS₁ ლექციონარებიც იმეორებენ, მაგრამ საწინასწარმეტყველოში იგი სახეზეა და ტექსტობრივ მცირედ სხვაობს FIJS ნუსხებისაგან: $\delta 2_{13}$ და მოიქცა და დადგა კიდესა მას ზედა იორდანისასა (14) და მოიღო ელისე ხალენი იგი ელიაჲსი, რომელი დაეცა მის ზედა H. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს $\psi 17_{12}$ მუხლშიც, სადაც O-ს კვლავ აკლია: და მცირედრე ზეთი რქასა შინა FIJS, ხოლო H ისევ ამ უკანასკნელთ ემხრობა.

ბ) ψ_{1717} მუხლში FIJS ნუსხების ტექსტი სხვა ტრადიციის წყაროს ემყარება, O-სი — სხვას. საწინასწარმეტყველო აქაც FIJS-ის მხარეზე დგება.

გ) ლექსიკური ცვლილებანი: მიერ ჟამითგან O] მიერ დლითგან FIJS H (ψ_{1715}), ტომთა O] ძეთა FIJS H (ψ_{1831}), გარემო O] გარემოჲს FIJS II (ψ_{1832}), წინაშე O] პირისპირ FIJS H (ψ_{27}) და სხვა.

როგორ უნდა აეხსნათ ეს ფაქტი: გ. მთაწმიდლის მიერ O-ს პარალელურად FIJS ტიპის ტექსტის გამოყენებით, თუ O-ს ვერსიის სხვა ისეთი ნუსხის არსებობით, რომელიც ამგვარ იკითხვისებს თვით შეიტყავდა?

იმის გამო, რომ FIJS ნუსხებთან საწინასწარმეტყველოს დამოკიდებულება მაინც სპორადულ ხასიათს ატარებს, ხოლო O-ს ტექსტთან საწინასწარმეტყველოს უაღრესად ჰქიდარო ურთიერთობა ჩვენთვის უკვე ნათელი გახდა მრავალი ნიმუშის მიხედვით, ჩვენ მეორე შესაძლებლობა უფრო რეალური გვგონია.

ამ თვალსაზრისით გარკვეული სიცხადე შემოაქვს ზოგი ისეთი იკითხვის განხილვას, რომლებიც საერთო წარმომავლობისა ჩანს საწინასწარმეტყველოსა და საბასეული ბიბლიის ტექსტებში. მათი შედარება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ საბა ტექსტზე მუშაობისას დრო და დრო თითქოს ლექციონარსაც იყენებსო. მაგრამ ანალოგიური ფაქტები, ვფიქრობთ, იმ წყაროების ტექსტობრივი ერთგვარობით აიხსნება, რომლებიც გიორგისა და საბას მიერ უკვე არსებული ძველი ქართული თარგმანების საკონტროლოდ არის გამოყენებული. პარალელები საბასა და გიორგისეულ ტექსტებში შედგება საერთო ტენდენციისა — თარგმანი შეძლებისამებრ ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს სათარგმნ წყაროს. ეს ტენდენცია არის ის არსებითი ნიშანი, რაც საბასა და საწინასწარმეტყველოს ტექსტებს (საწინასწარმეტყველოსთან საერთო ნაწილში აგრეთვე O-ს ტექსტსაც) განასხვავებს უფრო არქაული თარგმანებისაგან: ψ_{1722} მუხლში S-ი გვაწვდის ორ სპეციფიკურ იკითხვისს. ორივე შემთხვევაში მას პარალელი ეძებნება საწინასწარმეტყველოშიც:

ა) და ისმინა უფალმან დაღადება ელიასი S, და ისმინა უფალმან კმა ელიასი II, და დაღად-ყო და ესმა უფალსა კმა ელიასი A₁] — FIJO.

ბ) მოიქცა სამშენველი ყრმისა მის (+ გ უ ა მ ა დ ვ ე მ ი ს ა S) FIS, მოიქცა სული ყრმისაჲ მის (ნ ა წ ლ ე ვ თ ა ვ ე მ ი ს თ ა] მისსავე A₁) H. მსჯავისი ნიმუშები სხვაც დასტურდება: მო მ კ უ დ ა რ ი მღებარე იყო სარეცელსა S. მ კ უ დ ა რ ი იღვა ცხედარსა მას A₁ (დ 432). შდრ.: იღვა ცხედარსა მას FIJO; აღიხილნა (+ ყ რ მ ა მ ა ნ მ ა ნ S) თუალნი თესნი FIJOS, განახუნა თუალნი ყ რ მ ა მ ა ნ მ ა ნ A₁ (435); აქვე: დაჰპერა მას და განძლიერდა მის ზედა FO] — A₁S და სხვა. ვიმეორებთ, ასეთი ფაქტები საბასა და გიორგის მიერ საკონტროლოდ აღებული წყაროების ერთგვაროვანი შედგენილობის ანარეკლია, თუმცა ენობრივად ეს წყაროები სხვადასხვაა: გიორგისთან — ბერძნული, საბასთან — სომხური.

ამრიგად, ტექსტობრივი მიმართების განხილვა საკმარის საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ საწინასწარმეტყველოს გ. მთაწმიდლისეული თარგმანი დღევანდელი გაგებით არ მივიჩნიოთ ახალ თარგმანად²². როგორც დავინახეთ, გ. მთაწმიდელი იღებს მზაშუარეულ თარგმანს (ოშკის ბიბლიის ტექსტს) და ასწორებს მას ბერძნული წყაროს მიხედვით. სწორების ხასიათსა და მუშაობის პრინციპებზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და გავარკვიეთ, რომ ტექსტის

უდიდესი ნაწილი, 80% მაინც, გიორგის უცვლელად შეუტანია საწინასწარმეტყველოს თარგმანში, დაახლოებით 17% ნაწილობრივ შეუცვლია, ხოლო 3% ახლად უთარგმნია. მამასადამე, მზამზარეული თარგმანის გამოყენება გიორგის მიერ უცილობელი ფაქტია, ამდენად ახალ თარგმანზე არც შეიძლება იყოს ლაპარაკი. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს საკითხის მეორე მხარე: გ. მთაწმიდელს საყრდენად ოშკის ვერსიის ნაცვლად მთარგმნელობითი თვალსაზრისით მასთან მკვეთრად დაპირისპირებული FJIS ნუსხების ტექსტი რომ აეღო და იგივე სამუშაო ჩაეტარებინა, მაშინ სურათი სრულიად შეიცვლებოდა: ახლად თარგმნილი აღმოჩნდებოდა 70% მაინც, ხოლო უცვლელად გზავნილებული 15—20%-ზე მეტი არ იქნებოდა. ამის გამო, ბუნებრივია, უნდა შევხვით მთარგმნელობით საკითხებსაც.

IV. მთარგმნელობითი ხერხების დამთხვევა ოშკის ბიბლიისა და საწინასწარმეტყველოს გ. მთაწმიდლისეულ თარგმანებში. რას წარმოადგენს მთარგმნელობითი თვალსაზრისით ტექსტის ის ნაწილი, რომელიც გ. მთაწმიდელმა ოშკის ბიბლიიდან საწინასწარმეტყველოში უცვლელად შეიტანა და რა მიმართებაშია, თავის მხრივ, იგი ბიბლიის სხვა ქართულ თარგმანებთან? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ამჯერად შეუძლებელია; ეს მოითხოვს მთარგმნელობითი ხერხების მთელი კომპლექსის მონოგრაფიულ შესწავლას. სადაც დაწვრილებით იქნება განხილული ყველა ხასიათის სხვაობა მეფეთა წიგნების სხვადასხვა თარგმანს შორის, უფრო ზუსტად, სადაც გაანალიზდება სხვადასხვა ტრადიციის წყაროებიდან მომდინარე იმ ძველი და ახალი ფენების ურთიერთობა, რომლებიც მეფეთა წიგნების ძველ ქართულ თარგმანებში გამოვლინდა²³. მაგრამ ზოგიერთი არსებითი მხარე ამ საკითხისა უკვე გარკვეულია: სტილისტურ ნიშნებზე დამყარებით შესაძლებელი გახდა III—IV მეფეთა წიგნებში გამოგვეყო საძიებო ერთმანეთისაგან განსხვავებული მონაკვეთი; ამათგან მეორე მონაკვეთში (ყ12—82), რომელთანაც საწინასწარმეტყველოს რამდენიმე საერთო საკითხავი აღმოჩნდა, ოშკური ტექსტის რევიზია იმდენად შორს წასულა, ისე საფუძვლიანად შეუჯერებიათ იგი ახალ წყაროსთან თუ წყაროებთან, რომ მისი საბით მთარგმნელობითი თვალსაზრისით არქეტიპისაგან მკვეთრად განსხვავებულ თარგმანთან გვაქვს საქმე²⁴. ამ არქეტიპისაგან მკვეთრად განსხვავებულ თარგმანს ვაჩნია ზოგიერთი არსებითი ნიშანი. ეს ნიშნები ახასიათებს საწინასწარმეტყველოს თარგმანსაც:

IV. 1. სათარგმნი წყაროების ერთსა და იმავე ლექსემას — ეს კი არსებითია — პირველი მთარგმნელი²⁵ სხვა ლექსიკური ერთეულით გადმოცემს, მეორე — სხვით. მხედველობაში გვაქვს ისეთი მასალა, სადაც ეს პრინციპი თანამიმდევრულადაა გატარებული. საჩვენებელ ნიმუშად შეიძლება დაგვესახელებინა ბერძნ. *ατζζ*, სომხ. *լսս* წინდებულების ბაღლად მეორე მთარგმნელთან სისტემატურად „ებრ“ თანდებულის ხმარება, მაშინ როდესაც პირველი მთარგმნელი მას თანამიმდევრულად „მსგავსად“ თანდებულით ვადმოსცემს; საანალიზო ტექსტში ამ თვალსაზრისით შდრ. ყ17^{13, 15, 16} და სხვ. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ბერძნ. *γξμδρρρρ* || *γξμδρρρρ* (ΙΙΟΤΟΚ, ΒΙΘΟCΤΟΚ) სომხურში სისტემატურად *հղհղսս*-ად არის თარგმნილი, ხოლო ქართულში კვლავ ორი შესატყვისით გაღმოიციემა: პირველ მთარგმნელთან „ნაღჟარევი“, მეორესთან „პევი“ (ყ17^{3, 4, 7}).

ქვემოთ ბერძნულ-სომხური შესატყვისობების გარეშე მოგვყავს მსგავსი მაგალითები:

პირველი მთარგმნ. (FIJS)	მეორე მთარგმნ. (HO)
γ 17 ₁₃ ლავანი J. საფქვილე FIS	სარქუანი
13 ჰუეზა	ყურბულლი
17 სამშენველი	სული
18 უწესობა	ცოდვა
19 შეილი	ძე
ϕ 18 ₂₈ ზუარაკი	ზროხა
22 მალნარი	სერტყი
27 განბასრვა	კიცხვეა
28 გრივი	საწაული
34 ლავანი	სარწყული
ზ 2 ₉ შეყეცა	შეგრანა

და სხვა.

IV. 2. პირველი მთარგმნელი სხვა ენობრივი სფეროსა და ტრადიციის წყაროს ემყარება, მეორე — სხვას. ამასთანავე შეინიშნება, რომ მეორე მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალურად დაუახლოვდეს სათარგმნი წყაროს ფრაზის სტრუქტურას როგორც რაოდენობრივი თვალსაზრისით, ისე სემანტიკისა და სინტაქსის სფეროშიც:

ა) γ 17₁₃ მუხლში ბერძნული (ლუკიანეს ტრადიციის) ტექსტი სომხურისაგან შესამჩნევად სხვაობს სწორედ ფრაზის სტრუქტურის²⁶ მიხედვით. საწინასწარმეტყველოსა და ოშქის ბიბლიის თარგმანი სიტყვასიტყვით გაჰყვა ბერძნულს, FIJS ნუსხებისა — სომხურს, რამაც გამოიწვია არსებითი სხვაობა სემანტიკისა და სინტაქსის სფეროშიც: *σχαρῆ δὲ καὶ αὐτῶν ἑξῆς· οὗ πειρήσει· ἐπὶ ἑαχῆσθ Nbcxnp*: თავისა შენისა და შეილთა შენთაჲ ჰქმნე ლუკიანესკენლ HO] *և ապա արսսցես քեզ և մահկնաց րոյ*: და მერმე ჰქმნე (ქმენ F) შენდა და ყრმათა შენთა FIS, შდრ. მაშინლა ქმენ შენთჳს და ყრმათა შენთა J. ამ მაგალითში სამი სახის სხვაობაა: **სხვაობა ფრაზის სტრუქტურაში**: ბერძნ. *πειρήσει· ἐπὶ ἑαχῆσθ* და მისი ქართული შესატყვისი ჰქმნე ლუკიანესკენლ ფრაზის ბოლოსაა მოქცეული, სომხ. *և ապա արսսցես* და მისი ქართული ბადალი და მერმე ჰქმნე, პირიქით, ფრაზის დასაწყისში. **სხვაობა სემანტიკაში**: ბერძნ. *αὐτῶν ἑξῆς· οὗ πειρήσει* მეორე მთარგმნელს გადმოაქვს შეილთა დ, ხოლო სომხ. *մահկնաց*-ის შესატყვისად პირველი მთარგმნელი ყრმათა-ს ანიჭებს უპირატესობას. ანალოგიურად ბერძნ. *ἐπὶ ἑαχῆσθ* მეორე მთარგმნელისათვის ნიშნავს უკუანაღსკენლს, მისი სომხური შესატყვისი *ապա* კი პირველ მთარგმნელს ესმის როგორც მერმე. **სხვაობა სინტაქსში**: ბერძნულ-სომხური საყვანძო ლექსემა *πειρήσει· արսսցես* ორივე მთარგმნელს კავშირებითი კილოს საშუალებით გადმოაქვს — ჰქმნე, მაგრამ მთლიანად ფრაზა განსხვავებულ სინტაქსურ მოდელზეა აგებული: პირველი მთარგმნელი ამჯობინებს თანდებლიანი ნათესაობითის გამოყენებას: შენდა (შენთჳს) და ყრმათა შენთა FIJS, ხოლო მეორე მთარგმნელი ნანათესაობითარ სახელობითს ირჩევს: თავისა შენისაჲ და შეილთა შენთაჲ HO.

განსხვავებული ტრადიციის წყაროების გამოყენებით აიხსნება ფრაზის რედაქციული სხვაობაც პირველი და მეორე მთარგმნელის ტექსტებს შორის: *καὶ ἔπειθεν πᾶς ὁ λαὸς B bcc₂e₂*: --- და დაეცა ყოველი იგი ვრი HO] [և] *իրჩ*

სხვა თარგმანებში (ფსალმუნი, პავლენი, ახალი აღთქმა), ახლად კი არ თარგმნის მეფეთა წიგნების ტექსტს, არამედ ეყრდნობა მზამზარეულ თარგმანს და ახდენს მის გადამუშავება-გადაკეთებას ლექციონარების ბერძნული წყაროს მიხედვით.

საყრდენად გ. მთაწმიდელს აურჩევია მეფეთა წიგნების ოშკური რედაქციის ტექსტი, რომელიც სწორედ საწინასწარმეტყველოსთან შემხვედრ მონაკვეთში არსებითად სხვაობს დანარჩენი ვერსიებისაგან როგორც ტექსტის შედგენილობის, ისე თარგმანის თვალსაზრისითაც.

გიორგი მთაწმიდელის ეს არჩევანი არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ოშკური ტექსტი ამ ნაწილში ძირფესვიანად არის შეჭვრებული ბერძნულ წყაროსთან, კერძოდ ლუკიანეს რეცენზიის ბერძნულ ტექსტთან. რაკი ჩვენთვის ცნობილია გიორგის მთარგმნელობითი პრინციპი — ქართული თარგმანი ზედმიწევნით დაუახლოვოს ბერძნულ წყაროს — ბუნებრივია, ის დაეყრდნობოდა ისეთ მზამზარეულ თარგმანს (თუკი ასეთი არსებობდა), რომელიც მის მთარგმნელობით პრინციპს უკეთ დააკმაყოფილებდა.

ზემოხსენებული მხარს უჭერს ჩვენ მიერ აღრე გამოთქმულ ვარაუდს, რომ ოშკური ვერსიის ერთი ფენა (ამ შემთხვევაში საწინასწარმეტყველოსთან თანმხვედრი ნაწილი) ტექსტობრივად და მთარგმნელობითი ხერხების გამოყენების თვალსაზრისითაც უფრო გვიანაა ჩამოყალიბებული FIJS ნუსხებში დაცულ ტექსტთან შედარებით.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 421. შდრ. აგრეთვე გვ. 578—579.

² ხელნაწერი პირველად ვარეჯის მონასტერში ინახებოდა და 384 ფურცელს შეიცავდა (თ. ჟორდანიძე, ქრონიკები, I, გვ. 232). შემდგომ იგი დაზიანებული და დაშლილა. ამჟამად ხელნაწერი ორი სხვადასხვა ნომრით H 1350 და A 192 ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. H 1350 მართლაც ვარეჯის უღანბოდან შემოსულა 1917 წელს, უკლო, დაშლილი, მეტად ნაკლებ სახით შეიცავს 77 ფურცელს (H ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, გვ. 306). A 192 ხელნაწერის აღვლამყოფელი მის აღწერილობაში არ ჩანს; ესეც დაზიანებული და ნაკლებია: «без начала, без конца, осталась малая часть из большой книги, на 121 листе (Ф. Жордания, Описание рукописей тифлисского церковного музея, т. I, гв. 216). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექციისა), I, 1976, გვ. 329.

გარდა აღნიშნულისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც აღნიშნულ ხელნაწერებს შეუერთდა. ამჟამად „საწინასწარმეტყველოს“ ტექსტი ვარეჯიანებულია A 192 ნომრის ქვეშ და შეიცავს ორასამდე ფურცელს. (იღნტიფიკაცია როგორც ფრაგმენტებისა, ისე H 1350, A 192 ხელნაწერებისა ეკუთვნის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ლამარა ქაჩიას).

³ ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ კ. კეკელიძის შეხედულება ლექციონარების შესახებ, სადაც ლექციონარების მნიშვნელობა ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის რამდენადმე დაკნინებულია: „ბიბლიის მთლიანი ტექსტისა და წიგნების ვარადა, არსებობს ლიტურგიკული კრებულები, რომლებშიაც ამა თუ იმ წიგნიდან გამოკრებილი ადგილები შექმნილია. როგორც სახარებ-სამოციქულოდან ადგენდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას სახმარებელ გამოკრეფილ ე. წ. აპრაკსებს, ისე ძვ. აღთქმის წიგნებიდანაც ადგენდნენ საკითხავ კრებულებს, რომელთაც სახელად ერქვა ლექციონარი, ანდა პროფიტოლოგონი. ქართულად საწინასწარმეტყველო... ასეთი კრებულები — საწინასწარმეტყველო, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა. ამ კრებულებში იხვევათ ადამიანთა და მშობრთა მზამზარეული თარგმანებიდან ადგილები, უფროს ხშირად მათ ხელახლა, დაშორებით დღევანდელი

თარგმნილნი ქონი, მომეტეხულ წილად ბერძნულ ენიდან. ასეთ კრებულს ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს (ხაზი ჩვენია უ. ც.) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 421).

⁴ ეს საკითხებია: H 1350 γ 7₈₁—8₁₁ (85 r—v), 8₂₂—8₃₀ (54 r—v), 17₁—2₄ (80 r 82 v), 18₁₇—27 (82 r 83 v), 18₃₀—30 (33 v—34 r), 19₃—18 (74 r—75 v), 8₂ 6—14 (81 v 82 v), მეორედ 29 r—v—ზ, 18₂ 21—22 (34 r—v), 8₅ 9—14 (30 r—v), 19₁₄—17 (83 r—84); A192 γ 17₈—2₄ (106 r—108 v). 8₄ 8—37 (10 r 13 v).

⁵ Le Grand Lectionnaire de l'Eglise de Jerusalem (V^e—VIII^e siecle) τ. I—II, edité par M. Tarchnischwili, Luvain). 1959—1960.

⁶ Septuaginta-Studien, herausgegeben von Alfred Rahlfs, Göttingen, 1911, გვ. 46—47.

⁷ იქვე, გვ. 47.

⁸ The Old Testament in Greek, Edited by A. E. Brooke, D. D. Norman Mclean, M. A. and H. St John Thackeray, M. A. Volume II, part II, I and II Kings, Cambridge, 1930. ამ გამოცემაში ლექციონარის ფრაგმენტი აღნიშნულია 2 ლიტერით. შემდგომ ჩვენც ასე მივუთითებთ.

⁹ მრავალთაგან დაიმორწმუნებ ერთს: ლექციონარის ბერძნულ ფრაგმენტს LXX-თან შედარებით აკლია ვრცელი მონაკვეთები: γ19₄ ჯა: 4^o... μσθ 2^o; 19₉ ჯა: 4^o... (10) მთლიანად. 19₁₃ ჯა: 5^o... (14) მთლიანად; γ19₁₅ ჯა: 3^o... (16) იქვე. ყველა ეს მონაკვეთი აკლია ქართულსაც.

¹⁰ თარგმანის რაოდენობრივ ასპექტზე დაწერილებით იხ. E. M. В е р е щ а г и н и, Из истории возникновения первого литературного языка Славян, переводческая техника Кирилла и Мефодия. Москва, 1971, გვ. 27 და შემდგომ. 48, 66.

¹¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, „ენივერსიტეტის შიამბე“, II, თბ., 1922—23, გვ. 402.

¹² ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. X—XIII სს. ხელნაწილების მიხედვით გამოსცა მ. ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე, I, თბ., 1960, გვ. 027.

¹³ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, I, თბ., 1956, კვ. 186—187.

¹⁴ მ. ზ. შ ა ნ ი ძ ე, ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანები, ავტორეფერატი, 1975, გვ. 48—49. კ. დ ა ნ ე ლ ი ა, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1976, № 3, გვ. 83.

¹⁵ თ. კ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტფილისი, 1892, გვ. 216.

¹⁶ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ და მისი რედაქციის სამოციქულოს შესწავლის ისტორიისათვის „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1974, № 4, გვ. 37.

¹⁷ საკითხის დამსისთვის იხ. კ. დ ა ნ ე ლ ი ა, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 83.

¹⁸ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, I, გვ. 027.

¹⁹ საწინასწარმეტყველოს ყველა აქ ჩამოთვლილი ცვლილება შესაბამის ბერძნული წყაროების ანარკლია, ბერძნულ ტექსტს არ ემორწმუნებ ადგილის ეკონომიის მიზნით.

²⁰ AH: და 1^o—A. ვერეჟ და ლალა-ყო A. და ესმა უფალა A. ნაწლეუთავე მისთა| მისსავე A.

²¹ F1 S: და 1^o... განციოცხლდა| და მოიქცა ყრმისა მის სამშენველი და აღდგა I, და ყო ვერე (22) და ისინა ო^o ნ დაღდება ელასი და მოიქცა სამშენველი ყრმისა მის გვამადვე მისა და განციოცხლდა S.

²² ამ დასკვნამდე მიიყვანა მ. შ ა ნ ი ძ ე. „ფსალმუნის“ გ. შთაწმიდლისეული ვერსიის შესწავლა: „თანამედროვე თვალსაზრისით გიორგის ნამუშევარი დამოუკიდებელ ცალკე თარგმანად ვერ ჩაითვლება. ეს არის ძველი ტექსტის — ქართული დავითის — ბერძნულის მიხედვით გადამუშავება-რედაქტირების გზით მიღებული ახალი რედაქცია“ (ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანები, ავტორეფერატი, გვ. 49) ლიტ. კ. დ ა ნ ე ლ ი ა, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 83.

²³ ვერეფარებით დებულეზას, რომ შეფეთა წიგნების ქართულ ნუსხეებში დაცული ვერსიები ყველა ერთი წინაპარი ტექსტიდან მომდინარეობს მისი შემდგომი რევიზიისა და განსხვავებული ტრადიციის წყაროებთან შეყრების გზით.

²⁴ უ. ცინდელიანი, *ჩამე წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში*, „მრავალთაი“, IV, თბ., 1976, გვ. 175.

²⁵ შემდგომში ფუნების ერთმანეთისაგან გასარჩევად პირობითად ვხმარობთ ტერმინებს „პირველი მთარგმნელი“, „მეორე მთარგმნელი“. ამ უკანასკნელს შივანერთ არკტიკისაგან განსხვავებულ თარგმანს, თუმცა ამ სტადიაზე ეს დებულება პიპოთეტურია და ამდენად კატეგორიულობასაც მოკლებული.

²⁶ ფრაზის სტრუქტურის სქემა იხ. ზემოთ.

²⁷ A. R a h i l s, ხს. შრ., გვ. 46—47.

²⁸ მასდარული და ინფინიტური კონსტრუქციების შესახებ ძველ ქართულში იხ. სპეციალურ ლიტერატურაში. დ. ჩხუბია ი ვ ე ლ ი, ინფინიტურის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისათვის ძველ ქართულში, იყ., VII, გვ. 43—60. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 174—184. ა. კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 162—164, 210 და სხვ.

პირობითი ნიშნები: ბიბლიის ნაწილი (უსხები: I—A646, I—A570, J—J113, C—ოშკის ბიბლია, F—A51. ლექციონარები: K—კალისა, I—ლატლისა, P—პარცისა, S₁—სინისა. სანინანსწარმტველის (უსხები: A₁—A192, A₂—A672, H—H1350.

სებტუაქიტა—LXX; B—codex Vaticanus, Axy—ჰეგზაბაღური (უსხები, Bioreც—ლუიანგს რეცენზიის (უსხები).

თარგმანები: Aethl—გთიოპური, Arm—სომხური, Sy—სირიული.

MT—მასორეთული ტექსტი.

У. ЦИНДЕЛИАНИ

НОВЫЕ МАТЕРИАЛЫ, ОТНОСЯЩИЕСЯ К ПЕРЕВОДЧЕСКОМУ МЕТОДУ ГЕОРГИЯ СВЯТОГОРЦА

Резюме

В статье рассмотрены взаимоотношения чтений, сохранившихся в грузинском переводе лекционария Г. Святогорца, с древнегрузинскими переводами III-IV «Книг Царств».

В результате текстологического сличения сделаны выводы: Г. Святогорец, как и в других своих переводах («Псалтырь», «Послание Павла», «Новый Завет»), переводит текст «Книг Царств» не заново, а используя существующий перевод, производит его переработку по образцу греческого источника лекционария.

За основу Г. Святогорец берет текст «Книг Царств», дошедший до нас в Ошкском списке 978 г.

Следовательно, термин «вновь переведенный» („ახალ თარგმნილი“), который употребляется в колофоне лекционария в отношении перевода Г. Святогорца, нужно понимать как новую переработку древнего перевода.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ინგა ალაამი

ონსორის ეპიკური მემკვიდრეობა და ძველი ქართული მწიგნობის მართი საკითხი

სპარსული რომანული ეპოსის სათავეებთან დგას აბულ ყასემ ჰასან ბენ აჰმად ონსორი ბალხელი (გარდ. 1049/50 წ.), მაჰმუდ ლაზნელის კარის „პოეტთა მეფედ“ წოდებული, რომელსაც, წყაროთა მოწმობით, 30 000-ზე მეტი ბეითი შეუთხზავს: ერთი ლირიული „დივანი“ და სამი მესნევი — „ვამეყი და აზრა“ („ვამეყო აზრა“), „თეთრი კერპი და წითელი კერპი“ („ხენგ ბოთო სორხ ბოთ“) და „შადბაჰრი და აინალჰაიათი“ („შადბაჰრო აინალჰაიათ“). მაგრამ ამ თხზულებათაგან ჩვენამდე მეტად მცირე ნაწილმა მოაღწია — ლირიული დივანი ძალზე დეფექტურია, ხოლო ეპიკური პოემებიდან გარდა სათაურებისა და იმ ცალკეული ბეითებისა, რომლებიც საილუსტრაციო მასალადაა მოხმობილი შუა საუკუნეების სპარსულ განმარტებით ლექსიკონებში, უკანასკნელ ხანებამდე არაფერი იყო ცნობილი. და მაინც იყო ცდები ონსორის ეპიკური მემკვიდრეობის შესწავლისა. ბოლო დროის ტექსტოლოგიურმა აღმოჩენამ შუქი მოჰფინა ონსორის შემოქმედების შესახებ სპარსულ ლიტერატურათმცოდნეობაში წამოჭრილ ზოგ სადისკუსიო საკითხს და გააბათილა აპრიორულად ვამოთქმული ზოგი ვარაუდი თუ მტკიცება.

ონსორის სამ პოემათაგან ერთ-ერთმა, კერძოდ, „ვამეყი და აზრამ“ თავიდანვე მიიპყრო ორიენტალისტთა განსაკუთრებული ყურადღება. დაინტერესების მიზეზი იყო არამარტო დიდი პოპულარობა ამ სახელწოდების მქონე სიუჟეტებისა ონსორის შემდგდგროინდელ სპარსულ და თურქულ ლიტერატურებში (ი. მარი მას ირანელთა საყვარელი სიუჟეტების ხუთეულში ასახელებს — „ვისი და რამინის“, „იუსუფი და ზოლეიხას“, „ხოსროვი და შირინის“, „ლეილი და მაჯნუნის“ გვერდით!), არამედ ამ პოემის ფრაგმენტების კვლევისათვის მებ-ნაკლებად რეალური შესაძლებლობების არსებობაც.

შუა საუკუნეების სპარსულ განმარტებით ლექსიკონებში უკვე ასაღი ტუსელიდან დაწყებული (XI ს.), რომელიც ონსორის თითქმის თანამედროვე იყო, (აგრეთვე: ჰაფეზ უბახის, სორურის, შორურისა და სხვათა ლექსიკონებში) ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას საილუსტრაციო მასალად სხვა პოეტებთან ერთად ონსორის თხზულებათა ციტატებაც ხშირად და მოწმობული, ოღონდ, წესისამებრ, ნაწარმოების სათაურის დაუსახელებლად. მაგრამ ვინაიდან სპარსული ლექსთწყობის კანონების თანახმად ეპიკურ და ლირიულ ლექსებს მკვეთრად განსხვავებული სალექსო ფორმა (გართმვის პრინციპი) გააჩნია, მათი დიფერენციაცია ძნელი არ იყო. ამ გზით გამოყოფილი ეპიკური მემკვიდრეობა, თავის მხრივ, ორგვარ სალექსო ზომას აჩვენებდა: მოთეყარებს (— — — — —) და ხაფიფს (— — — — —). ამასთანავე, მოთეყარების ზომით შესრულებული ზოგი სტრიქონი ახსენებდა ერთ-ერთი პოემის მოქმედ პირებს — ვამეყს, აზრას. ამან მკვლევარებს მისცა გასაღები ონსორის ეპიკური მემკვიდრეობის ერთგვარი კლასიფიკაციისათვის: მოთეყარებით გაწყობილი ფრაგმენტები მიეკუთვნა პოემას „ვამეყი და აზრა“,

ხოლო ხაფიფით შესრულებული სტრიქონები დანარჩენი ორი პოემისათვის საზიაროდ იქნა მიჩნეული. თუმცა ეს ვარაუდი ბოლომდე ჰეშმარიტი არ გამოდგა. უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა XI—XII სს-ის მოღვაწის მოპამედ ბენ ოპარ რადუიანის თხზულება „თარჯომან ალ-ბალალათ“ (წიგნი მქვერმეტყველდების ხელელების შესახებ)², სადაც საილუსტრაციო მასალად მოყვანილია X—XI სს-ის სპარსული პოეზიის ნიმუშები, მათ შორის დასახელებულია ონსორის თხზულება „ხენვ ბოთ ო სორხ ბოთ“ („თეთრი კერპი და წითელი კერპი“) და ციტირებულია მოთუყარების ზომით შესრულებული ორი ბეითი³, რომელთაც, ჩვეულებრივ, „ვამეყი და აზრას“ კუთვნილებად თვლიდნენ. ახლა უკვე საკვებით ცხადია, რომ ონსორის ეპიკური მემკვიდრეობიდან მოთუყარების ზომით გაწყობილი ბეითები ეკუთვნის ორ პოემას — „ვამეყი და აზრა“ და „თეთრი კერპი და წითელი კერპი“. ხოლო ხაფიფით შესრულებული — მესამეს — „შაღბაპრი და აინალჰაათი“. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ვითარება არ არის გათვალისწინებული თვით ბოლო დროის გამოკვლევებშიც და მოთუყარებით გაწყობილი ყველა 143 ბეითი, რომლებიც სხვადასხვა ლექსიკონიდან იქნა ამოკრებილი, წინანდებურად „ვამეყი და აზრას“ სათვალავში ირიცხება⁴.

შუა საუკუნეების სპარსული წყაროები მეტად ნაირგვარ და ხშირად ურთიერთგამომრიცხველ ცნობებს გვაწვდიან „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის გენეზისის შესახებ.

იბნ ნადიმის (გარდ. 995 წ.) ცნობილ კატალოგში „ალ-ფჰრესთ“ ნათქვამია, რომ ვამეყისა და აზრას ამბავი შეთხზა ხალიფა ალ-მამუნის (813—833) დროის გამოჩენილმა მწიგნობარმა საჰლ ბენ ჰარუნმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მუშუბიური განწყობილებებით და თარგმანებით ფალაფრი ენიდან⁵. სამწუხაროდ, იბნ ნადიმი არაფერს ამბობს იმ-ს თაობაზე, თუ რა მასალებათ სარგებლობდა საჰლ ბენ ჰარუნი.

ისტორიულ წყაროთა ერთი რიგი ხსენებულ სიუჟეტს გარკვეულად ბერძნულ საწყაროს უკავშირებს. „მაჯმალ ათ-თავარისის“ (XII ს.) ცნობით: „დარაბის შვილის დარას (იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი. — ი. კ.) დროს, ზოვის თქმით კი — თვით მამამისის დროს ბერძენთა ქვეყანაში ცნობილი იყო ვამეყისა და აზრას ამბავი“. ასევე, ისტორიული წყარო „თარიხე გოზიდე“ (XIV ს.) მაკედონელის ამბის დასასრულს დასძენს: „და მის დროს ცხოვრობდნენ ვამეყი და აზრა“⁶.

სიუჟეტის ისტორიის ყველაზე უფრო პოპულარული ვარიანტი მომდინარეობს XV ს. ცნობილი ლიტერატურის ისტორიკოსის დოვლეთშაჰის ცნობიდან, რომელსაც ავტორი გვაწვდის აბასიანთა ემირ აბდოლლაჰ თაჰერათან (828—844) ამ წიგნის თაობაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ.

დოვლეთშაჰი გადმოგვცემს: „ამბობენ, რომ ემირი აბდოლლაჰ ბენ თაჰერი — აბასიანთა ნაცვალი ხორასანში — ნიშაპურში იჯდა. ერთხელ მას წიგნი მიართეს საჩუქრად. მან იკითხა, თუ რა წიგნი იყო იგი. მიიტანა მიუგო: ესაა საამური მოთხრობა ვამეყისა და აზრას შესახებ, რომელიც განსწავლულმა ხალხმა შეთხზა მეფე ანუშირვანისათვის. ემირმა ბრძანა: ჩვენ იმათაგანნი ვართ, ვინც ყურანს კითხულობს და არ გვეპირდება არაფერი, გარდა გადმოცემებისა წინასწარმეტყველის შესახებ. ჩვენ არ ვსაჭიროებთ ამის მსგავს წიგნებს, რადგან ისინი შედგენილია მოგვებისაგან და საძულველია ჩვენს თვალში. შემდეგ მან ბრძანა, რომ წიგნი წყალში ჩაეგდოთ და დაეწვათ სპარსთა და მოგვთა მიერ შედგენილი ყველა წიგნი, რომელსაც მის სამფლობელოში იპო-

ვიდნენ. ამიტომაც სამანიანებამდე არ ითხზებოდა სპარსული პოეტური ნაწარმოებები. თუ ზოგჯერ კიდევ იწერებოდა ლექსები, მათ არ აგროვებდნენ“.

ამ ცნობიდან გამომდინარე, ონსორის „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის წყაროდ მიჩნეულია მისი ფალაური ვერსია⁷, რომელიც ხოსრო ანუ შირიანის დროს (VI ს.) შეუთხზავთ და თავერიანთა ეპოქაში (IX ს.) ჭერ კიდევ პოპულარული იყო.

საგულისხმოა ისიც, რომ ონსორის დიდი თანამედროვის აბუ რეიჰან ბირუნის თხზულებათა კატალოგში შეტანილია ონსორის სამივე ეპიკური პოემის სახელწოდებები არაბულ ენაზე. თვით ნაწარმოებები დაკარგულია და დღეს აღარაფერი ვიცი მათი სიუჟეტისა, წყაროებისა და ონსორის ანალოგიურ თხზულებებთან მიმართების შესახებ.

თვით სპარსელი პოეტები და ლიტერატურის ისტორიკოსები ნაირგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ონსორის ეპიკური შემოქმედების მიმართ. ონსორის თანამედროვე ასადი ტუსელი, როგორც უკვე ითქვა, თავის განმარტებით ლექსიკონში უხვად იმოწმებს ციტატებს ონსორის ეპოსიდან. XII საუკუნის ავტორები — პოეტი ხაყანი და ლიტერატურის ისტორიკოსი — ნიზამი არუზი სამარყანდელი ონსორის ახასიათებენ მხოლოდ როგორც მეზობტე ლირიკოსს. სამაგიეროდ XIII ს-ის ავტორი — მოჰამედ აუფი იცნობს და მაღალ შეფასებასაც აძლევს ონსორის ზემოხსენებულ სამ პოემას. აბდორაჰმან ჭამი (XV ს.) თავის ცნობილ ტრაქტატში „ბეჰარესთანი“ გადმოგვცემს: „როგორც ამბობენ, ონსორის ბეგრი მესნევი შეუთხზავს სულთან მაჰმუდის შესამკობად. ერთი მათგანის სახელწოდებაა „ვამეყი და აზრა“, მაგრამ მისი კვალი არა ჩანს“. ამ პოემას დაკარგულად მიიჩნევენ XVII ს-ის ლიტერატურის ისტორიკოსი თაყი ქაშიცი. ამინ აჰმად რაზი (XVII ს.) სინანულით შენიშნავს, რომ ონსორის პოემები დახვეწილი ხელოვნებისა და სინატიფის საგანძური იყო. მაგრამ მათგან აღარაფერი დარჩენილაო.

ამ ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ ონსორის ეპიკური მემკვიდრეობა ადრევე დაკარგულა ან, ყოველ შემთხვევაში, გაუცხოებულა სპარსული ლიტერატურული წრეებისათვის. ამ ფონზე თვალში საცემია ვამეყისა და აზრას — როგორც მიჯნურთა წყვილის — სახელების მეტისმეტი პოპულარობა სპარსულ პოეზიაში. ისინი იდეალურ და მრავალტანჯულ მიჯნურთა სიმბოლურ სახეებად ჩანს ქვეული უკვე ონსორის თანამედროვე ეპოქაში. ამ სიმბოლოებს მიმართავენ ნასირი ხოსროუ ყუბადიანი, ყათრან თაბრიზელი, ცნობილი ტრაქტატი „ყაბუს-ნამე“. ვამეყისა და აზრას სახელების პოპულარობა არც მომდევნო საუკუნეებში შენელებულა. მათ ახსენებენ: ზაჰირი ფარიბი (XII ს.), საადი შირაზელი (XIII ს.), ჯალალადინ რუმი (XIII ს.), სალმან სავეჯი (XIV ს.), იბნ ჰოსამი (XV ს.) და სხვანი. ამ პოეტთა ლექსებში ვამეყისა და აზრას სახელები ცნობილ მიჯნურთა საზოგადო სახელებადაა გააზრებული (სხვა მიჯნურების: ვისისა და რამინის, ლეილისა და მაჯუნის, ფარჰადისა და შირინის მსგავსად) და ეს აბსტრაქტული სახეები არ იძლევა რაიმე კონკრეტულს ვამეყისა და აზრას როგორც ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟთა ხასიათსა. თუ სიუჟეტურ დეტალზე მისანიშნებლად. ამდენად, ეს მასალა ონსორის სიუჟეტისა და მისი წყაროების კვლევას სამსახურს ვერ გაუწევს. იგი მხოლოდ ვამეყისა და აზრას, როგორც მიჯნურთა წყვილის, ადრინდელ პოპულარობაზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ვამეყი და აზრას“ სახელწოდების მქონე პოემები შეუთხზავთ ონსორის უმცროს თანამედროვე პოე-

ტებს — ფსიქიკი ჯორჯანელსა და ამირ ფერხარის (XI ს.), რომელთა თხზულებები აგრეთვე დაკარგულია. XIV საუკუნის პოეტს ამადადდინ ფაყიზ ქერმანის თავის „მიჯნურთა წიგნში“ („მოკაბათ-ნამე“)⁸ საგანგებო თავი აქვს დათმობილი ვამეყისა და აზრას სიყვარულის დახასიათებისათვის, მაგრამ რაიმე სიუჟეტური ნახაზი არც აქ იკვეთება.

ცნობათა ამგვარი სიძენისა და სიჭრელის ვითარებაში ონსორის ეპიკური მემკვიდრეობით დაინტერესებულმა მეცნიერებამ ერთგვარი გამოსავლის პოვნა ცადა. როგორც უკვე ითქვა, ვამეყი და აზრას სიყვარულის ისტორია ბეტად პოპულარული თემა ჩანს სპარსულ და თურქულ ლიტერატურებში. უკვე XI საუკუნიდან მოკიდებული თვით ჩვენი საუკუნის დამდეგამდე ამ ლიტერატურებში შეთხზულია „ვამეყისა და აზრას“ სახელწოდების მქონე მრავალი ვერსია როგორც ლექსითი, ასევე — პროზაული, არაიშვიათად — ლექსნარევი პროზით შესრულებული. ამ ვერსიათა უძველესი (და, ამდენად, საკითხის კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვანი) ნაწილი, სამწუხაროდ, დაკარგულია. სამაგიეროდ სრულყოფილადაა შემორჩენილი XVI ს-ის თურქი პოეტის ლამის ეპიკური მემკვიდრეობა (მისი უნიკალური ხელნაწერი დაცულია ვენის ბიბლიოთეკაში⁹) და მათ შორის პოემა „ვამეყი და აზრა“, რომლის ტრადიციულ შესავალშიც პოეტი თავისი პოემის წყაროდ თითქოს ონსორის ასახელებს¹⁰. პოეტის ეს განცხადება, რომელიც ორაზროვნებას არ არის მოკლებული, უნდა გამხდარიყო წყარო იმ ცნობისა, რომელსაც იძლევა ჰაჯი ხალფას თხზულება (XVII ს.) „ქემფ ოზ-ზონუნ“: „თურქმა პოეტმა ლამიმ, — ნათქვამია მასში, — პიჯრის X საუკუნეში სულთან სოლეიმანისათვის თურქულად თარგმნა პოემა „ვამეყი და აზრა“ რამალის ზომით“. ეს ცნობა გახდა ამოსავალი ცნობილი ორიენტალისტის — იოზეფ ჰამერისათვის, რომელმაც ლამის თურქული ვერსია ონსორის პოემის ადეკვატურ თარგმანად გამოაცხადა, ხოლო პირველწყაროდ ჟალაური თქმულება მიიჩნია. ეს თვალსაზრისი უკრიტიკოდ გადავიდა ჰ. ეთეს, ე. ბლომეს, პ. ჰორნის, ე. ბრაუნის, ა. კრიმსკის, ე. ბერტელსის¹¹ და სხვათა შრომებში და ხელი შეუწყო იმ აზრის განმტკიცებას, რომ ონსორის დაკარგული პოემის სიუჟეტის აღდგენა საესებით შესაძლებელია ლამის ვერსიის მოშვებით. ძალიან დიდხანს ონსორის თხზულებაზე მსჯელობდნენ ლამის ანალოგიური სახელწოდების მქონე პოემის „ვამეყი და აზრას“ მიხედვით, რაკი ეს უკანასკნელი ონსორის ადეკვატურ თარგმანად იქნა იმთავითვე მიჩნეული. პულ ჰორნი უფრო შორსაც წავიდა: მან ცადა ონსორის „ვამეყი და აზრას“ სახელთან დაკავშირებული (ანუ მოთეყარების ზომით გაწყობილი) ბეითების შინაარსი მიესადაგებინა ლამის პოემის ცალკეული ეპიზოდებისათვის და, ერთი შეხედვით, ღადებითი შედევიც კი მიიღო¹².

ჩვენი საუკუნის 20—30-იან წლებში ჩატარდა ფართო მუშაობა ონსორის პოემათა ფრაგმენტების შეკრება-დამუშავების თვალსაზრისით. დაახლოებით ერთდროულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აწარმოებდა ამ სამუშაოს სამი ირანისტი: ე. ბერტელსი, თარბიათი, კ. ჩაიკინი. მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დიდი ნაბიჯი იყო წინ ჩვენთვის საინტერესო პოემის კვლევის ისტორიაში.

ორიგინალური იყო ე. ბერტელსის კვლევის მიმართულება და აქედან გამომდინარე დასკვნები. მან ასადის ლექსიკონში ონსორის სახელით დამოწმებული ბეითები (როგორც ეპიკური — მესწევიებიდან, ასევე ლირიკული — ყასიდებიდან) შეისწავლა ლექსიკური თვალსაზრისით. გამოიჩინა, რომ არა-

ბული ლექსიკის ხედრითი წონა ონსორის ლირიკაში გაცილებით მეტია, ვიდრე მის ეპიკურ ფრაგმენტებში. ამასთანავე, ლექსიკონში განსამარტავ ერთეულებად სწორედ ეპიკიდან ამოღებული სიტყვებია უმეტესად მოყვანილი. აქედან გამომდინარე, მკვლევარი აკეთებს მეტად საინტერესო დასკვნას ორი სტილის არსებობის შესახებ ონსორის პოეზიაში. თუ ლირიკული ყაბაღება ძლიერადაა დატვირთული არაბული ლექსიკით, ეპიკაში ეს ლექსიკა მინიმუმამდეა დაყვანილი. აქ ქარბობს ირანული არქაული ფორმები, რომლებაც უკვე XI საუკუნის მკითხველსათვის ლექსიკოგრაფთა განმარტებას მოითხოვენ. ამაში ხედავდა ე. ბერტელსი ონსორის პოემების დაკარგვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. მეორე მიზეზად ამ ნაშრომში მკვლევარი პოემა „ვამეყი და აზრას“ ზოროასტრულ რელიგიასთან კავშირს მიიჩნევს. დასკვნა ასეთი კავშირის არსებობის შესახებ გამოტანილია ლამის პოემის მინაარსიდან, რომლის დამოკიდებულებას ონსორის ვერსიაზე ე. ბერტელსი იმხანად, როგორც აღვნიშნეთ, დადებითად წყვეტდა.

ცალკეული ბეითების მხატვრული ანალიზის შედეგად მკვლევარმა გამოავლინა ონსორის პოეტური აზროვნების კავშირი ერთნული პოეზიის ტრადიციებთან (აბუ შუჟურ ბალხი, რუდაქი, ფირდოუსი)¹³.

თარბიათმა და ჩაიკინმა პირველენმა მიაქციეს ყურადღება ონსორის პოემაში საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბერძნულ ფორმას, ძველი ბერძნული რომანის პერსონაჟების — ჰეროსა და ლეანდრას მოხსენიებას. ამ ფაქტებიდან გამომდინარე თარბიათი დასკვნის, რომ სიუჟეტის წყარო ბერძნულიდან იქნა გადმოღებული აღმოსავლურ ენაზე¹⁴.

ამ დასაბუთებულ დასკვნასთან სრულიად შეუთავსებელია თარბიათის განცხადება იმის თაობაზე, რომ ონსორის აწ გაუჩინარებული პოემა, საბედნიეროდ, შემოგვინახა ლამის თარგმანმაო. როგორც ვხედავთ, იგი კვლავ უკრატეოდ იმეორებს (კ. ჩაიკინის თქმით — მონურად იმეორებს¹⁵) მეცნიერებაში გაბატონებულ აზრს, რომელსაც სრულიად არ ესადაგება მისივე კვლევის შედეგები.

კონსტანტინე ჩაიკინი პირველი იყო, რომელმაც გადაქრით უარყო ირანისტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისი ონსორისა და ლამის სიუჟეტების იდენტურობის შესახებ. მან მიუთითა იმ შესაბამობაზე, რომელიც შეინიშნებოდა ონსორის გადარჩენილი ბეითების მონაცემებსა და ლამის პოემის მინაარსს შორის. შესაბამობანი თავს იჩენდა, უპირველეს ყოვლისა, ტომონიმიკასა და ონომასტიკაში. ონსორის ცალკეულ ბეითებში ნახსენები პირთა და გეოგრაფიული სახელები ბერძნული წარმოშობისა ჩანდა (გარდა მთავარი გმირებისა და ვამეყის მეგობრის — თუფანისა), ლამის ვერსიაში კი — სპარსულ-არაბული ეტიმოლოგიის მქონენი. ასეთი კვლევის შედეგად კ. ჩაიკინმა გამოთქვა მეტად სარწმუნო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ონსორის პოემის წყარო რომელიღაც ბერძნული რომანი უნდა იყოს და, რაც მთავარია, საესებით განსწავებული ლამის სიუჟეტისგან¹⁶.

ონსორის შემოქმედების კვლევის ისტორიაში ეს იყო ახალი სიტყვა, რომლის ჰუმბარიტება დაადსტურა მომდევნო ხანის ტექსტობრივმა მონაპოვარმა. ეს მონაპოვარი მეცნიერებას შესძინა ინდოელმა მკვლევარმა მოჰაძად შაფი. 1954 წელს ორიენტალისტთა 23-ე საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული შაფის მოხსენება ონსორის „ვამეყი და აზრას“ მის მიერ აღმოჩენილი ვრცელი ფრაგმენტის შესახებ ახალ ფურცელს უღის საკითხის კვლევის ისტორიაში.

ზოგადი ცნობები ამ მონაპოვრის შესახებ და ფრაგმენტის მოკლე შინაარსი გამოქვეყნებულია კონგრესის მუშაობის თეზისებში¹⁷. 1967 წელს, უკვე შაფის გარდაცვალების შემდეგ, ლაპორში დაიბეჭდა მოპოვებული ფრაგმენტის სრული ტექსტი, ფაქსიმილებითა და ვრცელი გამოკვლევით (რომელიც ავტორს დაუსრულებელი დარჩა) სპარსულ და ურდუ ენებზე¹⁸. ფრაგმენტი შემთხვევით აღმოჩნდა ყურანის კომენტარების ხელნაწერის (XII ს.) ყდაში, სადაც იგი მუყაოს გასამაგრებლად იყო ჩაყრული. ამგვარად მოპოვებულ თორმეტ ფურცელზე იკითხება 372 მეტ-ნაკლებად სრული ბეითი და ცალკეული მისრა ონსორის პოემა „ვამეყი და აზრას“ შუა ნაწილიდან (ფრაგმენტის შინაარსი იხ. დანართი I). ამ ფრაგმენტს დაემთხვა ლექსიკონებიდან ადრევე ცნობილი ზოგიერთი ბეითი. ამიტომ მცდრად მიგვაჩნია მოჰამად მაჰკუბის ანგარიში, თითქოს ახლა ჩვენს ამქარგულებაში იყოს 515 ბეითი¹⁹. ეს ციფრი, ჩანს, მიღებულია შაფის ტექსტის ბეითებისა (372) და ლექსიკონებიდან ადრევე ცნობილი, მოთუყარების ზომით გაწყობილი და ონსორის სახელით დამოწმებული ბეითების (143) შეკრებით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოთუყარები ონსორის მეორე პოემის ზომაზე აღმოჩნდა (იხ. ზევით) და იმ 143 ბეითიდან „ვამეყი და აზრასათვის“ მხოლოდ იმათი მიკუთვნება შეიძლება დაუჭობებით, რომლებიც შაფის ტექსტს ემთხვევა ან შეიცავს საკუთარ სახელებს, რომელთაც ლექსიკოგრაფები ონსორის „ვამეყი და აზრას“ პერსონაჟებად ან ტოპონიმებად მიიჩნევენ (იხ. დანართი II).

მოჰამად შაფის მიერ აღმოჩენილი ფრაგმენტის შინაარსის ერთგვარი გაგრძელებაა წარმოდგენილი აბუ თაჰერ ტარსუსის (||ტარტუსის — XII ს.) ვრცელ პროზაულ თხზულებაში „დარაბ ნამე“, რომელშიც აღექსანდრე მაკედონელისა და მამამისის ისტორიაა მოთხრობილი. ამ თხზულების ერთ ეპიზოდში დატყვევებული აზრა ყვება თავის თავგადასავალს (იხ. დანართი III), რომელიც ონსორის ვერსიის იდენტურია (საკუთარი სახელების, კოლიზიების თანხედრა). ტარსუსის „დარაბ ნამე“ არის ჭერჭერობით ცნობილი ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ონსორის „ვამეყი და აზრას“ აშკარა გამოცახილს შეიცავს.

მ. შაფის ტექსტის შინაარსი, ლექსიკონებიდან ცნობილი ბეითები და „დარაბ ნამეს“ ხსენებული ეპიზოდი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ონსორის პოემა „ვამეყი და აზრას“ საფუძველზე და უფლებას გვაძლიევენ უფრო მეტი კატეგორიულობით განვაცხადოთ, რომ იგი შორეულ მსგავსებასაც კი არ ამქვანებს ლამის ამავე სახელწოდების პოემასთან (იხ. დანართი IV). ამ ორ თხზულებას აბსოლუტურად განსხვავებული აქვს პერსონაჟთა შემადგენლობა, საკუთარი სახელები, კვანძის მომენტი, მოქმედების განვითარება, კოლიზიები, გეოგრაფიული გარემო — და ისიც კი საექვოა, რომ ლამის როდესმე ენახოს ონსორის პოემა ან თუნდაც მისგან უშუალოდ მომდინარე რაიმე წყაროთი ესარგებლოს²⁰.

ლამის ვერსიის ონსორის პოემისაგან განსხვავების ფაქტი თავისთავად არც მოითხოვს რაიმე ანგუმენტაციას. ეს ფაქტი თვით ლამის შემოკმედებთი პეტოლიდან გამომდინარეობს. ამ მეთოდის შემოწმება, როგორც ე. ბერტელსმა შენიშნა²¹, ლამის „ვისი და რამინის“ მაგალითზეც შეიძლებოდა.

ამ ნაწარმოების მიხედვით (იხ. დანართი V) ლამი თავგადასავალთა დიდი მოყვარული ჩანს. იგი შეგნებულად ართულებს სიუჟეტს პერსონაჟთა და ინციდენტთა რიცხვის გამრავლების გზით. მისი მთავარი გმირები მხოლოდ სახე-

ლებით თუ მოგვეგონებენ თავიანთ ორეულებს გორგანის პოემაში, თორემ ხანაითი ძალიან დაშორდნენ მათ. აქ მოხსნილია ფატალური, ყოვლისმძლე სიყვარულის ლეიტმოტივი და მისი მიზეზი (დედისაგან უშობელი ქალის საბედისწერო გათხოვება), მოშლილია ნათესაური სისტემა: ვისის საქმრო — გორგანის მეფე — და რამინი ძმები აღარ არიან და არც არაფერში უპირისპირდებიან ერთმანეთს. რამინი მაშინ შემოდის მოქმედების ასპარეზზე, როცა გორგანის მეფე ტოვებს ამ ასპარეზს. ამდენად, სპარსული რომანის ძირითადი კონფლიქტი — რამინის დაუოკებელი ლტოლვა თავისივე ძმის კანონიერი ცოლისადმი — თავისთავად იხსნება. ლამისთან კონფლიქტის მიზეზი (რამინის მამის შემფოთება შეყვარებული ვაჟის სულთერი მდგომარეობის გამო, რამინის ციხეში ჩაყვება და ვისის გაძევება) ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა დეტალიც (რამინისაგან გონიერების დაკარგვა, მამის მიერ მისი წაყვანა განსაწმენდელად და სხვ.), „ლეილი და მაჯუნის“ მოტივების გამოძახილი ჩანს. გორგანის პოემის ზოგიერთი დეტალი ლამისთან თუმცა დაცულია, მაგრამ იგი სხვა შინაარსით და დანიშნულებითაა მოყვანილი (შდრ. წერილების ეპიზოდი გორგანისთან და ლამისთან). აქაც, ისევე როგორც „ვამეყი და აზრას“ შემთხვევაში, სიუჟეტში ჩართულია სხვა სამიჯნურო წყვილის ისტორია.

ლამის პოემები, საზოგადოდ, სპარსული რომანული ეპოსის მთელი განვლილი პერიოდის მოტივების კონტამინირებულ სახედ მოჩანს²². გამონაკლისს არც „ვამეყი და აზრა“ წარმოადგენს. იგი ტიპური ნიმუშია გვიანდელი შუა საუკუნეების სპარსული (და მისგან მომდინარე — თურქული) რომანული ეპოსისა მისთვის დამახასიათებელი უფერული ინტრიგითა და სათავგადასავლო ავანტიურით მაშინ, როდესაც ონსორის პოემა ელინისტური რომანის მკვეთრად გამოხატულ იერს ატარებს.

3. ჰორნის მიერ ონსორის ცალკეული ბეითებისა და ლამის პოემის შინაარსის ზოგ მომენტს შორის შენიშნული კავშირი სურათს არ ცვლის, ვინაიდან, ჯერ ერთი, როგორც ითქვა, არაფერ იცის, ყველა ის ბეითი, რომელთაც იზილავს მკვლევარი „ვამეყი და აზრადანაა“ აპოლეზული თუ არა, თანაც მის მიერ დასახელებული საერთო დეტალები (ცალკეული საბრძოლო თუ ფანტასტიკური ეპიზოდის სავარაუდო მინიშნება) მეტად ზოგად სფეროს ეხება, ისეთ სფეროს, რომელიც შეიძლება მართლაც საერთო იყოს ორი რომანული პოემისათვის მათი სიუჟეტური განსხვავებულობის მიუხედავად.



ხსენებული ტექსტოლოგიური აღმოჩენის ფონზე გადასინჯვას მოითხოვს ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისი ონსორის ეპიკური მემკვიდრეობის ძველ ქართულ მწერლობაში ასახვის შესახებ.

კლასიკური ხანის ქართული მწერლობის სამი ძეგლი: „თამარიანი“, „აბდულმესიანი“ და „ისტორიანი და აზმანი შარაყანდედთანი“ იცნობს ონსორის ორი პოემის პერსონაჟთა სახელებს. „თამარიანიში“ ვკითხულობთ:

„ოსანოს რეტი არს შენამჟვრეტი, გმო თავის ბედი, თმო ნატანჯევად...
უგავს შატბიერს, გულად ლაუბიერს, ანალათისა რად დაშერა ძევაღ“²³.

ნიკო მარი ცდილობდა, ამ ორ უკანასკნელ სახელში (შატიერი და ალა-თიქანალათი) ამოეკითხა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა — ავთანდილისა და თინათინის სახელები, მაგრამ ამ ეტიმოლოგიურ ძიებებს წარმატება არ ჰქონია²⁴. როგორც კ. კეკელიძემ ვაარკვია, აქ იგულისხმება პოემა „შაბდაპარი და აინალ-პიათის“ სამიჯნურო წყვილი²⁵, რომელიც ნახსენებია აგრეთვე თამარის ისტორიკოსის თხზულებაში, „ისტორიათა და ასმათა“ მის მიერვე გამართულ ტექსტში მკვლევარმა სახეებით სამართლიანად აღადგინა შაბდავარისა და აინალიეთის სახელები იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილნი არიან ლიტერატურულ თხზულებათა ცნობილი მიჯნურები. თამარის საქმრო ისეთივე იდეალური მიჯნური უნდა ყოფილიყო, როგორებიც იყვნენ: თაჰამთან თუმიანისათვის, ამირან ხორაზმისათვის, ხოსრო-შანშა შირინისათვის და ა. შ. მეთორმეტე წყვილად აქ დასახელებულნი ყოფილან სწორედ ჩვენი გმირები: „ვითარ შაბდავარ აინლიეთისათვის“²⁶.

„აბღღლმესიანის“ 32-ე სტროფში ნათქვამია:

„ვკობ ვამე-ვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარ-ყო იამან ქვეყნით,
აღმოფხვრა სული — ძე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით?
ენახეთ ა სერი. მახუდა სერი — მკეცი, მფრინველი უწყულად მსყენით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით“²⁷.

კ. კეკელიძის განმარტებით, „ეს ნიშნავს: ჩემ მიერ შესაქები პირის ანალოგიად მოვიწვევ ვამეყსა და ვისს, რომლებიც იმ პირებისადმი, რომლებთანაც მათ საქმე აქვთ, არ არიან მეყვისნი. ე. ი. — მოყვარულად განწყობილნი. შემდეგ ის ლაპარაკობს კერძოდ ჯერ ვამეყისა და მერე ვისის შესახებ. ვამეყის შესახებ ამბობს: როდესაც მან აიკლო, აფორიაქა იამანი და მისი ქვეყანა, მას ამოხადა სული, ამოუწყვიტა ძე და ასული; არავის არ შეუძლია ენით გადმოსცეს, რაც მან იამანს უყო. შეხედეთ ა სერი, გორაკი! მასზე მხიციებსა და ფრინველებს სუფრა გაუშლიათ, სერი გაუმართავთ და, იგულისხმება, დახოცილთ გვაგებს შეეჭკვიან. უკანასკნელი ტაეპი ვისს გულისხმობს: ის მეფეს ექმნა უწყალოდ, შეუბრალებლად მოეპყრა, იგულისხმება მოაბადი, რომელიც მან გახადა „უძალოდ“ — სულერთიან მოუსპო ნებისყოფა... და იქამდის მიიყვანა, რომ, როგორც გლახაკი, ძონძებით შემოსილი დაეხეტებოდა მის, ვისის საძებნელად... აი, ასე მოექცა ჩემი გმირი, ამბობს მეხოტბე, თავის მტრებს, ასე აღმოფხვრა, დააუძლურა და დააბეჩავა ისინიო“²⁸.

არსებობს ამ სტროფის რამდენადმე სხვაგვარი გაგებაც. ი. ლალაშვილის აზრით, აქ „აღლეგორიულად მინიშნებულია ბასიანის ომის შედეგი და რუქნადინ-თამარის ურთიერთობა... ვისი არ იყო მეყვისი (მოყვარე) ვამეყისა, ასევე — თამარი არ იყო მეყვისი რუქნადინისა. მეხოტბის აზრით, ვამეყმა — რუქნადინმა იავარ-ყო ლავისი ქვეყანა, როდესაც მან „აღმოფხვრა სული — ძე და ასული“. რაც მან თავის ხალხს უყო (იმის გამო, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა). ენით ვერ გამოითქმება... თამარი კი რუქნადინს „ექმნა უწყალოდ“, როდესაც მან დააუძლურა „მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით“ (რუქნადინი აქ შედარებულია შაჰ-მოაბადთან, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში დაეხეტებოდა ვისის საძებნელად...)“²⁹. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი კომენტარებისათვის საერთოა დასკვნა იმის შესახებ, რომ აქ ნახსენები ვამეყარის ონსორის დაკარგული პოემის „ვამეყი და აზრას“ გმირი, რომელსაც უმოწყალოდ გაუნადგურებია იამანის ქვეყანა. კ. კეკელიძე ამის თაობაზე შე-

ნიშნავს: „თუ მხედველობაში გვექნება ონსორის რომანების უდიდესი პოპულარობა (sic! -- ი. კ.), — მეორედ — ადრიატიკურ პოპულარობა ჩვენში „ვამეყ“ სახელისა და შესამედ — „სადბერ-აინლიეთის“ მოხსენიება ო.რ სხვადასხვა ახსნაში, საკითხი ონსორის ქართულად თარგმნის შესახებ შეიძლება დადებითად გადაწყდეს. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს რომანება აღმოსავლურ ლიტერატურაში ადრე გამქალა, ქართული მწერლობის ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება“³⁰. „დაკარგული „ვამეყ და აზრას“ შინაარსის გასათვალისწინებლად ამ ციტატას ნაკლები მნიშვნელობა არ ექნება, ეიღორე იმ ცნობებს, რომელთაც სპეციალისტები სხვადასხვა კუპურებში ვერბენ და პოულობენ“³¹.

ონსორის „ვამეყი და აზრას“ ანარეკლს ხედავდა კ. კეკელიძე „ვეფხისტყაოსანშიც“. თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1958 წლის გამოცემაში მკვლევარს შეუტანია წინა გამოცემებისაგან განსხვავებული მასალა, კერძოდ — ცნობები იმ ქართულ თუ უცხოურ თხზულებათა შესახებ, რომელთაც ნაცნობობასაც ამჟღავნებს „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ-კომპოზიციური დეტალების თვალსაზრისით. გორგანის „ვისი და რამინის“, ნიზამის „ლეილა და მაჯნუნის“, ვირდოუსის „შაჰნამეს“ გვერდით აქ დასახელებულია ონსორის თხზულება „ვამეყი და აზრა“. აი, რას წერს მკვლევარი: „მეოთხე სპარსულ სამიჯნურო რომანი, რომლის სიუჟეტური სქემა, რამდენადაც იმის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია XVI საუკუნის თურქთა პოეტის ლამის თარგმანის მიხედვით (ხაზი ჩვენია. — ი. კ.), ძალიან წააგავს „ვეფხისტყაოსნისას“, არის ონსორის „ვამეყ და აზრა“.

ა) აქაც შეყვარებულთა ორი მთავარი წყვილია: ვამეყ-აზრა და ბექმენ-დელფეზი; ძირითად მოთხრობაში აქაც შექსოვილია შესამე მეფის — ლაპიჯანის ეპიზოდი, როგორც ჩვენს პოემაში — ფრიდონისა. ბ) ვამეყი და ბექმენი აქაც მშობილები არიან, ჭეჭუნ-მტენი, ბექმენი იმნაირადვე ეხმარება ვამეყს აზრას მოებნაში, როგორც ავთანდილი ტარიელს. გ) მათი დამხმარეა აგრეთვე აზრას მიმა-გამზრდელი, რომელიც ისე აერთებს შეყვარებულებს, როგორც ასმაილი ტარიელ-ნესტანს, და რომელიც იმდენსავე ვასპირს იტანს იმათთვის, როგორც ასმაილი. დ) ვამეყი და ბექმენი აუტანელ, პირდაპირ წარმოდგენენ დამრკობლებსა და ვასპირს ხედებიან აზრას ძებნისას როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე: ამ ხეტილის დროს გმირის ვაჭრულად გამოწყობას აქაც ადგილი აქვს, როგორც ჩვენს პოემაში. ე) მიჯნურთა თავგადასავალი აქაც კეთილად დასრულდება. შეუღლებიან როგორც ვამეყი და აზრა, ისე ბექმენი და დელფეზი“ (გვ. 138) (ჩვენი მხრივ დაუშვებლად კიდევ ორ წყვილს, რომელთაც აგრეთვე იქორწინეს ლამის პოემის ფინალში: ჰელპილანი — ჰუმა და ექიმი ფირა აზრას ძიდა).

აქ წარმოდგენილი მსჯელობა ონსორის „ვამეყი და აზრასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური პარალელების თაობაზე ლამის პოემის შინაარსის მოშველიებით, ცხადია, ემყარება იმ გაუგებრობას, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს არსებობდა ირანისტიკაში და რომლის უნიდავაობა საბოლოოდ ნათელი ონსორის პოემის ვრცელი ფრაგმენტის აღმოჩენამ.

ამ ფრაგმენტის ანალიზი საეჭვოდ ხდის აგრეთვე მტკიცებას იმის შესახებ, რომ „აბდულმესიანში“ ნახსენები ვამეყი ონსორის პოემის პერსონაჟი იყოს. ამ ეჭვს ბაღებს ონსორის თხზულების ტოპონიმიკა, რომელიც, როგორც დაუნახეთ, მთლიანად ბერძნულ გარემოში ტრიალებს და იამანისათვის იქ ადგილი

არ უნდა რჩებოდეს. ამასთანავე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი ვერსიების უმრავლესობაში დაყინებით იხსენიება იემენი ერთ-ერთ ტოპონიმად. ეს ვერსიები დიდ სიუჟეტურ წაირგვარობას იჩენენ, არსებითად განსხვავდებიან ონსორისეულისაგან და ხშირად — ერთმანეთისგანაც. მაგრამ ყველა მათგანს საერთო აქვს ის, რომ მათი ტოპონიმოქა და ონომასტიკა ისევე როგორც ზოგადი მოდელი რომანისა, აღმოსავლური ტიპისაა. ერთადერთი თხზულება ჩერჩერობით ხელმისაწვდომ ვერსიათა შორის, რომელშიც მეტად ყრუდ, მაგრამ მაინც გაისმა ონსორის პოემის გამოძახილი, არია XVII ს-ის პოეტის შებ ჯუშყანის „ვამეყი და აზრას“, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი იემორებს ონსორის პოემის პერსონაჟის სახელს. ესაა სახელი ფალათუს (فالتوس), მაგრამ იმ სხვაობით, რომ ონსორისთან ეს სახელი აზრას მისწავლელს ჰქვია. ჯუშყანისთან კი — ვამეყის მამას. ონსორისთან ნაცნობობის სხვა კვალი ამ გვიანდელ ვერსიებში არ ჩანს. ონსორის პოემა საკმაოდ ადრე ჩანს დაკარგული³² და ამის მიზეზი, ირანელი მეცნიერის ხანლარის ვარაუდით, უნდა ყოფილიყო სწორედ ის უცხო სახელები (პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა). რაც ხელს უშლიდა მის ათვისებას და გავრცელებას³³.

„აბდულმესიანის“ ზემოთ ციტირებული სტროფი გვაფიქრებინებს, რომ უკვე ონსორის მახლობელ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში XII ს-მდე ადრე, ბერძნულიდან მომდინარე ამ ვერსიის გარდა არსებობდა ვამეყის და აზრას სამიჯნურო თავგადასავლის შემცველი სიუჟეტი ან სიუჟეტები, რომელთა აღმოსავლური ტოპონიმოქა და ონომასტიკა უფრო მახლობელი იყო მკითხველსათვის და მომდევნო დროის პოეტებშიც მათ უფრო ხალისით ამუშავებდნენ, მიუხედავად ონსორის დიდი პოეტური ავტორიტეტისა. სავარაუდოა, რომ ქართულ მწერლობაში აისახა სწორედ ეს მეორე, ონსორის ბერძნული ვერსიისაგან განსხვავებული, აღმოსავლური მოდელის მქონე სიუჟეტი, რომლის ერთ-ერთი ტოპონიმი იყო იემენი.

თუ ეს ჩვენი ვარაუდი ქემმარტებას მოკლებული არ არის, მაშინ ძველი ქართული მწერლობის ამ, ერთი შეხედვით, მწირ მონაცემს ფასდაუღებელა მნიშვნელობა ენიჭება „ვამეყი და აზრას“ აღმოსავლური ვერსიების კვლევის საქმეში (ასეთი კვლევა, ფაქტიურად, დაწყებულიც არ არის). ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართული მწერლობის ცნობა სწორედ იმ პერიოდის გამოძახილია, საიდანაც „ვამეყისა და აზრას“ ვერსიები ჩვენამდე მოღწეული არ არის. მხოლოდ ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან ვიცით მათი არსებობის ფაქტი ხსენებულ ხანაში. მეორე და მთავარი ღირსება ამ ცნობისა ის არის, რომ „აბდულმესიანში“ დამოწმებული იამანი ერთგვარ შემაერთებელ რკოლად მოჩანს „ვამეყი და აზრას“ ძველსა და ახალ ვერსიებს შორის და გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი ონსორის პოემის გაყალბებას, ფალსიფიკაციას (جعلی) კი არ წარმოადგენენ, როგორც ჩვეულებრივ მიაჩნიათ³⁴, არამედ — „ვამეყი და აზრას“ უძველესი სიუჟეტური ციკლის ბუნებრივ განვითარებას. ქართველი მეხოტბის მიერ ფიქსირებული ტოპონიმი იამანი, როგორც აღინიშნა, უშუალოდ ეხმაურება „ვამეყი და აზრას“ გვიანდელ მრავალრიცხოვან ვერსიებს, რომელთაც ონსორის ბერძნულ-ელენისტური სიუჟეტისაგან განსხვავებით ტრადიციული სპარსული რომანის მოდელი გააჩნიათ. ჩვენი ვარაუდით, ასეთივე მოდელის მქონე უნდა ყოფილიყო „ვამეყი და აზრას“ ის სიუჟეტი, რომელიც პოპულარული იყო ჯერ კიდევ ონსორის წინა პერიოდში.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა ონსორის სიუჟეტის მიმართების შესახებ

წინამორბედ ვერსიებთან. როგორც უკვე ითქვა, ონსორის წინა პერიოდში ცნობილია ანუშირვანის სახელზე (ე. ი. VI ს-ში) შექმნილი ვერსია, რომელიც IX ს-შიც არსებობდა და თავიერმა გაანადგურა. გარდა ამისა, საკლ ბენ ჰარუნის სახელთან დაკავშირებულია იგივე სათაური, დამოწმებული იბნ ნადიმის „ფეჰრესთში“, და ბოლოს — ონსორის თანამედროვე ბირუნის თხზულებათა სიაში შეტანილი სამივე სახელწოდება იმ პოემებისა, რომლებიც ონსორისავე დაემუშავებია.

როგორც წესი, მკვლევრები, ვარაუდობენ ონსორის სიუჟეტის კავშირს ფალაურ ვერსიასთან — პირდაპირს ან სირიულ-არაბული ვზით გაშუალებულს. შესაბამისად, გამოდის, რომ ის პოპულარული და საყვარელი მოთხრობა, რომელზეც დოვლათ-შაჰი მოგვიანრობს, იმავე სიუჟეტის მქონე უნდა ყოფილიყო, რომელიც ახლა უკვე ცნობილია ჩვენთვის შაჟის მიერ აღმოჩენილია ფრაგმენტებიდან, ე. ი. ბერძნული რომანი თავისი ტომონიმითა და ონოქსტიკონით. მეორე მხრივ, გვიანდელი ვერსიები, რომელთა რიცხვი ძალზე დიდია, არ ამკლავებენ მსგავსებას ონსორის სიუჟეტთან. ამიტომ უწოდებს პათ მაჰჯუბი ყალბსა და ფალსიფიცირებულს, ანუ ისეთს, რომელიც არ ჰგავს ნამდვილ „ვამეყი და აზრას“. ე. ი. — ონსორის ვერსიას.

მაგრამ საკითხავია, რის მიმართ ვთვლით ფალსიფიკაციას, ანუ საიდან ვიწყებთ ათვლას? არის კი ონსორის ვერსია „ნამდვილი“ „ვამეყი და აზრა“ ანუ ის „საამური მოთხრობა“, რომელიც ბრძენმა ხალხმა შეთხზა მეფე ანუშირვანისათვის? ვამეყისა და აზრას, როგორც მიჯნურთა წყვილის, სახელების დიდი პოპულარობა არის ონსორის პოემის გამოძახილი თუ პირიქით — მიზეზი ამ პოემის აღმოცენებისა? ე. ი. ხომ არ მოხდა ისე, რომ ონსორიმ თვითონ „მოარგო“ ბერძნულ სიუჟეტს მის დროს უკვე პოპულარული გმირების სახელები? აქ გვანსენდება ანალოგიური შემთხვევა, სწორედ ონსორის თანამედროვესა და თანამოქალაქე პოეტის სახელთან დაკავშირებული. მხედველობაში გვყავს აიუყი, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით გალექსა ცნობილი არაბული თქმულება მიჯნური ქალ-ვაჟის — აფრასა და ურვაჰის შესახებ, შეცვალა მათი სახელები და თავის პოემას „ვარყა და გოლშაჰი“ უწოდა, რითაც დასაბამი მისცა ამ თემის პრავალრიცხოვან ვერსიებს მომდევნო ხანის სპარსულ და თურქულ ლიტერატურებში⁵⁵. თვით „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი ვერსიების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ეს თემა მეტად მოძრავი სიუჟეტის მქონეა. ისინი, როგორც ითქვა, არა მარტო ონსორის ვერსიისაგან განსხვავდებიან, არამედ — ხშირ შემთხვევაში — ერთმანეთისგანაც, თუმცა ზოგი ავტორი, მაგალითად, ლამი, სრულიად უპასუხისმგებლოდ ასახელებს თავისი სიუჟეტის წინამორბედად ონსორის, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ონსორის დიდი პოეტური ავტორიტეტი უნდა იყოს ნაკარნახევი. უფრო მეტიც, „ვამეყი და აზრას“ ზოგი გვიანდელი ვერსია დუბლირებულ სახელწოდებას ატარებს. მაგ., მოლა ნავი ხაბუშანის (XVII ს.) ერთ პოემას ეწოდება „ვამეყი და აზრა“ და „სუზ ო გოდაზ“ („წვა და დაგვა“). ასე რომ, ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ონსორიმ მის დროს ცნობილი გმირების სახელები სულ სხვა სიუჟეტს შეუფარდა, თეორიულად და ისტორიულადაც გამორიცხული არ უნდა იყოს.

ტრადიციულ თვალსაზრისში ჩვენი დაეჭვება გარკვეული ფაქტებისა და ცნობების შეპირისპირებამაც გამოიწვია. ეს თვალსაზრისი — ანუ აპრიორულა ვარაუდი ონსორისა და ფალაური ვერსიების კავშირის შესახებ — ბოლოს და ბოლოს მხოლოდ დოვლეთშაჰის (XV ს.) ცნობაზეა დაფუძნებული. ეს უკა-

ნასკნელი, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გულისხმობდეს ონსორის სიუჟეტს. უპირველეს ყოვლისა, ანგარიშგასაწევიცა ის, რომ ანუშირვანის დროს შექმნილ ნაწარმოებს არ შეიძლებოდა რქმეოდა „ვამეყი და აზრა“ — საშუალო ხანის სპარსული მწერლობა არ იცნობს წიგნის სათაურის არაბულად გაფორმების შემთხვევებს. ეს ტრადიცია ისლამური ირანის ლიტერატურამ დაამკვიდრა. გარდა ამისა, დოვლეთშაჰის ცნობაში ხაზი აქვს გასმული თაჰერის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ვამეყი და აზრა“ მოგეთა (معان) შეთხზულია და ამიტომ ყურანის მკითხველი საზოგადოებისათვის — მკრეხელური. ჩვენი ვარაუდით, ხსენებულ წიგნს ასე მკვეთრად გამოხატული ბერძნული სიუჟეტი რომ ჰქონოდა და, რაც მთავარია, ეს სცოდნოდა დოვლეთშაჰს, მაშინ იგი თავისი თხრობის პერსონაჟს სხვა მიზეზს ნოაქებნიებდა წიგნის გასანადგურებლად და ყურანს არ დაუპირისპირებდა კონკრეტულ ზოროასტრულ ცნებას (მოგობას). დოვლეთშაჰის ვადმოცემა თავისთავად ვარაუდობს, რომ ამ ინციდენტში საუბარია ძველ სპარსულ სიუჟეტზე და არა ბერძნულზე (მით უმეტეს ისეთზე, რომელსაც თავისი უცხოური წარმოშობა ისე გამჭვირვალედ აქვს შენარჩუნებული, როგორც ონსორის სიუჟეტს).

ყურადღებას იქცევს ონსორის ტექსტის ერთი დეტალი: მამა რომ თავისი ქალშვილის უებრობაში დარწმუნდა, სახელად აზრა (عزرا — არაბ. ქალწული, უბიწო) უწოდა. აშკარა შეუსაბამობაა და მინიშნება იმაზე, რომ ავტორი ცდილობს მზა სახელი მოარგოს სიუჟეტსა და სიტუაციას⁴⁶.

ბერძნული ტოპონიმისა და ონომასტიკის ასე უხვად შემცველი სიუჟეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსული მკითხველისათვის ისე ახლობელი და პოპულარული, როგორც მას დოვლეთშაჰი ახასიათებს, და ამ პოპულარობას ზეითი საუკუნისთვის გაეძლო (ანუშირვანის ეპოქიდან ონსორის ხანამდე). ეს სიუჟეტი უფრო წიგნური გზით ჩანს გადმოღებული და გავრცელებულიც, ვიდრე — ზეპირ. აქ საგულისხმოა ის ვარიაციები, რასაც ეხვდებით საკუთარი სახელების დაწერილობაში სხვადასხვა ლექსიკონთა ავტორებთან. მაგ.: ქერუნის — ქერუთის (كروئیس || كروئیس), მეჯნითოს-მეჭხითოს (مجنطیس || ملجنطیس), მაჯინუს-მახნუს (مجنوس || مجنوس) და სხვ. ყველა ეს ვარიაცია არაბული ანბანის გრაფიკული თავისებურებით იხსნება. ამბავი რომ ზეპირად ყოფილიყო გავრცელებული, ეს ვარიანტები ფონეტიკური ხასიათისა იქნებოდა და არა — გრაფიკული. ცნობილი და პოპულარული სიუჟეტის საკუთარი სახელები ჩვეულებრივ არც იძლევა ხოლმე ვარიანტებს ხელნაწერებში.

ჩნდება ასეთი ეჭვიც: არის კი ისტორიკოსთა და ლექსიკოგრაფთა ყველა ის ცნობა, რაც ვამეყისა და აზრას სახელს უკავშირდება, ონსორის ვერსიის ანარეკლი? მაგალითად, XVII ს-ის ცნობილ განმარტებით ლექსიკონში „ბორჰანე ყათა“ სიტყვა عذرا-ს (აფრანჯე) განმარტებისას ნათქვამია, რომ ეს არის ქალაქი, რომელიც ანუშირვანმა ააგო მისრეთის ზღვის ნაპირას. ამ ქალაქიდან იყო აზრას დედაო. თუ აქ „თარიხე გოზიდეს“ ცნობასაც გავიხსენებთ, რომელიც გვაუწყებს, რომ ვამეყი და აზრა მაკედონელის დროს ცხოვრობდნენ, შეუსაბამობა ნათელი გახდება: აზრას დედა ვერ იცხოვრებდა ქალაქში, რომელიც 10 საუკუნის შემდეგ ააგეს.

გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ონსორის თვითონვე გადაემუშავებინოს ხსენებული ბერძნული სიუჟეტი უშუალოდ ბერძნული ან თარგმნილი წყაროდან. საგულისხმოა, რომ ბერძნული თემა და სამყარო გამოსჭვივის ონსო-

რის კიდევ ერთ პოემაში. ხაფიფის ზომით გაწყობილ ბეითში (იხ. ასადის ლექსიკონი, სიტყვა **يوانگي**), რომელიც, როგორც უკვე ვიცით, „შადბაჰრი და აინოლჰაიათიდან“ არის ამოღებული, აგრეთვე იხსენიებიან ბერძნები და მათი ჩვეულებანი: „მაშინ გამართეს ქორწილი ბერძნული წესისა და რიგის მიხედვით“ — **ساختند آنگه يوانگي هم باين و رسم يوناني**

ბეითის შინაარსი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პოემის (ან მისი ეპიზოდის) მოქმედებაც აგრეთვე საბერძნეთშია გაშლილი. გამორიცხული არ არის, რომ ეს გრეკოფილური ინტერესები ონსორის აღძვროდა ქალაქ ნისიბინში ყოფნისას, სადაც პოეტს თითქოს გაუტარებია თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი, როგორც მოგვითხრობს XVII ს-ის ისტორიკოსი ქაშეფი თავის თხზულებაში „ხაზან ო ბაჰარ“ („შემოდგომა და გაზაფხული“)³⁷, თუმცა ისტორიკოსის ეს ცნობა არ არის უკრიტიკოდ განიარაღებული³⁸.

ონსორის „ვაშევი და აზრას“ სიუჟეტის ბერძნული წყარო ჟერჯერ-ბათ მიკვლეული არ არის. ჩვენამდე მოღწეული ძველი ბერძნული რომანების ცალკეული ეპიზოდები თუმცა ამგვანებენ მსგავსებას „ვაშევი და აზრასთან“. მაგრამ არ ჩანს ისეთი სიუჟეტი, რომელიც შეიძლებოდა ონსორის თხზულების წყაროდ მიგვეჩნია. ამ საკითხით დაინტერესებულმა კ. ჩაიკინმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როდესაც პოემის მხოლოდ ცალკეული ბეითები იყო ცნობილი, გამოთქვა ვარაუდი, რომ ონსორიმ გადაამუშავა რომელიღაც ჩვენამდე არმოდღეული ბერძნული რომანი ან თავისი პოემა ამ რომანების მიბაძვით შეთხზა³⁹. ეს ვარაუდი დღესაც ძალაში რჩება. ვ. სახრანოვის მიერ მინიშნებული პარალელი მეტიოხისა და პართეოპას რომანთან, რომლის ფრაგმენტები ეგვიპტის პაპირუსებშია დაცული⁴⁰, სურათს არ ცვლის, ვინაიდან ასე ცალკეული დეტალებით ონსორის პოემა სხვა ბერძნულ რომანებსაც ემსგავსება და ვერ ვხედავთ მიზეზს, რომლის გამოც შეიძლებოდეს უპირატესობის მინიჭება მეტიოხისა და პართეოპას რომანისათვის.

ონსორის დანარჩენი ორი პოემის შესახებ არავითარი ხელშესახები მასალა ჟერჯერობით არ გავაჩნია, თუ არ ჩავთვლით ლექსიკოგრაფების მიერ დამოწმებულ 69 ბეითს⁴¹, ხაფიფის ზომით შესრულებულს, რომლებიც, როგორც გაირკვა, ეკუთვნიან პოემას „შადბაჰრი და აინოლჰაიათი“. ამ პოემებს იცნობს და ახსენებს ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ სპარსული ვერსია „ისქანდერინანე“ დამუშავებული XIII ს-ში⁴², სიცილიანე მოგვეყვას სათანადო ტექსტის თარგმანი:

1. „... შემდეგ შაჰმა (ალექსანდრე) მაიფონელმა. — ი. კ.) იმ მოხუცს ჰკითხა: დედის გულზე რომ ვაჯიარე, ორი ქანდაკი ვხიბოღ. ერთს თუთრ კერას უხმობენ. შერკეს... (საფლავი) კერას. იქვე ორი საფლავიც იყო. ანან გამაყვირვა. თქვენ ხომ არადირო იცით იმ კერებზე-სა? მიუფეს: ჰე, ხელმწიფეო! იმ კერების ამბავი ცნობილია და ამ ქალაქშიც იცოდნენ. ის საფლავები ორ მიწურს ეკუთვნის, რომლებიც განშორებულა დაიხორცნენ. მათი ამბავი გრძელია. ერთი მათგანი მისკრთის მეფის ვაჟი იყო, შორეი კი — ჩვენი ქვეყნის მეფის ასული. ეს ამბავი საამური არ ვახლავთ. ონსორამ გაღვქა იგი და ცნობილია, აქ აღარ მოეყვანო, რათა სქანდერის ამბავს არ გადაუხეიოთ. იმ მხარის მოხუცებმა ისქანდერს მოუთხრეს ამბავი. ის დაუფაც აჩვენეს, საფლავებს რომ ეღო და ზედ მიწურავს თავიანთი ამბავი დაეწერათ. რუქსაც წაიკითხა, დარწმუნდა, რომ ყოველივე ისე მომხდარიყო, როგორც მოხუცებმა უამბეს⁴³.

2. „იმ დამეს მეფეს არაყიათს (اراقيت) რაგი ჰქონდა. როჯესაც მიეღა. ხელი მოჰკიდა არაყიათს და უთხრა: წამოდი, საოცრება გაჩვენოო. შვიდი ბელის (هفت انبر) ბალისკენ გაუძღვა და იმ სუქამში⁴⁴ შეიყვანა, სადაც აინოლჰაიათის სახე იყო გამოხატული და აჩვენა.

არაერთმა უთხრა: მეფეო, ესაა სახე აინოლპიათისა, შეჰასანის (بھاسان) ასულისა და (მისი ამბავი) იმდენად საოცარია, რომ შეიტყო, მეფობა დაგაიწყებდა.

მეფემ ბრძანა, შეეყრიბათ მოხუცებულნი, რათა ამბავი მოეთხროთ.

არაერთმა უთხრა: მოხუცები რა საჭირონი არიან? ეგ ამბავი მე მკითხე, მზესავით ნათლად [გამაშობ] და ისეთ საოცრებებს შეიტყობ, რომ გაეკირვებული დარჩები.

მეორე ღღის დილათ მოხუცი მოვიდა და მეფემ იგი არაერთთან წაიყვანა. არაერთმა უთხრა: ჰკითხე მას, რა იცის აინოლპიათის ამბისა და ცრინველის (مرغ کیه) დაცემოსა შუბაპარსის მკვარდზე, რომელზედაც აინოლპიათის სახე იყო გამოჩატული, მბატკრის ამბისა და მათი სიყვარულის შესახებ?

ეს ამბავი ძალზე ენობლია, ბრძენმა ონსორიმ გალექსა და უბრავესობამ იცის. ჩვენ მას გვერლი აუფრუთ, რათა ისქანდერის ამბისთვის არ გადაგვეხვია. მოხუცი რომ იმ ამბავს მოუთხრობდა მეფეს, ჯერ შუამღევ არ მისულიყო, როცა თერიები შემოვიდნენ და ზანგთა ამბავი მოიტანეს⁴⁵.

როგორც ვხედავთ, ონსორის ეპიკურ შემევიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მთელი რიგი ჯერ კიდევ საღისეოსიო მდგომარეობაში რჩება (მათ ნაწილს შეიძლება შეუქი მოჰყინოს „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი სპარსული და თურქული ვერსიების კვლევაში). მაგრამ ამ ეტაპზე უდავოა ერთი რამ: ონსორის „ვამეყი და აზრა“ (აპრიორი შეიძლება ვივარაუდოთ — მისი დანაზრჩენი ორი პოემაც) არის ჩვენს ხელთ არსებული უადრესი ნიმუში სპარსული რომანული ეპოსისა. მისი შესრულების სტილი — ენისა და პოეტური ფიგურების სისადავე და ლაკონურობა — კლასიკური სპარსული ლირიკის ადრეული პერიოდის საუკეთესო ნიმუშებს ეხმაურება. ტროპული სახეები თავისუფალია მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი ხელოვნურობისა და თვითმიზნური სირთულისაგან, ლექსიკა — მაქსიმალურად იზოლირებულია არაბიზმებისაგან.

ონსორის პოემა „ვამეყი და აზრა“ უკვე ქმნის სპარსული რომანული ეპოსის საწყისი ეტაპისათვის ნიშანდობლივ კოლორიტს, რასაც ორგანულად აკვებებს მისი უახლოესი თანამედროვეების — აიუყისა და გორგანის შემოქმედება.

I. ონსორის „ვამეყი და აზრა“*

კუნძელ შამოსზე (სამოსზე) ღიღი ლხინია. მისკენ ისწრაფვის ყოველი მხრიდან საზეიმო მორთული ბერძენთა გემები. აქური მეფე პოლიკრატი ცოლად ირთავს პირმშენიერ ქალწულ იანის. ერთ კვირას არ შეწყვეტილა ჩანგისა და რეზაბის ხმები, არც ძილი და მოსვენება მოგონებია ვინმეს.

ჰორწილის შემდეგ ერთ ღამეს უცნაური რამ ეზმანა მეფეს: თითქოს მის სასახლეში ერთი ზეითუნის ხე ამოსულიყო, ადგილიდან დაძრულიყო და მთელი კუნძული შემოეკლო, შემდეგ უკან დაბრუნებულიყო და სასახლეში, თავისსავე ადგილზე, დამდგარაყო. მეფე პოლიკრატმა სასიკეთოდ ახსნა სიზმარი და დაისვენა: უთუოდ ისეთი შვილი მიეცემოდა, რომელიც მამის სახელსა და საქმეებს განაღიდებდა.

ხანი გამოხდა და იანიმ მთვარის საღარი ქალი შვა. ქალი ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ერთი თვისა წლისას ჰკავდა; შეიღი თვისამ ფეხი აიღდა და ათი თვისამ — ენა; ორი წლისა სწავლას შეუდგა, რვა წლისა უკვე ვარსკვლავთმრიხველი და რჩეული მწიგნობარი დადგა, ხოლო ათი წლისამ სასპარჯო შოედანს მიმართა, ჩოგან-ბურთსა და მშვილდოსნობაში გაიწავდა. ერთ ღღეს მამამ გამოიყვანა ქალმშვილი და, როდესაც დარწმუნდა, რომ განსწავლულობაში ტოლი არ ჰკავდა, სახელად აზრა უწოდა. ამიერიდან პოლიკრათი თავის ასულს გვერდით

* წყარო: იმ მ. შავის დასახ ნაშრ. (შენიშ. 18) ტექსტი გვ. 1—27.

დან არ იცილებდა, ხალხის თვალს არ უმაღავდა, უმისოდ ლხინს არ ეწეოდა და როდესაც მტერი თავს ესხმოდა, საომარ ლაშქარს აზრას უსარდლებდა ხოლმე. სულზე ჰეტად უყვარდა მეფეს თავისი ასული და ორთავე თვალის ჩინს ერჩია.

ვამეყი იყო ეუნძულ ქერუნისის (ქერეთისის) ხელმწიფის მეჭიტოსის (მელხიტოსის) ვაჟი. უფლისწული მეტად გონიერი და მომხიბვლელი იყო — სადაც არ უნდა გაველია, ქვეყანას თავალი რჩებოდა მასზე. ღეღამისის გარდაცვალების შემდეგ მამამ გეორგი ცოლი შეირთო, საბედლად მაშულოე. ავგულმა და ბოროტმა დედინაცვალმა კმარს გული ააყრევინა შეილზე. მამისგან მოძულებულმა ვამეყმა ერთ დღეს ისიც შეიტყო, რომ დედინაცვალი მოწამელას უპირებდა. სხვა გზა არ იყო, უფლისწული სასახლეს უნდა გასცლოდა და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი.

ვამეყს ერთი მეგობარი ჰყავდა, სახელად თუფანი — გამოცდილი და მრავალჭირანხული კაცი. მას შესჩვილა ვამეყმა თავისი გასაჭირი. თუფანმა კი ურჩია, წასულიყო შამოსში პოლიკრატ მეფესთან, რომელიც ვამეყს სისხლის ნათესავად ერგებოდა. იგი უთუოდ მისცემდა თავშესაფარს. ვამეყს მოეწონა თუფანის რჩევა. იმავე საღამოს ყველასაგან მალულად მეგობრები ხომალდში ჩასხდნენ და შამოსს გაემგზავრნენ.

შამოსზე ერთი ცნობილი საყვარო ტაძარი იყო, რომელსაც უამრავი მლოცველი ჰყავდა. თითო გვირგვინოსანი ხელმწიფენიც ქვეითად მიდიოდნენ ტაძარში და მის კერას მოწიწებით სცემდნენ თავიანთს. სწორედ მაშინ, როდესაც ვამეყი ტაძარს გაუსწორდა, ტაძრის კარიდან აზრა გამოდიოდა. ახალგაზრდებმა თვალი შეავლეს ერთმანეთს და გული აუღელდათ. აზრამ ვინაობა გამოჰკითხა უცხო ყმაწვილს. ვამეყმა მიუგო, რომ იგი ლტოლვილია, უსამართლობას გამოჰქცეული, და მეფე პოლიკრატის დიდსულოვნებაზე ამაყებს იმედს. ამასობაში მოსახურებებს აზრას ღელა მიუახლოვდა, მოიხიბლა პირმშვენიერი ჰაბუკის მეფური იერით, პოლიკრატთან წარდგენას დაჰპირდა და სასახლისკენ გაემშრა. მას თან გაჰყვა აზრაც — ფეხბარეული მისდევდა ღელას და პირს არიდებდა. გულმეჭირებული ვამეყი კი იქვე დარჩა და გაოგნებული ფიქრობდა, თუ რა ახალ განსაცდელს უმზადებდა ბედი, რომელმაც წამით მოაჩვენა ის ფერია თუ მიწაზე მოარული მთვარე. თუფანმა თვალცრემლიანი რომ ნახა თავისი მეგობარი, ზეაშთადს მიუხვდა და შეეცადა, შეგონებით გონს მოეყვანა ვამეყი. როცა ამ ცდის უწყალოებაში დარწმუნდა, ტაძარში შევიდა და კერას შეევედრა, მიჭნურობის სიმშაგისაგან დაეცვა მისი მეგობარი.

შინ მიბრუნებულ აზრას გულის ჭყერი მოემატა და დედის შემწეობის იმედიოდა ცოცხლობდა...

როდესაც იანის ვამეყი გაახსენდა, მეფეს ეახლა და ტაძართან ნანახი უცხო ჰაბუკის სიკეთის აღწერას მოჰყვა. მეფემ სასოთხუბუეთისი (سلاجقة) გაგზავნა ტაძართან, ცხენი გაატანა და ყმაწვილის მოყვანა დაავალა. ვამეყი პოლიკრატს წარუდგა. მეფეს მოეწონა სტუმრის კეთილშობილური ქცევა და იერი, გულთბილად მიიღო და შეაფარა. მათ დარბაზობას, წესისამებრ, აზრაც ესწრებოდა და, როდესაც მას ვამეყი თვალს შეავლებდა, ყმაწვილს გული ხმელზე დარჩენილი თევზით უფართხალებდა. აზრას თვალების ელვარებაც ამხელიდა პატრონის გულისთქმას.

პოლიკრატ მეფის ერთი ნადიმთავანი — ბრძენი და გამჭრიახი მაჭინუსი გუჰანიო მიხვდა, რომ ვამეყსა და აზრას ერთმანეთი უყვარდათ. მაჭინუსმა, პოლიკრატისა და აზრას დასტურით, მოიწადინა ვამეყის გამოცდა გონებაშევილობასა და განსწავლულობაში. გაიმართა პაექრობა, რომელშიც აზრაც ჩაუბა; ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს სიბრძნითა და მჭევრმეტყველებით.

(მომდევნო დეფექტურ ტექსტში ლაპარაკია ვამეყისა და აზრას მძაფრ სამიჯნურო განცლებზე).

II. ონსორის „ვამეი და აზრას“ საკუთარ სახელთა
კომენტარები ლექსიოგრაფებთან

პირთა სახელები

- ადანუში* (ادانوش) — კაცი, რომელიც მანდარენმა (مندارس) მიუგზანა აზრას, რათა მასთან დარჩენილიყო. აზრა განრისხდა და თვალები დასთხარა.
- აზარტუსი (ازارطوس) — აზრას დედის ქმარი.
- ასენესთან (اسنتان) — ვამეის სიმამრი, რომელიც ბოლოს ვამეუმა მოკლა.
- აფრაათონი (افراطن) — ქალაქ აფრანქეს (افرنجه) სახელოვანი და ნორკმული განმგებელი.
- აფრუთშალი (افروتشال) — აღ-ფათიშის (الفتيش) ქმარი.
- ანდარუსი (اندروس) — მარუს (هارو) ცოლი.
- ბეხსალუსი (بخلوس) — მეფე, რომელმაც ძალმობრებით წაიყვანა აზრა.
- თუფანი (توفان) — ვამეის მეგობარი.
- დემხსინუსი (دمخسینوس) — ვაჟარი, რომელმაც აზრა მოიტაცა.
- დიანუში (ديانوش) — ქურდების მეთაური.
- ზიფენუსი (ذيفنوس) — პოლიკრატ (فلقراط) მეფის კარის მუსიკოსი.
- სამეში (سامش).
- სელისუნი (سليسون) — პოლიკრატ მეფის ძმა.
- ფალატუსი (فلاطوس) — აზრას მასწავლებელი.
- მამალა (ماشلا) — ქალი, რომელიც ერთ დღეს აზრას სასთუმალს მიუახლოვდა და იგი მკვლად მიიჩნია.
- მეხსენუსი (مخسنوس) — ბრძენი და განსწავლული კაცი.
- მამეულიე (مقوليه) — ვამეის მამის ცოლი.
- მელზიტოსი (ملذيطس) — ვამეის მამა.
- მანყალუსი (منقولس) — აზრას შემსყიდველი.
- ნუჭიუში (نوکیوش) — კუნძულ ტარტანიუმის (طرتانیوش) მეფე.
- ვადანუში (ودانوش) // დანუში (دانوش) — კაცი, რომელმაც აზრა გაყიდა.
- ჰერმესი (هرمس) — ბარბოთის მცემელი მუსიკოსი.

გეოგრაფიული სახელები

- აფრანქე (افرنجه) — ქალაქი, საიდანაც იყო წარმოშობით აზრას დედა.
- ბარბარი (بربر).
- ბალაში (بالاش) — ქალაქის სახელი.
- ზიფენუსი (ذيفنون) — ქალაქი შუა ზღვაში, სადაც აზრას მოკლა უნდოდათ, მაგრამ ვილადამ იმ მკვლელს ხმალი ჩასცა, თავი გააგდებინა, აზრას ხელი ჩაჰკიდა (და გადაარჩინა).
- შამოსი (شامس) — კუნძული ბერძენთა ქვეყანაში.

* ტრანსკრიფცია ყველგან პირობითია.

ტარტანიუში (طرانوش) — ენძელი, სადაც მოხვდა აზრა და თავი დაიხსნა.
 ფიზიდიუსი (فيزيدوس) — ქალაქი, სადაც მანუალუსი იმყოფებოდა.
 ქერუთისი (كروئیس) — ენძელი ბერძენთა ქვეყანაში, სადაც ეამეუ ცხოვრობდა.
 კიუსი (کیوس) — ენძელი, მანუალუსის სამყოფი.

III. აზრას თავგადასავალი ტარსუსის „ღარაბ-ნამეს“ მიხედვით*

ბერძენ მონათეპარ პარნაალის (მდრ. მანუალუსი, დანართი II) ჰყავდა ერთი ტყვე ქალი აზრა, რომელიც ეღვინადაც ტიროდა და გოღებდა. ერთ დღეს ეპარმა თავის ძონა ქალებს უბრძანა თავიანთი თავგადასავალი თხრობა. თვალერებლიანმა აზრამ დაიწყო:

მამ უწყოდეთ, რომ მამაჩემი ბერძენთა ხელმწიფე იყო. ჩვენს ენძელზე ერთი დიდებული ტამარი იჯდა და ერთ დღეს მე და დედაჩემი იმ ტამარში სალოცავად წავიქეთ. ტამარიც რომ გამოვედი, ერთი პირმშენიერი, ჯერ უწყერული ჭაბუკი შევიჩინე. მე დანახვისთანავე შემოიყარა ის ჭაბუკი, არ კი ეიოლი, ვინ იყო იგი. თურმე ჩვენი ნათესავთაგანა ყოველივე ჭაბუკმა ჩვენ რაღაც გვთხოვა. დედაჩემი დაპირდა, რომ სათხოვარს შეუსრულებდა. სასახლეში რომ დავბრუნდით, დედაჩემს გადააიწყდა დანაპირები, მე კი შესენების მერადებოდა. ბოლოს ტამარი ეახსენე და დედას ეუთხარბი: ისეთი სალოცავი, როგორც ჩვენს ენძელზე გეპქეს, არსად არ მოიხებნება-მეთქი. ამაზე დედაჩემს ის ჭაბუკი მოაგონდა და მშინევე კაცი გავზენა მონაყენად. მოიყენეს და მამაჩემს წარუდგინეს მამამ გულთბილად მიიღო, რადგან განსწავლული ჭაბუკი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მე იმ ემანულის ნაღამს ეეპრებოდი. და დამით მასთან წასვლას ეაპირებდი, მაგრამ ჩემი მასწავლებელი შემომესწრო და დედასთან დამასმინა. დედამ დამიბარა და დანეტქსა. მე კი მიუღუე: ჰე, დედაჩემო! ჩემი სიმორცხვისა (და ეღვის) სასახლე მთლად იმ ემანულიკაცს ეუპქრია და, თუ მას არ მიმართებთ, თქვენ არ ეიოცხლებ-მეთქი.

ეს რომ გავიგონა, დედაჩემი მამასთან წავიდა სათათბიროდ. ედაწყდა ჩემი გათხოვება იმ ჭაბუკზე. ეოტა ხანში დედაჩემი გარდაიცვალა, მამამ კი აზრი შეიცვალა და იმ ემანულის არ გამატანა, ამასობაში მამაჩემს მტერი თავს დაესხა და ბრძოლა გუჟმართა. ბრძოლაში მამაჩემი ტყვედ ჩაიგდეს და ჩამოახრჩეს, მის ტახტს უცხოელი დეპატრონა. ახალმა მბრძანებელმა მე და ის ემანული დავატყვევა და ჩემი ხელში ჩაგდება მოისურვა, მაგრამ ჰე მას გულს წადილი არ შეუესრულე. მამის წამოყენეს და მონად გამოიღეს. დღეს სწორედ ითხი ეელი შესრულდა, რაც მონად ეიქედ და ამ ხნის მანძილზე თვალზე ეტყმლი არ შემშრობია.

პარნაალისმა უთხარა: ყოჩად, ქალი! რამდენი განსაცდელი გარდაგზობია, რამდენ დროს გუჟლია და სიყვარული კი არ გავნელებია! პარნაალისი აზრასთან ერთად ატირდა და ჰქითარა: იმ ემანულის სახელი ხომ არ ეიო? როგორ არა, ეამეუი ერქვაო, — მიუჯო აზრამ. პარნაალისი გოცდა: მამ შენ აზრა ყოფილხარ, პოლიკრატ მეფის ასული? დაახო, — მიუჯო აზრამ. — რატომ ექამდე არ გოქეამს შენი ეინაობა, რომ უკეთ მოეპყრობოდი და დირსეული პატრეი მომეგო? ახლა კი გავგათეისუფლებ დიდებული დმეირის სახელით, რამეთუ არ ევების ტყვე-პყრობა თეისუფლად შობილისა. წავიყენ და ეამეუს მიგვეკრი.

აზრამ სიხარულისგან სიცილი დაიწყო და პირი ეუყევედა, მინამდე კი ერაზელაც არ გუჟინია.

IV. ლამის „ეამეუი და აზრა“**

ჩინეთის ხელმწიფე თამიუსი (طيموسی) ძალიან დარდობს თავის უშვილობას. ეეზირნი და ნალინი ურჩევენ, შეირთოს ზეორე ეოლი. მბატყარმა ბაშირმა (باشیر), რომელსაც ნრავ-

* წყარო: ۱۳۴۴، تهران، صفا، الله ذبيح دکتر، بكوشش طرسوسى، نامه طرسوسى، 209—210 (1'63)

** წყარო: E. J. Gibb, A History of Ottoman Poetry, Ed. E. Browne, v. III, London, 1904, Appendix; (1967) შ. შაფის დასახ. ნაშრ. (შენიშე. 18), გვ. 47—51.

ლი ჭეჭყანა მოეგლო და უღამაზეს ქალთა სახეები ტილოზე გამოესახა, მეფეს აჩვენა თურანის ხაყანის ქალიშვილის პორტრეტი. თამიშს მამინევე შეუუყარა იგი, ხაყანს ქალი გამოსთხოვა. იქორწინა მასზე და ამ ქორწინების შედეგად იშვა ვამეყი, რომელმაც თავისი სიღამაზით, გონიერებთა და გამჭკრახობით სიყმაწვილეშივე გაითქვა სახელი.

ვამეყის ამბავმა მიაღწია მზეთუნახავი აზრას ყურამდე და თავდავიწყებით შეაყვარა უცნობი ქაბუჯი. აზრას ძიძამ იგრძნო ქალიშვილის გულისთქმა, მაგრამ მოთმინება და თავდაპირველი ურთიერთობა შედგროდა მეფის ასულს. მისი ბრძანებით დახატეს აზრას სურათი. როგორც კი ვამეყმა იხილა იგი, მაშინვე სიმშვიდე წაერთვა და ევლად გაიქრა. ვამეყის მამა ამოდ ეცადა სიყვარულისგან გახლებული შვილის შეგონებას. როდესაც ყველა რჩევა ფუჭი აღმოჩნდა, მამა აღუღებელი ვახდა, ნება დაერთო ვამეყისათვის, რომ წასულიყო სტრტფოს საძებნელად. მასთან ვამეყა მისი ძეგლებზე ბეჭენი (چهار).

მოგზაურებმა ბევრი ხეტიალი შემდეგ მიაღწიეს ერთ მაღალ მთას, რომელიც გაშლილ ველს ეკლავა. ისინი დიდხანს იტანჯებოდნენ წყურვილთ. მაგრამ ბოლოს მიაღწენ ფერების საწვეფოს საჩქერს ელბორზის (البرز) მთაზე. ფერიათა ხელმწიფე ლაპიჯანმა (لاپچان) გულთბილად მიიღო მგზავრები და გამოუტყდა, რომ გამოჩნტებულა ყათის (قاف) მთის ჭინთა მეფის ასულზე, რომელსაც ჭირი (ჭირი) ჰქვია. ჭინების მეფე თავს

ოღუზა ფერიათა სამეფოს. მაგრამ დამარცხდა და ლაპიჯანმა მას ასულზე იქორწინა. ვამეყმა და მისმა ძეგლებზე ბეჭენმა უნებურად დაარღიეს მეფე არღაშარის სანადირო მეჭენის საზღვრები, რასაც შედეგად მოჰყვა შეტაკება მათ შორის. ამ ბრძოლაში ბეჭენმა დაატყვევა არღაშარი, ვამეყი კი მიიმდო დაიქრა. მამის გასათავისუფლებლად უთვალავი სანახარია მოიგო არღაშარის ქალიშვილი დიღუფი (دلخیز) და შემდეგ ყველანი ერთად გაემართნენ დიღუფის (دلخیز) ციხე-სიმაგრისაკენ, სადაც ვამეყის ჭრალბები თრია-

ქით გაჩურჩნა ექიმმა ფირმა (پیر). ამასობაში ბაღის მეფე ყაზრამან თურანელი (قهرمان تورانی) ლაშქრით მიადგა დიღუფის და სასოვთ, ვამეყი და ბეჭენი მისთვის საძებრებინა. როდესაც ამ თხოვნაზე უარი მიიღო, ყაზრამან თურანელმა ალყა შემოარტყა ნახჭევანს (نخجوان) ციხეს, სადაც ისინი იდგნენ. აქ გამართულ ბრძოლაში ბეჭენი ტყვედ ჩაეარდა, ხოლო მეფის ასული დიღუფი ვამეყთან და ექიმ ფირთან ერთად გაიპარა დიღუფის ციხისკენ, რათა დახმარება ეთხოვათ ლაპიჯანსა და მისი მეუღლე ჭირისათვის, რომელთაც აზრას ძიძამ უყვე იმ ციხეს მიაღწიეს.

როდესაც აზრას მამამ ქალიშვილის სიყვარულის ამბავი შეიტყო, მის ძიძას გამოჰკითხა, თუ ვინ იყო აზრას სულის შემფოთების მიზეზი. ძიძა იხიარება თავისი გაზრდილის სულიერ ტანჯვას და თანუგრძობობის მას. შემოვლომაზე აზრა და ძიძა ჰერათში გაიქცნენ და ერთი მოხუცი ქალის სახლში დაბინავდნენ. ჰერათზე ეწვივნენ მეფის ასული დიღუფი და ექიმი ფირი, აზრასა და მის ძიძას შეხედნენ და თავიანთი თავგადასავალი უამბეს მათ. ამის შემდეგ ეპურულად გადაიციეს და ყველანი ომანისკენ (عمان) გაემართნენ.

ფერების სამეფოს ხელმწიფე ლაპიჯანმა თავისი ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ზღვას გაიკურჩინა და ერთი გემიდან ტირილისა და გოლებს ხმა გაიგონა. ეს — აზრა მოთქვამდა თავისი მიგრების, ვამეყის გამო, სოლო დიღუფი — ბაქმანის გამო.

ლაპიჯანმა გემი უქალოეს კუნძულს მიადგინა, მოგზაურები მიამბოდნენ, ოთხ დღეს მხრებზე შესაბნდნენ და გაფრინდნენ. მთ წინ წაუძღვა ლაპიჯანი, რათა ვამეყისათვის ეს სასიხარულო ამბავი ეცნობებინა. ცოტა ხანში ვამეყი და აზრა შეერთდნენ და გზა განაგრძეს ბაღისაკენ, რათა ბეჭენი თურანელის ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ. გაიშარათა ბრძოლა, რომელშიც

ბაღის მეფე ყაზრამან თურანელი დამარცხდა და ფრანგესთანის (فرنگستان) ჭეჭყანაში გაიქცა. ვამეყმა ბეჭენი ტყვეობიდან გაათავისუფლა. მაგრამ ეიღრე გამარცხებულები ზემობდნენ, ფრანგესთანის მეფის — ანტონის (انطون) ჭარი გასს შემოეტრყა მათ და ფარულად ორმოები ამოთხარა. ერთ-ერთ მათგანში კიდევ ჩაეარდა ვამეყი. მისი მეგობრები ღმერის სახოვენ შემწეობას ვამეყის დახსნისთვის. სწორედ ამ დროს მოდის ტუსის (طوسی) მეფე მარზბანი (مرزبان), რომელსაც აგრეთვე შეჰყვარებოდა აზრა მისი სურათის ნახვისთანავე. მარზბანი ანტონის ტყვეობიდან დაიხსნის აზრას, დიღუფის, ბეჭენს, ფირსა და ძიძას, თვითონ კი მარზბანის მსგავსად ხელად იქცევა სიყვარულისგან. დამარცხებული ანტონი და ყაზრამან ენენ, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 4

მან თურანელი სპარსეთის ყურისკენ გაიქცნენ, თან წაიყვანეს ტყვედ დარჩენილი ვამეყი. ქარსა და ახლარსი ექვსი ღღის მოგზაურობის შემდეგ ისინი ტყვედ ჩაუტყვედნენ ინდოელ ცეცხლ-თაყვანისმცემლებს, რომლებმაც შეპყრობილები დიდ ცეცხლში ჩაყარეს, რათა მსხვერპლად შეეწირათ თავიანთი ღმერთისათვის. ანტონი და ყაპარმან თურანელი მაშინვე დაიფურცლნენ, ხოლო ვამეყი იმდენად დიდ სიყვარულს ატარებდა გულში, რომ ცეცხლმა ვერ სძლია ამ სიყვარულთა დაღვნიებულ ალს. ეს რომ დაინახეს, ინდოელებმა მუხლი მიიღრჩიეს და თავიანთი სიყვარულს გამოეს.

ამასობაში აზრა, დიღფეზირი, ბექმენი, ფირი და ძისა ვამეყის საქმენილად გაემართნენ. მოგზაურებმა მიაღწიეს ზანგათა (زنگیان) ანუ ჰაბაშთა (حبشیان) ქვეყანას. ზანგებმა ისინი შეიპყრეს. ზანგათა მეფე ჰელქილანი (هلخان), რომელსაც დატყვევებულ ვამეყს ქაშ-მირის (كاشمیر) მეფის ასული ჰემა (هما), ერთ-ერთი ნაღიმის დროს ცეცხლში აწარსა და დიღფეზირის დასაეთრებას, მაგრამ — ამოდ ჰემა და აზრა ერთმანეთს უპაპობენ თავიანთ თავდადასავალს.

ვამეყმა თავი დააღწია ინდოელთა ტყვეობას, მაქნენივით ველად გაიქრა და ველურ ცხოველებსა და ფრინველებს დაუმეგობრდა. ბოლოს ერთ ქარავანს აუღვენა, რომელმაც იგი ჰელქილანის ციხემდე მიიყვანა. ვამეყმა დაამარცხა ჰელქილანი, დაამარცხებულ მარზანთან გაიქცა და თან წაიყვანა აზრა და ჰემა. მაგრამ მარზანმა დაპყრობის ნაცვლად ჰელქილანი ციხეში ჩასვა, თან შიკრივი გაგზავნა და ვამეყი, დიღფეზირი, ბექმენი, ფირი და ძისა თავისთან დაიბარა. ამგვარად, ვამეყი და აზრა შეხედნენ ერთმანეთს. ვამეყმა მარზანს ნებათაუა სთხოვა, თავისი მშობლების სანახაუდ წასულიყო და უკან დაბრუნება აღუთქვა. მაგრამ კონიდან ზამთარი იდგა, მარზანმა არ ურჩია წასვლა. მან ექიმში ფირი გაგზავნა არდაშირ მეფესთან, დაზნის ხელმწიფეს კი აძინა გაუგზავნა და ქორწილზე მიიწვია ისინი.

ამ დროს შეიტყვეს, რომ ჩინთა მეფის ასული ძირი ღურ ღვეს (غور دیو) გაიტაცა. ვამეყი მისზე გაეშურა ყაფის მოსაყენ, სადაც იხილა ცოლის წაგვრის გამო უზომოდ დამწუხრებელი და სასომიხილი ლაჩიყარი. დიდი ბრძოლები გაუახიხადა ვამეყმა დეიჯესა და აესელებთან. რომლებიც ყველა მხრიდან თავს დაესხნენ მას. ბოლოს ერთი თილისმის ძალთ იგი მიაღწევს მეფე თამპურას დეეთა შემეყრელის (طهمورث دیو) საფლავს, გამოიხსნის ძირის და ლაჩიყანს მიჰგვრის.

ამის შემდეგ სამივენი მიაშურებენ ტუსს, სადაც იმართება დიდი ქორწილი. შეუღლებიან ვამეყი და აზრა, ბექმენი და დიღფეზირი, ჰელქილანი (რომელიც აზრას თხოვნით შეიწყალებს) და ჰემა; ექიმში ფირი კი აზრას ძიძას შეირთავს ცოლად.

V. ლამის ვისი და რამინი*

ჭურჭანის მეფის კარზე დიდი ღვინა გამართული — ნოურუზის (სპარსელთა ახალი წლის) დღესასწაულს ზეიმობენ. მეფე ესაუბრება ზეიმზე შეკრებილ კარის ბანოვანებს. ერთ-ერთი მათგანი, მერვის მეფის მუნყაღის ცოლი შაპრო ანუ შაპრ-ბანუ ისე გამოსახველად აღწერს მეფეს თავისი ქალიშვილის — ვისის მომზიბველობას, რომ მეფეს მაშინვე შეუყვარდება შაპროს ქალიშვილი. მეორე დღეს შაპრ-ბანუ ძალიან ნანობს თავის საქციელს, რადგან ეშინია, მას არ მოჰყვებს თავდასხმა მუნყაღის სამეფოზე. შაპრო გაეშურება მერვისკენ და ცდილობს დაიყოლიოს მეუღლე, რომ თავიანთი ქალიშვილი სასწრაფოდ მიათხოვონ ვისის ბიძაშვილ ვირის. ამასობაში ჭურჭანის მეფე თავის მოხუც ბიძას გზავნის მერვში, რათა შეკრიბოს დაბატებული ცნობები ვისის შესახებ, როდესაც ძიძისაგან ვისის სიყვარულს შეიტყობს, მოციქულს მიუგზავნის მეფე მუნყაღს და ქალიშვილის ხელს სთხოვს. მუნყაღი ცოლს დაეთათბირა და ჭურჭანის მეფეს პასუხად შეუთვალა, რომ ვისი უკვე დანიშნული იყო. მაშინ ჭურჭანის მეფემ თავისი სარდალი ბეკრამი მუნყაღთან საომრად გაგზავნა. მუნყაღი ცოლ-შვილითა და ვისის დანიშნული შეპაბადის ციხეში ჩაიკეტა, საიდანაც მალე გაიქცა და ჰერათს შეაფარა თავი.

ჰერათის ხელმწიფეს — ფირუზ-შაას შეუყვარდა მშვენიერი ვისი და ნადიმის დროს, რომელზეც ლტოლნილები ჰყავდა მიწვეული, მოწამლა ვისის დანიშნული. მაგრამ მალე ფირუზ-შაამაც იგმა დაღმარებდა და მოკლულ იქნა ჭურჭანის გამარჯვებული სარდლის — ბექმენის

* წყარო: E. Gibb, A History of Ottoman Poetry, Ed. E. Browne, v. III, London, 1904, Appendix.

ხელით. ბექვენა შეირთო ღირს-შაჰის ქალიშვილი შემს-ბანუ და პერთის ტარტზე დაქდა. ეისმა და მისმა მშობლებმა ახლა თურანს შეაფარეს თავი.

თურანის უფლისწულს — რამინ-შაჰს ნახვისთანავე შეუყვარდა ვისი. მან ნადიმზე მიიწვია ქალიშვილი. ღელამ ეისის ურჩია, მიეღო ეს მიწვევა და თანაც დაარია, თუ როგორ დაეპირა თავი. ეისი ჯადრას ეთამაშებოდა რამინს, უსმენდა მომღერალი ქალიშვილების სატრფიალი სიმღერებს, ცეკვავდა და გამოცანების ამოხსნით ერთობოდა. ამასობაში თურანის ხანი შეაშფოთა გამიჯნურებული შეილის მღვთმარებამ, ვეზირებს დაეთათბირა და გადაწყვიტა. რამინ ჩაეკეტა, ხოლო ეისი თურანიდან გ:ეძებებნა. მიჯნურებმა ცალეს, წერილებით ენუგეშებინათ ერთმანეთი, მაგრამ რამინ ისეთ საშვაველ გადაეჭეა თავისი ვნება, რომ ვერც ერთმა ექიმმა მისი განკურნება ვერ შეძლო. მამამ ერთ წმინდან შეიხს მიჰგვარა შეილი. შეიხის მზრუნველობით რამინმა დაიბრუნა გონება და ეისზე დაქორწინების ნებათუა მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ თურანის მეფე ვარდაიცივალა და რამინი ავიდა ტახტზე. ამ დროს მას თავს დაესხნენ დერვიშებამ გალაკიშული ყაჩაღები და დაატყვევეს. რამინი ბეჭხალმა გაათავისუფლა. მათ ვადალაბეს ზღვა, წმინდანების საკრებულოს შეუერთდნენ და პერთს მიადწიეს. აქ რამინმა კვლავ იხილა და დაიბრუნა თავისი საყვარელი ვისი. რამინმა დაამარცხა აჯანყებული ვეზირი და მოძებნა დიდი შეიხი, რომლის შემწეობითა და წინამძღოლობით მისტიკური ცხოვრების გზას დაადგა.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

¹ იური შარის არქივი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება.

² 1970, محمد بن همر الرادوياني، ترجمان البلاغة، تهران،

³ همه نام كينشان به پرخاش مرد دل جنگ جوی و بسج نبرد

همی توختند و همی تاختند همی سوختند و همی ساختند

(დასახ. გამოც., გვ. 86).

⁴ محمد جعفر محبوب، وامق و عذرای عنصری، «سرخ» 1968, № 1

Л. А ф с а х з о д, Киссия Вомик ва Узро, «Салон шарк», 1970, № 10, გვ. 127.

⁵ Ч а й к и н К. И. Вамек и Азра, Сб. «Хакани—Незами—Руставели», I, М.-Л., 1935, გვ. 42.

⁶ იქვე.

⁷ B r o w n E., A Literary History of Persia, v. II, 1906, გვ. 75.

⁸ об. Fl ü g e l G., Die arabischen, persischen und türkischen Handschriften der kaiserlichen Bibliothek zu Wien, Wien, 1865; Hammer J., Wamik und Astra, Wien, 1883 (წინასიტყვაობა).

⁹ об. Fl ü g e l G., Die arabischen, persischen und türkischen Handschriften der kaiserlichen Bibliothek zu Wien, Wien, 1865; Hammer J., Wamik und Astra, Wien, 1883 (წინასიტყვაობა).

¹⁰ سابقا بو قصه خوش منظری نظم ایدوب یازمش مکرکیم عنصری ...

¹¹ Б е р т е л ь с Е. Э., Стиль эпических поэем Уисури, ДАН, 1929, в. № 3; შემდგომში ავტორმა შეიტკვალა ეს თვალსაზრისი. об. მისივე История персидско-таджикской литературы, М., 1960, გვ. 315.

¹² لغت فرس اسدی طوسی بکوشش محمد دبیر سیاتی، ص. پنجاهویک

¹³ об. Б е р т е л ь с Е. Э., Стиль...

¹⁴ وامق و عذراء از تاریخ ادبیات ایران تألیف آقای تربیت مجله ارمغان، سال دوازدهم، ش هشتم، 1310 شمسی (1931)

¹⁵ «Хакани—Незами—Руставели», II, Тб., 1966, გვ. 32.

¹⁶ Ч а й к и н К. И., Вамек и Азра, сб. «Хакани—Незами—Руставели», I, М.-Л., 1935.

¹⁷ Proceedings of the 23th International Congress of Orientalist, 21—28. VIII. 1954. London.

18 **منوی واق و عذرای عصری با مقدمه و تصحیح و تفسیر دکتر محمد شفیع ، لاهر ، 1967**

19 მ. შ ა ა ქ უ ბ ი, დან., ნაკვ. ა. ა უ ს ა ქ ზ ო ღ ი, დასახ. ნაშრ.

20 გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლამი იცნობდა ოსორის პოემის ცალკეულ ბეითებს. ზამირი სამარყანდელის „სინდბად ნამუში“ მოყვანილია მოთყარების ზომით ნაწარმოები ერთი ბეითი, რომელსაც ძველის გამოცემული ამაღ ათეში (სტამბოლი, 1948) ოსორის „ვაშევი და აზრას“ მთარგმნის (თუმცა ტექსტში ბეითის ავტორი დასახელებული არ არის) იმ მოსაზრებით, რომ მისი ადგილებური სტილიზმი ლამის ვერსიაშიც იკითხებაო. აქედან გამომდინარე, მ. შაფი დასკვნის, რომ ლამის, უკიდურეს შემთხვევაში, ოსორის ცალკეული ბეითები აქვს ნანახი (შ ა უ ს ა დასახ. ნაშრომი, გვ. 129). მაგრამ, ჭერ ერთი, არაფერ იცის, ხსენებული ბეითი მართლაც ოსორისაა თუ არა (მოთყარების ზომა არც ისე უცხოა სპარსული პოეზიის ადრეული ეპოქისათვის), გარდა ამისა, მოტანილი ბეითის შინაარსი (فرزند باقیمانده فرزندان نام پدر — „შვილისაგან ასრულებდა მამის სურვილი, შვილით არის ცოცხალი მამის სახელი“) იმდენად ზოგად სენტენციას წარმოადგენს, რომ თავისუფლად შეიძლება იგი იკითხებოდეს სრულადა სხვადასხვა წარმოშობის მქონე თხზულებებში. ახალგაურთ მავალითები მრავალია.

21 Бергельс Е. Э., История..., გვ. 315.

22 ლამის „ვაშევი და აზრას“ ბევრი ეპიზოდი ზედმიწევნით მსგავსებას ამქვეყნებს XIV საუკუნის სპარსული პოეტის საღმან სავეჯის პოემასთან „ჯამშიდი და ხორშიდი“ (ექსპოზიცია, კვანძი, ფერები, სათავგადასავლო მოგზაურობის ბევრი დეტალი) (იხ. ი. კ ა ლ ა ძ ე, საღმან სავეჯის პოემა „ჯამშიდი და ხორშიდი“, კრ. აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972). ეს უკანასკნელი თავის სამეტოქეო და, ამდენად, მისაბამ (თაყლიდ-ისთაყბაღის პრინციპის მიხედვით, იხ. А. С. Т а р к о в, Традиция эпических «Хамса»..., сб. «Взаимосвязи литературы Востока и Запада», М., 1962) პოემებს შორის „ვაშევი და აზრასაც“ და აზრასაც ასახელებს. ეს ნაწარმოები რომ ოსორის ვერსია ვერ იქნებოდა, უკვე ეჭვს აღარ იწვევს. ხომ არ სარგებლობდნენ სავეჯი და ლამი ოსორის შემდეგდროინდელი (XIV საუკუნემდე დაწერილი) რომელიმე ვერსიით. ანდა ხომ არ არის თურქი ავტორი რამდენადმე დავალებული უშუალოდ სავეჯის პოემით? ეს უკანასკნელი, მიუხედავად ჯამის მკაცრი კრიტიკისა, საკმაოდ პოპულარული ჩანს მრავალრიცხოვანი ხელნაწერებითა და ლიტერატურის ისტორიკოსთა შეფასებებით.

23 „ძველი ქართული მეხოტბენი“, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1957. გვ. 195.

24 იხ. М а р р Ю. Н. Статьи и сообщения, II, Л., 1939, გვ. 132—133; მ ი ს ი ე ვ, Персидский прототип поэмы «Некто в барсовей шкуре», сб. «Академику Н. Я. Марру», М.—Л., 1935, გვ. 613—619; მ ი ს ი ე ვ, მიმოწერა, მ. მართან (ი. მარის არქივი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება).

25 კ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ., „ისტორიანი და აზმანი შარავანდღთან“, როგორც ლიტერატურული წყარო, ეტრედები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 227—234. იქვე.

26 „ძველი ქართული მეხოტბენი“, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1964, გვ. 127.

27 კ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ., ეტრედები, VIII, გვ. 235.

28 „ძველი ქართული მეხოტბენი“, II, გვ. 83—84.

29 კ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 293.

30 კ ე ქ ე ლ ი ძ ე ქ., ეტრედები, VIII, გვ. 235.

31 მ. შაფის ვარაუდით, ოსორის პოემის ტრადიცია ა. VII ს-მდეა ხელშესახები. აქედან მოყოლებული, ტრადიცია ნელდება და ა. X საუკუნისთვის საკმარისი ქრებაო. ამ მოსაზრებას ერთგვარად ეწინააღმდეგება შეიბ ქუშყანის ზემოთ მოყვანილი მავალითი.

32 پرویز نالی خانلری، واق و عذرای عصری و شاهنامه فردوسی، «سخن»، شماره ۵، ۱۳۵۰ (1972)

33 იხ. მ. შ ა ა ქ უ ბ ი, დასახ. სტატია.

34 იხ. ი. კ ა ლ ა ძ ე, სპარსული რომანული ეპოსის ერთი ადრეული ძეგლის შესახებ (ათუყის პოემა „ვარჟა და გოლშაბი“), „მაცნე“, 1970, № 3.

35 იხ. Сахранов В. А., Персидская версия греческого романа, сб. «Интернациональное и национальное в литературах Востока», М., 1972, გვ. 187.

36 იხ. Ч а й к и н К. И. Вавек и Азра, გვ. 49—50.

37 იხ. Бергельс Е. Э., История..., გვ. 307.

³⁰ «Хакани, Незами, Руставели», II, 1966, გვ. 51.

⁴⁰ Сахранов В. А., დასახ. სტატია.

⁴¹ იხ. 1342, تهران, محمد دبیر سیاقی، دیوان عنصری باخی بکوشش

⁴² 1343, تهران, اشعار ایرج باهتمام

⁴³ იქვე, გვ. 288—289.

⁴⁴ სუფა (صفه) — პარზალი, პორტალი (შენობისა, შეჩეთისა).

⁴⁵ „ისტანდერნამე“, დასახ. გამოცემა, გვ. 430—431.

И. В. КАЛАДЗЕ

ЭПИЧЕСКОЕ НАСЛЕДИЕ ОНСОРИ И ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ ЛИТЕРАТУРА

Резюме

Эпическое наследие Онсори (XI в.) — основоположника жанра романического эпоса в средневековой персидской литературе — дошло до нас в незначительных фрагментах. Открытие индийским ученым Мохаммедом Шафи большого фрагмента утерянной поэмы Онсори «Вамек и Азра» дает возможность по-новому осветить проблемы, связанные с этой популярной темой средневековой персидской и турецкой литературы. В статье дана попытка комплексного изучения эпического наследия Онсори на основе всех дошедших до нас источников с привлечением материалов древнегрузинской литературы.

Анализ контекста с именем Вамек в известной оде поэта Иоанна Шавтели «Абдулмеснани» (XII в.) позволяет предположить, что в близком к Онсори периоде кроме сюжета, восходящего к греческому роману, существовал сюжет восточного происхождения и, следовательно, поздние версии «Вамек и Азры», следующие традициям персидского романа, являются не «фальсификациями» поэмы Онсори, как это принято считать, а естественным развитием иранского сюжетного шикла о приключениях этих героев.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ბივი ახვლაძინი

შელოცვები ძველ ქართულ ხელნაწერ ანთოლოგიაში

ხალხური სიტყვიერების მრავალი ნიმუშია მიმოხეული ძველ ქართულ ხელნაწერ კრებულებში. დღემდე ეს კრებულები არავის მიმოუხილავს ფოლკლორისტული თვალსაზრისით. წინამდებარე შრომის მიზანი ხელნაწერებში დაცული შელოცვების, როგორც ფოლკლორული ჟანრის, შესწავლაა.

შელოცვა მაგიური ძალის მქონე სიტყვიერი ფორმულაა. ეს ჟანრი უხსოვარ დროშია ჩამოყალიბებული და გვხვდება ყველა ხალხში. შელოცვის, როგორც ფოლკლორული ჟანრის, შესწავლისათვის მცირე შრომა როდია გაწეული როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ყურადღების ცენტრში იყო შემდეგი საკითხები: 1. ადგილი და დრო შელოცვის წარმოშობისა, 2. გზა მისი გავრცელებისა, 3. ეროვნული ელემენტის ხარისხი შელოცვაში, 4. შელოცვის დამოკიდებულება პოეზიასთან, 5. ქრისტიანულ და წარმართულ შეხედულებათა შერწყმა შელოცვაში, 6. შელოცვის მორფოლოგია, 7. შელოცვის დამოკიდებულება პიპროტიზმთან და სხვ. მიუხედავად ასეთი შეუნელებელი კვლევისა, შელოცვასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი კვლავ სადავოა. შელოცვია ჟანრი დღეს კვდომის პროცესშია და ხმარებიდანაცაა გამოსული, მაგრამ მხატვრული და ისტორიულ-შემეცნებითი ღირებულება მას ხდის სიტყვიერი ხელოვნების ძეგლად. ამიტომ მისი შესწავლა საეცებით კანონზომიერია.

ქართულ ფოლკლორში უმთავრესად სამეურნეო და სამკურნალო შელოცვებია ცნობილი, მაგრამ გვხვდება თემატიკურად სხვანაირი შელოცვებიც: სატრფიალო, საოჯახო, სამოგზაურო და სხვ.

ძველი ხალხური შელოცვები, გარდაქმნილი თავისი დრო-ს მოთხოვნების შესაბამისად, შესულია საეკლესიო ლიტერატურის თვალსაზრის ძეგლებში — „კურთხევანებში“, სამკურნალო წიგნებში, ე. წ. „კარაბადინებში“, აპოკრიფული შინაარსის წერილებში — „ავგაროზებში“ და სხვა კრებულებში.

ჩვენ მიერ განსახილველი შელოცვების უდიდესი ნაწილი ქრისტიანულა ხასიათისაა და ლიტერატურულადაა გადაშენებული წარმართული შელოცვებიდან. კუქრობთ, ადგილობრივი ტრადიციის საფუძველზე, თუმცა „კურთხევანები“ და „ავგაროზები“ ბერძნულიდანაა ნათარგმნი, ხოლო „კარაბადინები“ — შესულმანური აღმოსავლეთიდან. ნ. ბერძენოვის დაკვირვებით. კარაბადინში დაცულ შელოცვებში გამოირიყვლია გარეშე გავლენის შესაძლებლობა. მკვლევარი წერს: «Содержание большей части молитв, преимущественно духовное, христианское, не допускает влияния мусульманского востока, которое замечается во всем остальном содержании карабадина. Мы видим здесь влияние совершенно местное, обусловливаемое религиозным духом народа, его верованиями, основанными на началах христианских!».

კარაბადინები ძირითადად ჩვენამდე მოღწეულია მე-18 საუკუნის ხელნაწერებით, რომლებშიც მცირეოდენი ცვლილებებით მეორდება კურთხევანებსა და ავგაროზებში დაცული შელოცვები. მაგალითად, მე-14 საუკუნის კურთხევანში (H 1331) წარმოდგენილია შელოცვები: „ლოცვა მტერლაცემულისა“

(49r—51r) და „სსუამ ლოცუამ სახლ-მტერ დაცემულისავე ეშმაქისა და ქაქისა“ (51r—56r). თითქმის იგივე შელოცვის ტექსტები გვხვდება მე-18 საუკუნის Q 889 კარაბადინში („შელოცვა თვალ-ყბისა“, 36v—37v; შელოცვა თვალებისა, ყამისა და უყამურისა“, 36v—38v). ასევე, მე-16 საუკუნის კურთხევანში (H 3027) თქმული შელოცვები როგორც შინაარსით, ისე სიტყვიერი ინვენტარით ძლიერ ახლოსაა მე-18 საუკუნის Q 819 კარაბადინში დატულ შელოცვებთან. მაგალითად, H 3027 ხელნაწერის შელოცვები: „ლოცვა აღისა“ (118r—122r) და ლოცვა შაკიქისა (122v—124r) მცირეოდენი ცვლილებებით გვხვდება მე-18 საუკუნის Q 819 კარაბადინში (21r—23r, 23r—26r).

საკითხავია, როგორ მოხდა ერთი შინაარსის შელოცვის ტექსტები ბერძნულიდან და სპარსულიდან სხვადასხვა დროს ნათარგმნ თხზულებებში? აშკარაა, რომ კარაბადინებში ისინი შემდეგ არის შეტანილი. ვფიქრობთ, კურთხევანებსა და ავგაროებში დატული შელოცვებიც, თუ ყველა არა, ძირითადი ნაწილი მაინც, ქართულ გარემოში უნდა იყოს შექმნილი, თუმცა ზოგიერთი შელოცვა შესაძლოა ბერძნულიდან მომდინარეობდეს.

ორიოდე სიტყვა შელოცვის ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინის შესახებ. დოქ. თ. ოქროშიძის მტკიცებით, ქართულ ბიბლიაში შელოცვის ნაცვალ ტერმინია „სახრვა“, რომელიც უფრო არქაულია, აღნიშნავს შელოცვის პროცესს და ხახს უსვამს ამ ჟანრის მაგიურ ბუნებას².

შელოცვა დამოწმებულია ერთ ძველ ქართულ ძეგლში, რომელიც X—XI ს-თა ხელნაწერების სახით არის ჩვენამდე მოღწეული. აქ ეკითხულობთ: „ეჲა არს მათა, რომელნი შელოცვითა კურნებასა ეძიებენ“³. იმავე ძეგლში გვხვდება „შემლოცველიც“: „არა მივიდა იგი კითხვად და კურნებად მისანთა და გრძნულთა და არცა შემლოცველთა“ (47,21).

საანალიზო კრებულებში შელოცვის ჟანრის ნიმუშების აღსანიშნავად ზოგიერთ გამოყენებულია ქრისტიანული ტერმინი „ლოცვა“. ეს ტერმინი ბოლო დრომდე შემორჩა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იმავე კრებულებში ეხვდებით ამ ჟანრის ხალხურ სახელწოდებას „შელოცვას“. „შელოცვა“ გამოყენებულია, მაგალითად, მე-14 საუკუნის ხელნაწერში (H 1331, 49r). მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებშიც გვხვდება ეს ტერმინი. მაგალითად, მე-15—15 საუკუნის ხელნაწერში (H 3176, 1r—1v). კურთხევანის მე-17 საუკუნის ერთი ნუსხა ხმარობს ხალხურში მიღებულ ტერმინს „გამოლოცვისა“ („შემდგომად მწუხრისა განოლოცვისაჲ“, H 1812), რაც ამ კონტექსტის მიხედვით, შელოცვას არ გულისხმობს⁴. ზოგიერთმა წარმართულმა შელოცვამ ქრისტიანობის წიაღში ლოცვის სახე მიიღო. ამის გამო ძველ ხელნაწერ ძეგლებში „შელოცვის“ გვერდით იხმარება „ლოცვა“, რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა. ხალხურ წარმოდგენაშიც „შელოცვა“ „ლოცვისაგან“ სუსტად განირჩეოდა. „შელოცვის“ და „ლოცვის“ გაიგივება იმ გარემოებაშიც აისახა, რომ „შელოცვის“ ჩაწერა და წარმოთქმა ხდებოდა „ლოცვის“ გვერდით, მაგალითად, რუსულ შელოცვებს. როგორც ნ. პოზნანსკი აღნიშნავს, თან ახლავს ლოცვა. ასევეა დასავლეთის ქრისტიანებშიც⁵.

მე-14, მე-15, მე-17 და მე-18 საუკუნეების ხელნაწერებს დაუცავს სამეურნეო შინაარსის შელოცვითა უძველესი ნიმუშები: 1. შელოცვა ყანისა, ვენახისა და ბოსტნისა თუ ჭია ვნებდეს. გვხვდება მე-14—15 საუკუნის ფრაგმენტურ (H 1865) და მე-17—18 საუკუნის სრულ კურთხევანში (H 1352). 2. შე-

ლოცვა სამკალსა ზედა (A 72. 237r), XVI ს. 3. შელოცვა ბოსტნისა („უცხო პეპელი მოვიდა, უცხო უცხოსა ფერიო“ — H 1352, 90v, A 72). ეს შელოცვა რომლის ტექსტი მე-17 საუკუნის კურთხევანშია შესული, წარმართული და ქრისტიანული მოტივების შერწყმით ხასიათდება, ამავე დროს მას აქვს ლექსითი ფორმა:

„უცხოა პეპელი მოვიდა. უცხო უცხო-სა ფერიო.
მან მახუნძველი ვეიშობა, წაღმა-უკუღმა მკრელიო,
არგან ტებუცი წამოვკარ, გამრუღდა ვითა კერიო,
მას მაცხოვარი შერისხდა, დაჰკარგა ვითა მტვერიო“.

ტრადიციულ წესზე ამ მაგიურ ლექსში მატლის წამლობის საშუალებაცაა დასახელებული — ნაცრის დაყრა.

კურთხევანებში ფიქსირებულია სამეურნეო ხასიათის სხვა შელოცვებიც: 1. „შელოცვა უკეთუ თავუ ავნებდეს ნაშრომთა“ (A 72 (XVI ს.), Q 658). 2. „ლოცვა დანერგვასა ვენახისასა“ (A 72, Q 658), 3. „ლოცვა სთლობისა ყურძნისასა“ (A 72), 4. „ლოცვა ნადირობისა“ (H 1352), 5. „ლოცვაჲ ყოველსავე ნაყოფსა ზედა“ (Q 658) და სხვ. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი შელოცვა იმდენადაა გარდაქმნილი, რომ ქრისტიანულ-საეკლესიო წესებშია შესული. ამდენად, ისინი წმინდა ქრისტიანული ლოცვებია, მაგრამ ასეთ ლოცვებშიც კი ჩანს წარმართული შელოცვების კვალი. შელოცვები ჩამოყალიბდნენ განვითარების აღრეულ საფეხურზე. მართალია, ქრისტიანობის გაჩენისთანავე სასულიერო მწერლობის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცნენ, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი წარმართული სახე. შელოცვებში, განურჩევლად იმისა, წერილობითი თუ ზეპირი სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მკაფიოდ ჩანს ორრწმენიანობის კვალი.

მველ ქართულ ხელნაწერ ანთოლოგიებში დიდი რაოდენობითაა დატული სამკურნალო შინაარსის შელოცვები.

საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი შელოცვებით მე-14 საუკუნის ნესხური H 1331 კრებული. მოგვყავს შელოცვის ზოგიერთი ნიმუში ამ ხელნაწერიდან.

1. „ლოცვა კაცსა ზედა ცხროალსა“ (35v—37r). ამ შელოცვის ტექსტი მცირეოდენი ცვლილებით მე-17 საუკუნის კურთხევანშია შესული. აქ სათაურიც განსხვავებულად იკითხება: „ლოცვა ცხროანსა ზედა“ (H 1352, 163r—163v).

2. „ლოცვაჲ წისა მამრბველისაჲ“ (38r—43r): „სახელითა მამასადათ. ძისადათ და სულისა წმიდისადათ... აჲ შევიპყრობ ძალსა ლომთასა, გულსა ღვეთასა, სულთა ბორბთა რა შეწრწუნდეს და ივლტოდეს ამიერ ადგილით. რადაც ხარ ამის კაცისა ასოთა შინა სახელითა გაფუცებ. შენ რკინა ხარ. შეცეცხლი ვარ, შენ ცეცხლი ხარ, — მე წყალი ვარ, შენ წყალი ხარ. — ნე დევი ვარ, შენ დევი ხარ, — მე მესი ვარ, შენ მესი ხარ, — მე კროზ ანგელოზი ვარ“. მოყვანილი ტექსტი ტიპური შელოცვის ნიმუშია: მას მტკიცე ფორმულას აქვს და ნაკლებცვალებადია. ქრისტიანობამდელ ლოცვებში სწორედ ასეთი მაგიური ძალის მქონე სიტყვიერი ფორმულებია შესული.

ინტერესს მოკლებული არაა ამავე ხელნაწერის ცნობა ამ შელოცვის სიძველის თაობაზე: „ესე ლოცვაჲ პირველითგან იყო. მეორედ ადამ იყო, მესამედ ევა იყო, მეოთხედ ოთხნი თავნი სახარებისანი, მეხუთედ ოთკურთენი სერობინ-ქერობინი, მექუსედ ექუსნი მმანი მაკაბელნი, მეშვიდედ დიდა მათი მან-

კალოზ (!). ესე მაშინ იყო, ოდეს ცაი არ იყო, ქწყნე არ იყო, ბნელი იყო. წყალნი იყუნეს. წყალთა ზედა ნავი იყო, ნავსა ზედა საყდარი იყო, საყდარსა შინა უფალი იყო. წყალთა ზედა უფალი იყო“.

ამ შელოცვის სიტყვიერი ტექსტის ერთგვარი შესაბამისი ხალხურ შელოცვებში მოიპოვება. შესატყვისი ადგილი პ. უმიკაშვილის კოლექციაში დატული ლ. მათიკაშვილის ჩაწერილ შელოცვის ტექსტში ასე იკითხება: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნავი იყო. ნავი ნავზედ, საყდარი, საყდრის თავზედ ქალი იყო“⁷. მსგავსი სიტყვიერი ფორმლებია გამოყენებული ჩვენ მიერ ჩაწერილ „წყლის ლოცვაში“: ანი იყო, ბანი იყო, წყალთა შუა ნავი იყო, ნავის შუა საყდარი იყო, საყდარს უკან ქალი იყო“⁸.

3. მტრომის (გველის) შელოცვა (47v—48v): „იესუ ქალაქით ქალაქად ვიდოდა, ჰკურნებდა ჭერკუალსა, ქარჯერკუალსა ნაცემსა ეშმაკისა. ქუჩელ კნვიდა ყანასა, გუშლნი ებნეს უღელსა. ცუდ იყო შრომა მისი და უღელი იგი იყო ცეცხლისა. ჯდა მარიამ ტაძარსა ოქროსსა, უბრძანებდა გაბრიელ ანგელოზსა — გამოხეშნ ბადენი რკინისანი და დაიხურენ ფორე — ფოლე. მაკანი, მანათე, ჩიჩხან და არკე. სახელები გველთა. ესე სიტყუანი არა ჩემნი არიან, მარიამისნი არიან, ქს ღედისანი. წამალნი არიან — ყელისანი, ყურიისანი, ტამტიისა და მტრომისანი, სამას სამოცდახუთისა საღმობისანი. სარა, სანათე, აზარი, აზარ, მაქე. გუშლო, წარჩქედინ, თუ არა გამოვიხუამ ფოცხუთა რკინისათა, ჩაგვემ პარსა და წარჩქეცვე სისხლსა სახელითა მამისამათა, ძისათა და სულისა წმიდისათა აწდა...“ ამ შელოცვის სიტყვები — „ქუჩელ კნვიდა ყანასა, გუშლნი ებნეს უღელსა“ — მოგვაგონებს ხალხში გავრცელებულ სირსვილის შელოცვას, სადაც ნათქვამია: „სირსვილს ება გუთანნი უღაბურსა ჰალასა./მგელი ეზა ხარათა, გველი აპეურათა“⁹.

4. „ლოცვა მტერდაცემულისა“ (49r—51r). „ეს შეულოცე: სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა. გამოვიდა შავი კაცი, შავი ტყით და შავითა კლდით. ერთი თვალი ცეცხლისა ედგა, ერთი წყლისა. ფუცხუნი ჰქონდეს ცეცხლისანი. შევიდოდა და შეაგდებდა ასოთა და ნახსმანთა (!) და სახეულთა. სისხლსა სუმიდა. კორკა კამდა, ძუალსა ლეწდა. მოვიდა უფალი ჩნი ისუ ქრისტე ათორმეტითა ჯვარითა, ათორმეტითა კრმლითა, ცეცხლისამათა შევიდოდა, შეაგდებდა ასოთა მის კაცისათა ნახსმანთა (!) ფუცხუთა, ეძიებდა კრმლითა, ექადღა — არა კამსო, არცა არს სადგური ში, მაგისთანა სადგური ჩემი არსო. სადგური შენი არსო ზღვის უფსკრულსა, მაზიამანსა ლერწმისსა, მუნ არს სადგური შნი. ჯუარი, წამალ და სარგებელი მშაო, ძეო, სლო წო, თუალით მფრინვესა თლთა ნაცარი, გულითა მშოფავსა გულსა ისარი, გრიგოლ წისა რკინანი და ათი ანგელოზი ჩნსა გარეშაო მცველი და მფარველად და მფარველი ჩნი. ამინ. ჯუარსა დავსწერ ჯუარითა, ცხრითა ანგელოზითა, მოსეს კუჭრთხითა, სოლომონის ბეჭდითა“.

5. ამავე ხელნაწერის ტექსტის ფრაგმენტურ შელოცვაში ნათქვამია (47r—47v): „გამოიყვანა ცხენი შავი, აუღვა ლაგამი შავი, დაღვა უნაგირი შავი, აპირა საპირობელი შავი, შექდა კაცი შავი, გაემართა შავსა გზასა. მოდიოდა შავი წყალი, მოქონდა გუშლი შავი, შთაყო მათრაკი შავი. ამოიღო გუშლი შავი, გარდავიდა შავსა ლოდსა, შთაყო კელი შავი, გამოიღო დამნა შავი, ტარშავი, პირშავი, პოლიტიკი, გაკუშთა გუშლი შავი, გამოუღო ცმელი შავი, აყარა მა-

რილი შავი, დასდვა თუალსა თულაესა, გულსა მზაკვართა მავნეთასა. წამალმცა და სარგებელ არს შეწვევნითა ღთისაჲთა“.

6. საეკლესიო მწიგნობრული ენის დიდი გავლენის მიუხედავად, იმავე ხელნაწერს დაუცავს წმინდა სახის ხალხური ტექსტი: „სხუამ ლოცუამ სახლ-მტერ-დაცემულისავე ეშმაკისა და ქაჭისა“ (51r—56v), რომელიც ზემოთ მოყვანილი შელოცვის ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს. აი, ეს ლოცვა: „სახელითა ღთისაჲთა, მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, გამოვიდა შავი კაცი შავისა ტყისა, შავისა კლდისა და ადგილსა უკაცურისაგან ჳევისა ჳურღმულისაგან, ჳღვისა ფსკერისა და კუნძულისა ტბისაგან, გამოიყვანა შავი ცხენი, გამოიღო შავი ლავამი, უნაგირი შავი, ჳაჭვი შავი, ჳავშანი შავი, ჩაბალახი შავი, კრმალი შავი, ცხენი შავითა შექაჳსმა, აკაზმულობითა შავი, ჳავშანი და ჳაჭვი შავსა ტანსა ჩაიკვა. შავი ყაბალახი შავსა თავსა დაირჳუა, შავი ჳმალი შავსა წელსა შემოირტყა. ცხენსა მოარბევდა, თლთა მოაჳყერდა, კბილთა მო-აღრჳენდა, მკართა მოაფენდა, კბილთა ცეცხლი სციოდა, ჳირსა პირეული გარდამოსცემდა, ლოშჳარსა მოასხემდა, მოაჳუნჯრუკობდა, მოიცინდა, მო-კაკაჩებდა. მოკუნტრუშობდა. შეემთხუენეს მას წწნი მთავარანგელოზნი მიქელ და გაბრიელ და ჳრჳქუეს მას: საღა წარხუალ, შავო კაცი, შავისა ტყისა, შავისა კლდისაო, ადგილისა უკაცურისაო, ჳევისა და ჳურღმულისაო... ჳი შავსა ცხენსა შავითა აკაზმულობითა... რასა გზასა მიმავალხარ, საღ წარხუალ? მიუ-გო — მე წარვალ ძისა კაცისა, მონისა და ღმრთისა, ჳრისტიანისა ტანჯვად, ჳა-ბუკთა თაგის მოღებად, ჳლთა ფეროვანითა ფერის მოღებად... დიაცუღლთა გან-ხეთჳად, ჩულთა სრვად, ბატკანთა მოწყუშტად... ხეთა განხმობად, ნყოფთა შერყუნად. ამაღ ყწისა საქმის ვიარებმა.“

უბრძანეს მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელ: შენ იგი ყუშლა ვერ ჳელგეწიფების, ივლტოდეთ ხედ, კლდედ, ადგილად უკაცურად, ჳევად ჳურღმულად, ჳღვისა უფსკრულად, კუნძულად, ტბად, მინდორად... განგაჳარებ და დაგწუავ, დაგანჳრებ ჳართა, ჩავაგდებ რვალისა კოკასა, მოგაჳქრებ ფსკერისა ჳოჯოხეთისა. არა ნახო ნათელი ღღისა, არკა ვარსკულავი ცისა, არკა ყუაეილი ტყისა... გაფიცებ სამთა სამებთა, ღთბისა მისისთა განეშორებ და ნუ ჳელგე-წიფების უნანებად, ნუცა მიახლებად... აჳ ისწრაფე და განეშორებ და ნუ ჳელ-გეწიფების რბთურთით მიჳხლებად მისსა“.

ამ შელოცვასთან როგორც სიტყვიერი ფაქტურით, ისე შინაარსით ძალიან ახლოსაა XVIII საუკუნის კარაბადინში დამოწმებული შელოცვა თვალ-ყბისა (Q 889, 36v—37v). „სახელითა მღთისაჲთა, მამისა და ძისაჲთა და სულისა წმი-დისაჲთა. გამოიზავა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, შავითა შექაჳსპული იყო, შავი ჳაჭვი ტანსა ეცვა, შავსა ცხენსა იჭდა. კბილსა მიჳჳენდა, თვალთა მონათ-ლებდა, მოკაკაჩობდა, მოჳუნდრუკობდა. შეემთხვია მიქელ და გაბრიელ მთა-ვარანგელოზნი, კითხეს: სით წახვალ, შავო კაცი? — რასა მკითხავ! მივალ საქრისტიანოსა, კაცისა კორცისა საჳმელად, სისხლისა სასმელად. — არა განგი-შვებ, მამამან, ძემან და სულმან წმინდამან, ჩავაგდებ ჳეაბსა რვალისასა, შეგინ-თებ ცეცხლსა წუნწუბისასა, განგაჳარებ, ვითარკა აბელსა. ღმერთო, განკურ-ნე და მოეჳმარებ მონასა და მოსაესა თჳევენსა სახელით“.

იგივე ფორმულა გვხვდება იმავე კარაბადინში ფიქსირებულ თვალეზისა, ჳამისა და უემურის შელოცვაში (Q 889, 37v—38v). თითჳმის ასეთივეა კარაბა-დინში დაცული დუდგოს შელოცვის სიტყვიერი ინვენტარიცი¹⁰. ეს შელოცვა

გვხვდება აგრეთვე მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ავგაროზის ნუსხური კრებულის თვალ-ყბის ლოცვაში (Q 277, VIII კვფზე).

ძველ ხელნაწერებში დაცულ შელოცვებს პარალელები ეძებნება ხალხში გავრცელებულ შელოცვებში.

1. 3. უმიკაშვილის კოლექციაში დაცულ ლ. მათიკაშვილის ჩაწერილ ნათვალევის შელოცვაში ვკითხულობთ: „გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, შავი ცხენით, შავი შეჯანმულობით, შევიდა შავსა ზღვასა, ჩაქრა შავი ფოცხი, ამეილო შავი გველი, დადვა ქვასა მკალსასა“¹¹. ერთგვარი შესაბამისი გურულ შელოცვებშიც მოიპოვება: „გამევიდა კაცი შავი ტყიდგან, გამეიყვანა ცხენი შავი. ამოსდვა ლაგამი შავი“¹². ჩვენ მიერ ჩაწერილ ნათვალევის ლოცვაში ნათქვამია: „გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, შავი თოფით, შავი ხმლით, დაეცა ქვასა მხურვალსა“¹³.

დიდ ინტერესს იწვევს მე-16—17 საუკუნის ძეგლში დაცული შელოცვები¹⁴. მოგვეყვას ზოგიერთი ნიმუში:

1. „ლოცვა ყოვლისა სენისა“ (H 3027, 110r—113v): „სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა დიდისა მოწამისა გიორგის, თეოდორე, დიმიტრი, კოზმან და დანიანესითა და ცხლსმყოფლისა ჭუარისა ძლიერებითა შეგამტროვ და შეგლენწაი რააცა ხარ კაცის ამის ასოთა შინა არა ჩემიაა ძალითა, არამედ ბრძანებითა ღმრთისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისათა, რაჲ აწუა ძუძუ უფალსა ჩვენსა ესუ ქრისტესა. მოვიდოდა კაცი ყოვლითა შეპყრობილი, მოიხაჯდა და შეურდა წმიდასა ღმრთისმშობელსა. ჰქა ყდ წინ: რაჲ არს, კაცი, სენი შენი? მიუგო კაცმან საწყალმან და პრჭუა: ვითარცა შენ უწყი. პრჭუა ყდ წმიდამან ძესა ღმრთისასა: უფალო იესო ქრისტე, ძეო ჩემო, რაჲ არს წამალი კაცისა ამის, რომელი მრავლითა სენითა შეპყრობილ არიან. ბრძანა უფალმან იესუ ქრისტემან: მომართვით საწერელი და კალამი ოქროსა. ბროლისა კელითა დაწერა ათორმეტი ჟამი დღისა, ათორმეტი ღამისა, რომელსა ჟამსა შესრულ იყოს გინა დღისით, მსწრაფლ განვიდეს ბრძანებითა ღმრთისათა. დამიბეჭდავს სამას სამოცდახუთითა ანგელოზითა ღამე და დღე, აღადგინოს კაცი ესე და მისცა დედასა თესსა. ყოვლად წმიდა, სადაცა იცხენებოდეს სახელი შენი და სახელი იესუ ქრისტესი და პატიოსნისა ჭუარისა და წმიდათა მთავარანგელოზთა და წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა და წმიდისა მოწამითა გიორგისითა. რააცა ხარ და იყო ქუეყანასა ზედა. განქარდი და განეშორე წამსა თვალისასა, რააცა ხარ და იყო ბედი ბედნიერი, მჯდომი გამოძავალი, ქუშმძრომელი, ქაჯი, ეშმაკი, ჭერკული მავალი განმასიკებელი, დაქეუული სატკბური, ყუავილი, თვალისცემა, რომელიცა აჭირებდეს კაცსა ამას სენი. ნუ კელგეწიფების ვნებად ამისა. თუ შესრულ იყო, მსწრაფლ განეშორე და განვედ კაცისა ამისგან. თქნ გეტყუთ დეკთა, ქაჯთა. გველთა, ეშმაკთა, ტყეთა, უდაბნოთა ადგილთა. თუ არა, მოეიკსენებ თქნსა ძესა ღვთისა მაღლისასა, მუნ დაგამკვიდრებ ქვესკნელთა შინა ქვეყნისათა. გინა სადა იორდანის წყლის პირს გველი წევს საშინელი, ბოლო მისი მოკვეცილო პირს ჩაუტ და ცოხნის რკინისაებრ და ჰამს ლილასა და ლერწამსა. წადი, დაემკვდრე, კოცი მისი ჰამე, სისხლი მისი სუ, ტვინი მისი ხვრიტე, ძვალი მისი ხარი. დაუტრევე და განეშორე მონასა ამას ღვთისასა სახელით, მამით და ძით და სულით წმიდით, განეყარე და განეშორე ღმერთისა შეწევნითა, აზინ“.

2. „ლოცვა ალისა“ (118r—122v): „ჩინ ვიყვენით სამნი ძმანი სამებისანი. გვერქუა სახელი ორ-ორი: აროზ-მაროზ, ქარმაროზ-ეზიროზ, ერმაროზ-ელი-

კონ. ვიარებოდით ველსა მას მასკოსათა სანადიროსა. დავინახეთ კვალი უცხო ნადირისა, უკულმართი და წალმართი, შემოვადევით კვალსა მისსა. ენახეთ კლდესა შინა მკდომარე ქალი, თმაწითური და კბილმარგალიტი, რომელსა ესხას პირი წალმართი და ცხვირი უკულმართი, შუბლი წინა. თვალი უკანია, ხელი წინა, ფერქნი უკნით. მკითხა: რა ხარ, ანუ რომლისა მოქმედი, ანუ რა არს სახელი შენი? მან თქვა: მე ვარ ალი. ეშმაკი, ქაჯი, უქამური და უსახელონიცა, რომელი მივალ დედათა, თავით ჩემით მოვამთობ შვილითურთ. ესე თქვა. მაშინ აღმოვიღეთ მახვილი ჩვენი წუღული და ეუწყეთ ასოთა ქცეულთა დაქრათ და მათ თქვეს — ჩვენ ქრისტიანობით დავიფიცეთ, ნუ მომკლავთ, ნუ დამპრით! ჰფიცავ ღმერთსა ცხოველსა, არა მეახლოს ნათესავი ჩუენი ასსა მილიონსა სამოცდაათსა უტრევანსა. თუ შესრულ იყოს, მსწრაფლ გამოვიდეს და განემოროს ნეოხებითა წმიდისა ღვთისმშობლისათა და ცხოველმყოფელობისა ჭვარისა ძლიერებითა. განქარდების ალი. ეშმაკი, ქაჯი. უქამური მონასა ამას ღმერთისასა“.

„ალის ლოცვა“ დაცულია XVIII საუკუნის კარაბადინში (Q 819, 21r—23r). იგივე ლოცვა გვხვდება მე-19 საუკუნის ავგაროზის ნუსხურ კრებულში (Q 277. IV—V კეფზე). „ალის ლოცვა“ დღემდე შემორჩენილი ხალხში და რაოდენ საგულისხმოა, რომ მისი სიტყვიერი ინვენტარი არ განსხვავდება ხელნაწერების სახით მოღწეულისაგან.

ხალხს სწამდა, რომ თითქოს მოუხატლავ ბავშვს ეშმაკი ეპატრონებოდა და ლამაზობით თავში სცემდა. ამიტომ ბავშვს ულოცავდნენ: „ვიყავით სამნო მმანი, სამებისა ძალისანი: კეროზ, კეროზ, კერასტინე. გავედით მთასა, ვნადრობდით და ვერ ვპოვეთ კვალი ნადირისა. ვიპოვეთ კვალი ალისა და ეშმაკისა, აჯდა კლდისა ბირსა, კონკურაზს შიგნით. ეუპყარით ბადე დიდი, დავაპირეთ იჯა ხელთა ჩვენთა. მას ესხა თმანი გიშრისანი, კბილნი რვალისანი, წვივნი ტიქისანი. მიუგო მათ ალმა და ეშმაკმა: სამნო მმანო, სამებისა ძალისანო, კეროზ, კეროზ, კეროსტინე, ნუ მომკვთავთ თმათა ჩემთა გიშრისათა, ნურცა დამაყრევიანებთ კბილთა ჩემთა რვალისათა, ნურცა დამალეწავთ წვივთა ჩემთა ტიქისათა! სადაცა იხსენებოდეს სახელი ღვთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, იქ ჩვენ არ მივახლოვდეთ არც ას მილიონზედა, თუმც მივიდეთ, საჩქაროთ გავშარდეთ და არა ვამზნით რა ჩვენ ადამიანის სულსა“¹⁵.

3. „ლოცვა შაკიკისა“ (122r—124r): „სახელითა ღვთისათა და ძისათა, ჩვენსა ზემო ტბაი დგას ღვთისა, ზედა დგანს ვე[ს]ლის ტაბაკი. ზა ძეს სამი ძივის კაკალი: ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი. თეთრმან თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, შავი ზედ დარჩა მშვიდობით მას აქეთ. ველსა იქით ხენია, მუნ ძოვს სამნი ირემნი: ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი. თეთრმან თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, შავი ზედ დარჩა მშვიდობით. მუნ იდგეს სამნი ხენი ლიბანისანი, ზა შემოსხდეს სამნი მფრინველნი ღვთისანი. უქელო და უფერკო, მათ დაიდგნეს ბუდენი ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი. თეთრმან თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, შავი ზედ დარჩა მშვიდობით. უშველე. დედაო ღვთისაო, მონასა ამას ღვთისა სახელითა“. „შაკიკის ლოცვა“ ზუსტად ასეა გადმოცემული აგრეთვე XVIII საუკუნის ერთ ხელნაწერ კარაბადინში (Q 819, 23r—26r).

ხელნაწერებში დაცულ შელოცვებს ეხმაურება ხალხში შემონახული შელოცვები. მაგალითად, შელოცვა თვალზე დაკვრისა. „სახელი სახელითა, მამითა და ძითა და წმინდითა სულითა! ოქროს სტოლზედა ოქროს თასი იღვა,

ზეციდგან უცხო ფრინელი მოფრინავდა: ერთი თეთრი, ერთი შავი და ერთი წითელი. თეთრმა თეთრი აიღო, წითელმან წითელი აიღო, დარჩა შავი მშვიდობით“¹⁶.

ქართულ ხელნაწერ კრებულთა შელოცვების რეპერტუარი ზემოთ მოყვანილი ნიმუშებით არ ამოიწურება. დიდძალი ლოცვებია ფიქსირებული კარაბადინებში, ზოგი მათგანი შემდგომში ზეპირი გზით გავრცელდა და ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებს შეეზარდა.

XVIII საუკუნის Q 819 ხელნაწერ კარაბადინში დაცულია „უქმურის შელოცვა“: „სახელითა მღისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმინდისათა. იოვანეს ანგელოზო ღამისაო, მამცემელო ძილისაო... მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემი არს, ქრისტეს ხელითა დაწერილი ვარ. მამა მცაევან, ძე მარტყიან და სულა წმინდა გარე მცეიან. მოვიდა დიდი წმინდა გიორგი უშუბითა და ბოძლითა. ვინცა ძილშიდა მახსენოს. ნუ ეშინის ცრუვისა, მავანისა, ეშმაკისაგან. შიგნით ჭვარი ვარ, მტერთა რეალ-ბორკილი ვარ. დასწერე, წმინდაო გიორგე, ჭვარი შენი მონახა და მოსავესა თქვენსა სახელით“ (19v—20v).

ზემოთ მოყვანილ შელოცვასთან ახლოა ხალხში გავრცელებული შელოცვა „ძილის ნიმუშისა და შინისა“, რომელიც, ვფიქრობთ, მწიგნობრული გზათ მოღწეული შელოცვისგანაა ხალხის მიერ თავისებურად გარდაქმნილი: „იოვანეო ღამისავ, მომცემელო ძილისავ! ძილი მიე მძინარესა და გონება მღვიძარესა! N (სახელი)-სა სძინავ, ქრისტე ჭვარავს. სულო წმინდავ, რა გინდა? შენ ქრისტესა ხარ, ქრისტე შენია, ქრისტეს ბეჭდითა დაბეჭდილი ხარ; მამა გაცვია, ძე გარტყია. სული წმინდა გარემოსსია, ოთხო თაო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე! საცა თქვენი სახსენებელი იხსენებოდეს — ყოველი მავნე გაქრებოდეს! ჭვარი გეჭირა ჭვართა, სამებისა ძალითა, ჭვარი გწყალობს ჭვარცმელო, ვერას გაცდენს მაცდური, გწყალობს წმინდა გიორგი, ჭვარი პატიოსანი; დაჰწევი, დაგვიძინება, პირჭვარი დაგვეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი, მიქელ—გაბრიელ მთავარ ანგელოზი დასხდებიან, ღალაღობენ: უფალო, მოგვებადიელისა ბორკილი რკინისა, შევკრათ, შევბეჭდოთ მოარული ღამისა, მაკლებელი ძილისა“¹⁷.

იგივე ლოცვა წმინდა ხალხური ვარიანტის სახითაა წარმოდგენილი მე-19 საუკუნის H 62 კარაბადინში:

„დასწევი, დაგვიძინება, პირს ჭვარი დაგვეწერება,
სამოცდასაში ჭვარ-ხატი სულ თავით დაგვეწინება!
ჭვარი გწყალობს, ჭვარცმელო, ვერას გაწყენს მაცდური,
გწყალობს წმინდა გიორგი, ჭვარი პატიოსანი.
შენ ქრისტე ხარ, ქრისტე შენია,
ქრისტეს ბეჭდითა დაბეჭდილი ხარ,
მამა გაცვია და ძე გარტყია
და სული წმინდა გარსა გვენია“.

ამვე ხელნაწერში სხვა შელოცვებაცაა. მაგალითად, „ლოცვა მუცლის ტენისა“ (20v—21r), „ლოცვა ქაჩისა“ (26r—28v). „ლოცვა თვალცემულისა“ (38v—40v) და სხვ.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერ კარაბადინში (Q 245) მოცემულია შელოცვები: „კბილის ტკივილისა“, „თვალის ტკივილისა“, „გველის დამორჩილებისა“, „სატკებურისა“ და სხვ.

განვიხილოთ „შელოცვა სატკებურისა“: „სახელითა ღმისათა, მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. უფალმა ქარი დაკლა მთასა გალილიასასა. ყოვე-

ლისა ჭირისა თავი აწვია და სატკბური არ აწვია. — მე რასათჳს არ მაწვიე? — ამისთვის არ გაწვიე, შეხვალ კაცისა ასოსა შიგან, აუუყუნდები. აწუხდები, აღუღდები ჭვამ-ჭოთანოვითა, აკაკანდები ჭათამოვითა. სატკბური ჭკნების, ჭმების, იყრების ვარდისა და ხილის ფურცელივითა“ (Q 245, 165r).

ხელნაწერებში დაცულ „სატკბურის შელოცვას“ ორეული ეძებნება ხალხში გავრცელებულ იმავე სახელწოდების შელოცვასთან. აი, ისიც: „სახელითა ღმთისათა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა ჭრისტემ დაკლა თეთრი ფური. მან იწვია ბევრი ხალხი. სატკბურმან უთხრა: მე რათ არ მიწვიე? შენ მათ არ გიწვიე, ჩახვალ ყმაწვილის ტანში საკობავათ, საცვარავათ. — არა, მამა, ძემ და სულმა წმიდამ. არა ვკობო, არცა ვცვარო, ავდიდდე ჭოთანოვითა, ჩავცივიდე ჭონდარივითა“¹⁸. ხალხურ შელოცვაში ჭრისტე ზოგჯერ ქაჩალითაა შეცვლილი¹⁹.

ვფიქრობთ, ხალხში გავრცელებული „სატკბურის შელოცვა“ მწიგნობრული შელოცვის გავლენას განიცდის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ მწიგნობრული გზით იყოს წარმოშობილი. ზოგჯერ საწინააღმდეგოც შეინიშნება — მწიგნობრული შელოცვა განიცდის ხალხურის გავლენას. მაგალითად, II 564 კრებულში (XIX ს.) დაცულია ნადირის კბილის შესაკრელი შელოცვის ტექსტი: „სახელო სახელისაო, მამისა, სულისა წმინდისაო. ეყენია, ბეყენია, ჩვენ საქონელთან ხატი ასვენიაო. ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე ცხრა კლიტე რკინოსანიო. ღმერთო, მიეცე თვალი ნაბდისაო, კბილი სამოლისაო, შეკარო, შეჰედეო პირი მგლისაო, ხელი მეკომურისაო, ჩააგდე ზღვაშიო და ნუღარ ამოვა თავი დღეში — ეამშიო. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჭვარი. ეს მგლის ლოცვა“ (3r—3v).

ეს შელოცვა მეჯოგეობა-მესაქონლეობასთან არის დაკავშირებული. მისი დანიშნულება ნადირის „პირის შეკერა“ იყო. შევადაროთ ეს ტექსტი ზეპირ შელოცვას:

„მგელი მოვა მგელოსანი,
თვალი მოაქვს ცეცხლოსანი,
კბილი მოაქვს ოქროსანი,
მეუფეო, გაღმამიგდე
ცხრა კლიტე და კლიტოსანი,
მეკობრისა ხელსა, მკლავსა,
მხეტ-ნადირისა კბილსა,
შევეკრავ, შევბოკავ,
ჩავაგდებ ზღვასა,
არ ამოუშვებ ემსა.
ღმერთო, შეუყარ მავნეს,
უწვა-უხარშავის მჭამელს, კბილები²⁰.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერის შელოცვა თითქმის ზუსტად იმეორებს ხალხურს. ვფიქრობთ, ხელნაწერ კრებულში იგი ხალხურიდანაა შესული.

სამკურნალო წიგნებში მოთავსებულ შელოცვებს თან ახლავს ცნობები შესრულების წესებზე, რაც ნათლად ადასტურებს მათ კავშირს ხალხურ ტრადიციასთან. ნიმუშისათვის დევასახელოთ „თვალის ტკივილის შელოცვა“ და მასთან ერთად მოცემული მითითება შესრულების წესებზე: „თვალთა ტკივილისათვის ეს შეულოცე: მარიამ კარსა სამოთხისასა, მარიამ უივის, მარიამ გოჯოთებს. მთასა ზედა ჰურიათა ქორწილი აქეთ. ჭრისტეს თვალსა აქა ჩემსა ძმასა აბლადმცა არს. რა არის იმისი წამალი? — ჩადი მარიამის ბოსტანსა, სამი საწყური მოჰწყვიტე და თვალსა მოავლეე და უშველის დედა ღმთისა“ (Q 245, 140r).

განსახილველი შელოცვა მოგვაგონებს ხალხში გავრცელებულ „თვალის ტკივილის შელოცვას“, სადაც ნათქვამია: „მარიამ სტიროდა, მარიამ ჩივოდა. მარიამ ყრიდა მარგალიტის კურცხალსა. გადმოხედა ქრისტე ღმერთმა, დედავი ჩემო მარიამ, რას სტირი, რას ჩივი, რასა ყრი მარგალიტისა კურცხალსა?“

ბატონო ქრისტე ღმერთო! რაჲა არ ვტირი, რაჲა არ ვჩივი, რაჲა არ ვყრი მარგალიტისა კურცხალსა! ურიათა ქორწილია, ქრისტე შვილი წოულია. თვალსა ბურთი მოხდენია და რა ამისი წამალი არ ვიცი, დედავო ჩემო მარიამ! რასა სტირი, რასა ჩივი, რასა ყრი მარგალიტისა კურცხალსა, ჩადი ჩემსა ბალსა, მოწყვიტე სამი სამყური, დაუსევ კარის სახელი. შეაბი სელისა კანთა და ის არის მისი წამალი“²¹.

სპეციალურ კვლევას მოითხოვს ხელნაწერებში დაცული შელოცვების გამომსახველობითი საშუალებანი. აქ უპირველეს ყოვლისა გასარკვევია საეკლესიო და ხალხური ენის ურთიერთმიმართება. ამ ასპექტით შელოცვების შესწავლა უნარის წარმომავლობის საკითხსაც შუქს მოჰფენდა.

ბევრ შემთხვევაში ჩვენ მიერ განხილული შელოცვების ენა, მისი მხატვრული ფაქტურა ხალხური წარმომავლობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ქრისტიანულმა მწერლობამ უთუოდ თავისი დაღი დაასვა წარმართულ შელოცვებს. ამის გამოა, რომ შელოცვების დიდი უმრავლესობა სამებისადმი მიმართული იწყება: „სახელითა მღთისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, რაც ქართულ შელოცვებში ხშირად გადასხვაფერებული სახითაა მოცემული: „სახელო, სახელო ღვთისა, მამისა, სულისა წმინდისა“. ეს დასაწყისი უძველეს წარმართულ შელოცვებში ქრისტიანული მწერლობიდანაა შესული. ასეა სხვა ქრისტიან ხალხთა შელოცვებშიც. მაგალითად, რუსული შელოცვებრიც იწყება ლოცვითი შესავლით: „Во имя Отца и Сына и Св. Духа“. ბელორუსებში სამებისადმი მიმართვა შელოცვის დასაწყისში ზოგჯერ იცვლება ერთი სიტყვით „Вотча“. ლატვიური შელოცვა ჩვეულებრივად ასე იწყება: „ღვთათა, მამითა, ძითა და სულისა წმიდისათა“. გერმანულ შელოცვებში ხშირად გვხვდება ეს ლოცვითი ფორმულა. ქართულ შელოცვებში მიმართვა სამებისადმი ზოგჯერ შელოცვის დასასრულსაცაა, რაც არაა უცხო სხვა ქრისტიანი ხალხებისათვისაც.

ქრისტიანული ატირებულებით შელოცვების შევსება არ ნიშნავს მისი მწიგნობრული გზით წარმომავლობას. მაგალითად, დასავლეთში ნაპოვნი იქნა ერთი შინაარსის მქონე ორი უძველესი შელოცვის ტექსტი — ლათინური და ხალხური. ნ. პოზნანსკიმ გამოთქვა საყურადღებო მოსაზრება ამ ტექსტების გარშემო. იგი წერდა: „აქედან არ შეიძლება მივიანიჭოთ უპირატესობა ლათინურ ტექსტს. სავსებით შესაძლებელია, რომ ჩამწერმა აიღო იგი ხალხური ვადმოცემიდან. მაგრამ ეს პირი ან სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, ან ნაკითხი იყო საეკლესიო ლიტერატურაში (ასეთები კი ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეში სლავურ და დასავლეთ ევროპის ხალხებში შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ჩამწერები) და გადაიღო იგი საეკლესიო ენაზე“²².

ზეპირ შელოცვებს აქვს სამნაწილიანი კომპოზიცია: ტრადიციული დასაწყისი, ეპიკური ნაწილი და დასასრული. ხელნაწერ შელოცვებში ტრადიციული დასაწყისი ზოგჯერ გამოტოვებულია და უშუალოდ ეპიკური ნაწილით იწყება. მაგალითად, შელოცვაში „ლოცვა წისა მამრხველისა“ ლოცვითი შესავლის შემდეგ უშუალოდ ეპიკური ნაწილი მოდის: „აწ შევიპყრობ ძალსა ლომთასა. გულსა დევთასა, სულთა ბოროტთა“ (H 1331, 38r).

ზეპირი შელოცვის კომპოზიცია უფრო მარტივია, ვიდრე მწიგნობრულის. მაგალითად, ზეპირ შელოცვაში ეპიკური ნაწილი ძლიერ შეკვეცლია, რაც ტექსტის ზეპირი შენახვის თავისებურებებით არის განპირობებული. ცალკეულ შემთხვევაში საზღვრები ზეპირსა და მწიგნობრულ შელოცვებს შორის პირობითია. გვხვდება საკმაოდ კრცელი ზეპირი შელოცვები და მოკლე და მარტივი მწიგნობრული შელოცვებიც, მაგრამ ეს არ ცვლის მათ შორის ძირითად განსხვავებას.

შელოცვის ზემოქმედება სიტყვის ძალას ემყარება. მისი ტექსტი მაქსიმალურად ემოციური ზემოქმედების მქონე უნდა იყოს. სწორედ ამის გამო შელოცვაში გამოყენებულია ენის მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი: ეპითეტები, პარალელიზმები, სინოხიმური და ტავტოლოგიური გამოთქმანი. მხატვრული განმეორებანი და სხე.

ძველ ხელნაწერებში დაცული შელოცვების ზეპირ შელოცვებთან შედარება გვარწმუნებს, რომ მათ შორის არცთუ ისე დიდი სხვაობაა სტილის მხრივ. მწიგნობრული გავლენისა და გადამუშავების მიუხედავად, ხელნაწერებს სუფთა სახით შემოუნახავთ შელოცვების ხალხური ტექსტები, რომელთა პოეტურა სტილი ორგანულ ნათესაობაშია ფოლკლორის პოეტურ ენასთან, მის მხატვრულ გამომსახველობასთან. აქ მხატვრული სახეები ქართული ხალხური ენის სინტაქსისა და ბუნებრივი თხრობის შესატყვისია.

ხელნაწერი შელოცვები დაფუძნებულია რიტმულ სტრუქტურაზე. რიტმული სტრუქტურის საფუძველს სტრიქონებში მარცვალთა თანაზომიერება (იზომეტრულობა) კი არ ქმნის, არამედ მთლიანი კონტექსტი.

ავიღოთ მაგალითისათვის „ლოცვა მუცლის ტეხისა“ (Q 819, 20v—21r):

„მთასა ლილისასა წყალი ამოდის,
ლილისა მოფრინავს ფრინველი,
ლილისა შეჟდა ხესა,
ლილისა ყრიდა ნაყრტენსა,
ლილისასა მოვიდა დედაკაცი ცოფად მცინარე,
სვა წყალი იგი ლილისა“.

ზემთ მოხმობილი ტექსტი, მართალია, ლექსი არ არის, მაგრამ იგი თავისი წყობითა და წეტყველებით პოეზიის ნიმუშია.

ხელნაწერის ზოგიერთი შელოცვა ლექსია (აქვს რითმა, რიტმი და ლექსური მეტყველების სხვა ნიშნები). რითმოვანი შელოცვის ნიმუშები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ასეთია „შელოცვა ბოსტინისა“:

„უცხოა პეპელი მოვიდა, უცხო უცხოა ფერი
მან მახუნძველი გვიმოხა, წაღმა-უჯულმა მჭრელიო“... (H 1352).

ეს ლექსი საერო პოეზიის ტრადიციული მეტრით, შადრის საზომითაა შესრულებული და დაცულია სტრიქონებში მარცვალთა თანაზომიერება. რომელიც ქმნის რიტმულობას, კეთილხმოვნებას, მუსიკალობას საერთოდ.

ხელნაწერებში მოიპოვება პოლიმეტრიული ლექსწყობის ნიმუშიც (II 62):

„დასწევები, დაეძინება, პირს ჭვარი დაეწერება,
სამოცდასამი ჭვარ-ხატი სულ თავით დავესვენება!
ჭვარი გწყალობს ჭვარცმული, ვერას გაწყენს მაძღური,
გწყალობს წმინდა გიორგი, ჭვარი პატიოსანი.
შენ ქრისტე ხარ, ქრისტე შენია
ქრისტეს ბეჭდითა დაბეჭდილი ხარ,
მამა გაცვია და ძე გარტყია
და სულოწმინდა გარსა გფენია“.

აქ პირველი ორი ტაეპი 16-მარცვლოვანია, მესამე და მეოთხე — 14-მარცვლოვანი, მომდევნო 2 ტაეპი კი 9-მარცვლოვანია, დანარჩენი ორი კი 10-მარცვლოვანი.

საანალიზო ეანრის: ნიმუშებში ნიუანსებით ხშირად იხმარება ეპითეტები. ეპითეტებად უფრო ხშირად გამოყენებულია ზედსართავი სახელები: თეთრი, წითელი, შავი და სხვ. ზედსართავი სახელების სიქარბე ფრაზას, ერთი მხრივ, თავისებურ მხატვრულ ელფერს ასლევს, მეორე მხრივ კი შელოცვების სტილს რამდენადმე ამძიმებს.

ხელნაწერ შელოცვათა პოეტური ენის ნიშანდობლივი თვისებაა მხატვრული განმეორებაანი. მხატვრული განმეორება ხალხური ლირიკის თავისებურების გამოვლენებაა, სადაც ინტონაციურად ეგორდება ერთნაირი სილაბურა ზონის ფრაზები. რაც განაპირობებს მხატვრულ ეფექტს.

შოვიყვანთ განმეორების რამდენიმე ნიმუშს:

1. „გამოიდა შავი კაცი,
შავი ტყით და შავითა კლდით,
გამოიყვანა შავი ცხენი,
გამოილო შავი ლავამი,
უნავირო შავი, ჴაქვი შავი,
ჩაბალახი შავი, ურშალი შავი“ (H 1331, 49r—51r).
2. „უცხოა პეპელი მოვიდა, უცხო უცხოთა ფერიო“ (H 1352).
3. „მე ქრისტეს ვარ, ქრისტე ჩემი არს,
ქრისტეს ხელითა დაწერილი ვარ“ (Q 819).
4. „არა ნახო ნათელა დღისა,
არცა ეარსკვლავი ცისა,
არცა ვეველი ტყისა“ (H 1331, 51r—56v).

აქ მეორდება უარყოფითი ნაწილაკი „არცა“. რაც სტრიქონს სიმძაფრეს და კულრადობას მატებს. განმეორების პროცესში წარმოებს უარყოფითი ნაწილაკის გრადაცია, რიტმიც აჩქარებული ტემპისაა.

მხატვრული განმეორება იზოლირებული სახით არ მოქმედებს. იგი ორგანულ კავშირშია პოეტური ფორმის სხვა კომპონენტებთან, ეერბოდ, რიტმთან.

მხატვრული განმეორების გვერდით უნდა მოეყვანათ მხატვრული ჩამოთვლის მაგალითები: —თქვენ გეტყუო დღეთა, ქაქთა, გველთა, ვეშაბთა, ტყეთა, უდაბნოთა ადგილთა“ (H 3027, 113v); „ივლოდეთ ხელ-კლდედ, ადგილად უკაცურად, ქვევად. ჴურღმულად. ზღვისა უფსკრულად, კენძულად, ტბად, მინდორად“ (H 1331, 56v); „მათ დაიდგნეს ბუდენი: ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი“ (3027, 124r).

ცალკე უნდა აღინიშნოს ზმნათა სიუხვე შელოცვების ენაში. ზმნათა (შენასპენელთა) სიხშირისა და ანის შესაბამისად ფრაზების სიმოკლისა და სიმართლეს წყალობით მოქმედება დინამიკური და რიტმულია, აზრი თავისუფლად ეითარდება, ადვილად აღიქმება, რაც უდავოდ, ხალხურობის დამადასტურებელი ერთ-ერთი სტილური ნიშანია. ნიმუშისათვის მოგვაქვს ნაწყვეტი შელოცვიდან „სსნუამ ლოცუამ სახლმტერდაცემელისავე ეშმაქისა და ქაქისა“:

„ცხენსა მოარბევდა, თლთა მოაქყურდა,
კბილთა მოაღრქენდა, მხართა მოაფენდა,
კბილთა ცეცხლი სეუოდა,
პირსა პერეულა გარდამოსემდა,
ლაშქარსა მოასხემდა,
მოქუნჯრუქობდა მოიციროდა,
მოკაკაჩებდა, მოქუნტრუშობდა“.

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ზმნების სიუხვით და სწორედ ეს შელოცვის ტექსტს სინათლესა და სიმსუბუქეს ანიჭებს, სტრიქონის რიტმულ დინებას აძლიერებს. ამ შელოცვაში შეინიშნება აგრეთვე გრადაცია — მოვლენის მხატვრული წარმოსახვის გაძლიერება, გამძაფრება, ამაღლება.

გვხვდება პარალელიზმიც, რომელიც ხალხური პოეზიის უძველესი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია და შორეული წარსულის ანიმისტურ წარმოდგენებში იღებს სათავეს. პარალელიზმის ნიმუშია:

„შენ რკინა ხარ, — მე ცეცხლი ვარ,
შენ ცეცხლი ხარ, — მე წყალი ვარ,
შენ დევი ხარ, — მე მეხი ვარ,
შენ მეხი ხარ, მე კროზ ანგელოზი ვარ“ (H 1331, 38r—43r)

პარალელიზმი აქ კომპოზიციური ხერხია, რომელზეც შელოცვის შინაარსია აგებული.

ხელნაწერ შელოცვათა მხატვრული ანალიზი ცხადყოფს, რომ მათში უხვადაა გამოყენებული ხალხური პოეტური არსენალიდან მომდინარე მხატვრული კომპონენტები: ეპითეტი, სინონიმური და ტავტოლოგიური გამოთქმანი, მხატვრული განმეორებანი, მხატვრული ჩამოთვლა, პარალელიზმი და სხვ. შელოცვას. როგორც უნარს, სწორედ მხატვრული ღირებულება აქცევს სიტყვიერი ხელოვნების ძეგლად, რომელმაც თავისი მნიშვნელობა დღემდე შემოინახა.

ძველ ქართულ ხელნაწერ კრებულებში დაცული შელოცვების ხალხურ შელოცვებთან შედარებამ ნათელყო, რომ მწიგნობრული შელოცვები წარმართული შელოცვების საფუძველზე შეიქმნა. მწიგნობრული შელოცვები თავის მხრივ ზეპირი გზით გაერცელდა და ხალხის ცრურწმენებს შეაფარა თავი.

შენიშვნება

¹ Н. Берзенов, О грузинской медицине, 1856, გვ. 17.

² თ. ოქოჯეანიძე, შელოცვის უძველესი ქართული ტერმინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1955, ტ. XVI, № 2, გვ. 175—176. იხ. აგრეთვე: ი. გ. გულაშვილი ძველი ქართული ტერმინის გამო „სახარა“, „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 3, გვ. 92—98.

³ შამათა სწავლანი, X—XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, 47, 24.

⁴ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 315.

⁵ К. Познанский, Заговоры, опыт исследований происхождения и развития, заговорных формул, Петроград, 1917.

⁶ К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, Тифлис, 1908, გვ. 118; მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 316.

⁷ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, 1964, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 147, № 11.

⁸ მთქმელი ვარა მარლენის ასული გოგალაძე, ხაშურის რაიონი, ს. ნაბახტევი.

⁹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1964, № 84.

¹⁰ ა. ხახანაშვილი, კარაბაღინში დაცული შელოცვები, „კვალი“, 1896, № 15, გვ. 250.

¹¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1964.

¹² ს. უღენტო, გურული კოლო, თბ., 1936, გვ. 190.

¹³ მთქმელი ნ. ჩუსტიშვილი, ხაშურის რაიონი, სოფ. ნაბახტევი.

¹⁴ ხელნაწერი H 3027, XVI—XVII საუკუნის, თავბოლო ნაკლული, გაცეთილი, ნუსხური, გადამწერი ლაზარე ხავთასი (ადგილი გურია), იასე ცინცაძის შემოწირული.

¹⁵ პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, IV, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 187.

¹⁶ ი ქ ე ე.

¹⁷ ი ქ ე ე.

¹⁸ ი ქ ე ე, გვ. 76.

¹⁹ ი ქ ე ე, გვ. 77.

²⁰ ქართული ხალხური პოეტური შენოქმედება, I, თბ., 1960, გვ. 305.

²¹ პ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, IV, № 36.

²² ნ. პ ო ზ ნ ა ნ ს კ ი, დასახ. ნაწროში, გვ. 91.

Г. Н. АХВЛЕДИАНИ

ЗАГОВОРЫ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РУКОПИСНЫХ АНТОЛОГИЯХ

Резюме

Старинные народные заговоры, переработанные соответственно требованиям своего времени, вошли в выдающиеся памятники древней литературы — «Благословения», в лечебные книги, в так называемые «Қарабадини» и другие памятники. Сохранившиеся в них заговоры, если не все, то хотя бы их основная часть, созданы в грузинской среде.

Рукописи XIV, XV, XVII и XVIII веков сохранили древнейшие образцы заговоров, имеющих в основном лечебное и хозяйственное назначение. Лечебные заговоры снабжены сведениями о правилах их исполнения, что наглядно свидетельствует об их связях с народной традицией.

Заговоры формировались на разных ступенях развития. Правда, с появлением христианского учения они попали под сильное влияние духовной литературы, но все-таки сохранили свои языческие формы.

Сравнение заговоров, встречающихся в старых рукописях, с устной традицией заговоров, убеждает нас в том, что в стилистическом отношении между ними нет большой разницы. Несмотря на влияние книг и переработку, рукописи сохранили в чистом виде народные тексты заговоров, стиль которых полностью передает поэтический язык фольклора, его художественную выразительность. Анализ рукописных заговоров свидетельствует о том, что в них широко использованы художественные компоненты из народного поэтического арсенала, а именно: эпитеты, синонимы, тавтологические выражения, художественные повторы, параллели и др.

Заговор, как жанр, становится памятником словесного искусства именно благодаря своим художественным достоинствам.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ოთარ ნიკაშვილი

ძირითადი ფონეტიკური პროცესები სოჭის რაიონში
მცხოვრებ პარტველთა მიხედვით

ქ. სოქსა და მის შემოგარენში, ძირითადად პლასტუნკასა და მამაიკაში, XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ცხოვრობენ იმერლები, ლეჩხუმლები და რაჭველები (ქვემორაჭველები და ლებელთა რაზდენიშე ოჯახი). მათი ჩამოსახლების მიზეზი იყო მცირემრწიანობა რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში.

ცნობილია, რომ იმერული, ლეჩხუმური და რაჭული ახლოსაა ერთმანეთთან. ეს სიახლოვე სოჭის რაიონში არსებითად აქაურ ქართველთა მეტყველების ერთიანობაშია გადაზრდილი. თითქმის ყველა ძირითადი ფონეტიკური პროცესი ოთხივე ჯგუფის წარმონაღვენელია მეტყველებას თანაბრად ახასიათებს, რა თქმა უნდა, იმერულის, ლეჩხუმურისა თუ რაჭულისათვის ნიშანდობლივი ზოგი მოვლენა ჭეკაც რჩება მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტური ერთეულის კუთვნილებად.

ფონეტიკურ მოვლენათაგან სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია: ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის განვითარება, ბგერის დაკარგვა, რედუქცია (არარედუცირებულ ფორპათა არსებობა), სუბსტიტუცია, მეტათეზისი. გვევლება აფრიკატიზაციის, დენაფრიკატიზაციის, ანალოგიისა და კონტამინაციის შემთხვევებიც.

სტატიაში განვიხილავთ ფონეტიკურ პროცესთა ერთ ნაწილს¹.

ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა. გავრცელებულია როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. ბგერათა დამსგავსება ხდება როგორც კონტაქტური (უპირატესად), ისე დისტანციურ პოზიციაში. ნაწილობრივი ასიმილაციის გვერდით საკმაოდ ხშირია სრული დამსგავსების შემთხვევებიც.

შედარებით ფართოდაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია, ნიშანდობლივი საერთოდ ახალი ქართულისათვის². ხმოვანთა დამსგავსება უპირატესად რეგრესულია და კონტაქტური. იგი ძირითადად პრევერბისეულ ხმოვნებზე მოდის. პრევერბისეულ ხმოვანზე გავლენის მომხდენი კი, როგორც საერთოდ ქართულში, ჩვეულებრივ აფიქსის ხმოვანია³.

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა რეგრესულ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში კონტაქტური ასიმილაცია, კერძოდ, პრევერბისეული **ა, ო, ე, ი** ხმოვნების ფუძისეულ **ი, ე, უ** ხმოვანთა (ჩვეულებრივ, გვარისა და ქცევის პრეფიქსთა) მიერ დამსგავსება.

ა ფართო ხმოვანი, როგორც ზმნისწინი, ან ზმნისწინის ბოლო ხმოვანი, ასიმილაციას განიცდის **ი, უ** და **ე** ხმოვნებისაგან, ამასთან **ი** და **უ** ვიწრო ხმოვნები **ა**-ს ნაწილობრივ იმსგავსებენ, საშუალო **ე** კი — სრულიად.

ი და **ე** ხმოვნები მასიბილირებელ ძალას ინარჩუნებენ მაშინაც, თუ მათსა და **ა** პრევერბს ან პრევერბისეულ **ა** ბოლოხმოვანს შორის პირველი სუბიექტური პირის ნიშანია. ასიმილაციას ხელს არ უშლის ვედ/ვიდ ზმნის ფუძისეული **ვ** ხმოვანი.

ლეჩხუმელთა და იმერელთა მეტყველებაში იშვიათად ვ- პრეფიქსის მსგავსად ასიმილაციას ვერ აფერხებს O_1 პირის მ- პრეფიქსი.

მაშასადამე, გვაქვს ზმნისწინისეულ ხმოვანთა დამსგავსების შემდეგი შემთხვევები:

ნაწილობრივ იმსგავსებს ვიწრო **ა** ხმოვანი ფართო **ა-ს** და აქცევს მას საშუალო **ე-ღ**: **აი—ეი**: ეიტანა, ეიღო, ევიწიე, ევიღოდი... დეიყენი, დევიმანხოვრებდი, დეიძინა, დეიწერა, დეიღფე, დეიკარქა, დევიმღეროთ... გეიზდემა. გეიხსნა, გეიგონა, გეიწვიეს, გევიგე, გეიხედავდი, გეიკეთე, გევიკეთეთ... ჩე-ეყამდა, ჩეიყვანეს, ჩეიარეს, ჩეიხჩვა, ჩეიჩოქა... წეიყვანეს, წეიწიონ, წეიღო, წევიღა, წევიღებდით, წევიყვანეს...

ა-ს მიერ **ა-ს** ნაწილობრივი დამსგავსება ყველა დასავლურ კილოს ახასიათებს:

ა-ს ნაწილობრივ იმსგავსებს ვიწრო **უ-ც**: **ოუყრა, ოუფორიაქებია, ოუღულებია, ოულიათ, ოუნგრევედი, ოუტყდება, ოუცილებლათ, ოუკიდებიათ...** დოუხსნიდენ, დოუტოვებიათ, დოუწგავს, დოუტრიალდი, დოუწერია, დოუდგია, დოუბარებია, დოუხვებები, დოუკეტიათ, დოუკვირდებით... გოუკეთებენ, გოუშვა, გოუკვირდა, გოუვალი, გოუარია, გოუხწორებენ, გოუხსნადენ, გოუგონია... ჩოუთვლია, ჩოურთავთ, ჩოუშოდთ, ჩოუყულებია, ჩოუწყოფთ, ჩოუქვრია, ჩოუდგა... წოუღია, წოუსოდთ, წოუკიდებიათ, წოუწყეტეს, წოუყრათ.

უ-ს მიერ **ა-ს** ნაწილობრივი დამსგავსება ქვემოიმერულის თვისებაა. ზემოიმერულში იშვიათია.

ბოგორც აღინიშნა, **ე** ხმოვანი **ა-ს** სრულიად იმსგავსებს. **აე—ეე**: ეეღოყე, ეეყვანეთ, ეეწყობა... დეეპატრონეთ, დეეკარქა, დეეინტერესა, დეესწრო, დეეცა, დეედვა, დეეახლებოდა, დეეეტაკეთ, დეეეკარგა... გეეწერონ. გეეესოდენ, გეემებოლა, გეეტყუებია, გეეეი... ჩეეინა, ჩეებარებდით, ჩეემატა, ჩეევიო, ჩეეეწერეთ... წეეწია, წეეეტკა. წეეედი, წეეეხმარეთ, წეეევიღებოდი, წეეეველო.

ა ხმოვნით ბოლოვდება პრევერბი გადა- მსჯელობს რა გადა-პრევერბის შესახებ ზემორაქულში, პროფ. შ. ძიძიგური აღნიშნავს: „თუ მას უშუალოდ ეკვრის ზმნის თემის **ა**, მაშინ ეს **ა** იმსგავსებს პრევერბის უკანასკნელ ხმოვანს (გადაიხადა — გადეიხადა), შემდგომი პროცესია ნაასიმილაციური **ე-ს** მიერ პრევერბის პირველი ნაწილის ხმოვნის **ა-ს** დამსგავსება (გადეიხადა — გედეიხადა), ხოლო დასასრულ ხდება **ე-ს** სრული ჩაყარდა (გადეიხადა გედეიხადა)...

ანალოგიური ვითარებაა, როცა ამავე რთულ პრევერბს თემის **უ** ეკვრის: გადაურბენია — გაღურბენია — გოღურბენია — გოღურბენია...

ასეთივე მდგომარეობაა, როცა რთულ პრევერბს თემის **ე** ეკვრის უშუალოდ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნაასიმილაციური **ე** არ იყარება: გადაექციათ — გადეექციათ — გედექქციათ.

აღნიშნული კანონზომიერება ახასიათებს სოქის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებასაც იმ შენიშვნით, რომ გადა- ზმნისწინის ტრანსლორმაციის შუალედური ფორმები: გადა- და გადა- იხმარება მხოლოდ ლეჩხუმელთა მეტყველებაში: გადაი — გედი — გედი // გადა: გედევიღოდა, გედევიკდე, გედეექცა... გედვიდა, გედვირე, გედვიხატოთ... გედევიკდე, გადავიდა. გარეხითენ (ლეჩხუმლის მეტყველებაში), გადიყრება, გადიტანს, გადიქცევა...

გადაუ — გოდოუ // გადაოუ — გოდუ // გადაუ: გოდოუხითენ, გოდოუხვიო, გოდოუგდეფ... გოდურჩი. გოდურტყდა, გოდურრევი... გადოურტანია, გადურპირა.

ო და უ ხმოვნების მიერ ა ხმოვნის ნაწილობრივი დამსგავსება დამახასიათებელია ძირითადად დასავლური კილოებისათვის⁷. ე-ს მიერ ა-ს სრულიად დამსგავსება ერთნაირად ხდება აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში⁸.

ო წინარის ვიწრო ხმოვანი მი-პრევერბში ასიმილაციას განიცდის მხოლოდ უკანა რისის ვიწრო უ ხმოვნისაგან. დამსგავსება სრულია: იუ—იუუ; მუუშობდითო, მუეტიანე პური, მუუწიეს, მუუეა, მუუენიათ, მუუცია, მუუღგება.

ანალოგიური მდგომარეობა გვხვდება ხანურ-ზენურსა⁹ და კახურშიც¹⁰: ე ხმოვანს ნაწილობრივ იმსგავსებს უ ვიწრო ხმოვანი შე-პრევერბში: ეუ—იუ: შოუყვანია, შოუქამია, შოუყავი, შოუყერა, შოულოცაედა...

ო უკანა საშუალო ხმოვანს იმსგავსებენ წინა საშუალო ე (სრულიად) და ვიწრო ე (ნაწილობრივ). ე თანხმოვნის არსებობა ო-სა და ასიმილატორს შორის ასიმილაციას ვერ აფერხებს.

ოი—იე: მეიწიეს, მეიშალა, მეისპო, მევიტანთ, მევილაპარაკეთ... ამეილებდენ, ამეიყებოდა, ამეიყვანთ, ამევიღე... გამეიტანა, გამეიგონა, გამეიანგარიშა, გამეიფიქრე, გამევიგონი, გამევიქეცი... ჩამეიარა, ჩამეიყრება, ჩამევიდა, ჩამევიტანე... წამეილო, წამეიწრა, წამეიწყებენ, წამევიღებდით... გადმეიყვანდენ, გადმეიარო, გადმეიხარჩება, გადმევიტანე...

ოე—ეე: მეეცათ, მეეხმარა, მეესრა, მეეკლათ, მეეეწონე, მეეეხმარე... ამეეფარა, ამეეყვანა, ამეეწერა... გამეეშვა, გამეეკიდა, გამეეხვა, გამეეგზავნა, გამეევიქეცი... ჩამეესახლენ, ჩამეეყვანა, ჩამეევიით... წამეელო, გადმეესახლება, გადმეეყვანათ, გადმეეიტანათ, გადმეევიდით...

პრევერბისეულ ო-ს მიმართ ე, ი ხმოვნები მასიმილირებელ ძალას იჩენენ დასავლურ კილოებში¹¹.

სოკის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში შემო-პრევერბის პირველი ნაწილი წარმოდგენილია შა-ს სახით, რაც შეეხება მეორე ნაწილს (შო-), მისი ხმოვანი ასიმილაციას განიცდის ი და ე ხმოვნებისაგან. აქა-იქ, ძირითადად ლეჩხუმელთა მეტყველებაში, ასიმილირდება პირველი ხმოვანაც: შამო + ი—შამეი // შემეი: შამეიარეთ, შამეილეს, შამეიყვანებენ... შემევიდოდენ, შემეიყვანე, შემეიტანდენ...

შამო + ე—შამეე // შემეე: შამეემტერა, შამეეშვაყე, შამეევრტყმებთ, შემეესევიენ...

შე-ს ნაცვლად შა-ს ხმარება შემო-რთულ პრევერბში ქართულ კილოებში საყოველთაოდ გავრცელებულად მიიჩნევა¹². აღნაშნულ მოვლენას ვხვდებით ყიზლარ-მოზდოკურშიც¹³.

სოკის რაიონში მცხოვრები იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომელთაც ქართული სკოლა დაამთავრეს, სწორად, ასიმილაციის გარეშე, ხმარობს ზმნისწინებს: ლიწყო, დაუკვირი, ლიწეროს, გაიქცეოდა, გაემარჯოს, წავედით, წავიყვანე, ჩაუბერო, გამოვიდოდი, შემოვიარეთ...

ასიმილაციას განიცდიან აგრეთვე ძირსა თუ ფუძეებში შემაჯალი ხმოვნები სუფიქსისეული ხმოვნებისაგან. დამსგავსება რეგრესულია. რეგრესული ასიმილაციის ეს სახე წმირი არ არის. გვხვდება როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დამსგავსების შემთხვევები.

ნაწილობრივი დამსგავსება: აუ—აუ: შინოური, თავად-აზნოურის, იქოურმა, ცოლიკოურმა, სადოური, ყაროული. ჩამოთვლილ სიტყვებში ა-ს ნაწილობრივი დამსგავსება უ-ს მიერ ძირითადად სოკელ იმერელთა და ლეჩხუმელ-

თა მეტყველებაში გვხვდება, თუმცა აუ—ოუ პროცესი ჩვეულებრივია რაჭველ-
თა მეტყველებისათვის, ოღონდ სიტყვის თავში. პრევერბისეულ ხმოვნის ფუძი-
სეულთან დამსგავსებისას.

აი—ეი: ყველისოვინ, გახჩიკის, რანეირათ, ხაზენინი (—ხაზინინი—ხა-
ზინინი).

ეს პროცესიც, გარდა უკანასკნელი მაგალითისა, რომელიც საერთოა ყვე-
ლა ქართველის მეტყველებაში, ძირითადად ლეჩხუმელთა და იმერელთა მეტყ-
ველებას ახასიათებს. ეუ—ოუ: დანგროული, გამკლოული, ბროწოულები, ამ
პროცესს ვხვდებით ორი სიტყვის მიჯნაზეც, მოუთხარი (=მე უთხარი). ეს ნი-
შეშებიც ძირითადად იმერელთა და ლეჩხუმელთა მეტყველებიდანაა მოტანილი,
უკანასკნელი შემთხვევა ტიპურია რაჭველთა მეტყველებისათვისაც.

სრული დამსგავსება: აე.—ეე: ტეხნიკეები, ახალგაზრდები, მაშინები,
დეიკეე, აკაჩეებენ (—აკაჩაებენ—აკაჩაებენ რუს. кацапы).

აო—ოო: ემუშაობდი, ვადაპროდს (ვადაპროდს—ვადაპრავოდს).

ეო—ოო: მონაწილობა, კოლმეურნობაში, მებოსტნობა...

რეგრესული დისტანციური სრული დამსგავსება სიტყვებში: ვიქირევეთ,
წალანე, მაცადინი, პურუტყვები // პურტყვები. პურტყვი დასტურდება ოკრი-
ბულნი¹⁴.

ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. ხმოვანთა პროგრესული ასიმილა-
ციის შემთხვევები შედარებით იშვიათია. სქარბობს დისტანციური, სრული
დამსგავსების მაგალითები: ხურჭუნი, ხურცულაყა, უთენუა (—უთენია), ვერე-
ფერი, ნამუშევერა, მანათი, გადააჯვარადინა, ცირიკიძე, ქრისტიშობა (თუ მეო-
რე ი ნათესაობით ბრუნვის სუფიქსის ნაწილი არაა), კომპოსი.

გვხვდება სრული კონტაქტური პროგრესული ასიმილაცია, ჩვეულებრივ,
ფუძისეული ხმოვანი სრულიად იმსგავსებს სუფიქსისეულს: წარმოობას, საზო-
გალობას...

თანხმოვანთა კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია. როცა დამამსგავსებე-
ლი ბგერა უშუალოდ მოსდევს დამსგავსებულს, ასიმილაცია, ჩვეულებრივ, იშ-
ვიათი გამოწვევის გარდა, ნაწილობრივია. შემთხვევათა დიდ უმრავლესობა-
ში ხდება მკვერთა დაყრუბება. დასტურდება ყრუთა გამჟღავნებაც.

წელური იცვლება ფშვინვიერი ან მკვეთრი ბგერით იმის მიხედვით, თუ რო-
გორია დამამსგავსებელი. ფშვინვიერი წინმავალს აფშვინვიერებს, მკვეთრება
(კ. ყ. ჰ) ამკვეთრებს. გამოწვევისაა ლ და უ ბგერები, რომლებიც შესაბამისად
წ და კ მკვეთრთა წინ ფშვინვიერებით იცვლებიან, რათგან სათანადო მკვეთრე-
ბი ქართულს არ გააჩნია.

მჟღერ თანხმოვანთა დაყრუბება. ა). მჟღერთა გაფშვინვიერება: ბთ—ფთ:
ეჩიბეფთან, ვყიდულოფთ, აკეთეფთო, გაუკეთეფთ, ვაწწნილეფთ: ბხ—ფხ: გეი-
გეფს, მათქმოიეფს, გააკეთეფს. ეილეფს. ბოშეფს, თელეფს... ბშ—ფშ: ნა-
ლიეფში, ვაფშემ (რუს. в шуме), შტაფში; ბხ—ფხ: პაფხადიას (—ბაბუხა-
დიას). გხ—ქხ: ჯოქსო, ყრუქს; გშ—ქშ: დროქში, დქ—თქ: შვითქვეით. დშ—თშ:
გოროთში, გვერთში, არენთში; ვხ—ფხ: მახსოფს, საფსე; ვხ—ფხ: საფხობს,
ფხნაფდი; მხ—ფხ: ფსხვილს, ფსხლს; მშ—ფშ: ჯელაფშვილდით. შ-ს გავლენით
შ-ს ფ-დ ქცევის ეს ერთადერთი მაგალითი გვხვდება სოქელ რაჭველთა მეტყვე-
ლებაში. აღნიშნული მოვლენა სხვა სიტყვებში დადასტურებულია მთიულურ-
სა¹⁵ და კახურში¹⁶. მხ—ფხ: ფხალი, ფხარი, აფხანიკები. დჩ—ნჩ: დევიხრჩობო-
ლი. უხ—ფხ: დროშს (რუს. дрожжи).

ბ). მელერთა გამკვეთრება: ბჟ—ჰჟ: პროკეთს. მწ—აწ: ვაჰწნილეთ. ბჟ—ბჟ: უჰინეჰყე. დჟ—ტჟ: პარიატკის, ვალოტკას, სავოტკე. მჟღერთა ამგვარი გამკვეთრება ტიპობრივია ქვემო იმერულისათვის¹⁷.

II ობიექტური პირის გ- პრეფიქსი ყრუ ფშვინვიერთა წინ ჩვეულებრივ ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი ხან კ-დ, ხან ჟ-დ. მკვეთრთაგან მხოლოდ ყ თან-ხმოვანი აქცევს გ-ს კ-ლ. სხვა შემთხვევებში ქ გვაქვს (შდრ. კახური, სადაც გ-ს ამკვეთრებენ სხვა მკვეთრებიც)¹⁸: წაკყობი, მოყვილი, ქთხოვთ, მიქქონდა. დაქტოვეფ, შექქამა, მოქცემთ, დაქპირდებოთ...

ყრუ თანხმოვანთა ჯამულერება. S₂ და O₃ პირთა პრეფიქსების ხმარება სოქის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში არ არის მყარი. ხმარების შემთხვევაში პრეფიქსი ს- მომდევნო მჟღერ თანხმოვანთა გავლენით ზ-სა და ჟ-ს სახით გვევლინება: მოუზღვედი. მოვზღებოდი, დახძერებოდა, ეხძარასოვთ. ეჯობია, ეღერა...

-თან თანდებულის ელემენტი ამჟღერებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თ თანხმოვანს: რაჰიდგან, ორთქლითგან, კაზარმიდგანო, ჩემიდგან, იმდგან. რაიონიდგან...

ყრუ ბგერა რეგრესულად მჟღერდება მეზობელი სიტყვის თავკიდურ-მჟღერის გავლენითაც. გვაქვს რთული ასიმილაცია¹⁹. არაფელიზ დიდებით, ჩიტის გულისთვის, მიზ გარდა, ჩემზ ბიძამვილს...

აქვე აღვნიშნავთ, რომ პრეფიქსი ს- მომდევნო შიშინა თანხმოვანისაგან დამსგავსების შედეგად შ-დ იქცევა, „როგორც ეს ძველ ქართულში იყო და ამჟამადაც თითქმის ყველა დიალექტშია“²⁰.

ზოგჯერ ფშვინვიერი მკვეთრდება ან მკვეთრი ფშვინვიერდება:

ა). ფშვინვიერის გამკვეთრება. ფშვინვიერი ჩ მკვეთრდება კ-ს წინ, რუსულში ჩჟ წყვილი იცვლება ქართულისათვის ბუნებრივი ჰჟ კომპლექსით: ბოჰკიდგან, რეჰკიდგან... ასეა კახურშიც²¹.

ბ). მკვეთრის გაფშვინვიერება — კშ—ქშ: აყექში, იაშქში. პჩ—ფჩ: კაჟ-ჩენიას, ფჟულავოდი. პშ—ფშ: მაიკოფში (მაიკოპში).

თანხმოვანთა რეგრესიული დისტანციური დამსგავსება. დამსგავსება ხდება როგორც ნაწილობრივ, ისე სრულად.

ნაწილობრივი ასიმილაციის ნიმუშები: მოქუცეს, მოქუკლავდენ, შექუპირდენ, კუყავდა, გაეშინჯავდით.

სრული ასიმილაციის ნიმუშები: ყმაყოფილიც, შამშაფათი, დაქუქონდა, ნაცარცივი. გაცარცევს. გრ. იმნაიშვოლი გაცარცევს სიტყვაში ძ-ს ც-დ შეცვლის მიზეზად შენაცვლებას თვლის, თუმცა იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შეიძლება აქ „სრული სახის დისტანციურ ასიმილაციასთან გვეკონდეს საქმე“²².

სრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციისა, თანხმოვნის გადასმისა და ბგერათა შერწყმის შედეგად უნდა იყოს მიღებული ქუონდა||ქკონდა და კუითხავდენ||კვითხავდენ: გექონდა—გჭქონდა—ქჭქონდა—ქჭქონდა—ქჭონდა||ქკონდა. გვეკითხავდენ—გუჭითხავდენ—კუჭითხავდენ—კვჭითხავდენ—კუჭითხავდენ||კვითხავდენ. (შდრ. თუთე—თთუე—თუე)²³. ქკონდა დასტურდება კახურშიც²⁴.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია. ხშირია დისტანციური ნაწილობრივი დამსგავსების შემთხვევები: პარახითის, მიეხუთი, ჩეთვერის (რუს. парухитис), რავარცახა, კვტება, წყალტუპოზე, ეუშტის (რუს. жестис).

არ არის იშვიათი კონტაქტური ნაწილობრივი დამსგავსება: ლეშქაშელა, დამამიწყტა, ვიცხა, როცხა, მოუხთა, მისიჩქები (რუს. МЫСОУХА). ამავე გზით უნდა იყოს მიღებული ჩერგეჭი (ჩერქეზი).

გვხვდება სრული დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებიც: შაბიბანი, ციცაბარდა, შოშე.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის დროს სჭარბობს თანხმოვანთა დაყრუების მაგალითები. ეს ვითარება დასავლურ კლონათის დამახასიათებლად მიიჩნევა²⁵.

დისიმილაცია. დისიმილაციის შემთხვევები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ასიმილაციისა. გვხვდება როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა განმსგავსება.

თანხმოვანთა დისიმილაცია. ცნობილია, რომ „დისიმილაციის შემთხვევებია ქართულში უმთავრესად რ ბგერაზე მოდის“²⁶. აღნიშნული ვითარება ძველ ქართულსაც ახასიათებდა²⁷.

რ ბგერის განმსგავსება ხშირი მოვლენაა სოქის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. რ-ს განმსგავსება (ჩერგრესული) ხდება უცხოური წარმოშობის ზოგ სიტყვაშიც: რ—რ—რ—ლ: ერჯელ, ორჯელ, ოროლი, კერაფელი, არაფელი. რ—რ—ლ—რ (უცხოური წარმოშობის სიტყვებში): დელექტორი, კალიდორში...

არის სხვა ბგერათა განმსგავსების შემთხვევებიც: ლ—ლ—რ—ლ: ოირ-კილო, ნაკრული, შობა-ახარწელ. ლ—ლ—ლ: სუნელი, სისუნელი, წინოული. ნ—ნ—ლ—ნ: კალონის. ჩერგრესული დისიმილაცია ამ სიტყვაში იმერულის თესებად მიიჩნევა²⁸.

ერთმანეთს განმსგავსებენ აქუსტიკურად მსგავსი ბგერებიც: სტაქნებით. ლაფატკაც, კამფოტი. პირველ შემთხვევაში მკვეთრ ტ-ს განმსგავსება და ფშინივიერდება კ. ორ უკანასკნელ მაგალითში კი მკვეთრი ტ-ს გავლენით პ დისიმილირდება და იქცევა ფ-დ. აღსანიშნავია, რომ სამივე დასახელებული სიტყვა არაქართული წარმოშობისაა.

ხმოვანთა დისიმილაცია. აბსოლუტურად ერთნაირ ხმოვანთა განმსგავსება დისტანციურია ძირითადად. გვხვდება უპირატესად პროგრესული, იშვიათად ჩერგრესული განმსგავსება: ქოჩერი, ფოთელი, მურისიძე, არეინ, აფხანიკები, კარქი... მელიცია, სენატორია.

ხდება ორი თანაბარი ლიაობის ხმოვანთაგან წინას დავიწროება როგორც ერთ სიტყვაში, ისე ორი სიტყვის მიჯნაზე. დისიმილაცია ჩვეულებრივ კონტაქტურია: ეა—ია: ასეთია, ნამოსასზია, მეტრანახეუარზია. შიანწუხფეს, შიაჟდენ, შიაჟულუბდა... მი არვიცი, მესკი არი (მესკე არი), ქვი აქ... ოა—ოა: მუაქდფე, მუაწია, გამუანყოფ, ამუარჩიეს... რუ არი... ოე—ოე: ხირჯუფეს, ღვინუები, გოგუები, ეზუეფში... რუ ევიყვანე... ეო—ეო: საადროი, სახვალიო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეა—ია, ოა—ოა, ოე—ოე, ეო—ეო პროცესები ზოგჯერ სათანადოდ არაა გამოკვეთილი, ძნელია დადგენა, ხდება თუ არა დისიმილაცია, წინმავალი ხმოვნის დავიწროება.

როგორც ცნობილია „დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვას დისიმილირებული ბგერა“²⁹. ჩვენი კვლევის ობიექტშიც შეინიშნება ეს მოვლენა. დისიმილაციურად იკარგვის ბ, ვ, დ, ლ. შ ბგერები.

გ იკარგვის როგორც O₂ პირის პრეფიქსი პრევერბისტული გ-ს გავლენით: ვაიგონიათ. ვაიკვირდებათ, არ ვაიგზავნიათ...

დ იკარგვის როგორც მწყობრის საერცობი ან მისი შემადგენელი ნაწილი ამ ზმნებში, რომლებიც ფუძეში შეიცავენ დ ბგერას: წვეილი, გამოვხითი ზეთ. ამ უკანასკნელში დ-ს დაკარგვა უნდა უსწრებდეს ძირისეული დ-ს დამსგავსებას ხ-ს მიერ. დისიმილაციურად დ იკარგვის აგრეთვე სიტყვაში: დეაჩემიდან.

დ-ს დისიმილაციური დაკარგვა უნდა ხდებოდეს სიტყვაში წერიძალი.

შ დისიმილაციურად იკარგვის სიტყვაში შრანდელი (მრშანდელი — შარშანდელი).

დასტურდება მარცვალთა დისიმილაციური დაკარგვის — ჰაპლოლოგიის შემთხვევებიც: ფეხშველა, ვეფერი.

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვა შენიშნულია როგორც დასავლურ³⁰, ისე აღმოსავლურ³¹ კილოებში.

ს უ ბ ხ ტ ი ტ უ ც ი ა. სუბსტიტუცია სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. გვხვდება როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა მონაცვლეობა, აგრეთვე ხმოვნის შეცვლა ბგერათა კომპლექსით და პირუტყუ. ერთმანეთს ენაცვლება წარმოებისა და რაგვარობის მიხედვით მსგავსი ბგერები, ზოგჯერ კი სრულიად განსხვავებულებიც.

ყველაზე ხშირია კბილბაგისმიერი ვ-ს შენაცვლება წყვილბაგისმიერი შ-თი. ეს მოვლენა ახასიათებს ქართული ენის მრავალ დიალექტს. კერძოდ, კახურს³², იმერულს³³, ლეჩხუმურს³⁴. როგორც ცნობილია, ვ წყვილბაგისმიერობისაკენ იხრება³⁵, ესაა მიზეზი მ-ს მიერ მისი ხშირი შენაცვლებისა. მაგალითები: დამამიწყტა, მასკულაყი, შეამსო, სამსე, ქთხომ, შეხედამ... ხდება პირიქითაც: შ-ვ: იზავს, ჩაახავდენ, ჩაბავ, ურტყავს. არაა იშვიათი სხვა თანხმოვანთა სუბსტიტუციაც: ვ-ნ: აფუნდება, დუხოსკა. შ-ნ: ნეფე-დედოფალს, სუნკაში, ხენწიფის, ფელანდუში, ჟოჩანჩირეში... ნ-შ: სამთლიდგან, მიმცხადეფო, დოუმდობარი, დემირა, ამტონიე, ანბანს, დამგროვაც, მომდობილი. რ-ნ: მახსოვნობა, დღენებლობა, ჩანგვალი სახლი... ლ-ნ: წენი. ნ-ლ: ლეფსეერიბე, ლიშენა, შავგრიძალი... ამ უკანასკნელში ნ-ს ლ ენაცვლება ოკრიბულსა³⁶ და ხევსურულშიც³⁷. რ-ლ: ჩალხი, ბუჩელი, ბულღვი, ედიშელა, ჩილა, ტილიფი, ტალხუნა, ტულიბი (←ტყილიბი←ტყიბი), ქველუბანს|ქოლუბანს. ქველუბანი წარმომდგარი ჩანს ქვერე უბანი-საგან ვ ხმოვნის დაკარგვისა და რ-ს ლ-თა შეცვლის გზით. არქაული -რე ნაწილაკის ლე-დ ქცევის ფაქტი პროფ. შ. ძიძიგურს დადასტურებული აქვს ლეჩხუმურში³⁸. რ-ს ლ-თი შეცვლა დასტურდება კახურშიც³⁹. რ-შ: მბილი, ლ-რ: ქორგასაეით, გორგოთობა (←გოლგოთობა). ლ-შ: კამხონის. ვ-ბ: ვახსობდი, თებზი. ბ-პ: აპა, გააციმპირეს, ციპირში. ლ-რ: დავგამწყრიეთ. ც-ძ: ჟოდდაათი, ჟორმოდდა ჟოთხის. ს-შ: შტვირები, უჩაშკაში, ფშტვინავდენ, გულაფშტვირი, ფოშტალიონი, ნიშტევი (ნესტოები). ს-შ: ჰაწყალი. ეს მოვლენა დასტურდება ზემოაჭარულშიც⁴⁰. გ-კ: ფილუკა (რუს: филова), ჩიჩილაკს, შიფხანჩიკებულო, სალიკე. გ-ჭ: დაჯორჯალება. ქ-კ: შესკელდა. წისკვილში, შკერიანი. თ-ტ: ვსტავდით. ტ-წ: მუასტარით, სტაელა. ს-შ: შტოლი, ფშტვირი, ნიშტევი (ნესტო). ქ-ხ: პრადუხტი, ტრახტორით. ხ-შ: ჩახომბილი, ეს უკანასკნელი აქ რუსულიდანაა შემოსული. ჰ-გ|დ: გექტარი|დექტარი. გექტარიც რუსულიდან შეთვისებული ჩანს. იგი უცხო არაა არალიტერატურულ მეტყველებაში საქართველოშიც.

ხმოვანთა მონაცვლეობა. ხმოვნის შეცვლა ბგერათკომპლექსით და პირუტყუ. ხშირად მონაცვლეობს ხმოვანი ხმოვანთან, აგრეთვე ბგერათკომპლექსი ხმოვანთან და პირუტყუ.

დასტურდება ხმოვანთან შენაცვლების შემდეგი შემთხვევები: ი—ე: პლე-ტა (რუს. плита), ნასელკით (რუს. носилка). კამანდერი (რუს. командир), ჩაე, ყაეე, დინაჲეტი, ბრიგადერს, ვჲედაობლით. ჭიდაობაში ე ხმოვანი ი-ს ნაცვ-ლად იმერულ-რაჲულ-ლეჩხუმურისათვის დამახასიათებელი ჩანს. ხომ არაა მაინც პირველადი ჰედ ძირი? (შდრ. ეჲედე, რაჲ.) საინტერესოა სემანტიკური მიმართება შერკინებასა (შდრ. მეგრ. რკინება — ჭიდაობა) და რაჲულ-იმერულ-ლეჩხუმურის ჭედაობას შორის. შემოჲედვა, შემოსალტვა ჭი-დაობის დროს ხომ არ გამოდგებოდა სემანტიკურ ხიდად შერკინებასა და ჭე-დაობას შორის, ხომ არაა ფონეტიკური ცვლილება ჰედ—ჲედ ანალოგიური. ქართულში საკმაოდ გავრცელებული მოვლენისა, რომელიც ფუჲედრეკადობის სახელითაა ცნობილი?

ე—ი: ლაგირში (რუს. лагерь), ჩიკანკას (რუს. чеканка), ტილივიზორში, სიზონჲე.

ი—უ: დაურა, შეტრულადა. ე—ო: რამდონი, ენერობენ, ასმოედენ, აჲმოყ-დენ, ფჩოლავოდი (რუს. пчеловод).

ა ხმოვნითაა შეცვლილი იე-თი დაბოლოებული რუსული სიტყვების ბო-ლოკიდური ე: ნასელენია, პასელენია, ატაპლენია, აკრუჲენია, ზარაჲენია, ზაჲე-ლენია (заявление).

-ია დაბოლოებით იხმარება აჲ-ზე გათავებული ზოგი რუსული სახელები გვაჲეს: კატელნია (когельная), ტავარნია (товарная).

ზოგჯერ რუსულის ე გადმოცემულია იო ხმოვნებით: იოლკას (ёлка). რუ-სული ე ხშირად იცვლება ე ხმოვნით: დესეტინა (десятина), პალენა (поляна), ზაჲელენია (—ზაჲელენიე—заявление).

ი-ს ე-თი გადმოცემის ფაჲტი დადასტურებულია ყიზლარ-მოზდოკურშიც: შენ იჲნებე: კნიაზი, მე კნეგინიაო⁴¹.

გვხვდება ბგერათა კომპლექსისა და ხმოვნის ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები: ეე—ო: მუჲუშობლით, გეეკოხა, გადაჩოული, შემთხოვა, დავწობი, მოყობა, მოსახოეში, ჭოლუბანში (—ჲეეღუბანში), მოწოვა (=მოწვევა). ეე მარცვლის ი-თი შეცვლა უპირატესად დასავლურ კილოებს კერძოდ ჭეემოიდე-რულსა⁴² და ლეჩხუმურს⁴³ ახასიათებს. აე—ო: ბოშობიდან. ეე—ო: კილო. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივია იმერულში⁴⁴. ვი—უ: წუმაში, ტყული (ტყვილი—ტყუილი—ტყული). აჲუხოედენ, ჩაგუყვანეს. ამ ორი უკანასკნელის ანალოგიუ-რი ფაჲტები დასტურდება ფერეიდნულშიც⁴⁵. ვი—უ პროცესის შედეგად ჭი-ღებული ჩანს სიტყვა—უწყუჲე (=ვისყუჲე): ვისყუჲე—ვისყუჲე—უწყუჲე. ვი კომპლექსს უ ცვლის დასავლურ კილოებში, კერძოდ იმერულსა⁴⁶ და გურულ-ში⁴⁷. გვხვდება ვა მარცვლის ი-თი შენაცვლება რუსულიდან ნასესხებ სიტყვა-ში — კრაოტი (кpwатн). საერთოდ ვა—ი პროცესი სოჲელ ქართველთა მე-ტყველებისათვის დამახასიათებელი არაა. ასევე არაა ტიპური და ორიოდ სიტყვაში გვხვდება ი-ს შეცვლა ვა კომპლექსით კვამლი (—კომლი), გუდავა-თა (—გუდაოთა—გუდაუთა). ი—ეე: მარტეე, იყვეს... ეს მოვლენა იმერულ-ლეჩხუმურისათვისაა ნიშანდობლივი. იშვიათად კახურშიც დასტურდება⁴⁸.

აჲეე აღენიშნავთ ვ-ს გაწყვილბაგისმიერების შემთხვევებსაც: დათჲმა, თეჲქსმეტი, ჲაშენეფ, სიმაჲრმა (—სიმაჲრმა—სიმამრმა).

ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა. გვხვდება როგორც კომბინატორული, ისე სპონ-ტანური აფრიკატიზაციის შემთხვევები. თჲ გვაძლევს ჩ-ს. დ და ტ თანხმოვნე-

ბი შ-ს წინ ასიმილირდებიან და თ-ღ იქცევიან, თშ-კი გადაღის ჩ აფრიკატში. ასეა ეს იმერულსა⁴⁹ და კახურშიც⁵⁰.

ნიმუშები: თშ—ჩ: გულაუჩი, ამინუჩი, სალდაჩი, სუჩაუათია... ღშ—ფშ—ჩ: კოჩი (=კოდში), გოროჩი, არენჩი, გვირჩი, ზაუოჩი... ტშ—თშ—ჩ: ტაშკენჩი, თოთხმეჩი, მარჩი (=მარტში), სპირჩი, ჩელჩი (=ჩელტში)...

თს იქცევა ც-ღ. ღს, ტს კომპლექსებზე თს საფეხურის გავლით გვაძლევს ც აფრიკატს: თს—ც: ერთმანეც, ფეხბურც, ერც, ღმერც, ერცახე (ერთსახე). ეს უკანასკნელი ძველ ქართულშიც გვქონდა⁵¹. ღს—თს—ც: არენც, სიმოც, წელიწაც, კოც (კოდს). ტს—თს—ც: სოვეცკის. შრაც, ჩიც, გრანაც, წახმაც (шахматы). თს-ს გადასვლა ც აფრიკატში მთარაქულში დადასტურებულია აქვს შ. ძიძიგურს⁵². ღშ—ძ: გვერძე. ასე გვეხდება ეს სიტყვა ლეჩხუმურსა⁵³ და რბერულში⁵⁴, არაა უცხო ქართლისა⁵⁵ და კახურისათვისაც⁵⁶. დასახელებულ მაგალითთაგან კომბინატორული აფრიკატიზაციის ყველაზე მკაფიო ნიმუშებია: გვერძე, ამინუჩი, ხუჩაფათი, ერცახე. სხვა შემთხვევებში ზოგჯერ ძნელდება აფრიკატიზაციის ფაქტის დადგენა.

სპონტანური აფრიკატიზაციის ნიმუშები: შ—ჩ: მოხარჩულა, ქახარჩავდი, იმაჩი. უკანასკნელი მაგალითი დადასტურებულია იმერულში⁵⁷. ს—ც: ვევიპარცე, თითოცახეები. ჟ—ჭ: დაჭჭპატიჯენ, ჯანდრები (—ჯანდრმები—ჯანდარმენი), ბარჯა (რუს. баржа), მრავალჯამიე (მრავალჯამიერი), ჴ—ძ: განძრახობით.

ღე ჴა ფ რ ი კ ა ტ ი ჴ ა ც ი ა. ღეზაფრიკატიზაციის შემთხვევები შედარებით იშვიათია: ძ—ზ: ჟონდაჟორი, ჟონდაჟეთი... შეიძლება ეგვევ ძირი ღეზაფრიკატიზაციის გარეშეც შეგვხვდეს. ც—ს: სეპოჩკეები (რუს. пепочки). ჟ—უ: შეშეღარა, დააჯღენდა.

კონტამინაციის გზით მიღებული ჩანს სიტყვები: კახუსტო—კომბოსტო + капуста: მუზეინი—მუზეუმი + музин: ვაუშემ—воншам + воншам. აშგენტან—აგენტან + ამათან

ანალოგია. ნაყოფი-ის (მიმლეობის) ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი შ ბგერა სიტყვებში: ნაყოფიერი (=ნაყოფიერი) და სანაყოფო (=სანაყოფო).

დაამტერიეს ზმნასთან ანალოგიის შედეგი ჩანს შ ბგერა ზმნაში — დაამგერიეს. აღნიშნულ პროცესს ხელს უნდა უწყობდეს ამ სიტყვათა სემანტიკური სიახლოვეც. წარ-პრევერბიანი ფორმების ანალოგიით რ ბგერა ჩნდება სიტყვებში: დოურდგენია და დარდგენილი. ასეთი ფორმები იმერულშიც დასტურდება⁵⁸.

ამ ნაცვალსახელის ანალოგიით შ ვითარდება რა ნაცვალსახელის ბოლოს: რამ სიგრძე, რამ სიმაღლე. წარღვნ-ის მნიშვნელობით წარღვნა იხმარება რყვნა ძირის ანალოგიით.

როგორც ვნახეთ სოკის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება მთავარი ფონეტიკური პროცესების მოქმედების თვალსაზრისით იმავე თავისებურებებს ავლენს, რაც დამახასიათებელია უპირატესად დასავლური, კერძოდ ლეჩხუმური და რაჭული კილოებისათვის და არსებითად ერთიანია, თუმცა ფონეტიკური თავისებურებათა უმნიშვნელო ნაწილი შემონახულია განუზოგადებლად, ე. ი. დამახასიათებელია მხოლოდ ლეჩხუმელთა, იმერელთა თუ რაჭველთა მეტყველებისათვის.

ზოგი რუსული ბგერის ქართულად გადმოცემისას (ნასესხებ სიტყვებში) ელინდება გარკვეული თავისებურებები, რომელთა საფუძველია ქართულ და რუსულ ენათა ფონეტიკური სისტემების განსხვავებულობა.

¹ დანარჩენი, კერძოდ, ბგერის განვითარება, რელექტა, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა სოჭის რაიონში მცხოვრებ რაქველთა მეტყველების მიხედვით განხილულია წერილში: „ფონეტიკური მოვლენები სოჭის რაიონში მცხოვრებ რაქველთა მეტყველებაში“, იხ. Сухумский Государственный педагогический институт им. А. М. Горького, сборник статей, Сухуми, 1973, გვ. 202—209.

² გ. ახელედინი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1956, გვ. 159.

³ შ. ძიძიგური, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართულ ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX, 1959, გვ. 224.

⁴ იქვე, გვ. 240.

⁵ ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული კალოკავი, თბილისი, 1973, გვ. 230.

⁶ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970, გვ. 235.

⁷ იქვე, გვ. 112.

⁸ იქვე, გვ. 115.

⁹ პ. გაჩეჩილაძე, იბერული დიალექტის ხანურ-ზეგანური მეტყველება, იბერიულ-კავკასური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი, 1956, გვ. 115.

¹⁰ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 37.

¹¹ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 114—122.

¹² იქვე, გვ. 167.

¹³ სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, თსუ შრომები, V, 1936, გვ. 275.

¹⁴ ოტ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, თბილისი, 1954, გვ. 170.

¹⁵ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიშვის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1937, გვ. 47.

¹⁶ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 39.

¹⁷ ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული კილოკავი, გვ. 228.

¹⁸ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 38.

¹⁹ გ. ახელედინი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, გვ. 162.

²⁰ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 38.

²¹ იქვე, გვ. 39.

²² გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტიზმები XIX ს. მწერალთა ნაწერებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, თბილისი, 1966, გვ. 88.

²³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 582.

²⁴ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 38.

²⁵ ბ. ფოჩხუა, თანხმობათა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში, თსუ შრომები, X, თბილისი, 1939, გვ. 192.

²⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 23.

²⁷ შ. ძიძიგური, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 54—56.

²⁸ ქ. ძოწენიძე, ზემოიბერული კილოკავი, გვ. 231.

²⁹ გ. ახელედინი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები.

³⁰ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 15. გვ. 175; შ. ნიქარაძე, ზემოქართლის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 18.

³¹ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 41.

³² არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 43.

- ³³ შ. ძიძიგური, ქართულ: დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 154.
- ³⁴ იქვე, გვ. 176.
- ³⁵ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, ტ. II, ტფილისი. 1937, გვ. 47. ვ. თოფური, ქართლური, „არილი“, 1925, გვ. 137.
- ³⁶ ოტ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 166.
- ³⁷ ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 16.
- ³⁸ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 179.
- ³⁹ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 45.
- ⁴⁰ შ. ნიუარაძე, ზემოქარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 24.
- ⁴¹ სტ. ჩხეიკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, თსუ შრომები, V, თბილისი, 1936, გვ. 284.
- ⁴² შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 154.
- ⁴³ იქვე, გვ. 176.
- ⁴⁴ იქვე, გვ. 154.
- ⁴⁵ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, 1927, გვ. 208.
- ⁴⁶ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 154.
- ⁴⁷ ს. უღენტე, გურული კილო, თბილისი, 1936, გვ. 57.
- ⁴⁸ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 517.
- ⁴⁹ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 163.
- ⁵⁰ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 48.
- ⁵¹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 115.
- ⁵² შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 127.
- ⁵³ მ. ალავეძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ალ. წულუყიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, II, 1941, გვ. 231.
- ⁵⁴ პ. ჭაჭანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, VIII, 1947, გვ. 67.
- ⁵⁵ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 48.
- ⁵⁶ იქვე, გვ. 47.
- ⁵⁷ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 155.
- ⁵⁸ იქვე, გვ. 154.

О. И. МИКИАШВИЛИ

ОСНОВНЫЕ ФОНЕТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ В РЕЧИ ГРУЗИН, ПРОЖИВАЮЩИХ В СОЧИНСКОМ РАЙОНЕ

Резюме

В речи грузин (лечхумцев, рачинцев и имеретин), проживающих в сочинском районе с 70-ых годов XIX века, действуют в основном те же фонетические процессы, что и в имерском, лечхумском и рачинском диалектах грузинского языка.

При передаче отдельных русских звуков (в заимствованных словах) проявляются некоторые особенности, обусловленные различиями, существовавшими между фонетическими системами русского и грузинского языков.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ ენის კათედრა

ათმარ სოსელია

ნათესაოვანი ტერმინთა სისტემა ქართულში

თანანედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ნათესაობის ტერმინთა უმეტეს ნაწილს ნათესაობის ცალმხრივი ტერმინები შეადგენენ. ესენია:

- | | |
|-------------------------------|-------------------------------------|
| 1. ბაბუა } — $P_m P$ | 29. ნახევარძმა — \overline{Sb}_m |
| 2. პაპა } — $P_m P$ | 30. ნახევარდა — $\overline{S}n$ |
| 3. დიდედა — $P_f P$ | 31. ქმარი — S_m |
| 4. მამა — P_m | 32. ცოლი — S_f |
| 5. დედა — P_f | 33. მუუღლე — ζ |
| 6. მშობელი — P | 34. სიმამრი — $P_m S_f$ |
| 7. ძე — C_m | 35. სიდედრი — $P_f S_f$ |
| 8. ასული — C_f | 36. მამამთილი — $S_m S_m$ |
| 9. პირმშო — $\uparrow C$ | 37. დედამთილი — $S_f S_m$ |
| 10. უცილი — C | 38. ცოლისძმა — $Sb_m S_f$ |
| 11. წული — C | 39. ცოლისდა — $Sb_f S_f$ |
| 12. შვილიშვილი — CC | 40. მახლი — $Sb_m S_m$ |
| 13. წულისწული — CC | 41. მული — $Sb_f S_m$ |
| 14. ევლთაშვილი — CCC | 42. მახლისწული — $C Sb_m S_m$ |
| 15. პაპილა — $Sb_f P_m P$ | 43. მახლიშვილი — $C Sb_m S_m$ |
| 16. ბაბუდა — $Sb_f P_m P$ | 44. მულისწული — $C Sb_f S_m$ |
| 17. ბებუდა — $Sb_f P_f P$ | 45. მულიშვილი — $C Sb_f S_m$ |
| 18. ბიძა — $Sb_m P$ | 46. ქვისლა — $S_m Sb_f S_f$ |
| 19. ძია — $Sb_m P$ | 47. შილი — $S_f Sb_m S_m$ |
| 20. მამიდა — $Sb_f P_m$ | 48. მახახალი — PSC |
| 21. დეიდა — $Sb_f P_f$ | 49. ბიჯოლა — $S_f Sb_m P$ |
| 22. ძმა — Sb_m | 50. ძალუა — $S_f Sb_m P$ |
| 23. ნა — Sb_f | 51. სიძე — $S_m C_f \cup S_m Sb_f$ |
| 24. ბიძაშვილი — $CSb_m P$ | 52. რძალი — $S_f C_m \cup S_f Sb_m$ |
| 25. მამიდაშვილი — $CSb_f P_m$ | 53. ბუბია — $P_f P$ |
| 26. დეიდაშვილი — $CSb_f P_f$ | 54. მამინაცვალი — $P_m step$ |
| 27. ძმისშვილი — CSb_m | 55. დედინაცვალი — $P_f step$ |
| 28. დისშვილი — CSb_f | 56. გერი — $Cstep$ |

შედარებით მცირე ჯგუფს შეადგენენ ნათესაობის ორმხრივი ტერმინები, როგორცაა:

- | | |
|--------------------------------|-------------------------------|
| ტყუპი — $\uparrow \uparrow Sb$ | რძალ-დედამთილი — $P_f S_m$ |
| მამა-შვილი — P_m | რძალ-მამამთილი — $P_m S_m$ |
| დედა-შვილი — P_f | რძალ-მული — $Sb_f S_m$ |
| სიძე-სიმამრი — $P_m S_f$ | ცოლ-ქმარი — S_f (ან S_m) |
| სიძე-სიდედრი — $P_f S_f$ | |

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ორმხრივი ტერმინი („ტყუპის“ გარდა) წარმოადგენს შერწყმულ სახელს (კომპოზიტს, ფართო გაგებით), მიღებულს ცალმხრივი ტერმინებისაგან.

ასევე, ცალმხრივ ტერმინთაგან მიღებულ შერწყმულ სახელებს წარმოადგენენ ნათესაობის ორმაგი ტერმინები:

- | | |
|-------------------------|-------------------------|
| ცოლ-შვილი — (S_f, C) | დედ-მამა — (P_f, P_m) |
| ქმარ-შვილი — (S_m, C) | და-მმა — (Sb_f, Sb_m) |

რამდენადაც შერწყმული სახელების სახით წარმოდგენილი ნათესაობის ორმხრივი და ორმაგი ტერმინები ქართულის ნათესაობის ტერმინთა მცირე ჯგუფს შეადგენენ და, როგორც წესი, მიღებულნი არიან ნათესაობის ცალმხრივი ტერმინებისაგან, მათ ჩვენი მასალიდან გამოვრიცხავთ და წარმოვად-

გენტ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნათესაობის იმ ტოპონთა ანალიზს, რომლებიც არ წარმოადგენენ შერწყმულ სახელებს. ამ ტერმინთაგან მხოლოდ ერთია ნათესაობის ორმხრივი ტერმინი („ტყუპი“ — $\uparrow \downarrow$ Sb), დანარჩენები კი ნათესაობის ცალმხრივი ტერმინებია. ამ ტერმინებით აღნიშნულ ნათესაურ დამოკიდებულებათა ერთობლიობა შეადგენს ქართულის ნათესაურ დამოკიდებულებათა სისტემას.

ამ სისტემის ყოველი ნათესაური დამოკიდებულების დახასიათება სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების მეშვეობით წარმოდგენილია წარმოშობი გრაფიკისათვის შედგენილი ლექსიკონის (იხ. ცხრალი 1) პირველ ორ სვეტში, სადაც პირველი სვეტის სიმბოლოები აღნიშნავენ შესაბამისად შემდეგ ნათესაურ დამოკიდებულებებს: R_1 — $P_m P$, R_2 — $P_f P$, R_3 — P_m , R_4 — P_f , R_5 — P , R_6 — C_m , R_7 — C_f , R_8 — $\uparrow C$, R_9 — C , R_{10} — $Sb_m P$, R_{11} — Sb_m , R_{12} — Sb_f , R_{13} — S_m , R_{14} — S_f , R_{15} — S , R_{16} — $P_m S_f$, R_{17} — $P_f S_f$, R_{18} — $Sb_m S_m$, R_{19} — $Sb_f S_m$, R_{20} — $S_m S_b S_f$, R_{21} — $S_f S_b S_m$, R_{22} — PSC , R_{23} — $S_f S_b P$, R_{24} — $S_m C_f \cup S_m S_b$, R_{25} — $S_f C \cup S_f S_b$, R_{26} — C step, R_{27} — $\uparrow \downarrow Sb$, R_{28} — CC , R_{29} — CCC , R_{30} — $Sb_f P_m P$, R_{31} — $Sb_f P_f P$, R_{32} — $Sb_f P_m$, R_{33} — $Sb_f P_f$, R_{34} — $CSb_m P$, R_{35} — $CSb_f P_m$, R_{36} — $CSb_f P_f$, R_{37} — CSb_m , R_{38} — CSb_f , R_{39} — $\overline{Sb_m}$, R_{40} — $\overline{Sb_f}$, R_{41} — $P_m S_m$, R_{42} — $P_f S_m$, R_{43} — $Sb_m S_f$, R_{44} — $Sb_f S_f$, R_{45} — $CSb_m S_m$, R_{46} — $CSb_f S_m$, R_{47} — P_m step, R_{48} — P_f step.

მეორე სვეტში წარმოდგენილი G , L , B , ..., A სიმბოლოები აღნიშნავენ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს, რიცხვითი ინდექსები კი — შესაბამის სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა მინიმალურ მნაშვნელობებს:

G — დონის დიფერენციალური ნიშანი:

G_1 — (+2) დონე;

G_2 — (+1) დონე;

G_3 — ნულოვანი დონე;

G_4 — (−1) დონე;

G_5 — (−2) დონე;

G_6 — (−3) დონე;

L — ხაზოვანების დიფერენციალური ნიშანი:

L_1 — პირდაპირი;

L_2 — გვერდითი.

B — ნათესაობის ტიპის დიფერენციალური ნიშანი:

B_1 — სისხლით ნათესაობა;

B_2 — ქორწინებით შექმნილი ნათესაობა;

B_3 — step ნათესაობა.

II — გვერდითი ნათესაობის რაგვარობის დიფერენციალური ნიშანი:

II_1 — გვერდითი ცალმხრივი;

II_2 — გვერდითი ორმხრივი.

C — გვერდითი ნათესაობის ტიპის დიფერენციალური ნიშანი:

C_1 — საკუთრივი გვერდითი;

C_2 — არასაკუთრივი გვერდითი.

S — არის ელემენტთა სქესის დიფერენციალური ნიშანი:

S_1 — არის ელემენტები მამრობითი სქესისაა;

S_2 — არის ელემენტები მდედრობითი სქესისაა;

Se — უკუარის ელემენტთა სქესის დიფერენციალური ნიშანი:

Se_1 — უკუარის ელემენტები მამრობითი სქესისაა;

Se_2 — უკუარის ელემენტები მდედრობითი სქესისაა.

Sc — გვერდითი განშტოების სქესის დიფერენციალური ნიშანი:

Sc_1 — გვერდითი განშტოება მამრობითი სქესისაა;

Sc_2 — გვერდითი განშტოება მდედრობითი სქესისაა.

W — ქორწინებითი ნათესაობის ტიპის დიფერენციალური ნიშანი:

W_1 — საკუთრივი ქორწინებითი;

W_2 — წინა წევრის ქორწინებით შექმნილი;

W_3 — უკანა წევრის ქორწინებით შექმნილი;

W_4 — გარდამავალი წევრის ქორწინებით შექმნილი.

Sr — გვერდითი რიგის სქესის დიფერენციალური ნიშანი:

- Sr_1 — გვერდითი როგი მამრობითი სქესისა;
 Sr_2 — გვერდითი როგი მდედრობითი სქესისა.
A — შედარებით ასაკის დიფერენციალური ნიშანი:
 A_1 — ასაკით ტოლი;
 A_2 — შედარებით უფროსი.

მოცემული ცხრილიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ქართულ ნათესაურ და-
 მოკიდებულებათა სისტემისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კავშირები
 დიფერენციალურ ნიშნებს შორის, ეს კავშირები შემდეგი სახისაა:

1. ყოველი დამოკიდებულება ხასიათდება დონის დიფერენციალური
 ნიშნით.

2. ყოველი დამოკიდებულება ხასიათდება ნათესაობის ტიპის დიფერენ-
 ციალური ნიშნით.

3. პირდაპირი ნათესაური დამოკიდებულებანი ხასიათდებიან როგორც არის
 ელემენტთა სქესის დიფერენციალური ნიშნით, ისე ამ ნიშნის ნეიტრალიზა-
 ციით.

4. საკუთრივი გვერდითი ნათესაური დამოკიდებულებანი ხასიათდებიან
 არის ელემენტთა სქესის დიფერენციალური ნიშნით (ერთადერთი გამონაკლისი).

5. ყველა გვერდითი ნათესაური დამოკიდებულება ხასიათდება გვერდითის
 ტიპის დიფერენციალური ნიშნით.

6. თუ დამოკიდებულება ხასიათდება შედარებითი ასაკის დიფერენციალურ-
 ი ნიშნით, მაშინ იგი სისხლით ნათესაური დამოკიდებულებაა.

7. შედარებითი ასაკის დიფერენციალური ნიშნის მნიშვნელობით „ასაკით
 უფროსი“ ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი დამოკიდებულება.

8. შედარებითი ასაკის დიფერენციალური ნიშნის მნიშვნელობით „ასაკით
 ტოლი“ ხასიათდება მხოლოდ გვერდითი დამოკიდებულება.

9. ყველა sr_{ij} — ნათესაური დამოკიდებულება პირდაპირია.

10. წინა წევრის ქორწინებით შექმნილი დამოკიდებულებანი ხასიათდებიან
 არის ელემენტთა სქესის დიფერენციალური ნიშნით.

რაც შეეხება ქართულის ნათესაობის ტერმინთა სისტემის საკუთრივ ტერ-
 მინოლოგიურ მხარეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში გვაქვს ორივე ტიპის
 ტერმინები: მარტივიცა და შედგენილიც.

მარტივი ტერმინებია:

ბ.ბუა	წული	მ.ზ.ლი
პაპა	ბიბა	წული
ბები	ძია	ქვისლი
მამა	ძმა	შელი
დედა	და	მკახალი
მ-შობ-ელ-ი	ენარი	ძალუა
ბე	ცოლი	სიკი
ასული	წეულლე	რძალი
პირმშო	სიშამრი	გური
შვილი	სიდედრი	ტყუპი

შედგენილი ტერმინებია:

დი-დედა	ბიძა-შვილი	შვილ-თა-შვილი
შვილ-ი-შვილი	მამ-ი-და-შვილი	დი-ის-შვილი
ბები-და	დე-ი-და-შვილი	ნახევარ-და
მამ-ი-და	ამ-ის-შვილი	ნახევარ-მამა
დე-ი-და	წულ-ის-წული	მამა-შთილი

ვედა-მთლი-ი	ბაბ-უ-ღა	მულ-ი-შეილ-ი
კოლ-ის-ძმა	მაზლ-ის-წულ-ი	ბი-ცოლა
კოლ-ის-და	ჩახლ-ი-შეილ-ი	მამ-ი-ნაც-ე-ლი
პაპ-ი-და	მულ-ის-წულ-ი	დე-უ-ი-ნაცვალ-ი

როგორც ვხედავთ, მარტივ ტერმინთა ფუძე უმეტესად ერთადერთი მორფემისაგან შედგება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორი ტერმინი: მ-შობ-ელ-ი, მე-ულ-ე. შედგენილ ტერმინთა ფუძე კი, ცხადია, უფრო რთული აგებულებისაა. შედგენილი ტერმინები, როგორც წესი, ქართულში კომპოზიტებს წარმოადგენენ, ესენი უმეტესად მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებია. ამავე დროს, გენეტივის ფორმა მათში არაერთგვაროვნადაა წარმოდგენილი. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრულს წარმოადგენს „შეილ-“ ტერმინი, მსაზღვრელი შეიძლება იყოს როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი. თანხმოვანფუძიან სახელებთან თუ ფუძე ერთმარცვლიანია, გენეტივის მორფემა წარმოდგენილია (-ი) ალომორფის სახით, მაგალითად: შეილ-ი-შეილ-ი, მაზლ-ი-შეილ-ი, მულ-ი-შეილ-ი. თუ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ერთმარცვლიანია, გენეტივის ფორმაში იგი წარმოდგენილია შეკვეცილი ფუძით და გენეტივის მორფემა მასთან გვხვდება (-ის) ალომორფის სახით, მაგალითად: დ-ის-შეილ-ი, ძმ-ის-შეილ-ი. თუ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ფუძე ორ ან მეტ მარცვლიანია, მაშინ გენეტივის ფორმაში იგი წარმოდგენილია უკვეცილი ფუძით და გენეტივის მორფემა მასთან გვხვდება (-შ-) ალომორფის სახით. მაგალითად: მამიდა-შეილ-ი, დეიდა-შეილ-ი, ბიძა-შეილ-ი. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრულს წარმოადგენს „შეილ-“ ტერმინი, მსაზღვრელი მხოლოდითი რიცხვის ფორმით გვხვდება ყველგან, გარდა ტერმინისა „შეილ-თა-შეილი“, სადაც მსაზღვრელი ნართანინანი მრავლობითის გენეტივის ფორმითაა წარმოდგენილი. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრული „წულ-“ ტერმინია, მსაზღვრელად მხოლოდ და მხოლოდ ერთმარცვლიანი ტერმინის გენეტივის ფორმაა წარმოდგენილი და გენეტივის მორფემა (-ის-) ალომორფის სახით გვხვდება, მაგალითად: წულ-ის-წულ-ი, მაზლ-ის-წულ-ი, მულ-ის-წულ-ი, დ-ის-წულ-ი, ძმ-ის-წულ-ი. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრული „და“ ტერმინია, მსაზღვრელი შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანიც. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ამ შემთხვევაში შეკვეცილი ფუძითაა წარმოდგენილი. მასთან გენეტივის მორფემა გვხვდება (-ი) ალომორფის სახით მაშინ, როცა შეკვეცილი ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, მაგალითად: პაპ-ი-და, მამ-ი-და, დე-ი-და; ხოლო გენეტივის მორფემა გვხვდება (-შ-) ალომორფის სახით მაშინ, როცა შეკვეცილი ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, მაგალითად: ბაბ-უ-ღა, ბები-და. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრული „და“ ტერმინია, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი წარმოდგენილია მხოლოდ ტერმინში „კოლ-ის-და“. როგორც ვხედავთ, აქ გენეტივის მორფემა (-ის-) ალომორფის სახით გვხვდება. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში ერთადერთი ტერმინი გვაქვს „ძმა“ საზღვრულით. ესაა ტერმინი „კოლ-ის-ძმა“. აქაც, თანხმოვანფუძიან მსაზღვრელთან გენეტივის მორფემა (-ის-) ალომორფის სახითაა წარმოდგენილი. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტებში, როცა საზღვრული „-ნაცვალ“ ფუძითაა წარმოდგენილი მსაზღვრელად მხოლოდ ხმოვანფუძიანი ტერმინები გვხვდება და გენეტივის ფორმას ისინი ისევე აწარმოებენ, როგორც მსაზღვრელეზი კომპოზიტებში „და“ საზღვრულით. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტს წარმოადგენს აგრეთვე ტერმინი „ბიცოლა“, რომელშიც

მსაზღვრელს წარმოადგენს „ბიძა“ ტერმინის გენეტიკის ფორმა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გენეტიკის მორფემა წარმოადგენილია /- \mathcal{D} -/ ალომორფის სახით, ხოლო თვით მსაზღვრელი ტერმინის ფუძე — შეკვეცილი სახით.

კომპოზიტი ტერმინების მცირე ნაწილს შეადგენენ ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები. ესენია: ნახევარ-და, ნახევარ-ძმა, მამა-მთილი, დედა-მთილი.

ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება ავადგოთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნათესაობის ტერმინთა სისტემის წარმომშობი გრამატიკა. ეს გრამატიკა ემყარება ლექსიკონს, რომელიც წარმოადგენილია (ცხრილი 1) სახით. სალექსიკონო ერთეული შემდეგი სახისაა: R_{1a_j} , R_{1b_j} ან R_{1d_j} , როგორც ვხედავთ, იგი ორი კომპონენტისაგან შედგება. პირველი კომპონენტი R_1 , რომელსაც ლექსიკონში პირველი ორი სვეტი უჭირავს, აღნიშნავს კონკრეტულ ნათესაურ დამოკიდებულებას, დახასიათებულს შესაბამისი სემანტიკურ-დიფერენციალური ნიშნების კონკრეტულ მინიმალურ მნიშვნელობათა გარკვეული ერთობლიობით. მეორე კომპონენტი, როგორც ვხედავთ, სამი სახისა შეიძლება იყოს: a_j , b_j ან d_j , a_j შეესატყვისება შესაბამისი დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარტივ ცალმხრივ ტერმინს, b_j — შესაბამისი დამოკიდებულების აღმნიშვნელ შედგენილ ცალმხრივ ტერმინს, ხოლო d_j — შესაბამისი დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარტივ ორმხრივ ტერმინს.

ამოსავალ სიმბოლოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნათესაობის ტერმინთა სისტემის წარმომშობი გრამატიკისათვის წარმოადგენს L , რომელიც აღნიშნავს ნათესაობის ტერმინს ზოგადად. დამხმარე სიმბოლოებს წარმოადგენენ: $G, I, B, H, C, S, Se, Sr, Sc, W, A$ — აღნიშნავენ ქართული ნათესაობის სისტემისათვის დამახასიათებელ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს, აგრეთვე სიმბოლო R — აღნიშნავს ნათესაურ დამოკიდებულებას ზოგადად და სიმბოლო Ps — აღნიშნავს ზოგადად პიროვნებას ან პიროვნებებს, რომლებიც შესაბამისი ნათესაობის ტერმინით აღინიშნებიან. ეს უკანასკნელიც შეიძლება განვიხილოთ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნად, რომელიც ნათესაობის ტერმინს ახასიათებს. აღნიშვნები: $G_1, G_2, G_3, G_4, G_5, G_6, G_{3-4-5-6}, L_1, L_2, B_1, B_2, B_3, H_1, C_1, C_2, S_1, S_2, Se_1, Se_2, Sr_1, Sr_2, Sc_1, Sc_2, W_1, W_2, W_3, W_4, W_{2-3}, A_1, A_2$ წარმოადგენენ ტერმინალურ სიმბოლოებს. ტერმინალურ სიმბოლოებს წარმოადგენენ აგრეთვე Ps_1 და Ps_2 აღნიშვნები, რომლებიც ნათესაობის ტერმინისათვის დამახასიათებელ Ps' სემანტიკური დიფერენციალური ნიშნის კონკრეტულ მნიშვნელობებს შეესაბამებიან: Ps_1 აღნიშნავს ყველა იმ პიროვნებას, რომელიც შესაბამის ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფება რომელიღაც პიროვნებასთან და რომელიც ამ ნათესაურ დამოკიდებულებასთან ერთად აღინიშნება მოცემული ცალმხრივი ტერმინით, Ps_2 კი აღნიშნავს იმ პიროვნებათა ყველა წყვილს, რომლებიც შესაბამის ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და რომლებიც ამ დამოკიდებულებასთან ერთად აღინიშნებიან მოცემული ორმხრივი ტერმინით.

წარმომშობი გრამატიკის პირველ და ძირითად ნაწილს წარმოადგენს გადაწერის ბაზისურ წესთა ერთობლიობა, რომელიც უმთავრესად ემყარება ქართულ ნათესაურ დამოკიდებულებათა სისტემისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ კავშირებს დიფერენციალურ ნიშნებს შორის. ეს წესები შემდეგი სახისაა:

R	R-ով Գրանցում	a	R	R-ով Գրանցում	d/b
R ₁	G ₁ , L ₁ , B ₁ , S ₁	0 ₁	R ₂₇	G ₃ , B ₁ , L ₂ , C ₁ , A ₁	d ₁
R ₁	G ₁ , L ₁ , B ₁ , S ₁	0 ₂	R ₂₈	G ₅ , L ₁ , B ₁	b ₂
R ₂	G ₁ , L ₁ , B ₁ , S ₂	0 ₃	R ₂₈	G ₅ , L ₁ , B ₁	b ₃
R ₃	G ₂ , L ₁ , B ₁ , S ₁	0 ₄	R ₂₉	G ₆ L ₁ , B ₁	b ₄
R ₄	G ₂ L ₁ , B ₁ , S ₂	0 ₅	R ₃₀	G ₁ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂ , S ₁	b ₅
R ₅	G ₂ , L ₁ , B ₁	0 ₆	R ₃₀	G ₁ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂ , S ₁	b ₆
R ₆	G ₄ , L ₁ , B ₁ , S ₁	0 ₇	R ₃₁	G ₁ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂ , S ₁	b ₇
R ₇	G ₄ , L ₁ , B ₁ , S ₂	0 ₈	R ₃₂	G ₂ L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂ , S ₁	b ₈
R ₈	G ₄ , L ₁ , B ₁ , A ₂	0 ₉	R ₃₃	G ₂ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂ , S ₁	b ₉
R ₉	G ₄ , L ₁ , B ₁	0 ₁₀	R ₃₄	G ₃ , L ₂ , B ₁ , C ₂ , S ₁	b ₁₀
R ₉	G ₄ , L ₁ , B ₁	0 ₁₁	R ₃₅	G ₃ , L ₂ , B ₁ , C ₂ , S ₂ , S ₁	b ₁₁
R ₁₀	G ₂ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₁	0 ₁₂	R ₃₆	G ₃ , L ₂ , B ₁ , C ₂ , S ₁ , S ₂	b ₁₂
R ₁₀	G ₂ L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₁	0 ₁₃	R ₃₇	G ₄ L ₂ , B ₁ , C ₂ , S ₁	b ₁₃
R ₁₁	G ₃ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₁	0 ₁₄	R ₃₈	G ₄ L ₂ , B ₁ , C ₂ , S ₂	b ₁₄
R ₁₂	G ₃ , L ₂ , B ₁ , C ₁ , S ₂	0 ₁₅	R ₃₉	G ₃ , L ₂ , B ₁ , H ₁ , C ₁ , S ₁	b ₁₅
R ₁₃	G ₃ , B ₂ , C ₁ , W ₁	0 ₁₆	R ₄₀	G ₃ , L ₂ , B ₁ , H ₁ , C ₁ , S ₂	b ₁₆
R ₁₄	G ₃ B ₂ , W ₁ , S ₂	0 ₁₇	R ₄₁	G ₂ , L ₁ , B ₂ , S ₁ , S ₂ , W ₃	b ₁₇
R ₁₅	G ₃ , B ₂ W ₁	0 ₁₈	R ₄₂	G ₂ , L ₁ , B ₂ , S ₂ , S ₂ , W ₃	b ₁₈
R ₁₆	G ₂ , L ₁ , B ₂ , S ₂ , S ₂ , W ₃	0 ₁₉	R ₄₃	G ₃ L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₁ , S ₂ , W ₃	b ₁₉
R ₁₇	G ₃ , L ₂ , B ₂ , S ₁ , C ₁ , S ₂ , W ₃	0 ₂₀	R ₄₄	G ₃ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₂ , S ₂ , W ₃	b ₂₀
R ₁₈	G ₃ , L ₂ , B ₂ , S ₂ , C ₁ , S ₂ , W ₃	0 ₂₁	R ₄₅	G ₄ , L ₂ , B ₂ , C ₂ , S ₂ , S ₁ , W ₃	b ₂₁
R ₁₉	G ₃ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₁ , S ₂ , W ₃	0 ₂₂	R ₄₅	G ₄ , L ₂ , B ₂ , C ₂ , S ₂ , S ₁ , W ₃	b ₂₂
R ₂₀	G ₃ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₁ , S ₂ , W _{2,3}	0 ₂₃	R ₄₆	G ₄ , L ₂ , B ₂ , C ₂ , S ₂ , S ₂ , W ₃	b ₂₃
R ₂₁	G ₃ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₂ , S ₂ , W _{2,3}	0 ₂₄	R ₄₆	G ₄ , L ₂ , B ₂ , C ₂ , S ₂ , S ₂ , W ₃	b ₂₄
R ₂₂	G ₃ , L ₁ , B ₂ W ₄	0 ₂₅	R ₂₃	G ₂ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₂ W ₂	b ₂₅
R ₂₃	G ₂ , L ₂ , B ₂ , C ₁ , S ₂ , W ₂	0 ₂₆	R ₄₇	G ₂ L ₂ , B ₃ , S ₁	b ₂₆
R ₂₄	G _{3,4} , B ₂ , S ₁ , W ₂	0 ₂₇	R ₄₈	G ₂ , L ₁ , B ₃ , S ₂	b ₂₇
R ₂₅	G _{3,4} B ₂ , S ₂ , W ₂	0 ₂₈	R ₂	G ₁ , L ₁ , B ₁ , S ₁	b ₁
R ₂₆	G ₄ , L ₁ , B ₃	0 ₂₉			

t → PsR	A → A ₁ L, საღაც L → L ₁ (S) [8]
Ps → {P _{s1} P _{s2} }	C → C ₁ (S) [4]
R → GB [1,2]	C → C ₂ Sc [10]
B → B ₁ L [19]	G → G ₁
B → B ₂ W [14]	G → G ₂
B → B ₃ L, საღაც L → L ₂ C [21]	G → G ₃ (H) [9]
B → B ₁ A [6]	G → G ₄
L → L ₁ (S) [3]	G → G ₅
L → L ₂ C [5]	G → G ₆
W → W ₁ (S) [13]	G → G _{3,4,5,6}
W → W ₂ L, საღაც L → L ₁ (S) [15]	S → S ₁
W → W ₃ S [22]	S → S ₂ (Sr) [12]
W → W ₃ Se [16]	Sc → Sc ₁
W → W _{2,3} Sc [17]	Sc → Sc ₂ (Sr) [11]
W → W ₄ L ₁ [18]	Sr → Sr ₁
A → A ₂ L ₁ [7]	Sr → Sr ₂
	H → H ₁
	Se → Se ₁ L [20]
	Sc → Sc ₁₂ L [20]

როგორც ვხედავთ, ბაზისური წესები გაშლის ან ჩანაცვლების წესებს წარმოადგენენ კონტექსტური შეზღუდვების გარეშე. მხოლოდ რამდენიმე ადგილას გვაქვს შეზღუდვა, რომელიც აშკარად არაა კონტექსტური. იგი უფრო წესთა მიმდევრობას ზღუდავს, მოცემული წესის შემდეგ არ უშვებს რომელიმე კონკრეტული წესის გამოყენებას. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი წარმომშობი გრამატიკა კონტექსტურად თავისუფალია.

ცოტა რამ გადაწერის წესების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ პირველი ორი წესის თავისებურებანი. პირველი წესი ასახავს იმ საერთო ნიშნებს, რაც ნათესაობის ტერმინთა ჯგუფში აერთიანებს ნათესაობის ცალმხრივ და ორმხრივ ტერმინებს, კერძოდ იმ ფაქტს, რომ ნათესაობის ყოველი ტერმინი აღნიშნავს ნათესაურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ გარკვეულ პიროვნებებს. გადაწერის მეორე წესი კი ასახავს იმ სხვაობას, რაც არსებობს ნათესაობის ცალმხრივ და ორმხრივ ტერმინებს შორის, კერძოდ, Ps₁ და Ps₂ აღნიშვნების შესახებ იხ. ზემოთ.

რაც შეეხება დანარჩენ წესებს, ზოგიერთი მათგანის გვერდით კვადრატულ ფრჩხილებში მითითებულია ის სპეციფიკური კავშირები, რომლებსაც ეს წესები ეწყობიან. ეს წესები ჩვეულებრივ გაშლის წესებია. ბაზისური წესები კი ამგვარი მითითებების გარეშე ჩვეულებრივ ჩანაცვლების წესებს წარმოადგენენ. მათში სემანტიკური დიფერენციალური ნიშანი ჩანაცვლებულია ამ ნიშნის კონკრეტული მნიშვნელობით (ან კონკრეტულ მნიშვნელობათა გაერთიანებით). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესენი სემანტიკური დიფერენციალურა ნიშნისათვის კონკრეტული მნიშვნელობის მიმნიჭებელი წესებია.

აღვწერთ გადაწერის წესების მოქმედება. როგორც წესი, გადაწერის წესები მოქმედებას იწყებენ ξ ანოსავალ სიმბოლოზე. შემდეგ ყოველ ნაბიჯზე გადაიწერება ერთი რომელიმე დამხმარე სიმბოლო. ასე გრძელდება მანამ, სანამ არ მივიღებთ ტერმინალურ მწკრივს, ანუ მიმდევრობას, რომელაც შედგება მხოლოდ და მხოლოდ ტერმინალური სიმბოლოებისაგან და აღარ გადაიწერება.


წესების მოქმედების შედეგად ყოველ ნაბიჯზე მიღებული სიმბოლოთა მწკრივების მიმდევრობა, დაწყებული ξ სიმბოლოდან ტერმინალური მწკრივის ჩათვლით, არის ბაზისური სტრუქტურა და შეიძლება წარმოვადგინოთ სტრუქ-

ტურული ხის სახით. მიღებულ სტრუქტურულ ხეთაგან ზოგიერთნი კონკრეტული ტერმინის სტრუქტურულ ხეებს წარმოადგენენ. მაგალითისათვის განვიხილოთ ორი ბაზისური სტრუქტურის წარმოშობა:

- | | | | |
|---|-------------------------|--|-------------------------|
| I | | II | |
| 1. t | | 1. t | |
| 2. PsR | (t → PsR) | 2. PsR | (t → PsR) |
| 3. Ps ₁ R | (Ps → Ps ₁) | 3. Ps ₁ R | (Ps → Ps ₁) |
| 4. Ps ₁ GB | (R → GB) | 4. Ps ₁ GB | (R → GB) |
| 5. Ps ₁ GB ₁ L | (B → B ₁ L) | 5. Ps ₁ G ₂ HB | (G → G ₂ H) |
| 6. Ps ₁ GB ₁ L ₂ C | (L → L ₂ C) | 6. Ps ₁ G ₂ H ₁ B | (H → H ₁) |
| 7. Ps ₁ GB ₁ L ₂ C ₁ S | (C → C ₁ S) | 7. Ps ₁ G ₂ H ₁ B ₃ L | (B → B ₃ L) |
| 8. Ps ₁ G ₂ B ₁ L ₂ C ₁ S | (G → G ₂) | 8. Ps ₁ G ₂ H ₁ B ₃ L ₁ | (L → L ₁) |
| 9. Ps ₁ G ₂ B ₁ L ₂ C ₁ S ₁ | (S → S ₁) | | |

ყოველი მწკრივის გვერდით წარმოდგენილია ის წესი, რომლის მოქმედების შედეგად წინამდებელი მწკრივიდან მიღებულია მოცემული მწკრივი.

ეს ორი ბაზისური სტრუქტურა სტრუქტურული ხის სახით შემდეგნაირად წარმოიდგინება:



ამ ორი ბაზისური სტრუქტურიდან მხოლოდ პირველი წარმოადგენს ნათესაობის ტერმინის სტრუქტურულ ხეს, კერძოდ, „ბიძა“ ტერმინისა, რომელიც აღნიშნავს $Sb_m P$ ნათესაურ დამოკიდებულებას. სწორედ $Sb_m P$ დამოკიდებულება განისაზღვრება ცალსახად შესაბამის სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კონკრეტულ მნიშვნელობათა შემდეგი ერთობლიობით: (G_2, B_1, L_2, C_1, S_1).

მეორე ბაზისური სტრუქტურა არ წარმოადგენს არც ერთი ტერმინის ხეს არა მარტო ქართულის ნათესაობის ტერმინთა სისტემიდან, არამედ საერთოდ, არც ერთი სისტემიდან.

ბაზისური სტრუქტურის ძირითად ნაწილს წარმოადგენს უშუალოდ ნათეს-

საური დამოკიდებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ხე, რომელიც R დამხმარე სიმბოლოდან იწყება. როგორც წესი, ნათესაური დამოკიდებულების სტრუქტურული ხე წარმოადგენს მარჯვენა ძირითად ნაწილს შესაბამისი ტერმინის სტრუქტურულ ხეში. ცხადია, ნათესაობის ტერმინის სტრუქტურის ტერმინალური მწკრივი მოიცავს ნათესაური დამოკიდებულების სტრუქტურის ტერმინალურ მწკრივს. ნათესაური დამოკიდებულების ტერმინალური მწკრივი მიიღება ნათესაობის ტერმინის ტერმინალური მწკრივისაგან Ps_n ($n=1, 2$) ტერმინალური სიმბოლოს ჩამოშორებით.

ლექსიკური ოდენობა, რასაც ნებისმიერი ნათესაობის ტერმინი აღნიშნავს, წარმოადგენს სემანტიკური დონის ერთეულს. იგი ცალსახად ხასიათდება განსახლებულ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კონკრეტულ მნიშვნელობათა გარკვეული ერთობლიობით, რომელიც სემანტიკური დონის ზედპირზეა წარმოდგენილი. როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან ამ ერთობლიობის ელემენტები, რომელი ელემენტი ძვეს უფრო ღრმად — ყოველივე ამას ასახავს ბაზისური სტრუქტურები, სტრუქტურული ხეები, რომლებიც მოცემული სისტემის სიღრმულ სტრუქტურებს წარმოადგენენ. სხვადასხვა სისტემის ბაზისური სტრუქტურები საზოგადოდ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, თუმცა არ გამოირჩევა მსგავსება, ზოგჯერ კი ნაწილობრივი თანხვედრა სხვადასხვა სისტემის ბაზისურ სტრუქტურებს შორის, უმეტესად კი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ერთმანეთის მონათესავე ენების სისტემებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურულ ხეებში გამოიყოფა მცირე ნაწილი, ესაა სტრუქტურულ ხეში ყველაზე უფრო ღრმად

t

მდებარე ნაწილი Ps R , რომელიც საერთოა ნათესაობის ტერმინთა ნებისმიერი სისტემის ყველა ბაზისური სტრუქტურისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, წარმომშობი გრამატიკის პირველ ნაწილს შეადგენენ გადაწერის ბაზისური წესები, რომლებიც წარმოშობენ ბაზისურ სტრუქტურებს, რომელთა უკანასკნელ მწკრივს წარმოადგენს ტერმინალური მწკრივი. ანუ მწკრივი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ტერმინალური სიმბოლოებისაგან შედგება და აღარ გადაიწერება.

წარმომშობი გრამატიკის მეორე ნაწილს შეადგენენ ტერმინალურ მწკრივთა გადარჩევის წესები და უშუალოდ ამ ნაწილში ხდება ზემოთ აღწერილი ლექსიკონის (იხ. ცხრ. 1) გამოყენება. ამ ნაწილის აღსაწერად შემოვიტანოთ რამდენიმე აღნიშვნა: I_1 — აღნიშნავს ტერმინალურ მწკრივს, X_n, Y_k, \dots აღნიშნავენ უშუალოდ ნათესაური დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კონკრეტულ მნიშვნელობებს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, X_n, Y_k, \dots აღნიშნავენ ტერმინალურ სიმბოლოებს Ps_1 და Ps_2 ტერმინალური სიმბოლოების გარდა. ტერმინალურ მწკრივთა გადარჩევის წესები შემდეგი სახისაა:

მოცემული $I_1 \rightarrow a_j$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ნებისმიერი X_n -ისა და Y_k -სათვის ადგილი აქვს: თუ $X_n \in I_1 \Rightarrow X_n \in R_1$ და თუ $Y_k \in R_1 \Rightarrow Y_k \in I_1$, სადაც R_1 და a_j ერთი და იმავე ($R_1 a_j$) სალექსიკონო ერთეულის კომპონენტებია.

მოცემული $I_1 \rightarrow d_1$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ნებისმიერი X_n -ისა და Y_k -სათვის ადგილი აქვს: თუ $X_n \in I_1 \Rightarrow X_n \in R_1$ და თუ $Y_k \in R_1 \Rightarrow Y_k \in I_1$, სადაც R_1 და d_1 ერთი და იმავე ($R_1 d_1$) სალექსიკონო ერთეულის კომპონენტებია.

მოცემული $I_1 \rightarrow b_j$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ნებისმიერი X_n -ისა და Y_k -სთვის აღვლით აქვს: თუ $X_n \in I_1 \Rightarrow X_n \in R_1$ და თუ $Y_k \in P_1 \Rightarrow Y_k \in I_1$, სადაც R_1 და b_j ერთი და იმავე (R_1, b_j) სალექსიკონო ერთეულის კომპონენტებია.

როგორც ვხედავთ, პირველ ნაწილში წარმომოხილ ბაზისურ სტრუქტურათაგან გადაირჩევა მხოლოდ ისინი, რომლებიც ნათესაობის ქართულ ტერმინთა ბაზისურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. გადარჩევა შემდეგნაირად მიმდინარეობს: ხდება ბაზისური სტრუქტურების ტერმინალურ მწკრივთა შედარება სალექსიკონო ერთეულების პირველ კომპონენტებთან. გადაირჩევა ის ბაზისური სტრუქტურები, რომელთათვის მოიძებნება სალექსიკონო ერთეულის ისეთი პირველი კომპონენტი, რომ ამ სტრუქტურის ტერმინალური მწკრივთა და პირველი კომპონენტი ერთმანეთისაგან მხოლოდ Ps_n ($n=1, 2$) ელემენტით განსხვავდებიან. გადარჩეულ ბაზისურ სტრუქტურებს მიეწერებათ შესაბამისი სალექსიკონო ერთეულის მეორე კომპონენტი.

წარმომოხილი გრამატიკის მე-3 ნაწილში წარმოდგენილია ტრანსფორმაციული წესები. ტრანსფორმაციული წესები მოქმედებენ გადარჩეული ბაზისური სტრუქტურების ტერმინალურ მწკრივებზე, რომლებიც ზოგადად ჩაიწერება შემდეგი სახით:

$I_1 = [f_1, f_2, \dots, f_n]$ სადაც f_1, f_2, \dots, f_n აღნიშნავენ ნათესაობის ტერმინისათვის დამახასიათებელ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კონკრეტულ მნიშვნელობებს. ამავე დროს I_1 ყოველთვის აღნიშნავს Ps სემანტიკური დიფერენციალური ნიშნის გარკვეულ კონკრეტულ მნიშვნელობას და f_2-G სემანტიკურა დიფერენციალური ნიშნის გარკვეულ კონკრეტულ მნიშვნელობას. ამ ნაწილში წარმოდგენილი ტრანსფორმაციული წესებით ხდება რთული ბაზისური სტრუქტურებიდან მასში შემავალი მარტივი ბაზისური სტრუქტურის (ან სტრუქტურების) გამოყოფა. ტრანსფორმაციული წესი ზოგადად აღნიშნოთ T_k -თი.

ეს წესები შემდეგი სახისაა:

$T_1: [f_1 G_1 f_2 \dots C_2 S_1 \dots f_k] \rightarrow [f_1 G_{(n-1)} f_2 \dots C_1 S_1 \dots f_k] [f_1 G_2 B_1 L_1]$, სადაც $n=3, 4$.

$T_2: [f_1 \dots f_{(n-1)} B_1 L_2 C_1 S_2 S_1] \rightarrow [f_1 \dots f_{(n-1)} B_1 L_1 S_1] [f_1 G_2 B_1 L_2 C_1 S_2]$,

$T_3: [f_1 G_n B_1 L_1] \rightarrow [f_1 G_{(n-1)} B_1 L_1] [f_1 G_2 B_1 L_1]$, სადაც $n=5, 6$.

$T_4: [f_1 G_1 B_1 L_1 S_2] \rightarrow [M_1] [f_1 G_2 B_1 L_1 S_2]$, სადაც $[M_1]$ აღნიშნავს {დიდ-} მორფემის სემანტიკას ნათესაობის ტერმინთა სისტემაში.

$T_5: [f_1 G_2 B_2 W_3 S_2 L_1 S_1] \rightarrow [f_1 G_2 B_1 L_1 S_1] [M_2]$, სადაც $[M_2]$ აღნიშნავს {მოკლ-} მორფემის სემანტიკას ნათესაობის ტერმინთა სისტემაში.


$T_6: [f_1 G_3 B_1 B_1 f_5 \dots f_n] \rightarrow [M_3] [f_1 G_3 B_1 f_5 \dots f_n]$, სადაც $[M_3]$ აღნიშნავს {ნახევარ-} მორფემის სემანტიკას ნათესაობის ტერმინთა სისტემაში.

$T_7: [f_1 G_3 B_2 W_3 S_2 f_4 \dots f_n] \rightarrow [f_1 G_3 B_2 W_1 S_2] [f_1 G_3 B_1 f_4 \dots f_n]$.

$T_8: [f_1 G_2 B_2 W_2 L_2 C_1 S_2] \rightarrow [f_1 G_2 B_1 L_2 C_1 S_1] [f_1 G_3 B_2 W_1 S_2]$.

$T_9: [f_1 G_2 B_3 f_4 \dots f_n] \rightarrow [f_1 G_2 B_1 f_4 \dots f_n] [M_4]$, სადაც $[M_4]$ აღნიშნავს {ნაცვალ-} მორფემის სემანტიკას ნათესაობის ტერმინთა სისტემაში.

არსებობს ურთიერთცალსახა დამოკიდებულება ჩვენი გრამატიკის ტერმინალურ მწკრივებსა და სტრუქტურულ ხეებს, ანუ ბაზისურ სტრუქტურებს შორის. ყოველ ტერმინალურ მწკრივს ერთადერთი სტრუქტურული ხე შეესაბამება და პირიქით. ტერმინალური მწკრივების არსის ნათელსაყოფად წარმოდგინოთ შესაბამისი ბაზისური სტრუქტურები სტრუქტურული ხეების სახით. T_2 ტრანსფორმაციული წესით განხორციელდება შემდეგი დაშლა:



⊕ ნიშანი აღნიშნავს სტრუქტურული ხეების შეერთების იმ ოპერაციას, რომლის შედეგადაც მიიღება შესაბამისი დასაშლელი სტრუქტურული ხე. წარმომშობი გრამატიკის მესამე ნაწილს შეადგენენ მორფონოლოგიური წესები. ეს წესები შემდეგი სახისაა:

- | | |
|--------------------------|---|
| 1. a_1 — (ბაბუა) | 28. a_{28} — (ჩქალ-) |
| 2. a_2 — (პაპა) | 29. a_{29} — (გერ-) |
| 3. a_3 — (ბებია) | 30. d_1 — (ტყუპ-) |
| 4. a_4 — (მამა) | 31. m_1 — (ა) |
| 5. a_5 — (დედა) | 32. M_1 — (დიდ-) |
| 6. a_6 — (შშობელ-) | 33. M_2 — (მთილ-) |
| 7. a_7 — (ძე) | 34. M_3 — (ნახეარ-) |
| 8. a_8 — (ასულ-) | 35. M_4 — (ნაცვალ-) |
| 9. a_9 — (პირშო) | 36. a'_1 — (ბაბუ-) |
| 10. a_{10} — (შვილ-) | 37. a'_2 — (პაპ-) |
| 11. a_{11} — (წულ-) | 38. a'_3 — (ბები-) |
| 12. a_{12} — (ბიძა) | 39. a'_4 — (მამ-) |
| 13. a_{13} — (ძია) | 40. a'_5 — (დედ-) |
| 14. a_{14} — (ძმა) | 41. $\#a'_{15}$ — (ღ-) |
| 15. a_{15} — (და) | 42. a'_{14} — (ძმ-) |
| 16. a_{16} — (ქმარ-) | 43. a'_{12} — (ბიძ-) |
| 17. a_{17} — (ცოლ-) | 44. a'_{16} — a_{16} |
| 18. a_{18} — (მეუღლე) | 45. a'_{21} — a_{21} |
| 19. a_{19} — (სიამარ-) | 46. a'_{22} — a_{22} |
| 20. a_{20} — (სიღვდრ-) | 47. a'_{10} — a_{10} |
| 21. a_{21} — (მამლ-) | 48. a'_{11} — a_{11} |
| 22. a_{22} — (მულ-) | 49. $a_1 M_4 \rightarrow a'_1 \{ \text{Gen.} \} M_4, i=1 \ 2 \ \dots \ 29$ |
| 23. a_{23} — (ქვისლ-) | 50. $a_1 a_1 \rightarrow a'_1 \{ \text{Gen.} \} a_1 \ i=1 \ 2 \ \dots \ 29$ |
| 24. a_{24} — (შილ-) | 51. $a_{10} a_{10} a_{10} \rightarrow a'_{10} \{ \text{Gen. pl.} \} a_{10}$ |
| 25. a_{25} — (მძახალ-) | 52. $a'_{18} \{ \text{Gen.} \} a_{17} \rightarrow a'_{18} a_{17} m_1$ |
| 26. a_{26} — (ძალუა) | 53. $\{ \text{Gen.} \} M_1 \rightarrow /n/ M_4$ |
| 27. a_{27} — (სიძე) | |

54. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{10} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{10}$. როცა არსებობს ორი ელემენტი მაინც x_1 -და x_j ისეთი. რომ $x_1=V$ და $x_j=V^7$.
55. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{10} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{10}$. როცა არსებობს ერთადერთი ელემენტი x_1 ისეთი. რომ $x_1=V$.
56. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{10} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{10}$. როცა არ არსებობს ელემენტი x_1 ისეთი. რომ $x_1=V$.
57. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{11} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{11}$. როცა არ არსებობს ელემენტი x_1 ისეთი. რომ $x_1=V$ ან არსებობს ერთადერთი ელემენტი x_j ისეთი. რომ $x_j=V$.
58. $(x_1 x_2 \dots x_n) a'_{15} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{15}$.
59. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{15} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{15}$. როცა $x_n=V$.
60. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{15} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{15}$. როცა V . რომელიც შედის $(x_1 x_2 \dots x_n)$ -ში არა უკანა რიგისა.
61. $(x_1 x_2 \dots x) \{Gen.\} a_{15} \rightarrow (x_1 x_2 \dots x) a_{15}$. როცა V . რომელიც შედის $(x_1 x_2 \dots x)$ -ში არა უკანა რიგისა.
62. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{15} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{15}$. როცა V . რომელიც შედის $(x_1 x_2 \dots x_n)$ -ში უკანა რიგისა.
63. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} a_{14} \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) a_{14}$.
64. $(x_1 x_2 \dots x_n) \{Gen.\} M_1 \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n) M_1$.
65. $(x_1 x_2 \dots x_n \{IV\}) (y_1 y_2 \dots y_k) \rightarrow (x_1 x_2 \dots x_{n-1} \{VI\}) (y_1 y_2 \dots y_k)$. როცა $x_n=y_1$ ან x_n და y_1 პომორჯალე ფონემებია⁸.
66. $(x_1 x_2 \dots x_n) (y_1 y_2 \dots y_k) \rightarrow (x_1 x_2 \dots x_n y_1 y_2 \dots y_k)$.

მორფონოლოგიურ წესებში ასახულია ნათესაობის ქართულ ტერმინთა მორფოლოგიურ სტრუქტურათა ყველა თავისებურება.

მავალითისათვის განვიხილოთ T_2 ტრანსფორმაციული წესით მიღებული ბაზისურ სტრუქტურათა მიმდევრობა. წარმომშობი გრამატიკის II ნაწილის I წესით ეს მიმდევრობა გარდაიქმნება $a_4 a_{15}$ მიმდევრობად. ამ უკანასკნელზე როკმედებს 50-ე მორფონოლოგიური წესი და ვლებულობთ $a'_4 \{Gen.\} a_{15}$ -ს. აქედან 39-ე მორფონოლოგიური წესით მიიღება (მამ-) $\{Gen.\} a_{15}$, საიდანაც მე-ბმ მორფონოლოგიური წესით მიიღება (მამი) a_{15} , რომელიც მე-15 მორფონოლოგიური წესით გარდაიქმნება (მამი) (და)-დ, და ბოლოს, 66-ე მორფონოლოგიური წესით მივიღებთ „მამიდა“ ტერმინს.

ამრიგად, წარმოვადგინეთ ქართულ ნათესაობის ტერმინთა სისტემის წარმომშობი გრამატიკა, რომელიც ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება და ეყრდნობა ლექსიკონს. იგი წარმოშობს ნათესაობის ყოველ ტერმინს ქართულში, იძლევა ამ ტერმინთა შინაგან სტრუქტურებს და ასახავს მათი მორფოლოგიური სტრუქტურის თავისებურებებს.

შენიშვნები

¹ მასალა აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“-დან, თბილისი, ტ. 1-8. თითოეულ ტერმინს მიწერილი აქვს ის ნათესაური დამოკიდებულება, რომელსაც ეს ტერმინი აღნიშნავს. ცალმხრივ ნათესაობის ტერმინთა რაობის შესახებ, ნათესაურ დამოკიდებულებათა ჩაწერის შესახებ იხ. *Э. Г. Соселня*, *Общие вопросы анализа систем терминов родства*, „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 1, გვ. 126—131.

² ორმხრივი ტერმინების რაობის შესახებ, იხ. *Э. Г. Соселня*, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

³ ნათესაობის ორმაგი ტერმინების რაობის შესახებ იხ. *Э. Г. Соселня*, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

⁴ სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებისა და მათი კონკრეტული მნიშვნელობის შესახებ იხ. *Э. Г. Соселня*, დასახ. ნაშრომი, გვ. 132—134.

⁵ მარტივი და შედგენილი ტერმინების რაობის შესახებ იხ. *Э. Г. Соселня*, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

⁰ „სიძე“, „სიმამრი“, „სიდედრი“ ტერმინების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი სინქრონულ დონეზე ივარაუდებიათ ერთი მორფემისაგან შემდგარად. ამჟამად ძნელია „სიძე“, „სიმამრი“-„სიდედრი“-ტერმინების დაშლა „სი-ძე“, „სი-მამრ-“, „სი-დედრ.“ მორფემებად „სიძეს“ დაშლას ხელს უშლის თვით ამ ტერმინის სემანტიკა. თითქოს აქ ყველგან გამოიყოფა „სი-“, რომლის სემანტიკის გარკვევა ჰირს. ამავე დროს. ეს სამი ტერმინი „სი-“ მორფემის საშუალებით არაერთგვაროვნად იწარმოება.

$/X_1 X_2 \dots X_n/$ აღნიშნავს ფონემათა მიმდევრობას; v — აღნიშნავს ხმოვან ფონემას.

⁰ $/y_1 y_2 \dots y_n/$ აღნიშნავს ფონემათა მიმდევრობას, ხოლო v აღნიშნავს, რომ ფონემათა მოცემული მიმდევრობის ბოლოში ხმოვანი ფონემა შეიძლება იყოს წარმოდგენილი, ან არ იყოს.

Э. Г. СОСЕЛИЯ

СИСТЕМА ТЕРМИНОВ РОДСТВА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Система терминов родства в грузинском языке представлена в основном односторонними терминами и одним двусторонним термином «tquri».

Совокупность терминов родства в грузинском языке отражает систему родства, засвидетельствованную в грузинской действительности. Чтобы однозначно охарактеризовать любое отношение из этой системы, достаточно и необходимо 11 семантических дифференциальных признаков (см. таблицу 1), между которыми существуют определенные связи, специфические для грузинской системы родства.

Что касается формальной стороны грузинской системы терминов родства, надо отметить, что в грузинском существуют как простые (deda, tama, vava и др.), так и составные термины (de-i-da, tam-i-da, biza-svili и др.). Составные термины обычно являются композитами, в основном отгнетивными, в которых форма генетива представлена различно.

На основе вышесотмеченных как семантических, так и формальных данных строится лексикон (см. таблицу 2), на котором основывается порождающая грамматика грузинской системы терминов родства. Эта грамматика состоит из 4-х частей:

I часть — система базисных правил переписывания (отображает специфические связи между семантическими дифференциальными признаками).

II часть — правила отбора базисных структур (в этой части изменяется лексикон).

III часть — трансформационные правила.

IV часть — морфологические правила (отображают морфологические особенности грузинских терминов родства).

Основным символом для нашей грамматики является t , обозначающий термин родства вообще. Исходя из t , наша грамматика порождает все грузинские термины родства. Подобный анализ дает обширную информацию как о семантической, так и о формальной стороне этих терминов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

მ ე ნ ი რ ა ჯ ა ნ ბ ი ძ ე

ქ ა რ თ უ ლ ი ლ ექ ს ი კ ა ა ზ ე რ ბ ა ი ქ ა ნ უ ლ ი ე ნ ის
ჩ რ დ ი ლ ო - დ ა ს ა ვ ლ უ რ კ ი ლ ო კ ა ვ ე ბ შ ი

საინგილოს — დღეს აზერბაიჯანის სსრ-ს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების — აზერბაიჯანული სოფლების მეტყველებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აზერბაიჯანული ენის დიალექტებს შორის. იგი აზერბაიჯანულ დიალექტოლოგიაში გამოიყოფა როგორც აზერბაიჯანული ენის ჩრდილო-დასავლური კილოკავები და ყველა აზერბაიჯანული მკვლევარი-დიალექტოლოგი, ვინც მას შეხებია, აღნიშნავს, რომ გამოირჩევა ფრიად საინტერესო თავისებურებებით. მართლაც, ეს თავისებურებები სხვა აზერბაიჯანული დიალექტებისათვის უჩვეულო და განსაკუთრებულია. ამ თავისებურებებმა ათქმევინა აზერბაიჯანულ მკვლევარს ა. ასლანოვს, რომ «Возникает мысль, что в закатальско-кавказских районах произошла смена языка иСерийско-кавказской семьи тюркской».¹

ინგილოურსა და საინგილოს აზერბაიჯანულს შორის არსებულმა პროქსიმალურმა კონტაქტმა გაცილებით დიდი ზემოქმედება მოახდინა ინგილოურ დიალექტზე, სადაც ყოველ დონეზე (როგორც ფონეტიკაში, ისე გრამატიკასა და ლექსიკაში) ადგილი აქვს ენობრივ ინტერფერენციას და ზოგი სოფლის მეტყველებაში ენობრივ გადაწყვეასაც კი, ხოლო აზერბაიჯანულ კილოკავებში ამ კონტაქტის შედეგები თავს იჩენს ოდენ ფონეტიკასა და ლექსიკაში. ამ უკანასკნელში დამკვიდრებულია ქართული ლექსიკის სოლიდური რაოდენობა (120-ზე მეტი სიტყვა). მათი დიდი ნაწილი ჩვენამდე ფიქსირებული აქვთ აზერბაიჯანულ მკვლევარებს: ა. ჰუსეინოვი², ა. ასლანოვი³ და ს. მოლაზადეს⁴.

ფიქსირებულ ქართულ ლექსემათა დიდ უმრავლესობას არ ახლავს მითითება მათი ქართულობის შესახებ. ზოგი მათგანის წყაროდ მცდარად მიჩნეულა ხუნძური, წახურული ან თურქული ენები. უმრავლესობა შეტანილია იმ სიტყვათა ჯგუფში, რომელთა წყარო ენაც უცნობია. მხოლოდ ათამდე სიტყვაა მითითებული სწორად, როგორც ქართული.

ვფიქრობთ, რომ ქართული ლექსიკა ბელაქან-ზაქათალა-კახის აზერბაიჯანულ მეტყველებაში ორ სხვადასხვა ფენას წარმოადგენს. დღეისთვის არა სრულად ფიქსირებულმა 120-ზე მეტმა ქართულმა სიტყვამ შეაღწია ორი, სრულიად სხვადასხვა გზით; დამკვიდრებულია: 1. როგორც ლექსიკური სუბსტრატი, 2. როგორც ლექსიკური ნასესხობანი.

ლექსიკური სუბსტრატის გამოყოფისას ვემყარებით ორ ძირითად სტატუსს: 1. ისტორიულ-გეოგრაფიულსა და 2. ლინგვისტურს:

1. ქართული ლექსიკური სუბსტრატი თავს იჩენს ისტორიულად ქართულ სოფლებში: სოფლებში, სადაც მოხდა ენობრივი გადაწყვეა, სადაც ქართულ-აზერბაიჯანული ლოკალური ბილინგვიზმიდან დაგვრჩა აზერბაიჯანული მონოლინგვიზმი, უფრო ზუსტად — შეიქმნა მესამე ენობრივი სისტემა, რომელიც უფრო აზერბაიჯანულია და რომელშიც ინგილოური მხოლოდ სუბსტრატული წარმოადგენს; სოფლებში, რომელთა მცხოვრებნიც არცთუ შორეულ წარსულ-

ში ქართველობდნენ და მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ. ესენია: ყანდახი, ჰენგიახი, ქაფანახჩი, ვერხჯიანი, ლალაფაშა, მარსანი, სოსკანი, ყორანი, შოთა-ვარი, გულლუგი (ვარდიანი)⁵. ამათ უნდა დაემატოს საირბაში, კახაბში, თალა და ილისუ (ამ უკანასკნელის ქართველი მოსახლეობა ჯერ გალექდა და მერე გააზერბაიჯანელდა); უნდა დაემატოს აგრეთვე ძაგამი და თასმალო. ამ ორ უკანასკნელში 1955 წლამდე ფუნქციონირებდნენ ქართული არასრული საშუალო სკოლები, რომელთა შესახებ მწერალი ქალი ალექსანდრა ჩხენკელი, რომელიც წლების მანძილზე მასწავლებლობდა საინგილოში, წიგნში „მზიან საინგილოში“ შემდეგს მოგვითხრობს: „ძაგამში (კახის რაიონი) მაჰმადიანი ინგილოები ცხოვრობენ. იყო ქართული შეიღწლიანი სკოლა, მაგრამ ამ ორი წლის წინათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადააკეთა აზერბაიჯანულ სკოლად. ქართული ენა კარგად არის შენარჩუნებული. ქართული შეიღწლიანი სკოლა იყო თასმალოში, მაგრამ იგიც აგრეთვე გადააკეთეს აზერბაიჯანულად. ლაპარაკობენ ქართულადაც და აზერბაიჯანულადაც“⁶.

ღღისთვის ამ ორ სოფელში მხოლოდ მოხუცებილა მეტყველებენ ქართულად. ამ სოფლების აზერბაიჯანული მეტყველება არ არის შესწავლილი, თორემ ლექსკუთრი სუბსტრატის ფიქსირებული რაოდენობა ერთი ორად და მეტადაც გაიზრდებოდა.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ პირველ (ისტორიულ-გეოგრაფიულ) ნიშანს გულისხმობს ყველა სუბსტრატული სიტყვა, ზოგი მათგანი კი ოდენ ამ ნიშნითაა სუბსტრატულად მიჩნეული, ასე მაგ.:

aroul — ა. ჰუსეინოვის თანახმად ადრე ერთხელ მოხსნილი მიწის დასათესად მეორედ მოხვნას სოფლებში ყანდახი, ქაფანახჩი და ფალდარი ეწოდება „aroul elamax“ („ანეულის გაკეთება“). ჩვენი აზრით, ამ ანალიტიკური ზმნის სახელადი ნაწილი უნდა იყოს ქართული „ანეული“, რომელშიც მოხდა ი/რ სუბსტიტუცია და ლაბიალური ასიმილაციით eu კომპლექსი > ou. ყანდახისა და ქაფანახჩის მეტყველებაში aroul წარმოადგენს სუბსტრატს, ფალდარის მეტყველებაში კი ნასესხობაა.

„ანეული“ ქველ-ში შემდეგნაირად არის ახსნილი: „ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად“ (I, 501). სულხან-საბაყ და ნ. ჩუბინაშვილიც „ანეულს“ ზაფხულის ნახნავად განმარტავენ და მიუთითებენ იერემიაზე (4, 3). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში „ანეული“ განმარტებულია როგორც ხნული და აქაც დამოწმებულია იერემია (4, 3). ოშკური ბებლიძედან (X ს.): „იანეულენით თავთა თუსთად ანეულნი“. უარესად საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება „ანეულ“-ის შესახებ: „ანეული“ ძველად სხვა ცნებას გამოხატავდა; შესაძლებელია „ანეული“ წამომღვარი იყოს „ყანეული“-საგან და უფრო პირვანდელი ნაყანეულისაგან თავკიდური ყ-ს გაქრობით, რაც ქართულ დიალექტებში იშვიათი არ არის. ამგვარად, თავდაპირველად ანეული კვლავ გადახსნილი ნაყანევის, დასვენებული მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო⁷ (ხაზი ჩვენია. — ვ. ჯ.).

ღიდი მეცნიერის ვარაუდს მხარს უჭერს ქაფანახჩისა და ყანდახის მეტყველებაში შერჩენილი სუბსტრატის სემანტემა — „ადრე ერთხელ მოხსნილი მიწის დასათესად მეორედ მოხვნა“.

ქართული „ანეული“ ფორმით aouli ოსურშიც ქართულიდან ყოფილა შესული, როგორც ამას აღნიშნავს ვ. აბაევი (AG., I, 53).

axu — ა) ა. ჰუსეინოვი გამოჰყოფს მის რამდენიმე მნიშვნელობას: ალაზნისპირა მიწები (ქაფანახჩი); ბ) ბუჩქნარისგან გაკაფული სათესად ვარგისი მიწები (სუმაილი); გ) დაახლოებით 3—5 ჰექტარი მიწის ფართობი (მთელი ზონა); დ) გვხვდება მინდვრის, მდელოს მნიშვნელობითაც (გულარი).

ქართული ახო 'საყანური გაკაფული' (საბა), 'სახანავად გაკაფული ქალაა' (ნ. ჩუბ., 146); 'საყანედ გაკაფული ტყე' (ქეგელი, I, 923).

ცნობილია, რომ თურქული ენების ფონეტიკური სისტემა პირველი მარცხლის შემდეგ *o* ხმოვანს ვერ ჰკუთხს, ამიტომ „ახო“-მ აზერბაიჯანულში მოგვცა კანონზომიერი **axu** ფორმა.

ა. ჰუსეინოვის თანახმად **axu**-ს აზერბაიჯანულში სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა მნიშვნელობა მიუღია (გარდა *g* მნიშვნელობისა, რომელიც მას დამატებით განვითარებია და საერთოა მთელი ჩრდილო-დასავლური რეგიონისათვის, „ზონისათვის“, როგორც ამას ავტორი უწოდებს): ზაქათლის რაიონის სოფ. ქაფანახჩიში ქართული ახოს მნიშვნელობა დავიწროებულა, დაკონკრეტებულა ალაზნის პირა მიწებისთვის, ალბათ იქ ქართველებს ახოები ჰქონდათ: სოფელ სუმაილში გადაყოლია ქართული მნიშვნელობა, ხოლო გულარში კი სხვა მნიშვნელობა (მინდორი, მდელო) განვითარებია.

axu სახანავ-სათესად გაკაფული ბუჩქნარი ან ტყე ჩვენ მიერ ფიქსირებულია კახის რაიონის სოფლებში — სარიბაშა და კახბაშიში. ბელაქნის აზერბაიჯანულში **axy/axu** ფორმები მნიშვნელობით „пахотная земля из-под леса или кустарника“ დადასტურებულია АДДЛ-ში (გვ. 46). ამ სიტყვის ქართულ წარმომავლობაზე ჩვენამდე მიუთითა ა. ასლანოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ **axu** გავრცელებულია ზაქათლის რაიონის ყველა კილოკავში და წარმოადგენს ქართულ სიტყვას (Асл., 1966, გვ. 206).

ზემოდასახელებულ სოფლებიდან **axu** სუბსტრატულია სარიბაშის, ქაფანახჩის და კახბაშის მეტყველებაში, დანარჩენ აზერბაიჯანულ სოფლებში კი ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს.

ქართ. „ახო“ სუბსტრატული ჩანს თურქული ენის არტანუჯის, შავშეთისა და ართვინის თურქულშიც, სადაც შერჩენილი აქვს ქართული ფორმაცა და მნიშვნელობაც: **Aho — Ormanda, fundaklık arasinda açilan tarla** — ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანა (DS., I, 133). როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ახო“ მოხსენიებულია ეფრემ მცირეს წერილშიც ბერძენ კვირიაკესადმი (XI ს., ჯავახ., 153). იგი იხსენიება ძველ ქართულ დოკუმენტებშიც (XV ს.)^{*}.

datü — „დათვი“ (ერთგვარი ტაბუა) გვხვდება მხოლოდ მწყემსთა მეტყველებაში (სარიბაში, ჰუს.).

< ქართ. „დათვი“. ამ სიტყვის სუბსტრატულობას, გარდა ისტორიულ-გეოგრაფიული სტატუსისა, მიგვანიშნებს მისი ფონეტიკური გარსიც. ტრანსფორმირებული სახით შემონახულია ქართ. ნომინატივის მორფემა. საკვლევი რეგიონის აზერბაიჯანულში *vi* კომპლექსი, როგორც წესი, იძლევა *ü* ხმოვანს. შემდეგ ხმოვანთა რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციით *a>ä*-ში. ეს არის უფრო აღრინდელი, ვიდრე მე-19 საუკუნისა და თანამედროვე ინგილოურის „დათ“ ფორმა, რომელსაც „ვი“ კომპლექსი ჩამოკვეცილი აქვს.

ი. აბულაძის მითითებით „დათვ“ დასტურდება ესაიასთან (I, 11.7), ოშკურ ბიბლიაში და სხვ. საბა „მეფეთა“-ს მიუთითებს.

^{*} ძველი ქართული ხელნაწერებისა და ძეგლების დამოწმებისას მეტწილად ვსარგებლობდი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ფონდებში არსებული მასალებით.

სიტყვა „დათვი“ საერთო-ქართველურია⁸. მისი ძირი, დღესაც საერთოა ქანური, მეგრული, ქართული და სვანური ენებისათვის⁹, განეკუთვნება საერთო-ქართველურ ეპოქას (Клим. 70).

lapan — ფართოფოთლიანი ხის ჯიში (ქათანახჩი, ჰუს.). ზაქათლისა და ვართაშენის მეტყველებიდან რეგისტრირებულია АДДЛ-შიც (291).

„ლაფანი“ ქველ-ში ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. საშუალო სიმაღლის ხე კაკლისებრთა ოჯახისა; გავრცელებულია მდინარეების ნაპირებზე... 2. ქსოვილი, რომლითაც ხდება ორგანული ნივთიერების მოძრაობა მცენარეში (მერქნიან მცენარეებში იგი ქერქის შიგნითა ნაწილს შეადგენს (IV). ქართულ დიალექტებში ლაფანი გვხვდება ზოგჯერ პირველი და ზოგჯერ მეორე მნიშვნელობით: ინგილოურსა (ღამბ.) და ქიზიყურში (ლლ.) ხის ჯიშია ერთგვარი, მთიულურში — ტირიფის ქერქი (ლლ.). ხოლო ფშაურში — ცაცხვის ან თელის შიდაპირი (ვაჟა-ფშ.).

„ლაფანი“ საბასთან ქართულადაა მიჩნეული და ხის აღმნიშვნელი ნიშანი უხის, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით — „ხეთა ქერქი გრძლად დახეული შესაყრავად რისამე“ (258)... „თელათა, ცაცხუთა და მისთანათა ლბილსა ქერქსა... ეწოდება ლაფანი“ (402). ა. მაყაშვილს ლაფანის სინონიმებად მოაქვს მეგრული ლეფონი, ლეფანი და ლიფონი ფორმები (42). ვფიქრობთ, ამ უკანასკნელიდან უნდა მოდიოდეს გვარი ლიფონავა. ასევე „ლაფან“-ისგან უნდა იყოს ნაწარმოები სოფლების ტოპონიმები: ლაფნიანი (ლაგოდუხის რაიონში), ლაფანყური (თელავის რაიონში). ლაფანანთკარი (დუშეთის რაიონში), ლეფონა (ოჩამჩირის რაიონში). შესაძლოა, „ლაფან“-ს უკავშირდებოდეს აგრეთვე „ლაფაური“, რომელიც იხსენიება 1467 წლის ისტ. საბუთში: „კონსტანტინე მეფემ უბოძა ზაზა ფანასკერტელსა და მის შვილებს ლაფაური, ვირშელაური... მამულები“ (მსიგტ, I, 131).

lapan სიტყვას ქართულად მიიჩნევს ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩიცი. იგი არ თვლის მას ნოსტრატული ენების lp-/leup-/lep- ძირის ფარდად. აღნიშნავს მხოლოდ, რომ „Заслуживает внимания грузин. lapan- 'луб, лыко, < крылоорешник>, < мегрел. lapani 'хрылоорешник, лубок' >, где -an-, возможно, суффиксальный элемент“ (ОСНЯ, 34).

ყველა ზემოაღნიშნული და ისიც, რომ lapan თურქულ ენებსა და თურქულისა და აზერბაიჯანულის სხვა დიალექტებში არ იძებნება, გვაფიქრებინებს: lapan ქათანახჩის მეტყველებაში — ქართულ სუბსტრატს და ისტორიულად აზერბაიჯანულ არეალში კი ნასესხობას წარმოადგენს. როგორც ჩანს, ეს ქართული ნასესხობა ფეხს იკიდებს სალიტერატურო აზერბაიჯანულშიც, რადგან lapan ხის სახეობის მნიშვნელობით შეტანილია აზერბაიჯანული ორთოგრაფიული ლექსიკონის უკანასკნელ (1975 წ.) გამოცემაში (АДОЛ. 339).

xyçy — სოფ. კახბაშის აზერბაიჯანულში ჩეენი მასალებით — მცენარე (ასევე ჰუს.); xizã 'ანწლის ერთ-ერთი სახეობა' (ილისუ, Мол. лисс. 283); შდრ. qyçã 'ანწლი' (ზარნა, ჰუს.), qyçy 'წითელ მარცვლებიანი მცენარე' (გულარი, სუმაი-ლი, ჰუს.); çyçy 'აწლი' (ნუხის დიალექტი, Исл., 241).

ვფიქრობთ, საანალიზო სიტყვის წყაროს წარმოადგენს ქართ. „ლიქა“, შდრ. თუშური „ლერეკი“ (მაყ.). „ლიქა“ ფიქსირებულია საბას, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში, ქველ-ში. ყველგან იგი ქართულადაა მიჩნეული.

„ლიჭა“-ს ალოლექსები სუბსტრატულია კახბაშის, ქაფანახის და ილისუს მეტყველებაში.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანულ ენაში, ისევე როგორც ანატოლიურ თურქულში, სიტყვის თავიდან პოზიციის უკანაენისმიერი მეორეი სპირანტი დაუშვებელია. იგი არაბულიდან შემოსულ სიტყვებში გადადის ჰომორგანულ, მაგრამ ჰეტეროგენულ გ მეორე ხშულში. რაც შეეხება ქართ. ლ-ს, იგი აზერბაიჯანულის ანლაუტში უმთავრესად გვაძლევს ჰომორგანულ და ამავე დროს ჰომოგენურ ყრუ სპირანტ X-ს. გარდა ზემოაღნიშნული ლიჭა ~ xyჭა ფარდისა შეგვიძლია კიდევ ორი ილუსტრაციის მოყვანა: 1. ქართ. ლიში 'მცენარე ქოლგისანთა ოჯახისა' > xyჟუ კახის სოფლებში კახბაში და გარაბალდირი; ზაქათლის რაიონის ლაჭიჯის მეტყველებაში კი ფუძეს განუცდია რედუქციაცია: xyჟჟჟუ (ჰუს.).

xyჟუ კონსტანტირებულია დმანურ აზერბაიჯანულში¹⁰, აღდამის მეტყველებაში (АДДЛ.) და თვით სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაშიც (იხ. АЗИЗ., 369, АДОЛ., 532).

საყურადღებოა, რომ 60-იან წლებამდე გამოცემულ აზერბაიჯანულ ორთოგრაფიულ და თარგმნით ლექსიკონებში xyჟუ არსად არ არის ფიქსირებული. იგი არც ერთი მოსალოდნელი ფონეტიკური ვარიანტით არ იქმნება ვ. რადლოვისა და ლ. ბუდაგოვის ცნობილ ლექსიკონებსა და სხვა თურქულ ენათა ლექსიკონებში.

გარდა აზერბაიჯანულ დიალექტებისა. „ლიში“ შესულია საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვანი არათურქული ტომების მეტყველებაშიც, მაგ., წალკის ბერძენთა თურქული დიალექტი¹¹ და მესხეთის ქართველთა მეტყველება. ამ უკანასკნელში xyჟუ ს. ჭიქიას ასევე ქართულ სუბსტრატად მიაჩნია¹².

2. xაჭა — ახლად ხომოგებული ძროხის პირველი რძე (ვერხეიანი, ჰუს.). უნდა მოდიოდეს ინგილოურ „ლაჟოა“-დან, რომელსაც იდენტური მნიშვნელობა აქვს (ღამბ.), ჩვეულებრივ „ხაჟო“-ს კი ინგილოურში აღნიშნავს სუზმა < აზ. süzüm. — (აჭაიჯო ჰე, სეა!)

სემანტიკის იდენტურობა, ფიქრობთ, გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აზ. xაჭა მივიჩნიოთ ქართ. „ლაჟო“-ს ფონეტიკურ ტრანსფორმაციად; ლ > x ანლაუტში, ხოლო ჭ, როგორც წესი აზერბაიჯანულში > ჭ -ში.

სიტყვა-ფორმა „ლაჟო“ — აქრილი რძის ხაჟო, გავრცელებული ყოფილა ქიზიყურშიც, შეტანილია ქეგლ-შიც (VII).

II. ლინგვისტური ნიშნის მოშველიებისას ვითვალისწინებთ სიტყვებში ქართული ფონეტიკური გარსის სრულ ან ნაწილობრივ შენარჩუნებას და ლექსემათა სიმყარეს შედარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ძირითადი ლექსიკური ფონდი: რიცხვითი და ნაცვალსახელები, ადამიანის სხეულის ნაწილების, ნათესაობის, შინაური ცხოველების და სხვათა აღმნიშვნელი სახელები და აქტიური ზმნები შედარებით მძიმეა მორფოლოგიაზე ნაკლებ სიმყარეს არ იჩენენ. ამ სფეროდან ჩვენთვის საინტერესო არეალში დღეისთვის ფიქსირებულია რამდენიმე სიტყვა:

didi/dida (ქართ. // ქაფანახი): ამ სიტყვის ქართულობაზე მიუთითებს ა. ჰუსეინოვიც. „ღეღა“ ხომ საერთო-ქართველურია სიტყვაა (Клим. 71).

საინტერესოა, რომ მისი მეგრულ-ქანური ალოლექსები dida და diya ფიქსირებულია თურქული ენის აფიონისა და დენიზლის მეტყველებაში.

zala მამის ძმის ცოლი (ქაფანახი, ჰუს.).

ქართულში „ძალო“/„ძალუა“ ბიცოლას აღნიშნავს (ქეგლ.). ასეთივე მნიშვნელობითაა „ზალა“ ინგილოურში (მკ.). Zala კახეთში დღემდე გავრცელებული ქართული „ძალო“-ს გააზერბაიჯანებული ფორმაა. ქართული აფრიკატი ძ თურქულ ენებში ფარდი ბგერის უქონლობის გამო მარტივდება მის აფრიკატივ ზ კომპონენტად, ხოლო ო რამდენადაც აზერბაიჯანული მას პირველი მარცვლის შემდეგ ვერ ჰგუბოს, მოცემულ შემთხვევაში, ხმოვანთა პროგრესულა ასიმილაციის ზემოქმედებით გადავიდა ა-ში.

გოჭი — „გოჭი“ ასლანოვის თანახმად გავრცელებულია თალის, ილისუს, სარიბაშის, აზგოლის, არმუთლუს და სხ. აზ. სოფლების მეტყველებაში (Ac. I. 1974, 226) > ქართ. „გოჭი“ (საბა, ნ. ჩუბინაშვილი).

„გოჭი“, რომ თალის, ილისუს და სარიბაშის მეტყველებაში სუბსტრატს წარმოადგენს, ანაზე მასში დაცული ჰ აბრუპტივი და სახ. ბრ-ის მორფემა იკვანისნებს.

zaryly კახის რაიონის აზერბაიჯანულ სოფლებისთვის მითითებით, რომ ქართულია, ფიქსირებული აქვს ს. მოლაზადეს (იხ. დის., 280). აქაც ძ და სახ. ბრუნვის მორფემა ი ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შედეგად აზერბაიჯანულში განიცდის ველარიზაციას. „ძალო“- წარმოადგენს საერთო ქართველურ ძირს (არნ. ჩ., 82; სსაქე., 75). იგი სუბსტრატულია ილისუს, და გულლუქის მეტყველებაში.

zıjaralanmax (ქაფანახი, მულნალი), zıgara elımax (მუხახი) ქაფანახში განმარტავენ, რომ „zıjaralanmax“ — არის „საკუთარი დარღების წუხილი“ და გულსაკლავად თქმა“ (ჰუს.) < ქართ. „ზიარება“, რომელიც ნაყურახი ღვინისა და სეფისკერის შესმა-შექმამდე ცოდვითა ჩამოთვლას, აღსარებას გულსხმობს. ქართული „აღსარების“ გადატ. მნიშვნელობაა — „გულის ნაღვანს გამოთქმა ვისივე წინაშე“ (ქეგლ, I, 720).

სულხან-საბა ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი და დავით ჩუბინაშვილი „ზიარებას“ ქართულ სიტყვად მიიჩნევენ. „ზიარების“ ძირითადი მნიშვნელობა. ბუნებრივია, უფრო ადრინდელ ძველ ქართულ ძეგლებში დასტურდება: ზიარება. . მოზიარება, შეზიარება, მონაწილეობა, როგორც მას ილია აბულაძე განმარტავს, კონსტრუირებულია ოწყურ ბიბლიაში და სხვ., ხოლო ეკლესიურა „ზიარება“ „მამათა ცხოვრებაში“ (აბულ. 166).

ქართული „ზიარების“ შეკვეცილი ფუძისგან „ზიარე“ > აზ-ში zijara და იწარმოება, როგორც სინთეზური ზმნა: ქართ. zijara + აზ. ვერბალიზატორი -la- ენებითი გვარის აფიქსით, ისე ანალიტიკური: ქართ. ძირითადი ზმნა zijara + აზ. დამხმარე ზმნა elımax 'კეთება'.

საყურადღებოა, რომ ქართ. ია ხმოვნებს შორის ქაფანახისა და მულანლი-ში ვითარდება აზ. ხმოვანთ გამყარი j, რომელიც მუხახის მეტყველებაში > გ-ში. ჩამოთვლილ სოფლებიდან zijara სუბსტრატულია მხოლოდ ქაფანახის მეტყველებაში.

ფონეტიკური გარსიდან სუბსტრატულობის მიმნიშნებელია: 1. ქართ. სახ. ბრუნვის მორფემის შემოწახვა, 2. აბრუპტივების შენარჩუნება, 3. პირველი მარცვლის შემდეგ 0 ხმოვნის არსებობა.

1. სახ. ბრუნვის მორფემიანი თანხმოვანფუძიანი სახელები სუბსტრატულ ლექსებზე მიგვანჩნია იმის საფუძველზე, რომ საერთოდ სესხებისას აზერბაიჯანულ სახელებს, ისევე როგორც სხვა ნასესხობებს, უქვემდებარებს საკუთარ

ფონეტიკურ კანონებს და ნომინატივის მორფემა უმთავრესად იკარგება. სიტყვები სახ. ბრუნვაში გვევლინებიან აზერბაიჯანული ფორმით — ფუძით.

ის ვითარება, რომ თანამედროვე კაცურ ინგილოურში ნომინატივში თანხმონათესაის სახელები ფუძითაა წარმოდგენილი არის მეორეული მოვლენა, აზერბაიჯანული ენის გავლენითვე გამოწვეული, და არა ძველი ვითარების შემონახვა, როგორც ეს დამაჯერებლად დაასაბუთა ინგილოური დიალექტის მკვლევარმა გრ. იმნაიშვილმა².

ამგვარ აზერბაიჯანულ ტრანსფორმაციას დროთა განმავლობაში განიცდიან სუბსტრატული ლექსემებიც (ზალლოჯი > balıyınჯ, ჯონჯოლი > ჯონჯი და სხვ.), მაგრამ ქართულ ლექსემათა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ შემონახა თავისა ქართულობის მანერებელი ეს ნიშანიც. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

ançli — „ანწლი“ (კახბაში. ვ. ჯ.). ასევე ançilijı 'id'. ა. ასლანოვის თანახმად: გულუქის, სარიბაშის, ილისუს; ზარნას, არმუთლის, აზგილის, კამჟაჩის, ლეკეთის, მუხანის და ჭიმჭიმის პეტყველებში. პირველ ოთხში ანწლი სუბსტრატული ლექსემაა, ხოლო დანარჩენებში — ნასესხობა. მის სუბსტრატულობაზე ც. აბრუპტივიც მივიჩნევთ

ançli — კახის რაიონის აზერბაიჯანული მეტყველებისთვის ფიქსირებული აქვს ს. მოლაზადესაც (Мола., днсс., 282, Авт. 6).

ა. ასლანოვი ამ სიტყვას წახურულად მიიჩნევს. მას ქართ. ançli-სთან ერთად მოჰყავს წახურული ançlij და ბაცბური ançal ფონეტიკა (1966, 206). ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს სწორი. ძირი ანწ საერთო-ქართველურია. იგი წახურულსა და ბაცბურშიც ქართ. ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს. ანწ-ს საერთო-ქართველურ ძირად განიხილავენ არნ. ჩიქობავა, თ. გამყრელიძე, ვ. მაჟუარაიანი და ვ. კლიმოვი (Климо., 44) „ანწლი“-ს ქართულად მიაჩნევს (ქანურში — ანწლი და ინჭირა) ავრეთე ნ. მარი⁴. იგი ქართულად მიაჩნია ყველა ქართველ ლექსიკოგრაფს.

„ანწლი“ დასტურდება „იადგარ დაუდსა“ და სხვა ძველ ქართულ ძეგლებში.

„ანწლი“ ansli/ansli ფორმებით შესული ყოფილა არტანუჯისა და შავშეთ-ართვინის (ე. ი. ძველი ქართული ტერიტორიის) მეტყველებაში. იგი თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც fena kokulu bir çesit ul 'ერთგვარი ცუდსუნია ბალახი' (I, 280).

„ანწლი“ ქართულიდან ნასესხები ჰქონია ოსურსაც⁵.

äsđami — „ასტამი“ (კახბაში, ჩვენი მასალებისა და АДДЛ-ის თანახმად). äsdamil 'გამომცხვარი პურის თონედან ამოსაღები რკინის ხელსაწყო' (სარიბაში), äsrämi 'ცომის დასაპრელი ხელსაწყო' (თალა); სინონიმი — astam (ჰუს). ს. მოლაზადეს ილისუსში ფიქსირებული აქვს äsdämil ფორმა; äsdämil-ით ცომს ვაბრუნებთ და ეჭრითო (Мол., днсс., 299).

კახბაშის მეტყველებაში შერჩენილია ჭ აბრუპტივიც.

შესულია ინგილოურიდან რ. ლამბაშიძისა და ჩვენი მასალების თანახმად: ასტამ — 'ვარცილიდან ცომის მოსაფხეკი ანდა თონედან პურის მოსახდელი რკინის პატარა ხელსაწყო'.

საბა. ასტამი — 'ცომის მოსაფხეკი', ნ. ჩუბ.: ასტამი — 'ტარიანი ფართო რკინა ცომის ასაფხეკი' (141).

„ასტამი“ ფართოდ გავრცელებული სიტყვაა ქართული ენის დიალექტებში. იგი ძველი ქართულისათვის ილია აბულაძეს განმარტებული აქვს როგორც

„ცეცხლის ასაღებ-დასაღები აქანდაზი“ და იმომებს „შეშანიკის წამებას“ — „და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავესა და ჩაფლა“ (VI, 15).

„ასტამი“ არც ერთი ფონეტიკური ვარიანტით არ იძებნება სხვა თურქულ ენებში. იგი არც ვ. რადლოვისა და ლ. ბუდაგოვის ცნობილ ლექსიკონებშია შეტანილი. ხოლო შავშეთ-ართვინის თურქულში asdam — ცეცხლის აქანდაზი (DS, 341) აგრეთვე ქართული სუბსტრატული ფენიდან არის შესული.

āsādāmi აზ. ენის დიალექტებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა. იგი შესულა ნუხის, ბოლნისის და სხვ. დიალექტების ლექსიკაში. ჩანს, დიალექტების გზით ბოლო ხანებში სალიტერატურო ენაშიც შეაღწია. იხ. „აზერბაიჯანული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ 1975 წლის გამოცემა. ადრე გამოცემულ თარგმნით თუ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში იგი არ არის ფიქსირებული.

ešmāng'i — 'ქარაფშუტა' (კახაში და კახის რაიონის სხვა აზერბაიჯანული სოფლები (Мол. Авт., 27), šāf: āngi — უაზრო (ილისუ, გარადოლახი, ჯეს.) <ქართ. ეშმაკი, რომელიც ქართულში „საშუალო ირანული ნასესხობაა. დასტურდება ძვ. ქართულ ძეგლებში „მარტვილობაჲ შეშანიკისი“, „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“, „მარტვილობაჲ აბო თბილელისა“¹⁶; მაგრამ ზაქათალა-კახის აზერბაიჯანულ კილოვებებში eš: āngi ქართულიდან არის შესული (ქართულიდანვე შესულა „ეშმაკი“ მეგრულშიც, სს, 123).

„ეშმაკ“-ს აზერბაიჯანულ ნიდაგზე შემდეგი ტრანსფორმაცია განუცდია:

1. e — ხმოვნებს შორის მომხდარა საურთიერთო ასიმილაცია — პროგრესული პალატურობის მიხედვით და რეგრესული — ლიობის მიხედვით. რის შედეგადაც e — ში. 2. ხმოვანსა და g' თანხმოვანს შორის განკუთარებულა თანხმოვანი h, რაც მ. შირალიევის თანახმად აზერბაიჯანულ დიალექტებისთვის აღნიშნულ პოზიციაში წარმოადგენს დამახასიათებელ ფონეტიკურ მოვლენას. შდრ. mixük > mixāng 'მიხაკი', zirāk > zirāng 'მკვირცხლი'; 3. ადგილი აქვს ერთ ყურადსაღებ ქართულ-აზერბაიჯანულ ფონეტიკურ კანონზომიერებას, რაც შემდგომში მდგომარეობს: ქართული აბრუპტივი კ წინარისგან ხმოვნების პრეპოზიციაში აზერბაიჯანულში გადადის პალატალურ მჟღერ ხშულ g' თანხმოვანში: ტიკი > tiğ'i, ეშმაკი > ešmāng'i, ხოკერი > xoğ'iri 'კაკლის ხისგან ან ლერწმისგან მოწნული კალათა ტანსაცმლისთვის', მაშინ როცა კ ველარული ხმოვნების პრეპოზიციაში აღნიშნულ მეტყველებაში კ-დევ რჩება ან გადადის ყ აბრუპტივში: კაკაბი > kaqabi, კასრი > kasri, კაკალი > qaqali, კურკა > qurqa.

k > g' რიგის მონაცვლეობა აგრეთვე სიტყვებში: ქერდიკა > kərdigər (დმანური აზერბ.) / kərdijər (ჯაბრაილი, ყაზახი, АДДЛ, 258) და კირკალი 'რკალი, რომლითაც საქონელს ბაგაზე აბამენ' (ქეგლ, IV) და რომელიც ძვ. ქართ. გრკალი-ს ალოლექსას წარმოადგენს (სსაქე, 101) > ბოლნისურ აზერბაიჯანულში girgel 'привязь для скота, сделанная из толстого дерева', თუმცა იგი მცდარად მიჩნეულია სპარსულ (gireh) ნასესხობად¹⁸.

საპირისპირო ფონეტიკური მოვლენა, ე. ი. თურქულ მჟღერ-ფშვინიერ ხშულთა ქართულ ნიდაგზე გამკვეთრება, როგორც ამას აკად. ს. ჭიქია აღნიშნავს, შენიშნული აქვს ჭანურის ყველა მკვლევარს. აკად. ს. ჭიქია თავის მხრივ ახალი მაგალითებით ამდიდრებს ამ ფონეტიკურ კანონზომიერებას¹⁹.

isrimi — ცივი შეჭამადი შემზადებული რეჰანის, ქინძის, გამხმარი პური-სა და ალუბლის წვენი-სგან. ცხელ დღეებში გამაგრებულად გამოიყენება (ქა-

ფანახი). და შემდეგ ა. ჰუსეინოვი არასწორად უკავშირებს თურქული ენის კასტამუნის კლოკავის *yslama* სიტყვას, რომელიც ეწოდება ქონიან პურს კვერცხითა და ნივრითო. ამას განაპირობებს ორივეში ნივრის გამოყენებაო.

კახის რაიონის აზერბაიჯანულ სოფლებში — *üsürüm*: მკვახე უფრენს ვწურაო, წვეს ბოთლებში ვინახავთ, ესა *üsürüm*-ი, მას კერძში ვამატებთ და მაღიანი საჭმელი გამოდისო. ინგილ. უსრუმ — 'მაყელის ან ალუმბლის წვენი მწვანელით და ნივრით შეზავებული' <ქართ. ისრიმი 'უმწიფარი ყურძენი' (საბა). 'შემოუსვლელი მკვახე და უმწიფებელი ყურძენი' (ქეგლ, IV, 820—821), საწებლად რომ იზმარება. ესეც ქეგლ-ში მოყვანილი ილუსტრაციებიდან ჩანს. ხოლო ა. მარტიროსოვისა და გრ. იმნაძეილის „ქართული ენის კახურ დიალექტში“ ეკითხვლობთ: „ისრიმი — მკვახე, დაუმწიფებელი ყურძენის წვენი ნივრითა და მწვანელით შენელებული“ (179).

ნ. ჩუბინაშვილი „ისრიმი“-ს არაბულ წარმომავლობისად მიიჩნევს და განმარტავს როგორც უმწიფარი ყურძენი, ნიკი. არაბულიდანვე მიაჩნია იგი ივ. ჯავახიშვილს, როცა აღნიშნავს „საქართველოში ეს ძველი ქართული სიტყვა კაწახი არაბულითგან შეთვისებულმა სიტყვამ „განდევნაო“. აქ „ისრიმი“ იგულისხმება. თვით „ისრიმის“ შესახებ კი შემდეგს მოგვითხრობს: „ეაიის ნაყოფის გამოყენება უკვე იმ დროითგან იწყებოდა, როდესაც ყურძენი ჭერ კიდევ სრულდებოდა უმწიფარი იყო. ცნობილია, რომ ამ ხანისა და თვისების ყურძენს ისრიმი ეწოდებოდა.

ეს ტერმინი ბაქარის გამოცემის დაბადებაში იობის 15 ვვ-ში გვხვდება... მაგრამ ისრიმი ქართული სიტყვა არ არის“²⁰.

„ისრიმი“ უნდა ნოლიოდეს არაბულ *سُرْمِي* პოლისემიური ძირიდან (ხარ.), რომლის ძირითადი მნიშვნელობა არის „მოჭრა“; უნდა იყოს ამ ზმნის IX თემის მასდარი *سُرْمِي* მოჭრა; ქართულში იგულისხმება „კბილის მოჭრა“.

რამდენადაც ისრიმი (ინგილოურში უსრუმ) ქართულში ძველ ნასესხობას წარმოადგენს და აზერბაიჯანულში მხოლოდ ბელაქნისა და ზაქათალა-კახის მეტყველებამაია გავრცელებული, ამდენად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი ხსენებულ არეალში ქართულიდან შევიდა.

აზერბაიჯანული მეტყველების ორი სხვადასხვა ფორმა *isrimi/üsürüm* ნათა შელწვეის ორ სხვადასხვა გზაზე მიგვითითებს: *isrimi* ლექსიკური სუბსტრატის ფენიდანაა, ხოლო *üsürüm* ნასესხობას წარმოადგენს უსრუმ ინგილოურისთვის კანონსომიერი ფორმა: ვი კომპლექსი ინგილოურში, როგორც წესი, უ-ში გადადის და ხშირია შემთხვევები, როცა ვი კომპლექსი მიიღება ვ თანხმოვნის შეტათენისით: წვრილი > წრედი > წრულ, სიკვდილი > სეიკდალი > სტყდულ; ასევე ისვრიმი > ეისრემ > უსრუმ. ვი > უ პროცესის შემდეგ ტარდება ხმოვანთა ჰარმონია — სრული პროგრესული ასიმილაცია.

puri/puru — (ქართ.) — ა) მუადი (სარიბაში); ბ) კვერცხნასმული მოგრძო პური (ილესუ, ჰუს.); ასევე *puri*, (აევაი, თასმალო), *buru* (გარაბალირი) — თონეში გამომცხვარი მოგრძო პური, როგორსაც ახლაც აცხობენ ქართველები. მაგრამ ეს სიტყვა იშვიათად იზმარება, რადგან ამგვარ პურს თითქმის აღარ აცხობენ.

ღ. ჩუბინაშვილი ქართ. „პურის“ წყაროდ ლათ. *panis*-ს მიიჩნევს, ა. გლეიე სემოტურ *pur 'kycok'*-ზე მიუთითებს და უღარებს ბერძ. *παρνε*-ს²⁰. ივანე

ჯავახიშვილი „პურს“ ბერძნულიდან შეთვისებულად თვლის და აღნიშნავს, რომ „პუროს“ უდრის „დიკა“-ს. ხორბალს თანამედროვე ქანურშიც კი „დიკა“ ეწოდებოდა. „დიკა“ ხორბლის უძველესი ჯიშიაო²¹.

„პური“ ქართულში უძველესი ნასესხობაა. იგი მოხსენიებულია ჯერ კიდევ შატბერდულ „სახარებამ იოვანესის“-ში და ოშკის ბიბლიაში. ცხადია, „პური“ ჩაგამის, თასალოს, სარიბაშისა და ილისეს მეტყველებამი ქართულ სუბსტრატს წარმოადგენს, რასაც მასში შემონახული *ք* აბრუპტივიც გვიდასტურებს.

solī — ურმის თვლის სოლები (ვერხიანი. პუს.) < ქართ. სოლა, რომლის ძირითადი მნიშვნელობა „ძელთგასაპობი“-ა (საბა), ხოლო 2. — 'ურმის თვლის მორგვებ დასობილი მოკლე ბელაქი', რომელსაც ფერსო აქვს შემოცმულია“ (ჭეგლ, VI, 1124). ამ მეორე მნიშვნელობას („ურმის თვლის სოლები“) მიუთითებენ ნიკო და დავით ჩუბინაშვილებიც, ძირითადი მნიშვნელობის შემდეგ. „სოლი“ ძირითადი მნიშვნელობით ილია აბულაძის თანახმად ფიქსირებულია ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთამასა“-ში (X ს. ხელნაწერი) და მისი დერივატი „განსოლეა“ — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის II კოლექციის ხელნაწერი II — 341, 497-ში: „განსოლეს იგი სოლები: ა რკინისადა“.

2. რაგორც აღვნიშნავდით, სიტყვათა სუბსტრატულობის ერთ-ერთ ელემენტურ ნიშნად მიგვაჩნია ქართული აბრუპტივების შემონახვა, რაც მეტად უჩვეულაა აზერბაიჯანული მეტყველებისათვის. ისტორიულად ქართული სოფლების აზერბაიჯანულ მეტყველებებში შემორჩენილია ყველა ქართული აბრუპტივი და უმთავრესად ანლაუტსა და ინლაუტში. აუსლაუტში აბრუპტივები გვსვდება იშვიათად, რადგან ქართული სუბსტრატული სიტყვების უმრავლესობას გადაყოლილი აქვთ ნომინატივის მორფემა. განვიხილავთ მხოლოდ რადენინიე მათგანს:

pitni — „მცენარე, რომელსაც ყრიან დოვლაში, პიტნა (მწვანელი)“ (ქაფანახჩი, პუს.) < ქართ. პიტნა.

„პიტნა, პიტნაქი“ ყველა ქართველ ლექსიკოგრაფსა და მკვლევარს ქართულად მიაჩნია. ივ. ჯავახიშვილის აზრით ქართ. „პიტნა“ „უფრო ძველი ჩანს“, ვიდრე სპარსული *پیتن* (ჯავახ. II, 250)²². თ. გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის თანახმად ქართულმა „პიტნამ“ მეგრულში „პიტინა“ მოგვცა (123). ილია აბულაძე „პიტნაკოსთის“ ძველ ქართულში იმოწმებს ისეთ ძველ ხელნაწერებს, როგორცაა შატბერდული „სახარებამ ლუკასის“ და „ექუსთა დღეთამა“ (აბულ., 342). ასევე ქართ. ოსურში *pitnā* (AG., 263).

აღსანიშნავია, რომ სოფ. ქაფანახჩიდან რამდენიმე კმ-ზე ჰლებარე ისტორიულადაც აზერბაიჯანულ სოფელ გარაბალდირში „პიტნა“ წარმოადგენს ნასესხობას და აქვს კანონზომიერი *bidnā* ფორმა.

purč — საქონლის ფილტვი (ქაფანახჩი. პუს). ინგ. „ფურტ“-სა ('ფილტვი' მკ.) და ძვ. ქართულ „ფირტუ“-ს ქაფანახჩის მეტყველებებში *purč* ფორმა მიუღია; მნიშვნელობა დაეწროვებია — მხოლოდ საქონლის ფილტვის აღმნიშვნელად დაკონკრეტებულა. მისი ძირითადი სემანტემა აზერბ. *ay çijär*-ს განუდევნია.

ფირტუ“-ს დიდი ფონეტიკური ტრანსფორმაცია განუცდია: „ვი“ კომპლექსმა, რომელიც აზერბაიჯანულში >ii-ში, რედუქციამდე ნაწილობრივ დაიმსგავსა პირველი მარცვლის i ხმოვანი და ō აქცია. რეგრესული ასიმილაცია მოხდა თანხმოვნებს შორისაც: ბოლოკიდურმა i-მ გამაყვეთრა თავიილური ფშეინგიერი

p, რომელიც სათანადო აბრუპტივში გადავიდა. თანხმოვანთა აბრუპტივიზაცია ხშირია ქაფანახჩისა და სხვა ისტორიულად ქართული სოფლების მეტყველებებში: ქართულმა პალდუმა, რომელიც ეტიმოლოგიურად სპარსულია და თურქულში აქვს *paldım* ფორმა, სარიზანის აზერბაიჯანულში მოგვცა *palʃu* (ჰუს.). თანხმოვანთა გამკვეთრება ხდება თვით აზერბაიჯანულ ფუძეებშიც და ასიმილატორის გარეშეც: *hojundurug* > ქაფანახჩი *pu: ʃurax* 'უღელი', *dana* 'ხბო' > *ʃana* (კახბაში), *dälä* 'ციყვი' > *ʃälä* (ვერხეიანი), *ʒim* 'ბელტი' > *ʒim* (ქაფანახჩი).

pörʃ უდავოდ ძველი ქართული ფორმიდანაა მიღებული. საბას თავის ლექსიკონში ოდენ „ფირტიკი“ აქვს მოყვანილი და „მეფეთა ცხოვრებაზე“ მიუთითებს. ნ. ჩუბინაშვილს მოაქვს ორივე ფორმა (ფალტვი, ფირტივი): მიგრულში ამჟამადაც ფირტივი ფორმაა შემონახული. საინტერესოა ფირტივი ძვ. ქართ. ხელნაწერებში: „ფირტივი ჩუენი ასო არს თხელი და ყნოსითა ყისისაჲთა მიიღებს ჰაერსა და ავირობს მხურვალეებასა, რომელ არს ჩუენ შორის“ (ბასალ კეხ. ექვსთა დღეთა, 97,6).

ʃapla — წანდილი, კერძი, რომელსაც არიგებენ (ილისუ. *Мол. Днес.* 282) < ინგ. ტაბლაი 'მკვდრის კერძი' (მჭ. 264).

„ტაბლა“ ქეგლ-ში შემდეგნაირად არის განმარტებული: „1. დაბალი მაგიდა, ასეუ საგიდაზე დაწყობილი სსმელ-საქმელი. 2. ძვ. რელიგიით მიცვალებულის სულის მისახსენებლად მომზადებული სასმელ-საქმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა, — საყურახი“ (VII); საბასთან — ტაბლა (15.13. გამოსლ.) — „ფიტრის სუფრა ფეხედი“; ნიკო ჩუბინაშვილი: „ტაბლა მაგიდა წინდასა დამელი ფეხედი ფიცარი (მატ. 15,27 და 21,12; ებრ. 9,2), *трапеза, стия, тѣбла, та҃҃ли/მას ზედა დაგებული სანოვავე (ფსალ. 22,4 და 77,19 და შემდგომი კუალად...“); ა. შანიძე — „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“²³; „ტაბლა — სუფრა (პურ-დაგებული)“, ხოლო „გეორგი მთაწმინდელის ენის“²⁴ ლექსიკონში — ტაბლა (*tabula*, ქართულში ბერძნულიდან) პურის ქამა; ილ. აბულაძის თანახმად ტაბლა — სუფრა, მაგიდა და იხმარება ძველ ძეგლებში, ოშკურ ბიბლიაში. აზერბაიჯანულის ჩუენთვის საინტერესოა მეტყველებაში *ʃapla* — წანდილი, მიცვალებულის სახელზე დარიგებული კერძი“ შესული უნდა იყოს ინგილოურიდან, ქართულიდან. საანალიზო სიტყვა ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული.*

kuʃa — ქათმის კუჭი (ქაფანახჩი, ჰუს.), *kuʃ* 'თირკმელი' (ვერხეიანი, ჰუს.). ჩუენი მასალებით შოთავარის მეტყველებაშიც „თირკმელს“ აღნიშნავს. საბა „კუჭ“-ს გვიმარტავს როგორც „ფრინველის ფაშვი“; ნ. ჩუბინაშვილი: „კუჭი სტომაქი ცხოველთა (მფრინველთ ფაშვი)“; ქეგლ-ში: „კუჭი საქმლის მომწელებელი ორგანო (აღამიანისა, ფრინველისა, ცხოველისა)“.

ქაფანახჩის მეტყველების *kuʃa*-ის მნიშვნელობა საბასეულ განმარტებას ეხმიანება.

საინტერესოა ამ სიტყვის ალოლექსები თურქულ დიალექტებში: *kuʃik/kuʃʒik* ორღუსა და ერზიზანის დიალექტებში თირკმელს ნიშნავს, ხოლო „კუჭ“-ის თურქული დერივატი *kuʃilli* — სიტყვასიტყვით — ის, რაც კუჭიდანაა; იხმარება მხოლოდ „ქათმის სკინტლის“ მნიშვნელობით (DS, VI).

qarʃax (თალა) *qarʃax* (ქაფანახჩი, ჰუს.) — მოუსვლელი, უმწიფარი კაკალი., შდრ. *qarʃax*. ილისუ. ასევე *qarʃax id.* კახბაშიში. ეს სხვა არაფერია, თუ არ ქართ. კაწახი — უმწიფარი ჰევაზე ხილი, როგორც ამას ვკითხულობთ ქეგლ-ში

(IV, 1109), სადაც საილუსტრაციოდ მოყვანილია სწორედ „კაკლის კაწახი“: „გადავძახე: სამურაზედ რად იმეტებ მაგასო? საიმისოდ ჟოლს არჩევენ, ან შვინდს, კაკლის კაწახსაო“ (ბაჩ.). საბა კაწახის განმარტებისას ძველ ალექსანდრე მითითებებს: „კაწახი (18,5 ესაია) — უმწიფარი თუ წაყულაკი“. ნ. ჩუბინაშვილი: კაწახი — უმწიფარი, მკავე, კოწამახი (იერემ. 31,29; ეზეკიელი 18,2, ისაი 18,5). შტრ. მეგრული კვარწახა (Киош. 255).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ დაბადების ქართულ თარგმანში ისრიმის აღსანიშნავად ჩვეულებრივ კაწახია ნახმარი, მოჰყავს სათანადო ამონაწერები და ბოლოს გეაწვდის ჩვენთვის ფრიად ყურადსაღებ მსჯელობას, საიდანაც დასტურდება, რომ „კაწახი“ საერთო-ქართველური ფუძე ყოფილა: „ეს ისრიმის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა კაწახი მხოლოდ ჰანურსლა ჰქონია წარსული საუკუნის დამლევს დაცული და ქაცახი, ჰრ. აქარიანის ჩანაწერით, ისრიმის წვენის აღმნიშვნელი ყოფილა. ნ. მარს ეს სიტყვა ჰანეთში ველარ გაუგონია და ამის გამო მას ეჭვი შეპარვია, რომ შესაძლებელია ეს სიტყვა ჰრ. აქარიანს ხემშინისაგან ჰქონდეს გაგონილი, რადგან ახალ სომხურში *გაყყარ* — ქაცახი-ძმარსა ნიშნავს (ჭ. გ. 196), მაგრამ თვით ეს ახალი სომხური სიტყვა ქართულითგან უნდა იყოს ნასესხები.

საფიქრებელია, რომ ქაცახი ჰანურად წვენისა კი არა, არამედ თვით დაუპწიფებელ ყურძნის, ისრიმის აღმნიშვნელი იქნებოდა. ამასთანავე, ქაცახს გარდა, იქ კაწახიც ყოფილა, რადგან იქ ამ სიტყვისაგან ნაწარმოები, სწორედ ისრიმის წვენის აღმნიშვნელი სახელი კაწახური თვით ნ. მარსვე აქვს ათინაშიც და ჰანეთის სხვადასხვა ადგილას გაგონილი (ჭ. გ. 153)²⁵.

ასევე ისრიმად განმარტავს „კაწახს“ ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ და სათანადო ამონაწერებით იმორჩებებს ოშკურ ბიბლიას (X ს-ის ხელნაწერი), მამათა ცხოვრებას (XI ს.). ილია აბულაძე „კაწახ“-ს ერთერთ აღრიზდელ შრომაში (1944 წ.) ქართულ სიტყვად თვლის და აღნიშნავს, რომ ძვ. სომხურში ძვ. ქართულიდან იყო გადასული²⁶. საყურადღებოა, რომ ძვ. ქართულში ფუნქციონირებდა „კაწახის“ დერვივატიც — „გამოკაწახება“ — ისრიმად ქცევა“: „კაწახი ყუაეინ, ყუაეილსა შინა გამოკაწახებთან (ეს. 18,5)“ (აბულ. 42).

„კაწახი“ — ფშურში ეწოდება „კაკლის ნაჭუქის გარეთა ჩენჩოს“ (ლლ. I, 276), ე. ი. წენგოს.

საანალიზო სიტყვაში ინგილოურში ფონოლოგიური ფუნქციით, გვევლინება რ თანხმოვანი: «კარწახი — უმწიფარი ხილია, ხოლო — „კაწახი“ წენგოს აღნიშნავს» (მ. ჯ. 249). (შტრ. „კარწახი“ — იმერ. „წვივი“. გურ. „დიდი აღნართი“. ქეგლ.).

ჩვენთვის საინტერესო აზერბაიჯანულ არეალში დიფერენციალური ფუნქცია ეკისრებათ წ აფრიკატსა და მის სპირანტ კომპონენტ ს-ა: qarçax (თალა) დაკონკრეტდა უმწიფარი კაკლის მნიშვნელობით, მოხდა ქართული სემანტიკის დაიწროება, ხოლო წ-ს დეზაფრიკატიზაციით მიღებული ფრიკატივი ს-იანი სიტყვა-ფორმა qarşax (ილისუ, კახბაში) აღნიშნავს „წენგო“-ს. ამ უკანასკნელის უფრო მეტად გააზარბაიჯანულებულ ფორმას წარმოადგენს qarşax სოფ. გარაბაღლირში — „წენგო“ (ჩვენნი მასალებით), ხოლო სოფ. ყირმიში — „საერთოდ ყოველნაირი ხილის ქერქი“ (ჭუს.).

ADJH-ის თანახმად qarşax/gäzşax ალოსემები გავრცელებულია კახხის, თოჯნის, ზაქათალის, შამხორის, ვართაშენის რაიონებში (გვ. 117); qarşax და-

დასტურებულია აგრეთვე კახის რაიონის მომიჯნავე ნუხის დიალექტში (Ис. 239). როგორც ვხედავთ, garzax/gärsax-ის არეალი ან ემიჯნება საქართველოსა და საინგილოს, ან თვით საინგილოშია.

გჳარსაჲ „წინგო“ ახ. სალიტ. ენაში (АДИЛ.) აზერბაიჯანულ დიალექტებშიდან უნდა იყოს შესული.

საყურადღებოა, რომ gazak 'უმწიფარი ხილი' ფიქსირებულია თურქულ ენის კირესუნის, ორდუს და სივამის დიალექტებშიც (DS., VI, 1952—1953).

„კარწახი“ საქართველოში საქმოდ გავრცელებული ტოპონიმი. იგი ქართლში მდინარის სახელწოდებას, ხოლო ჯავახეთში სოფლისა და ტბის ტოპონიმს წარმოადგენს.

სოფ. კარწახი ვახუშტის²⁷ გარდა იხსენიება „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში“²⁸, მდებარეობს ახალქალაქის რაიონში და საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად შედის კარწახის სასოფლო-სამეურნეო²⁹.

ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ს. ჯიქიას „გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი“: „დავთარის დროს (XVI ს. ვ. ჯ.) ორი მოზრდილი სოფელია კარწახის სახელით — დიდი და პატარა კარწახი. პირველში 33 კომლა, მეორეში — 21.

ამჟამადაც კარწახი ორია, მაგრამ შეცვლილი სახელებით: კარწახი და ვერანა კარწახი. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი კარწახთაგანი გაპარტახდა და მას ვერანა კარწახი შეერქვა“³⁰.

ქ. განი 1909 წ. გამოქვეყნებულ შრომაში ტოპონიმ „კარწახს“ „მწარედან“ წარმოშობისად მიიჩნევს³¹.

საგულისხმოა, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ფიქსირებულ „კარწახ“ ფორმასთან ერთად ქართულში დადასტურებულია „კარწახი“, ტოპონიმი, რომელიც სიძველეთ ძველ ქართულ ტექსტებს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს და რგილოთურმა შემოინახა ეს ორივე სიტყვა-ფორმა.

moqoli — 'მაყვალი' (თალა, ჰეს.). moq'ol 'მაყვლის ნაყოფი' (ვერხვიანი, ჰეს.) ჰესეინოვის თანახმადვე სოფ. სუმაილში გავრცელებულია „moxyali“ ფორმით. ა. ასლანოვი moqli ფორმის (არმუთლუ, ჯიმჯიმი, ილისუ, კაშუაჩაი, ყუმი, სარიბაში. თალა) წყარო სიტყვა-ფორმებად ერთნაირად მიუთითებს წახურულში: aqali, ავარულ moqoli და ქართულ moqvali-ზე (Асл. 1974, 226). ჩვენი აზრით, როგორც საკვლევი არეალის აზერბაიჯანულ, ისე წახურულ და ავარულ მეტყველებაში აღნიშნული სიტყვები წარმოადგენენ ქართული „მაყვალი“-ის ალ-ლექებას და სუბსტრატულია ჭაფანახის, თალას, ვერხვიანის, სარიბაშის, ილისუს მეტყველებაში.

„მაყვალი“-ს საბაჲ და ნ. ჩუბინაშვილიც ქართულად მიიჩნევენ. თ. ვაყურელიძისა და გ. მაკავარიანის თანახმად „მაყვალი“ საერთო-ქართველურ სახელურ ფუძეს შეიცავს (სს., 281). ამავე აზრისაა გ. კლიმოვი (Клим. 129).

„მაყვალი“ დადასტურებულია „სახარებაი ლუკაისი“-ს შატბერდულ ხელნაწერში, ოშკურ ბებლიაში და სხვ. ასევე მისი დერივატი „მაყულოვანი“ კონსტატირებულია ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებში.

ქართ. მაყვალი სამხ. ოსურში შესულა maxali ფორმით³².

სუბსტრატულობის მიმნიშნებელ ერთ-ერთ ფონეტიკურ ნიშნად მიგვაჩნია სიტყვებში O ხმოვნის შენარჩუნება პირველი მარცვლის შემდეგ, რის არცთუ

მცირე შემთხვევებიდან (qoṭaṣ, nigizü, nijaxor, soḡi, ḡiṭṭiṭi და სხვ.) მხოლოდ ერთზე შევჩერდებით:

ḡoṭaṣ - 'ქოჩორი' (ქაფანახჩი, ვერხვიანი). ḡoṣer (თულუ. ქეს.) <ქართ. „ქოჩორი“ - 'მრგვარად შემოკვეცილი თმა' (სახა), „შემოკვეცილი ვარჯი“ (ნ. ჩუბ.); ქართულში აქვს კიდევ მნიშვნელობები: 1. აღამიანის თავის ზემო ნაწილის თმა. 2. ცხოველთა შუბლის გაზარდილი ბეწვი, 3. ბუმბული ფრინველის თავზე, 4. სიძინდის მამრობითი ყვავილენი.

ḡoṭor სუბსტრატულია ქაფანახჩისა და ვერხვიანის მეტყველებაში. საინტერესოა ქართულ ყრუ-ფშენივიერ ხშულთა აბრტუპტივიზაცია $k > ḡ$, $ḡ > ḡ$.

აღნიშნულ თანხმონებს ფონეტიკური ცვლილება განუცლიათ ისურშიც. მაგრამ იქ მომხდარა ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება, როგორც ამას გ. ახლელიანი აღნიშნავს, $ქ > ḡ$ და $ჩ > ḡ$: ქოჩორა > ḡoṭora.

ჩვენ ამჯერად, სტატიის ლიმიტირებული მოცულობის გამო, წარმოვადგინეთ ქართული ლექსიკური სუბსტრატის მხოლოდ მცირე ნაწილი, აზერბაიჯანული ენის ჩრდილო-დასავლურ კოლოკაებში.

შენიშვნები

¹ А. М. Асланов, Иберийско-кавказский субстрат в закатальских говорах азербайджанского языка (на материале цахурского языка), «Вопросы диалектологии тюркских языков», т. IV, Баку, 1966, гл. 203.

² Л. Ә. Нусејинов, Азербайчан дили шимал-гәрб шиваларинини лугати, «Ученые записки АГПИ имени В. И. Ленина», XI серия, 1964, № 6, 1965, № 2—5.

³ А. М. Асланов, იბ. დასაბ. შრომა, აგრეთვე Иберийско-кавказские абруптивные в закатальско-калхских говорах азербайджанского языка, «Беритულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», თბილისი, 1974.

⁴ С. М. Моллазаде, Происхождение некоторых слов в махском говоре азербайджанского языка, «Вопросы диалектологии тюркских языков», т. IX, Баку, 1966; იჯვე: Говоры махского района Азербайджанской ССР, Автореф. канд. дисс., Баку, 1966; იჯვე: Азербайжан ССР-нин Гах району шивалари, Баки, 1966, საქანდიტატ დისერტაცია (ხელნაწერი).

⁵ დმ. ჭანაშვილი, სანომ მათქმევიან, ვაზ. «ივერია», № 114, 1889.

⁶ ალქსანდრა ჩხეჩელი, შზიან საინვილოში, თბილისი, 1957, გვ. 90.

⁷ ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 380.

⁸ არხ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრული-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 88.

⁹ თ. გამყრელიძე, გ. მაქავერიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 72.

¹⁰ В. Т. Джагидзе, Дманисский говор казахского диалекта азербайджанского языка, Баку, 1965, гл. 101.

¹¹ ელ. გუდიაშვილი, წალკის რაიონის მოსახლეთა თურქული მეტყველების თავისებურებანი, საკანდ. დის. (ხელნაწერი) თბილისი, 1949, გვ. 116.

¹² ს. ჭიქია, შესხეთის ქართული მოსახლეობის თურქული მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (ხელნაწერი), თბილისი, 1945, გვ. 87.

¹³ გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინვილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 84.

¹⁴ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1910, гл. 12.

¹⁵ თ. თედევი, მემენარეობის ქართული ლექსიკა ისურში, თბილისი, 1975, გვ. 29.

¹⁶ შზიან დრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 317.

- 17 М. Ш. Ширлидзе, Азербайжан диалектолокијасынын эсерлери, Баку, 1962, 33-101.
- 18 М. Н. Чобанов, Лексика азербайджанских говоров Болнинского района Грузинской ССР, Авторск. канд. дисс., Ташкент, 1973, 33. 10.
- 19 ს. ჯიქია, XVII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლური სერია, I, თბილისი, 1954, გვ. 204.
- 20 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, თბილისი, 1964, გვ. 7-8.
- 21 А. Глейе, О происхождении грузинского народа и его языка, «СМОМПК», XXVII, 4, 1900, 33. 116.
- 22 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 410-411.
- 23 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 173.
- 24 ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 410.
- 25 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 7.
- 26 ილია აბულაძე, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში, «შრომები», II, თბილისი, 1976, გვ. 233-234.
- 27 ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, «ქართლის ცხოვრება», IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 220.
- 28 ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 519.
- 29 საქართველოს სსრ აღმინსტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1977, გვ. 25.
- 30 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბილისი 1958, გვ. 412-413.
- 31 К. Ф. Гал, Опыт объяснения кавказских географических названий с предисловием, «СМОМПК», 40², 1909, 33. 73.
- 32 ოლა თედეევი, მემყენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბილისი, 1975, გვ. 22.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ე

- ბ ბ უ ლ. — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
- ბ რ ნ რ. — არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
- ვ ე ა ე ფ შ ა ე ე ლ ა ს მ ც ი რ ე ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, შეადგინა ალ. ჭინკარაულმა, თბილისი, 1974.
- შ ა ე. — ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961.
- შ ჟ. — შ. ჯანაშვილი, საინგილო, «ძველი საქართველო», ტ. II, თბილისი, 1911-1913.
- შ ს შ ი ტ — მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმოლოგიისათვის, I წიგნი, თბ., 1964.
- ნ. ჩ უ ბ. — ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 375.
- ს ს ა ქ ე — თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
- ქ ე გ ლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964.
- ღ ა მ ბ. — რ. ღამბაშიძე, ინგილოური ლექსიკონი, 1977 (ხელნაწერი).
- ღ ლ. — ა. დლოტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.
- ჭ ა ე ა ბ. — ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1930; წიგნი II, 1934.
- ჯ უ ს. — А. а. Нурсејнов, Азербайжан дилин шимал-гәрб шивәләринин лугәти, «Учси. записки АГПИ имени В. И. Ленина, XI серия, 1964, № 6, 1965, № 1-5.
- А б. — В. И. Абаев, Историко-этнографический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958.
- А Д Д Л — Азербайжан дилинин диалектоложи лугәти, Баку, 1964.
- А Д И Л — Ә. Ә. Оручов, Азербайжан дилинин взаһлы лугәти, I, Баку, 1966.
- А Д О Л — Азербайжан дилинин орфографија лугәти, Баку, 1975.
- А з и з. — Х. А. Азизбеков, Азербайджанско-русский словарь, Баку, 1965.

- А с л. 1966 — А. М. А с л а н о в, Иберийско-кавказский субстрат в закатальских говорах азербайджанского языка (на материале цахурского языка), «Вопросы диалектологии тюркских языков», т. IV, Баку, 1966.
- А с л. 1974 — А. М. А с л а н о в, Иберийско-кавказские абруптивы в закатальско-кахкских говорах азербайджанского языка, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წილქველი», I, თბილისი, 1974.
- Б а р. — Х. К. Б а р а н о в, Арабско-русский словарь, М., 1958.
- И с л. — М. И с л а м о з, Азәрбајҹан дилинил Нуха диалекти, Баку, 1968.
- К и п ш. — И. К и п ш и д з е, Грамматика мнигрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914.
- К л и м. — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.
- М а р р. — Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Петербург, 1910.
- М о л. 1966 — С. М. М о л л а з а д е, Происхождение некоторых слов в кахском говоре азербайджанского языка, «Вопросы диалектологии тюркских языков», т. IV, 1966.
- М о л. А в т. — С. М. М о л л а з а д е, Говоры кахского района Азербайджанской ССР, Автореферат канд. дисс., Баку, 1966.
- М о л. Д и с с. — Азәрбајҹан ССР — нин Гах რაიონი შიდალარი, Баку, 1966; საკანდილო დისერტაცია (ხელნაწერი).
- О С Н Я — В. М. И л л и ч-С в и т ы ч, Опыт сравнения постатрических языков (семи-тохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидский, алтайский), Сравнительный словарь, М., 1976.
- С М О М П К — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
- D S — Türkiye'de Halk Ağzından Derleme Sözlüğü, I—XIII, Ankara, 1963—1975.

В. Т. ДЖАНГИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ ЛЕКSIKA В СЕВЕРО-ЗАПАДНЫХ ГОВОРАХ АЗЕРБАЙДЖАНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

Грузинские лексемы, констатированные в северо-западных говорах азербайджанского языка, по пути их проникновения в азербайджанские говоры следует делить на две группы: субстратная лексика и заимствования.

Субстратная лексика выделяется нами по следующим признакам: I. историко-географическому и II. лингвистическому.

I. Первый признак содержит вся субстратная лексика, более того, некоторые слова считаются субстратными лишь по историко-географическому признаку, такие, напр.: *agoul* (в селах Кандах, Капанахчи) < груз. *apeuli* 'поле, поселиное весной', *axu* (Капанахчи, Сарыбаш, Кяхбашы) < груз. *axo* 'пахотная земля из-под леса или кустарника', *datü* (Сарыбаш) < груз. *datvi* 'медведь', *lapan* (Капанахчи) < груз. *lapani* 'луд, крылоорешник', *xusu* (Капанахчи)/*xixä* (Илису) < груз. *xiä* 'осот', *хаҗи* (Верхиян) < груз. *yafo* 'молозиво'.

II. Лингвистический признак подразумевает: 1. Фактор стойкости лексических элементов основного лексического фонда: груз. *deda* 'мать' > *dida* (Капанахчи), груз. *zalo* 'тетя—жена брата отца' > *zala* (Капанахчи), груз. *goçi* 'по:осенок' > *goçij* (Илису, Тала), груз. *zayli* 'собака' > *zayli* (Илису, Гюллюк), *ziageba*—перен. 'изливать свое горе' > *zijalangax* (Капанахчи).

2. Сохранение грузинской фонетической оболочки: а) сохранение морфемы номинатива: груз. *ançlij* 'бузина' > *ançli/ançilij* (Кахбашы, Гцл-лск, Сарыбаш, Илису), груз. *astami* 'металлическая лопаточка для соскабливания теста' > *āsṭami/āsdamil/āsṛāmi* (Кахашы, Сарыбаш, Тала, Илису), груз. *eṣmaḳi* '... проказник, проказница' > *eṣmāngi/āṣmāngi* (Кахбашы, Илису), груз. *isrimi* 'неспелый виноград' > *isrimi* (Капанахчи), груз. *puri* 'хлеб' > *puri/puru* (Сагыбаш, Загам, Тасмало, Илису); б) сохранение грузинских абруптивов: груз. *pitna* 'мята' > *pitnā* (Капанахчи), груз. *pirvi* 'легкое' > *pirtṣ* (Капанахчи), груз. *ṭabla* '... поминальное блюдо' > *ṭapla* (Илису, Гцллкк), *ḳuḳi* 'желудок' > *ḳuḳu* (Капанахчи, Вежхиян), груз. *ḳarḳaxi* 'неспелые фрукты' > *ḳarḳax/ḳarḳax* (Тала, Капанахчи), груз. *maḳvali* 'ежевика' > *maḳoli/miqoli/muḳli* (Тала, Верхиян, Сарыбаш, Илису); в) сохранение гласного «о» во втором и последующих слогах: груз. *koḳori* 'чун, хохол' > *ḳoḳor* (Капанахчи, Верхиян) (ср. *ḳctoṣi* > *ḳctoṣ*, *nigozi* > *nigozu*, *ḡonḡoli* > *ḡonḡol*, *soḳo* > *sogo*). Следует отметить, что почти все суффиксные слова для исторически азербайджанских сел являются заимствованиями.

В статье выявлены две фонетические закономерности: I. грузинский абруптив «ḳ» в препозиции палатальных гласных в азерб. говорах > в палатальный смычный звонкий *g'*: *eṣnaḳi* > *eṣnāng'i*, *ṭiki* > *tiḡ'i*, *hoḳeri* > *hog'āri*, *kerdiḳa* > *kārdig'ār*, *ḳirḳali* > *giriḡel*;

II. грузинский заднеязычный звонкий спирант *γ* в азерб. алауте > преимущественно в гомоганный и гомогенный глухой спирант *x*: *γuḡa* > *xuḡā*, *γimi* > *xuḡu*, *γaḡo* > *xaḡu*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქული ფილოლოგიის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ბ ა ი ა ნ ე მ თ უ შ ა ლ ი რ ვ ი ლ ი

ზ ო ბ რ ი ე რ თ ი ქ ა რ თ უ ლ ი ნ ა ს ე ს ხ ი ბ ა ნ ი ა ზ ე რ ბ ა ი ქ ა ნ უ ლ ი
 ე ნ ის დ ი ა ლ ე მ ტ ბ ე ზ შ ი

ენობრივი ძვრები, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია სოციალურ-ისტორიულ და ლინგვისტურ ფაქტორებთან, მაგრამ პირველადი მაინც სოციალურ-ისტორიული პირობებია. ამ შემთხვევაში ურთიერთმოქმედებენ ფუნქციონალურად თანასწორუფლებიანი ან თითქმის თანასწორუფლებიანი ერთეულები, ე. ი. ორივე ურთიერთგავლენის მქონე სისტემები იხმარება ერთნაირ ან თითქმის ერთნაირ ფუნქციებით. ამისათვის აუცილებელია, რომ ორივე ურთიერთმოქმედი სისტემა გამოიყენებოდეს უოფითი ურთიერთობის დონეზე.

ქართულ-აზერბაიჯანულ ენობრივ ურთიერთგავლენათა შესახებ არაერთხელ თქმულა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენი სტატიაც არის ცდა კიდე ერთხელ აღინიშნოს ამ ორი ენის ურთიერთგავლენის შედეგი, რომელიც ამჟამად ეხება ქართულ ნასესხობებს აზერბაიჯანული ენის დიალექტებში. მასალა ამოკრებილია აზერბაიჯანულ დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან.

Ахы/аху¹ (Балакан), ис.—меша вѣжа каллугдан тѣмизлѣнмиш экин сәһәси—пахотная земля из-под леса или кустарника¹ (საყანელ გაკაფული ტყე ან ბუჩქნარი).

აზერბაიჯანული ახы/аху ქართულში ხმარებული 'ახო' სიტყვის სახეცვლილი ვარიანტია. როგორც ცნობილია, თურქული ენების უმრავლესობისთვის, მათ შორის აზერბაიჯანულისთვისაც, სიტყვის მეორე მარცვალში ი ხმოვნის ხმარება ნაკლებად მოსალოდნელია. თურქულში, როგორც წესი, ღია პაგის-მიერი ო პირველი მარცვლის შემდეგ ვიწრო უ-ს გვაძლევს. ქ. თორთომი — თ. თორთუმი ფორმა თურქულ წარმოთქმასთანაა შეგუებული². ამიტომ ქართული 'ახო' გვაძლევს ახ-ში ахы/аху ფორმებს, რაც აგრეთვე კანონზომიერია. იგივე სიტყვა დასტურდება ნუხის რაიონის მეტყველებაში, სადაც ფიქსირებული იყო ფორმა ахшәдәх³ საყანოდ გაურკვეველი ш თანხმოვნით ინლაუტში. ნუხის რაიონის აზერბაიჯანულთა მეტყველებაში ахшәдәხ სიტყვის ხმარება აღნიშნული აქვს აკად. ს. ჭიქიას: В районе Нухи имеется пазвание местности ахшәдәх (груз. ахо//ახო «пашня». — ვნ афшкс множ. числа)⁴. ამგვარად ზემოხსენებულ სიტყვაში ахшәдәх ალბათ კორექტურული შეცდომაა.

ქართული 'ახო' სიტყვა — საბას მიხედვით: საყანური გაკაფული, საყანური განაკაფი, ტყე განყენებული⁵. თანამედროვე ქართული ენის განმარტებოლ ლექსიკონში 'ახო' — საყანელ გაკაფული ტყე, ნატყევაირი; ახოს ატეხა — ტყის გაკაფვა საყანელ⁶. სიტყვა 'ახო' ძველ წერილობით ძეგლებშიც დასტურდება, როგორც აქტიური ლექსიკური ერთეული. ასე მაგალითად: ახო — „... ჩუენი წილი იყოს მამის მამული, თუ ნასყიდი, თუ ახო“ (დოკუმენტები, II, 3,9). „... მოგყიდე... ზედაჯვრის ახო ჩემი წილი“ (საქართველოს სიძველენი, II, 151,23). „მოგყიდე... წუწუთ კევის ახო, კუირის ცხოვლის მუხის მიწა“ (დოკუმენტები, I, 212,23). „რა ღონე გქონდეს, ეცადე, მოიშუშავე ახონი“ (საბა, II₂, 240,15).

Бам(әләһ) (Гәх.) ис.—араца охунун үстүндә олан ағач—доска на осн арҗы—ურმის ლერძზე დამაგრებული ფიცარი.

